



პრიზიკული ესების პავონადიზმის შესახებ

ავთანდილ ძამაშვილი, ლაშა ხარაზი, თამთა უგლავა,
საბა კოხრეიძე, ნინი შველიძე, ალექსანდრე გაბელია,
გიორგი ჯავახიშვილი, დავით გალაშვილი,
ოთარ ჭულუხაძე

კრიტიკული ესეები კაპიტალიზმის შესახებ



გამომცემლობა
Carpe diem

UDC (უაკ) 330.342.141
ძ-206

კაპიტალისტური სისტემა უკვე სამი ასწლეულია მსოფლიოს დომინანტური ეკონომიკური მოდელია. სისტემა, რომელმაც სო-ციალურ-ეკონომიკურ სიკეთებთან ერთად, უამრავი უბედურება და უთანასწორობა მოიტანა, საქართველოში უკანასკნელი 30 წელია დიდი სისწრაფით იკიდებს ფეხს; კაპიტალიზმს მოჰყვება თავისი კულტურული კოდები, კულტურის ინდუსტრია, რომელიც ეკონომიკური რეალობის გამყარებაა კულტურის სფეროში; ამ კრებულის მიზანია წარმოაჩინოს და გააკრიტიკოს, როგორც კაპიტალიზმის ეკონომიკური, ისე მისი ზედნაშენის - კულტურის ინდუსტრიის მოქმედების პრინციპები და ალგორითმები.

რედაქტორები: ავთანდილ ძამაშვილი, ოთარ ჭულუხაძე

მხატვარი: ლევან ჭოველიძე

- © ა. ძამაშვილი, ლ. ხარაზი, თ. უგლავა, ს. კოხრეიძე,
ნ. შველიძე, ა. გაბელია, გ. ჯავახიშვილი,
დ. გალაშვილი, ო. ჭულუხაძე
- © გამომცემლობა Carpe diem, 2020

ISBN 978-9941-9699-5-9

სარჩევი

ნინასიტყვაობა	4
კაპიტალიზმის დამავალიანებელი ბუნება	
ავთანდილ ძამაშვილი	7
ვირუსის ინტერვალი	
ლაშა ხარაზი	21
თანამედროვე სპირიტუალიზმი და	
ტრენდული რელიგიები	
თამთა უგლავა	43
ტოტალობა და ტოტალიზაცია: ცნებათა გადახედვა	
გეორგ ლუკარსია და უან-პოლ სარტრთან	
საბა კოხრეიძე	63
კინო და კაპიტალიზმი: ზოგიერთს უფრო	
მხურვალედ უყვარს	
ნინი შველიძე, ალექსანდრე გაბელია	84
რამდენიმე მოსაზრება დამოუკიდებელ ქართულ	
კინოსა და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე	
გიორგი ჯავახიშვილი	119
ერთგანზომილებიანი აზროვნება და	
ტექნოლოგიური რაციონალობა	
დავით გალაშვილი	144
არარა და კაპიტალიზმი	
ოთარ ჭულუხაძე	153
შენიშვნები და განმარტებები	
	165

წინასიტყვაობა

წინამდებარე ესეების კრებული კაპიტალიზმზე კრიტიკულ რეფლექსიას ასახავს. მასში მოცემული ტექსტების ავტორები პოლიტიკურ, კულტურულსა და სოციალურ განზომილებაში კაპიტალიზმის მამოძრავებელი ლოგიკის ამოცნობასა და მისი თანმდევი მანკიერი გავლენების მოხელთებას ცდილობენ. ამასთანავე, კრებულის შექმნის იდეა თეორიულსა და პრაქტიკულ მიზნებს აერთიანებს: უახლოეს წარსულში ქართულ ენაზე დაწერილი არცთუ ბევრი ბეჭდური ტექსტი გვახსენდება, რომელიც კაპიტალიზმს რამდენამდე კრიტიკულად გააშუქებდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კრებულში დაბეჭდილი ტექსტების ავტორები ახალგაზრდა მკვლევრები არიან, რომლებიც აკადემიური სივრცის სხვადასხვა სფეროებში სწავლობენ და მოღვაწეობენ.

ავტორები გვევლინებიან ფილოსოფიის, კინომცოდნებისა და რელიგიის კვლევების დისციპლინებიდან, რაც ვფიქრობთ, კრებულს დამატებით მომხიბვლელობას სძენს და მკითხველიც მეტი ინტერესით აღივსება, როდესაც კაპიტალიზმის ინტერდისციპლინურ კრიტიკას გაეცნობა. მაგალითად, ტექსტში ვხვდებით კაპიტალიზმთან დაკავშირებულ კინოკრიტიკას, ასევე მის კავშირს კულტურასთან, რელიგიურ პრაქტიკებსა თუ კონკრეტულ სოციალურ მოვლენებთან. მკითხველი კრებულში იხილავს კულტურის სხვადასხვა საკითხებსა თუ კონცეპტზე ფილოსოფიურ რეფლექსიებს.

ამავდროულად, ტექსტი არ ივიწყებს კრიტიკული პერსპექტივის საფუძველმდებარე თეზისს, რომ ყოველი თეორიული მოხაზულობის მამოძრავებელი მიზანი თეორიიდან პრაქტიკაში გარდამავალი პროცესი უნდა

იყოს. შესაბამისად, გარდა კაპიტალიზმის ყოვლის-
მომცველი ბუნების მხილებისა, – ბუნებისა, რომელიც
ყოფიერების ყველა ფორმაში შეღწევას მიეღწევის და
სურს, სამომხმარებლო ეთოსს დაუქვემდებაროს სუ-
ლიერი თუ უსულო ფორმები, – ამავდროულად, ხსენ-
ებულის მხილება მის გარდაქმნასა და მისგან საპირისპ-
ირო პოლიტიკური მზაობის სურვილსაც გამოთქვამს.

კაპიტალიზმის დამავალიანებელი პუნქტი ავთანდილ ძამაშვილი

კაპიტალიზმის დამავალიანებელი პუნქტა თავს განსხვავებულ სივრცეებში ავლენს. მისი საყოველთაო და დამანგრეველი გავლენა სახელმწიფოებრივ, კლასობრივსა და ინდივიდუალურ შრეებზე აისახება და ამდენად, მისი არქიტექტონიკის, შინაგანი ლოგიკის მოხელთება ინტერდისციპლინური გაშუქების აუცილებლობითაა პირობადებული. ამავდროულად, საგულისხმოა ითქვას, რომ კაპიტალიზმის ამგვარ თვისობრიობას, გარდა მყისიერი და განგრძობითი ზემოქმედებისა, ახასიათებს ეკონომიკისა და კულტურის ძირისძირობამდე გამსჭვალვის მრავალმხრივი ეფექტი. დავალიანება, ერთი მხრივ, თუ დოკუმენტის აკუმულაციისა და მისი ერთეულთა ხელში დამკვიდრების ტექნოლოგიაა, მეორე მხრივ, ის დავალიანებულ სუბიექტთა პოლიტიკური მოხელთებისა და დამორჩილებული დროითობის უკვდავყოფის პირობაა.

წინამდებარე ესეს მიზნები ორი მთავარი ხაზის გარშემო აიგება: პირველი შეეხება კაპიტალიზმის დამავალიანებელ პუნქტას საჯარო და კერძო სფეროში, — იმას, თუ როგორ და რა მექანიზმებით ვალიანდება ცალკეული სუბიექტი, მთლიანად საზოგადოება თუ ზოგადად სახელმწიფო. ეს

ნაწილი მაურიციო ლაძარატოს წიგნში „ვალიანი ადამიანის წარმოება“ გამოთქმული კონცეფციის, „ვალის ეკონომიკის“ გარშემო იტრიალებს, რომელიც ნეოლიბერალური, ფინანსური კაპიტალიზმის კრიტიკის ფონზე, ვალის ეკონომიკის ფუნქციონალობას, ვალიანი ადამიანის ეკონომიკური და ონ-ტოლოგიური სხეულის შუქზე რეპრეზენტირებს. ამ საკითხს აუცილებლობით უკავშირდება ერიკ რეინერტის დებულება „სიღარიბეში სპეციალიზების“ შესახებ. ხოლო ესეს მეორე ნაწილი მიემართება კაპიტალიზმში დავალიანებული სუბიექტურობის წარმოებას, რომელიც ეკონომიკური და კულტურული ბატონობის, კლასებსა თუ პიროვნებებში ინტერნალიზების პრაქტიკებს ასახავს – ხდომილებებს, თუ როგორ ტრანსფორმირდება ვალის დათვლადი და გაზომვადი სხეული, ბრალის დაუთვლელსა და ეგზისტენციალურ განცდაში. და ბოლოს, საგულისხმოა, ვალტერ ბენიამინის მცირე ტექსტი, „კაპიტალიზმი როგორც რელიგია“, რომელშიც იგი კაპიტალიზმის კულტის ერთ-ერთ მახასიათებლად მის დამავალიანებელ ბუნებას ასახელებს, რომელიც ბენიამინის აზრით, ქრისტიანული პირველცოდვის პრინციპით მოქმედებს.¹ საინტერესოა, რა კავშირშია ვალისა და ბრალის მიმართება სუბიექტის პოლიტიკურ განზომილებასთან, ნებსით თუ უნებლიერ, ვალიანობა-ბრალეულობის მოცემულობა, საჯარო თუ კერძო სფეროდან პოლიტიკურის დამორჩილებას ან საერთოდაც ანიჭილაციას ხომ არ გულისხმობს? ეს საფუძველმდებარე კითხვა, წინამდებარე ტექსტის ერთგვარი რეფრენი იქნება, რომელსაც რამდენადმე მკაფიო პასუხი უნდა გაეცეს.

„კრედიტორი-მოვალეს ურთიერთობა გახლავთ მქონეთა (კაპიტალის) და უქონელთა (კაპიტალის) ძალაუფლებრივი მიმართების პროდუქტი“.² მაურიციო ლაძარატო ნაშრომში – „ვალიანი ადამიანის წარმოება“, ნეოლიბერალური, ფინანსური კაპიტალიზმის გასწვრივ, ვალის ეკონომიკის ფუნქციონალურ თვისობრიობას ასახავს. მისი ინტერესი მიემართება 1970-80-

იან წლებში მომხდარი ისტორიული ხდომილებებიდან დღემ-დე მიმდინარე პროცესებს. ზიგმუნტ ბაუმანი ამ ვითარებას ახასიათებს, როგორც ძალაუფლების კონცენტრაციას ელე-ქტრონული ქსელების ექსტერიტორიულობაში, როდესაც ფინანსური კაპიტალის კონტინენტიდან კონტინენტზე გა-დადინება ღილაკზე თითის ერთი დაჭრით ხორციელდება. ნეოლიბერალურმა, ფინანსურმა კაპიტალიზმა პილიტიკიდან გააძევა ინდუსტრიული კაპიტალიზმი. ნეოლიბერალური იდეოლოგია, რომელიც სახელმწიფოს როლის დამცირებით, დერეგულაციის პოლიტიკითა და საჯარო სიკეთების (ჯან-დაცვის, განათლების, საპენსიო სისტემებისა და ზოგადად სოციალური პოლიტიკების პრივატიზაცია) ინდივიდუალიზე-ბით გამოირჩევა, საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას ინდი-ვიდის პირად უნარიანობას უქვემდებარებს, ცალკეულისა და მთელის კავშირი იდეოლოგიური წერხის ქვეშ გარდატყუდება და ყოველდღიურობის გამნიშვნელების საჯარო მექანიზმე-ბი, კრედიტის აღების კერძო ძალმოსილებით იფარგლება. საგულისხმოა გავითვალისწინოთ, რომ საბაზრო დერეგუ-ლაციის თანმხლები გადასახადების შემცირების პოლიტიკე-ბი, პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ეკონომიკური ელიტების ფინანსების ზრდას, ელიტების რომლებიც მზარდი მოგების რეალურ ეკონომიკაში რეინვესტირებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ნაცვლად, კაპიტალის ფინანსი-ალიზაციას მიმართავნენ. შესაბამისად, საბროკერო, საფონდო ბირჟებისა თუ კომერციული ბანკების ფულადი ბრუნვა კო-ლოსალურ რიცხვებს აღწევს. ცენტრალური ბანკი და სახ-ელმწიფო ინსტიტუციები კი ფინანსური ბაზრების ჰეგემონიის ქვეშ არსებობენ. ვალის ეკონომიკა, რომელიც განსაკუთრე-ბით ღარიბი ქვეყნების საარსებო პოტენციალს თრგუნავს, არც დასავლურ ქვეყნებს ინდობს. ლაძარატოს მაგალითად მოჰყავს საფრანგეთის შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ რე-გიონში სამი კომერციული ბანკის ტოქსიკური საპროცენტო განაკვეთის წინააღმდეგ დაზარალებულებმა სასამართლოში

დავა დაიწყეს. აუცილებელია გავიხსენოთ საგარეო ვალის დამანგრეველი მაგალითი საბერძნეთის ეკონომიკის შემთხვევაში. ცხადია, მესამე სამყაროს ტიპის დავალიანებული ქვეყნები, ბატონობას დაქვემდებარებულ სამართალს ვერ გამოსტაცებენ სამართლიან განაჩენს და არც სასამართლოს ფორმატში წყდება ვალის პოლიტიკის გარდაქმნის რაობა. მეორე მაგალითი ამერიკას ეხება, სადაც საყოფაცხოვრებო თუ საგანმანათლებლო ხარჯები მთლიანად ვალზე და საკრედიტო თუ სტუდენტური სესხის ბარათებზეა მიბმული – „საკრედიტო ბარათი არის უმარტივესი გზა, მისი მფლობელის პერმანენტული მოვალედან, სამუდამოდ დავალიანებულ ადამიანად გადაქცევისა“.³ ამდენად, ლაძარატოს ნაშრომში აღნერილი ვალის პოლიტიკა ეხება იმას, თუ როგორ გაძარცვა და დააცალკევა ბაზარმა მოსახლეობა ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში. კრედიტორი-მოვალეს მიმართება მძაფრ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, უნდობლობის საყოველთაობა ჰობსისეულ ბუნებით მდგომარეობას აღნერს, სადაც ადამიანი ადამიანისთვის მგელია. „დასუსტებული ადამიანი სისხლის გამოშვებით შეიძლება მოკვდეს, მსგავსად იმისა, როგორც დღევანდელი დარიბი ქვეყნები განიცდიან დეინდუსტრიალიზაციასა და მზარდ სიღარიბეს, „ბუნებრივი“ საბაზრო ძალების მოქმედებით“⁴. ერიკ რეინერტის კონცეპტი „სიღარიბეში სპეციალიზება“ აუცილებლობით მიემართება ვალის ეკონომიკის ფუნქციონალობასა და მასთან დაკავშირებულ გარდაუვალ სიღარიბეს.⁵ მაგალითად, მეცნიერების ბაზარზე დაქვემდებარებამ განაპირობა სამეცნიერო დარგების ვიწრო სპეციალობებით შემოფარგვლა. სციენტისტური სულისკვეთებით სპეციალიზებაზე მიმართულმა მეცნიერებამ წარმოშვა შრომის დანაწილების მოქნილი სისტემა, რომელსაც „ტეილორიზმი“ ეწოდება და რომელმაც კაპიტალისტურ საწარმოო პირობებში, მსხვილ კორპორაციებში ზედმეტი ღირებულების დაუბრკოლებლად ზრდადი ტენდენციები წარმოქმნა. მაგალითად: ბიპევიორიზმი, ემპირიული

სოციოლოგია, ეკონომიკურიკა, რომლებიც დიაგრამებითა და რიცხვებით მანიპულირებენ; კვანტიფიცირებული, ისტორიულ ხდომილებებს მოწყვეტილი მშრალი ანალიზით კი, ფინანსურ და საგანმანათლებლო ელიტებს, რომლებიც ნეოლიბერალურ კაპიტალიზმში ერთ სხეულად შეიქნენ, მავნებლური პოლიტიკის გასატარებლად ძალაუფლების ქვეშ განფენილი ფართო ასპარეზი მიეცათ. რეინერტი აშიშვლებს ბატონობის შორსმხედველ და დესტრუქციულ ქმედებებს, მაგალითად, მე-19 საუკუნეში ერთი ამერიკელი ეკონომისტი წერდა, რომ არ მოიქცე ისე, როგორც ინგლისი გირჩევს, არამედ ეკონომიკური პოლიტიკა გაატარე ინგლისის ეკონომიკის ფუნქციონირების მიხედვით.

დღეს იმავეს თქმა შეგვიძლია ვაშინგტონის ინსტიტუციებზე (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი), რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის ფეტიშიზაციით მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებულ ნაპრალს უსასრულოდ ზრდიან. ვალის ეკონომიკა, რომელიც გამორიცხავს ინდუსტრიულსა და სიღარიბიდან ამოყვინთვის ალტერნატიულ ეკონომიკურ ხედვებს, უზარმაზარ საჯარო და კერძო ვალს ქმნის. მეორე მხრივ კი, იმგვარი დღის წესრიგი ყალიბდება, რომელიც ვალის შემცირების ნაცვლად, მის უსასრულო ზრდას აწანამდლვრებს. მაგალითად, ღარიბი ქვეყნები დაშორებული არიან აზიური ქვეყნების, „მფრინავი ბატების“ ინდუსტრიულ ტექნოლოგიებს: იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის ინტეგრალური განვითარება, სახელმწიფო პროტექციონიზმითა და მაღალტექნოლოგიურსა თუ ინოვაციურ კვლევებში ჩატარული ადამიანების დასაქმების პოტენციალით ხასიათდებოდა. ამგვარი სინერგიული ეკონომიკის ნაცვლად ტრანსნაციონალური კორპორაციების დიქტატი ღარიბ ქვეყნებს ჩიხური, გლობალური სურათის უკუმცდები, დამლუპველი პოლიტიკებისკენ უბიძგებს. საქართველოს მაგალითზე, 1990-იანი წლების ნეოლიბერალური ისტერიის ფონზე, განსაკუთრებით გამოიკვეთა სიღარიბეში სპეციალიზების

კვეთა დამავალიანებელ ბუნებასთან, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ არსებული ინდუსტრიული კაპიტალი ექსტრაპოლაციის (განახლება, შეცვლა ან გარდაქმნა) ნაცვლად, ჯართად დაიშალა და აქედან, ინდუსტრიული ეკონომიკა, ნედლეულის გადაყიდვასა და დაბალკვალიფიციური შრომის დამავალიანებელ პოლიტიკაში სპეციალიზებაში განხორციელდა.⁶ ამგვარ მდგომარეობას, პალიატიურ ეკონომიკად ასახელებენ. ამ დროს ცოცხალი ხარ, მაგრამ სიკვდილისთვის ემზადები, ან არსებობისთვის აუცილებელი მინიმუმით კმაყოფილდები.

ვალის ეკონომიკაში კლასობრივი ანტაგონიზმი მასშტაბურ სახეს იღებს და ლოკალური, კლასობრივი უთანასწორობა გლობალური ყვლეფისა და გაჩანაგების გამტარ მექანიზმებში ხორციელდება. განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე მოწინავე სახელმწიფოების გამდიდრება ფინანსური კაპიტალიზმის ფუნქციონირების შინაგანი ლოგიკაა. ფინანსური კაპიტალის მიერ კოლონიზებული კომერციული და ინდუსტრიული კაპიტალის ფორმებს თან ახლავს კლასიკური კაპიტალიზმის საფუძველმდებარე ბინარული ოპოზიციების ინკორპორირება, როგორიცაა: შრომა და კაპიტალი, მუშა და კაპიტალისტი, სახმარი და საცვლელი ლირებულება, ამდენად კლასობრივი იდენტობას მოკლებული, საბროკერო, საფონდო ბირჟების საშუალო რგოლებისა და რიგითი პროგრამისტებისგან შემდგარი „ახალი კლასის“ სუბიექტი, ჰომო-ეკონომიკუსის კლასიკური მაგალითები არიან. ამგვარი უკლასო, გაპიროვნებული ცნობიერების საგულისხმო სახე-ხატი კი ანტრეპრენიორია – „Everyone an Owner, Everyone an Entrepreneur“.⁷ ამრიგად, კლასიკურ კაპიტალიზმში თუ შრომით ფერხულში ჩართული მუშა მუდმივად შრომითი ექსპლუატაციისა და გაუცხოების წესების ქვეშ არის მოქცეული, ვალის ეკონომიკის ნეოლიბერალური პრაქტიკები მუშას, დასაქმებულს, გარდაქმნის ადამიანურ კაპიტალად, რომელიც საკუთარ თვითზე და განუსაზღვრელსა და ბურუსით მოცულ პიროვნულ თვისებებ-

ზე ორიენტირდება. სოციოლოგ რიჩარდ სენეტთან, აქტიური „მე“ სუბიექტის იმპულსები, მოტივაცია და გრძნობები, პასიურ „მე“ ობიექტად რეგისტრირდება, რომელიც დაწინაურებას პირადი დამსახურების ნაცვლად, დამსაქმებლის გულმონყალე შემოთავაზებად აღიქვამს. შესაბამისად, საშუალო მუშაკი ვალშია დამსაქმებელთან და ცხადია ეს „დავალი-ანებულობა“ შრომითი გაუმჯობესების მოთხოვნის პოტენციალს აბათილებს. მეორე მხრივ, კარგი თანამშრომელი არა კარგი სპეციალისტობით, არამედ დადებითი პიროვნული თვისებებით განისაზღვრება, თუ როგორი ყურადღებიანია, გამგები, პოზიტიური და ა.შ. ანტრეპრენიორის სახე-ხატი, პომო-ეკონომიკუსის იმგვარი ცვლადია, რომელიც პროტესტანტული საერო ასკეზით წინასწარ გეგმავს სამომავლო მეურნეობას, შრომის პროდუქტის შექმნისას კი, ამავდროულად გამორჩეულ თვითს აკონსტრუირებს. ანტრეპრენიორის სახება იდეოლოგიური ანტინომიაა. ის ერთი მხრივ, პიროვნების თავისთავადი ტრანსცენდენტური ბუნების არსებობას უშვებს, რომელიც ისტორიულ ფერხულში უნდა განამდვილდეს და მეორე მხრივ, იმანენტური პიროვნულობის ხასიათით პირობადებული, შემთხვევითობებისა და მოულოდნელი რისკების გარდაქმნის პოტენციალის მატარებელი სუბიექტია. ლაძარატო ანტრეპრენიორის ხატის უკან, სილარიბესა და დავალიანებაში სპეციალიზების უწყვეტ პრაქტიკებს ხედავს. ანტრეპრენიორი, როგორც ნდობის, კრეატიულობისა და შთაგონების სუბიექტი, გარშემომყოფთათვის ცალსახად ფინანსიალიზაციის თანმდევი სპეკულაციების ნივთიერი შედეგია. ამგვარი რელიგიური კავშირი ფორდისტული სისტემის შემთხვევაში, „ღვთიური ჯაჭვის“ შექმნის მიზნით, ქარხანაში დასაქმებული მუშების შრომითი ღირებულების ზრდასა და მსყიდველუნარიანობის მატებასთან ასოცირდებოდა. კაპიტალზე ნივთიერი მიჯაჭვა, ყოველდღიურ განუსაზღვრელ შრომაში ჩაფლულობისკენ მიმართულმა სისტემურმა ინდოქტრინაციამ შეცვალა. შრომით ბაზარზე ეკონომიკურ

სუბიექტად დაფუძნება პიროვნებებისგან მოითხოვს იმგვარი უნარების უწყვეტ სწავლას, რომლებიც შესაძლოა, უმაღ ფუჭ ცოდნად გადაიქცნენ. არასტაბილურ სამუშაო გარემოსა და მუდმივად ცვალებად საპაზრო მოთხოვნებს დაქვემდებარებულ ინდივიდებს ერთადერთ ხსნად ამაო და უწყვეტი თვით-წვრთნა ესახებათ.⁸

ვალტერ ბენიამინი წერს, რომ კაპიტალიზმის დამავალ-იანებლობა წარმოშობს ბრალის ცნობიერებას. ეს გახლავთ მდგომარეობა, როდესაც დავალიანებული სუბიექტი არათუ ვერ აღწევს თავს ამ ჩიხურ მდგომარეობას, არამედ მის უნივერსალიზაციას ანანამძღვრებს – დროითობაზე განფენილი ვალის ეკონომიკა მასში ინკორპორირებულ სუბიექტთა მომავლის კოლონიზებას ახდენს. ბატონობის ეს პროცესი, ტოტალიტარიზმის ეს სახება, თანამედროვე ეკონომიკურსა და კულტურულ თვითნებობის ფორმებშია შენიღბული.⁹ ვალიანი ადამიანი არამხოლოდ სამუშაო დროით იხდის ვალს, არამედ სასიცოცხლო, თავისუფალი დროითაც, – მისი ნებელობით, სურვილებით, გამოწყვდეული პოტენციალობის უსაზღვრობით. ევგენი ზამიატინის წიგნში – „ჩვენ“ შესანიშნავადაა დროის კონტროლი აღწერილი, როდესაც აპარატი მასში ჩართულ სუბიექტებს, „სჯულის დროის ფიცრით“, ფანტაზიის, წარმოდგენის ნებას უთრგუნავს.¹⁰ დროითობის კონტროლი მასში ჩართული სამუშაო და თავისუფალი დროის შეთქვევით, „man“-ად ყოფნის დაფუძნების წინაპირობაა.¹¹ შრომის განთავისუფლება თუ შრომითი გაუცხოების გაბათილებასა და თავისუფალ დროში სიცოცხლის ხელოვნების დაფუძნებას ანანამძღვრებს, ვალიან ეკონომიკაში კოლონიზებული დრო თავისუფალი დროის ნაცვლად, განტვირთვის, კულტურის ინდუსტრიაში ათქვეფილ დროს გვთავაზობს. ამდენად, შრომაშიც და შრომის მიღმაც, ვალიანი ადამიანი სრულად შერწყმულია დამქვემდებარებელ ბატონობის ალ-გორითმთან.

ქრისტიანობაში პირველცოდვის თანშობილობა, რომელიც მორწმუნეთა გულებსა თუ გონებას ამქვეყნიური არსებობის ბრალად ევლინება, მათ აქ და ახლა, პოლიტიკურ სუბიექტებად დაფუძნების ნაცვლად, ესქატოლოგიური უდროობის მომლოდინე გარსში ჰქვევს და ამავდროულად აპირობებს მუდმივი გამოსყიდვის წრიულობას. შეცოდებისა და მონანიების წრებრუნვის თანმდევი აფორიაქებულობა, რომელსაც როგორც განსაცდელს ლირსეულად უნდა გაუძლო, მიღმიერი დაჯილდოების წანამძღვრითაა პირობადებული. მორწმუნეთა ნუგეში სასუფევლის ღია კარის მოლოდინია. კაპიტალისტური დავალიანებულობა ამგვარ თანშობილ ბრალის გრძნობაში ცხოვრება გახლავთ, რომელსაც შრომით და ფულით ვერ გამოისყიდი, დამავალიანებელი სუბიექტურობის წარმოება, არამხოლოდ ფულადსა და დათვლად, გადახდას დაქვემდებარებულ ერთეულს შეადგენს, არამედ იგი სახარბიელო პიროვნების, კომერციული კულტურული ფორმებით გაშუალებულ სახე-ხატს ქმნის, რომელშიც მომხმარებლობა (კონსუმერიზმი) ბიოლოგიურ მოთხოვნილებად ირაცხება, ვალის ეკონომიკას დაქვემდებარებული სუბიექტები კი კრედიტის გავლით მომხმარებლობის თვითგანმახორციელებელ ფუნქციას კისრულობენ.

მარქსისტული რევოლუციური სულისკვეთება შრომითი გაუცხოებიდან, გასაგნებული ყოფიდან, ბორკილების დახსნის სურვილით ამოზრდილი წინააღმდეგობა, თითქოს კოსმოსურ სამყოფელში გაიფანტა. კლასიკურ კაპიტალიზმში თუ ფორდისტული სისტემის ტიპის ქარხნის მუშებს მუდმივად ჰქონდათ განცდა, რომ შეძლებდნენ პროდუქტში გასაგნებული შრომის შეძენას, და ეს შესაძლებლობა კი რევოლუციური აღტყინების მიზეზებს რამდენამდე ასუსტებდა, ნეოლიბერალურ ვალის ეკონომიკაში ამგვარი სურვილი კვლავნარმოებადი 6 ა ტ ვ რ ი ს კატეგორიაში გადადის. ამდენად, რელიგიური ბრალისა და ეკონომიკური ვალის

სუბიექტის მაკონსტრუირებელი კატეგორიები უდროო მო-
მავალზე მიმართული იმპულსებია, რომელთა გამოსყიდვაც
მუდმივი რიტუალურობის პირობას ატარებს. მომხმარებლო-
ბის საზრისის მდგენელი რელიგიური მონანიების საერო გა-
დათამაშებაა. ზიგმუნტ ბაუმანთან მომხმარებლური აგონის
შესანიშნავ განსაზღვრებაში, „შოპინგი“ ეგზორციზმის ფუნ-
ქციას ასრულებს, პიროვნების სტრუქტურებში გამჯდარი,
დაუცველობისა და გაურკვევლობის შეგრძნებების მუდმივი
გამოდევნის რიტუალს. გაურკვევლობა ერთი მხრივ, ეკონო-
მიკური შინაარსის მატარებელია, რომ პრეკარიატულ შრომა-
ში ჩართული სუბიექტები მუდმივად სამსახურის დაკარგვის,
გადასახადების გადაუხდელობის, ჯანდაცვისა და განათლებ-
ის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შიშის ქვეშ ცხოვრო-
ბენ. მეორე მხრივ, დაუცველობა უნდა გავიგოთ სისტემურად
ორგანიზებული საფრთხეების წინაშე ყოფნის ფორმად, რო-
გორიც ცივი მისი პერიოდში პოლიტიკურად მანიპულირება-
დი ატომური ბომბი გახლდათ, მას შემდგომ კი კვლენარმოე-
ბადი და საზოგადოების დაცალკევებაზე ორიენტირებული,
ეგოში შემომსაზღვრელი მტრის ხატები, რომელსაც ბატონო-
ბის აპარატი მუდმივად აწარმოებს. ხსენებული ორი განცდა,
სხვა მხრივ ეგზისტენციალური ხასიათისაა: მომხმარებელი,
რომელიც მუდმივად გაურბის სიკვდილის გარდაუვალობაზე
ფიქრს და ამდენად არასაკუთრივ, ყოფიერების მზა ფორმებ-
ში თვითშემოიქცევს საკუთრივობის ონტოლოგიურ შესაძლე-
ბლობას, შემდგომ ერთადერთ ხსნად მოხმარების უწყვეტობა
ესახება. მომხმარებელი იმგვარი სუბიექტურობის ნიშნების
მატარებელია, რომელიც აწმყოში თვითშემოსაზღვრით ის-
ტორიულობას უარყოფს, სამყაროს დაკითხვისა და აქედან
საკუთრივობის ამოკითხვის მუდმივობას დაცილებული
სიკვდილის გარდაუვალობის უკუგდება, მოხმარების მუდმ-
ივობის უღელქვეშა მოქცეული. შესაბამისად, მოხმარებაც
წამიერად საამო, არსებითად კი მტკიცნეულია, მისი ბიოლო-

გიური სასრულობის დამვიწყებელი ფუნქციონალობიდან გამომდინარე. საკუთრივობა, რაც ჰაიდეგერთან ყოველ-დღიურობაში, სიკვდილისა და სიცოცხლის გამაშუალებელი ძრწოლის მიმართებით ხორციელდება, მომხმარებლის არას-აკუთრივ ყოფნაში, მოხმარების საგნიდან მოხმარების ადგილამდე გადებულ აფორიაქებულობაში ტყყდება.¹² ამგვარი საზოგადოებრივი გათქვეფილობის პირობებში, ბრალეულობის განცდა, ყოფიერების განფენილობაში შემავალი ძირითადი მდგენელია.

ინტიმურობის საყოველთაობის ეგოში შემოქცეული საზოგადოების პირველ ნიშნებს რიჩარდ სენეტი მნიშვნელოვან ნაშრომში – „საჯარო ადამიანის დაცემა“, ვიქტორიანულ ეპოქაში ინდუსტრიული რევოლუციების თანმდევ უნივერმალების ამოქმედებასთან აკავშირებს, როდესაც ტრანსცენდენტური ბუნების გაგება სპონტანური ხასიათის განსაზღვრებამ და მისი საჯარო გამოვლინების სირთულემ შეცვალა. ეს მეორე-ნაირად საჯაროობის დაცემისა და მასზე კერძოობის გამეფებას გულისხმობს, სხვაგვარად მოქალაქისა და ინდივიდის მოხერხებულ შეპირისპირებას. უნივერმალებში მოსეირნე პასიური მზერის გასტრონომიით გართული პიროვნება – წინაპარია თანამედროვე „მოხმარების ტაძრებში“ მოსიარულე ვუაიერისტი სუბიექტებისა, „კარგად კონტროლირებადი, სათანადოდ დაკვირვებული და დაცული მოხმარების ტაძარი არის წესრიგის კუნძული, თავისიუფალი უქონელებისაგან, უსაქმურებისაგან, სტალკერებისა და მანანნალებისაგან – ან, მინიმუმ, მოსალოდნელია და ნავარაუდევია, რომ ასე იყოს“.¹³ დავალიანებული სუბიექტურობა მოიცავს, თანშობილ, პიროვნულობის მდგენელ აუცილებლობებს: მაგალითად, პიკასოს კუბისტური პორტრეტები, თუ დანაწევრებული, დეზორიენტირებული სუბიექტების სხეულს ქმნიან, რომელიც სუბსტანციაგამოცლილი, განსაზღვრული პრედიკატების გარეშე არსებობენ. კაპიტალიზმი მის საპირისპირო მთლიანი

პიროვნების სახე-ხატს გვთავაზობს, რომლის წინაშეც მუდ-მივად ვალში ვართ, მისი განუხორციელებლობის შესაძლე-ბლობა კი სამუდამო ბრალეულობისა და სულიერი სიღა-ტაკისთვისაა განწირული, რადგან სულიერი მთლიანობის პირობას მხოლოდ ნივთიერი საგნების უსასრულო ოკეანის ფლობა ქმნის.

კაპიტალისტური წარმოების დუალიზმი, რომელიც ერთი მხრივ, განაწევრებს და სამანქანო ელემენტად გსახავს, მე-ორე მხრივ, მძიმე შრომის ატანის ვალდებულებას გარან-ტირებული წარმატების აუცილებელ პირობად გასაღებს, ისტორიულსა თუ ბიორაფიულ ცვალებადობაში შემოქმე-დებითობის ან თამაშის ხელოვნების ბუნებრიობა, მანქანურ დღის წესრიგში მომხმარებლობის ყალბ მრავალფეროვნებაში თვითგანხორციელების პირობებში ითარგმნება.¹⁴ ქრისტიან-ული ბრალისა და კაპიტალისტური ვალის ფსიქომორფული სხეული, სუბიექტების დეპოლიტიზაციის ძლიერ მექანიზ-მებს ქმნის. ამგვარად, კერძოს მიერ კოლონიზებულ საჯარო სივრცეში განდევნილი პოლიტიკური იდეოლოგიების ნაცვ-ლად, ვარსკვლავური ქარიზმით პირობადებული ტიპის პოლი-ტიკოსები, ძალაუფლებრივ ურთიერთობებში მიტაცებისა და ღლეტის ძველ რომაულ საკოლიზეუმო სანახაობებს ქმნიან. პოლიტიკური სივრცე, რომელიც გლადიატორების ბრძოლად განსხვაულდა, კაპიტალისტური წარმოების შინაგანი კანონებ-ის გამოსხივებაა – პიროვნულობის დიქტატმა გაიმარჯვა კლასობრივ სხეულზე. სამომხმარებლო სოლიფსიზმი „მე“-ს იმგვარი რადიკალიზებაა, რა დროსაც მხოლოდ მოხმარებ-ის უსაფრთხო და უწყვეტი სივრცის არსებობა მნიშვნელობს, სხვა ყველაფერი კი, რაც პირადი სხეულისა და კეთილდღე-ობის მიღმაა საფრთხისა და უსიამოვნების მომგვრელია. ამ-დენად, სოციალურ ქსელებში გადამისამართებული რეალო-ბის სიმულაცია, ერთი მხრივ, რეალობის იმგვარი მიმეზისია, რომელშიც განმარტოებით, ვუაირიზმით კმაყოფის შესაძლე-

ბლობები გეძლევა, თუმცა, ამავდროულად მასში არსებული მტკივნეული რეალობის სიმძაფრით, სოციალური ქსელებიც, ფსიქოსოციალური იზოლაციისგან თავდახსნის მძაფრ სურვილს ატარებს. სხვა მხრივ, ატომიზებული საზოგადოების მტკივნეული მარტოობის განცდა სხვასთან ყოფნის „გემაინ-შაფტის“ (Gemeinschaft) არსობრიობას ეტრფის;

„გემაინშაფტი, ეს არის განსაკუთრებული სოციალური ჯგუფი, რომელიც თავისი გახსნილი ემოციური ურთიერთობებით უპირისპირდება იმ ჯგუფებს, რომლებშიც ჭარბობს დალმხრივი, მექანიკური ანდა ემოციურად გულგრილი კონტაქტები“.¹⁵

დამორჩილებული დროითობა, რომელშიც სამუშაო და თავისუფალი დრო მხოლოდ კაპიტალთან მიმართების მოხაზულობაში დგინდება, მასში თანჩართულ სუბიექტებს განხორციელების ერთადერთობად უკიდურეს განკერძოებას უდგენს. ვალის ფუნქციონალობაში შემოსაზღვრული დროითობა კი მქონეთა და უქონელთა კლასობრივი ანტაგონიზმის მოშლისა და ბორკილდებულთა ბრალეულ პიროვნებებად დაფუძნების პირობაა. კლასიკურ კაპიტალიზმში თუ კლასობრივი უთანასწორობა მანკიერი გარეგანი ტენდენციებით სულდგმულობდა, ვალის ნეოლიბერალურ ეკონომიკაში კლასობრივი უთანასწორობა პიროვნებათშორის მყოფ განსხვავებულ შესაძლებლობებად ითარგმნება. ცვალებადმა ტენდენციებმა, რომლებიც ბატონობას ადგენდნენ და ახანგრძლივებდნენ, დამორჩილებულ დროითობაში უცვლელი კანონების მანტია მოისხეს და კლასობრივ ცნობიერებას დაცილებული პიროვნულობის ფეტიშიზაციით, ერთადობის სურვილი ყალბი და მყისიერი გარემოული ფაქტორებით შემოსაზღვრეს. შესაბამისად, კლასობრივი, ჭეშმარიტად შემაკავშირებელი ურთიერთობების გაფანტვით, მისგან დარჩენილ სიცარიელეს ინტიმური საზოგადოება, სიმულაციურ რეალობაში, დახურულ ჯგუფებსა თუ პირად გვერდებზე ფსიქოლოგიური სტრიპტიზით ავსებს, ხოლო საკუთრივობას (Eigentlichkeit) მოწყვეტილი პიროვნულობა, აფორიაქებულობის მასტიმ-

ულირებელ პრაქტიკებს ყოველდღიურად, შრომასა თუ განტ-ვირთვის დროში აწარმოებს.

ამრიგად, კაპიტალიზმის დამავალიანებელი ბუნება, ერთი მხრივ, ვალის ეკონომიკაში ვლინდება, რომელიც მსჭვალავს მთელსა თუ კერძოს და ქმნის დამორჩილებისა და დაქვე-მდებარების საზოგადოებრივ მექანიზმებს. ამ შემთხვევაში ფილოსოფიას ორი არჩევანი აქვს: ან აჰყვეს დავალიანებულ დროითობას და მსხვილი აქტორების მარიონეტად იქცეს, ან რეალობა დაკითხოს და აზროვნების საწყისები ისტორიულ კანონზომიერებებთან შეათანადოს. მეორე მხრივ, კაპიტალ-იზმი, ვალით დამუხტულ განფენილობაში ბრალეულ სუბიექ-ტურობას აწარმოებს; ჰერაკლიტური ორგანული მოძრაობის დიალექტიკა, კაპიტალიზმის სიმულაციური თავისუფლების სამომხმარებლო მრავალფეროვნებაში გადათამაშდა და კა-პიტალიზმისავე ქამელეონური თვისობრიობის გამო, საკუ-თრივი და არასაკუთრივი ყოფნის ფორმები, ვალიანობის ტოტალობამ ჩაყლაპა. შესაძლოა, დღეს, ფილოსოფიური და ისტორიცისტული „განმარტება გარდაქმნის“ ფუნქცია, დავალიანებულ სუბიექტთა ბრალეულობის განცდისგან დახ-სნა იყოს, რომელიც შესაძლებელია გადაიზარდოს რევოლუ-ციური სულისკვეთების მატარებელ იდეებში.

300-ის ინტერვალი ლაშა ხარაზი

დიდი ცვლილების ფაქტობრიობა დასაწყისში ყოველთვის რადიკალურიზებულ მრავლობითობაში გამოხატავს თავს. ხედვის წერტილების სწრაფი მატება, მოსაზრებების განშტოებითი ხაზების გეომეტრიული პროგრესით გაბევრება, შეხედულებების, აღქმების, ცრუგანსჯების ან პირიქით, ემპირიულის ავტორიტეტით გადასინჯული შეფასებებისა და პოზიციების სწრაფი გამრავლებისა და გადამრავლების პროცესი ყოველთვის უკვე ნაგულისხმევია დიდი ცვლილების შემადგენლობაში. ცვლილების მიმდინარეობა, მისი გამგები გონება და წინმჭვრეტელი ინტუიცია, იმ უპოქის თავისებურებები, რომელშიც იგი ხორციელდება, შედეგების დასაკუთრებაზე პასუხისმგებელი რეგისტრირების მანქანები, იშვიათად პრაქტიკულად თავისუფალი და როგორც წესი, ამ მანქანების მიერვე მისაკუთრებული წარმოსახვითით ბიძგ-მიცემული მოლოდინები, ძალაუფლების უკვე დამკვიდრებულ წესრიგსა და ჯერ კიდევ მომავლიდან მომლოდინე ფორმებს შორის მოქმედი დაძაბულობები, ყველაფერი ერთმანეთის თანადროულობაში აყალიბებს ცვლილებით წარმოქმნილი პერსპექტივიზმის სტიქიურობას, უფრო ზუსტად კი, ასეთი

პერსპექტივიზმის დროებით სტიქიურობას, ვინაიდან ნები-სმიერგვარად მოცემული არსებულის ბუნებაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ დროითობაში მჟღავნდებოდეს გა-ნუსაზღვრელობის ნებაყოფლობითობაში.

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგან-იზაციის მიერ პანდემიად გამოცხადებულმა კორონავირუსის ახალმა ინფექციამ (Covid-19), მთელი მსოფლიო ასეთი ცვ-ლილების შუაგულში გახვია. დღეის მოცემულობით (ტექს-ტის უშუალოდ ეს მონაკვეთი 21 მარტს იწერება), ირგვლივ ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიმდინარე ცვლილების პლანეტარული მასშტაბი ერთიანად აჭარბებს შესაძლებლად მოაზრებადის საზღვრებს, ოლონდ ასეთი გადაჭარბების თავ-ისებურება განპირობებულია არა იმდენად იმ ჯერ კიდევ ჰიპოთეტური სცენარების რთულად ან შესაძლოა, არც ისე რთულად განსამარტავი ბუნებით, რომლებიც სულ უფრო ხილვად დაპირისპირებულობაში ერთმანეთს მომავლის მოხ-ელთებას ეცილებიან, რამდენადაც უეცრად დროთა კავშირის რღვევის შედეგად კონცენტრირებული განუსაზღვრელობის იმ მოცულობით, რომელმაც საგანთა სისტემურად დაფგე-ნილი მდგომარეობა, ამ მდგომარეობის სტანდარტიზებული ლოგიკა არსებულის მთლიანობაშივე გააშეშა.¹

საბაზრო უნივერსალიზმის ეპოქაში არსებობს ლამის უკვე საყოველთაოდ ნორმალიზებული ინტუიცია იმის შეს-ახებ, რომ სისტემის დღეს უკვე დიდწილად გაბუნდოვანებუ-ლი ცნება თავის ხელშესახებ კონკრეტულობას პოულობს იმავწამს, როგორც კი მას მსაზღვრელად კაპიტალისტურს ვუნიშნავთ. ჩვენ ვგრძნობთ და ვხვდებით, რომ კაპიტალის-ტური სისტემა, როგორც ენობრივი ერთეული, არა უბრალ-ოდ ყოველი ცალკეული არსებულის მიღმა კაპიტალიზმით მხარდაჭერილი აქსიომატიკის დასწრებულობას გვახსენებს, არამედ – და რაც აზრის კრიტიკული გამოცდილებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია – იგი ამავდროულად თვი-თონ კაპიტალიზმის გარეთ არსებულის რაიმეგვარ შესა-

ძლებლობაზეც იქვე გვაფიქრებს. აქედან გამომდინარეა, რომ დასაწყისისთვის გასათვალისწინებლად პრაქტიკული, რასაც პანდემიით გამოწვეული გლობალური განუსაზღვრელობა ააშკარავებს, ისაა, რომ პირველად ნეოლიბერალიზებული კაპიტალიზმის ეპოქაში, კაპიტალისტური სისტემის მიერ საყოველთაოდ უნივერსალიზებული და აუცილებლობის ძალით იმუნიზებული აქსიომატიკა, საკუთარივე სისტემური წანამდლვრების სრული გაუფასურების ინტერვალში აღმოჩნდა.² სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენივე თვითიზოლირებული და სოციალურად დისტანცირებული ყოველ-დღიურობა გვეხმარება ამ ინტერვალის ყოვლისმომცველობის დანახვაში, მისი ხელშესახები მატერიალურობისა და არსებულის მთლიანობაზე მისივე ზემოქმედების შედეგების აღქმაში. ფალკეულად მყოფის თვალსაზრისით, წარმოქმნილი ინტერვალის განუსაზღვრელობა დრამატიზებული რეალობის ყველაზე კანონიკურ რეჟიმში გვამყოფებს. ერთ მხარეს წარმოსახვითის ჰორიზონტზე მომწიფებული გარდაქმნის დიდი ამბით, რომელშიც უკიდურესი უთანასწორობით დისკრედიტებულ სისტემას, ვირუსის რადიკალური ეგალიტარიზმი უპირისპირდება. მეორე მხარეს კი, აზროვნების ხელახლა შეხსენებული შეძლებით, რომელიც ჩვენვე გვაიძულებს თვალი გაუსწოროთ იმ გარემოებას, რომ სამყაროს კაპიტალისტური სურათით გაკონტროლებული, ფალკეულის რაც უნდა ავტონომიზებული ცხოვრების სფერო, მისივე ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად, გადადებულია რომ ამ დაპირისპირების შემადგენლობით ერთდროულად ყველა მხრიდან იყოს გარშემორტყმული. თითქოს სასურველის სტატუსით აღიჭურვა ყველა ის შთაბეჭდილება, რომელიც წარმოქმნილი ინტერვალის მოულოდნელობაში და ამ მოულოდნელობის თანმდევ მოუმზადებლობაში გვიმუდავნებდეს, რომ რეალობის გამოგონების ძველთაძველ პათოსს, ჩვენ თვალწინ გამოგონილის გარეალურების შედეგად წარმოშობილი ეთოსი უნდა ანაცვლებდეს. და მაინც, შეგვიძლია თუ არა მეტ-ნაკლები სი-

ზუსტით გამოვთქვათ, თუ რას გვიმჟღავნებს ამ ინტერვალში მყოფებს არსებულის მიმდინარეობა? შეგვიძლია თუ არა მიახლოებულობაში მაინც განვჭვრიტოთ მისი დასრულების შემდგომ არსებული სამყაროს თავისებურებები? ან უფრო საფუძველმდებარესთან შესაბამისობაში რომ ვიკითხოთ, როგორ განვეწყოთ იმ ახლა უკვე არსებობის სრულუფლებიან ფაქტად შეხსენებული მდგომარეობისადმი, რომელშიც სამყაროს ერთადერთ დაუეჭვებლობად ყოვლისმომცველი განუსაზღვრელობა ცხადდება? განუსაზღვრელობა, რომლის მიზიდულობის ძალასაც, აქამდე აპოდიქტური ცოდნის უკანასკნელ თავშესაფრად მოაზრებული მეცნიერებაც კი ვეღარ აღწევს თავს. დღეს ჩვენ აზრის განმხოლოებულ სიზუსტეში და არა გამოხატული მოსაზრებების თვითნებობაში იმის თქმაც კი არ შეგვიძლია, თუ საშუალოდ რამდენ ხანს ძლებს ვირუსის ნაწილაკები არაორგანული სხეულის ზედაპირზე, რომ არაფერი ვთქვათ ვაქცინის შექმნის ორგვლივ მომწიფებულ ახალ „სოტერიოლოგიაზე“, რომელთან დაკავშირებული დაძაბულობაც აშკარაა, რომ მსოფლიოს მსხვილ ფარმაცევტულ კორპორაციებს შორის ბრძოლის დაფარულ ველად გაიშლება.

განუსაზღვრელობის გაჩვეულებრივება წარმოქმნილი ინტერვალის ძირეული თავისებურებაა, რაც გასაგებია, რომ ვირუსული ინფექციის წინააღმდეგ მოქმედების შედეგიანობაზე უარყოფითად აისახება, მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ყოფნის მიმდინარეობაში სწორედ ამ განუსაზღვრელობის საფუძვლიდანვეა ამოზრდილი უპირატესად ექიმების საქმიანობაში განსხვაულებული და ცხოვრების უშუალობაში გამოთქმული ზრუნვის ეგზისტენციალის დაბრუნება. ამ შემთხვევაშიც შთაბეჭდილების პოლიტიკა გვკარნახობს ვიფიქროთ, რომ შესაძლოა, მყოფის პრაქტიკულობასთან დაკავშირებული პრობლემების ნაწილიც ზუსტად აქედან ინიშნებოდეს.³ რატომ არის, რომ უძალობა ყოველთვის და ყველგან აუცილებელ პირობად ხორციელდება ზრუნვისა

და განკურნების (ნიშანდობლივია, რომ ლათინური არსებითი სახელი cura ერთდროულობაში მოიცავს ზრუნვისა და განკურნების მნიშვნელობებს) სამუშაოების გახსენებისთვის? ფილოსოფია უძველესი დროიდან გვასწავლის, რომ ამ შემთხვევაშიც სიბრძნისეულის იმ განსაკუთრებულობასთან გვაქვს საქმე, რომლის მიხედვითაც ძალა მხოლოდ უძალობის ნაცხოვრებ ჩრდილში იძენს სიცოცხლის ჰომიოზ გამოცდილებას. იგი გამოთქმულის სხვადასხვაობაში განმეორებით გვახსენებს, რომ არსებულის მხოლოდ ამ ადგილას გებულობს მყოფი სიცოცხლესა და ნაცხოვრებს შორის განსხვავების გარდაუვალობას. სიკვდილთან სიახლოვეში სიცოცხლის ღირებულების აღმოჩენა, ამჯერადაც ფილოსოფიურ მუდმივად მეტყველებს გახსენებულისა და მიმდინარეს ხელშესახებობაში. ამდენად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ დღეს ზუსტად ამ მუდმივაში აფარებს თავს ყველა ის ჯერ კიდევ მოქმედი იმედიანობა, რომელიც პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში მყოფის ზნეობრივი განწმენდის შესაძლებლობას ხედავს. ამ მუდმივაშივე ეძლევა გასაქანი აზრის იმ მასალებს, რომელთა ზემოქმედებითაც პრაქტიკული ცხოვრებიდან მოწყვეტილი გონისმიერი საგნები მატერიალური ცხოვრების უშუალობაში დაბრუნებისკენ ისწრაფვიან. გასათვალისწინებლად პირველადი აქ ისაა, რომ კაპიტალისტური აქსიომატიკით დასაკუთრებულ ყოფნაში, ეთიკისა და პოლიტიკის ჯერ მხოლოდ მოსაზრების ნინსწრებულობაში დაბრუნების იდეას კრიტიკულად გადაუსინჯავი ის მნიშვნელობა არ მიენიჭოს, რომელიც ნეოლიბერალიზმის დოქტრინალური „სწავლებებისგან“ განჯადოების პირას მყოფ სამყაროში, მხოლოდ დროებითად მოცემულის „გამარადიულების“ კეთილი, თუმცა პოლიტიკურად თითქმის ყოველთვის საზიანო განზრახვით, სახეშეცვლილი რეალობის ნაცვლად, კაპიტალიზმის ყველაზე ნედლი ინტერესებით გაჯერებული მორიგი ილუზიისთვის მოამზადებს ნიადაგს.

საკითხი იმის შესახებ თუ წარმოქმნილ ინტერვალში რამ-დენად მომწიფდება პირობები არსებულის ძირეული გარდაქმნისთვის, ყველაფერ სხვამდე თვითონ ამ ინტერვალში მოქმედ ძალთა ურთიერთქმედებაზეა დამოკიდებული. არსებულის ფაქტად ახლა მხოლოდ ის გვიმჟღავნდება, რომ სამყაროს უთანასწორობით გამრუდებულ მოდელში, რომელმაც ცნების ყველაზე ფართო მნიშვნელობით, სეგრეგაცია საკუთარი არსებობის შემეცნების პრინციპად [ratio cognoscendi] დაიდგინა, ვირუსული ინფექციის გავრცელებით გამოწვეული კონტექსტები დასაწყისშივე წარმოდგენადის ყველანაირ ზღვარს გადასცდა. არსებულის მიმდინარეობაში წარმოდგენის კრიზისი კაპიტალისტურად მოპყრობილი რეალობის პირდაპირ და არაორაზროვან სიმპტომად ინიშნება. აღმოჩნდა, რომ კაპიტალიზმის პლანეტარული მასშტაბი და ამ მასშტაბის უზრუნველყოფი აქსიომატიკა, ამ უკანასკნელისთვის ორგანულად ჩვეული აღქმადობის, მოქნილობის, ადაპტირებისა და ცვალებადობის მიუხედავად, შესაძლებელია, აღწევდეს არსებობის იმგვარ წერტილს, რომელშიც კაპიტალიზმშივე იმანენტური განმეორებადობით ჩაწერილი მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის სიჩქარეს, წინ, ჯერ მისივე „მარეგულირებელი“ აქსიომატიკის გაუფასურება უსწრებდეს. წარმოდგენის კრიზისულობაც ყველაფერ სხვამდე ზუსტად იმაზე მიგვითითებს, რომ არსებულის ნებისმიერად ინსცენირების შემძლე კაპიტალისტური ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ასეთი წინსწრების ბუნებრიობა თვითონვე შეკითხულის საგნად მოვნიშნოთ. დასაწყისისთვის მხედველობაში მისაღებად, ისიც საკმარისად დამაფიქრებელია, რომ წარმოქმნილი ინტერვალი საგანთა ჩვეულ, ნეოლიბერალური კაპიტალიზმით მოპყრობილ წესრიგს, არა უბრალოდ შემადგენლობითი ცვალებადობების მდგომარეობაში ამყოფებს, არამედ ამავე წესრიგს მისივე ბაზისური ნორმების პრობლემურობის მახსილებელ საწყისადაც უმჟღავნდება. წარმოქმნილი ინტერვალი ერთდროულად სისტემური ცვლილების საჭიროებასაც

ცხადყოფს და თან, ჩვენ თვალწინ სოციალურად მოცემულზე მითითებით ამხელს ყველაფერ იმას, რამაც ნეოლიბერალიზმის ხანგრძლივობა არსებულის ფუნდამენტურად პრობლემურ ნაწილად დაადგინა.

პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში შეგროვებული განუსაზღვრულობა, სინამდვილეში კაპიტალიზმის შიგნით არსებული წინააღმდეგობების კონცენტრირებულ ეკვივალენტს წარმოადგენს. პოლიტიკური გამოცდილების განმათავისუფლებელი ინტუიცია გადაუდებელ აუცილებლობაში ააშკარავებს, რომ ამ წინააღმდეგობების რეალობის გარდამქმნელი მოძრაობების და არა რეაქციულობაში ჩაშლილი მიმართულებებით განსაზღვრა დღეს, არსებულის უქმაყოფილებიდან ამოზრდილი აზრის უმთავრესი პასუხისმგებლობაა. ასეთი პასუხისმგებლობის შემადგენლობა მისსავე პოლიტიკურ განმარტებულობაში, პირველ რიგში, ყოველ ცვალებადობაში უცვლელად დარჩენილის აღმოჩენასა და ამ აღმოჩენილთან მუშაობას გულისხმობს. ასე მაგალითად, ნაივურად რომანტიზებული იმედები პანდემია გამოვლილი და შედეგად გაგონიერებული მყოფის შესახებ, სინამდვილეში ის იდეოლოგიურად ცენზირებული წამატია, რომლის (ყოველთვის უკვე) ოდესლაც მჟღერი ჭეშმარიტებაც, თანამედროვეობაში მხოლოდ გარდასულის ინსტანციიდან მოხმობილ თავის მოტყუების საშუალებად თუ გამოდგება მომავლიდან მომლოდინესთან ურთიერთობაში. პარადოქსულია, მაგრამ ამის მიზეზი არა იმდენად კაპიტალიზმის სემიოტიკური ნაკადებით მისაკუთრებულ სასრულობის გამოსახულებებშია საძიებელი (მოხმარებული, ყოველ ჯერზე გადადებული, წმინდა შეუძლებლობად გამოცხადებული სიკვდილის სახეებით), რამდენადაც ზოგადად პანდემიის ფენომენოლოგიური სტრუქტურის თავისებურებებში. თქმა არ უნდა, რომ ვირუსული ინფექციის საყოველთაობა მყოფს მისივე არსებობის ყველაზე ძირეულ დაუცველობას ახსენებს, რაც საშუალოსთან შეუსაბამო ცალკეულობაში, შესაძლოა შეხსენების დამაფიქრებელ

მასალადაც იქცეოდეს აზრში აზროვნების წარმოქმნისთვის. მაგრამ თვითონ ვირუსის აბსოლუტური ანონიმურობა, მისი დაუსწრებელი დასწრებულობა შეხსენების ასეთ გამოცდილებას ისედაც ყოველთვის უკვე „შეხსენებულ“ განმეორებად ხომ არ აქცევს მყოფისთვის? ან სხვანაირად რომ დავსვათ შეკითხვა, ვირუსის მიერ მთლიანად მიტაცებული სასრულობის მნიშვნელობა, ამ ორის ერთმანეთზე დამთხვეული ვლენადობა, თვითონ სასრულობის განცდას ხომ არ აორმაგებს იმგვარად, რომ ამ უკანასკნელის სიჭარბით, მისი გაუფასურებით, მყოფი დაფიქრებულობასთან მიახლოების ნაცვლად პირიქით, კიდევ უფრო მეტად უცხოვდებოდეს მისგან?

ნებისმიერ შემთხვევაში, კულტურის მდგომარეობისთვის არსისეულად ნიშნეული თვალსაჩინოვდება ჩვენ თვალნინ, როდესაც სტოელების სულისკვეთებით ვლაპარაკობთ სიკვდილზე, მაშინ როდესაც უსასრულობა გვაძორებს ცხოვრების მათ მიერ მიგნებულ ადგილს. წარმოქმნილი ინტერვალის ხანგრძლივობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გვაფიქრებდეს არსებულთან ურთიერთობის უშუალობაში, თუკი მასში შემადგენლობა გამოცლილი სასრულობის შეხსენების მეტწილად ეკრანებიდან ინსცენირებულ სენტიმენტს, სამყაროს განმარტებასა და მის შეცვლას შორის მონიშნული განსხვავების ხელახალ ამოქმედებას დავუპირისპირებთ. პანდემიით გამოკვეთილი მდგომარეობებიდან არსებულის პრაქტიკულობაში ის აშკარავდება (ოღონდ ახლა უკვე არა მხოლოდ აზრის მიმხვედრ ძალაში, არამედ ფაქტობრივის ღირებულებით მხარდაჭერილ სინამდვილეშიც), რომ სამყაროს განმარტების მოცულობა, ამ მოცულობის თავისთავადობა, შეუდარებლად წინ უსწრებს ამავე სამყაროს შეცვლის შესაძლებლობებს. ასეთი წინსწრების რეალობა ყველაფერ სხვამდე თვითონ პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში კონცენტრირებული ცვლილების მოულოდნელობით დადასტურდა, იმ პარადოქსული მდგომარეობით, რომელშიც ცვლილების უზრუნველყოფილი შეუძლებლობა, დროის უმცირეს მო-

ნაკვეთში, ცვლილებისავე გარდაუვალი რეალობით გაყალბდა. პანდემიად ქცეული ვირუსის მოულოდნელობაში, ნეოლიბერალური კაპიტალიზმის შემეცნებით საყრდენად სიმბოლიზებული სლოგანი – [There is no alternative], თავის უარმყოფელ ორეულს წააწყდა, რომელმაც ახლა უკვე თვითონ ცვლილების გარდაუვალობა დასახა უალტერნატივო შესაძლებლობად.

მაგრამ პოლიტიკურის გამოცდილება ყოველ ჯერზე გვახსენებს, რომ ცვლილების თვითკმარობა, მისსავე განგრძობად განუსაზღვრელობაში არასდროსაა გამოსავალი. ცვალებადობაში წარმოქმნილი მხოლოდ იმ შემთხვევაში ფლობს არსებულის გარდამქმნელ ძალას, თუ იგი მისსავე მთლიანობაშია გაგებული, როგორც საჭიროება და თავისუფლება. ეს პოსტულატი ჯერ კიდევ თუ ხმიანობს არსებულის პრაქტიკული შინაარსისთვის, მაშინ საგულისხმოა, რომ ამ ინტერვალში მყოფისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდეს ყველაფერი, რაც მიმდინარე ცვლილების საფუძვლიან გაგებას უზრუნველყოფდა, ყველაფერი, რაც განუსაზღვრელობით მოცული უძალობის ზღვარზე ახალი შეძლებების რეალობას მისცემდა გასაქანს. ფილოსოფიის პასუხისმგებლობა სწორედ ასეთ დროს იძენს განსაკუთრებულ ღირებულებას, რადგან ყველა სხვა „ცოდნისგან“ განსხვავებით, უპირატესად ფილოსოფიურად გამოთქმული აზრის თავისებურებაა ცვალებადობის შიგნით მომწიფებულის, არსებულის გარდამქმნელი ძალის პირველადი, მომავლის ჯერ კიდევ გაუმჯობესებლობაში მომლოდინე მონახაზიდან მეტყველება.

ამიტომ, ჩვენც აქვე ვიკითხოთ თუ ფილოსოფიისთვის საგულისხმოდ რას გვაუწყებს პანდემიით წარმოქმნილი ინტერვალი მასში მყოფებს? პარადოქსულად, მაგრამ ამ ინტერვალის ფილოსოფიურად ყველაზე შინაარსიანი, ცვლილების შიგნით მომწიფებულის გამგები გზავნილი თვითონ ფილოსოფიამდელი პოლიტიკის დაპრუნების გადაუდებლობას ააშკარავებს. პოლიტიკისთვის გზის დათმობით ფილოსოფია არასდროს არაფერს კარგავდა, და საფიქრალია, რომ არც ახლა დაკარ-

გავს. პირიქით, ასეთ დათმობაში იგი მხოლოდ პოლიტიკის მიერ ხელახლა მოპოვებული თვითონწმენის აუცილებლობას აზროვნებს, არსებულის იმ პრაქტიკულ პირობას, რომელთან შეხებაშიც ფილოსოფია თვითონვე იქცევა პოლიტიკის პირველად მატერიალურობად. ამ მატერიალურობის შემადგენლობაში დღეს, ლამის უკვე მოარულ სიმართლედ ქცეული პოლიტიკური სახელმწიფოს დაბრუნება იკითხება. მაგრამ აქ საგანთა პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს, რომ თვითონ პოლიტიკურისთვის ნიშნეულ აზრის ყოფითობაში დავაზუსტოთ თუ რას ვგულისხმობთ, როდესაც პოლიტიკური სახელმწიფოს დაბრუნებაზე ვლაპარაკობთ? ასე მაგალითად, დაბრუნებული სახელმწიფოს სინტაგმა მისსავე მინიმალურ განმარტებულობაში გვახვედრებს, რომ იგი სახელმწიფოს მიერ მისთვის ჩვეული ადგილის დატოვების წინარე მდგომარეობასაც უნდა გულისხმობდეს, რომელსაც იგი ახლა, ჩვენ თვალწინ პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში უბრუნდება. და მაინც, რა ტიპის ადგილზე ვლაპარაკობთ სახელმწიფოს ძირეული განსაზღვრულობის კონტექსტში? რასთან კუთვნილება განსაზღვრავს სახელმწიფოს მისსავე არსებითობა-ში? ამ შეკითხვებზე პასუხად აზრის უკვე დაგროვებული გამოცდილების შეთანხმებულობა გვკარნახობს, რომ ზედმეტი გადადების გარეშე, პირდაპირ და არაორაზროვნად სახელმწიფოს უძირითადეს პოლიტიკურ განსაზღვრულობად სუვერენიტეტი მოვიაზროთ.

რახან ნეოლიბერალური კაპიტალიზმის არსებობის პრინციპი [ratio essendi] არსებულის მთლიანობის საბაზრო უნივერსალიზმის ქვეშ დაკვემდებარებაა, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მისი პირველადი სამიზნეც ამ პროცესში სახელმწიფოს პოლიტიკური სუვერენიტეტია, რომლის მიტაცებითაც მართვის ნეოლიბერალური პროგრამა სახელმწიფოს საერთაშორისო და ადგილობრივი კაპიტალის ინტერესების ფორმალურ რეგისტრატორად ქცევას უზრუნველყოფს.

წარმოქმნილი ინტერვალის სისტემური თავისებურებებიდან საფუძველმდებარეც ისაა, რომ მხოლოდ ნომინალური პოლიტიკური სუვერენიტეტით სიმბოლიზებული სახელმწიფო (კონცეპტუალურად აღებულ მხოლობითობაში) პანდემიით წარმოქმნილ მდგომარეობაში, მოულოდნელად და მისდა უნებურად, ნეოლიბერალიზმის სისტემური ორთოდოქსის მიღმა აღმოჩნდა. ასეთ მიღმა ტერიტორიად, ყველაფერ სხვამდე, ვირუსთან ბრძოლის მიზნით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში რესუვერენიზებული სახელმწიფო, როგორც არსებობის შეხსენებული ფაქტი ინიშნება. ნეოლიბერალიზმის მიერ ათლეულების განმავლობაში დეკლარირებული საბაზრო სუვერენიტეტის უნივერსალიზმი, სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ისევ პოლიტიკური სუვერენიტეტის კლასიკურ პრინციპში ტრანსფორმირდა. ვირუსით გამოწვეულ კრიზისულობაში, საბაზრო რაციონალობის მიერ მონოპოლიზებული არსებობის ეკონომიკური განზომილება (მასთან მომიჯნავე და მასშივე ჩაწერილ სხვადასხვა მიკრო/მაკრო ელემენტებთან ერთად), ამ განზომილების დაგეგმარების, განმარტებისა და ფორმულირების პასუხისმგებლობა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით რესუვერენიზებული სახელმწიფო მთავრობების გადაწყვეტილებათა არეალის შიგნით მოექცა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პანდემიის შემდგომი რეალობის შემადგენლობა სუვერენიტეტის ორ, საბაზრო და პოლიტიკურ მოდალობებს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე განისაზღვრება? შესაძლებლად ნიშნავს თუკი სახელმწიფოები პანდემიით საბოლოოდ გამოაშკარავებული ნეოლიბერალური წესრიგის პრობლემურობას, ამ ყველაზე პირობითი აზრით გაგებული წესრიგის საყოველთაო უწესრიგობად გადაქცევის ყოველწამიერ შესაძლებლობას, მის შინაგან სწრაფვას ბაზრის „თავისუფლების“ აბსტრაქტორებულ იდეალიზმს (რომლის საფუძვლებსაც თუ კარგად ჩავულრმავდებით, აუცილე-

ბლად კაპიტალისტის კონცეპტუალური პერსონაჟის მიერ ვალორიზებულ „იდეალიზმის“ მორიგ ვარიაციას აღმოვაჩენთ) თითქმის ყველაფრის ფასად წირავდეს არსებულის მთლიანობას, სისტემურად უზრუნველყოფილ მნიშვნელობას მიანიჭებენ.

ეკონომიკის სტიმულირების მასშტაბური სამთავრობო პროგრამები, ინფექციური ვირუსის შეკავების მიზნით ცხოვრების საჯარო სტრუქტურების ორგანიზებასა და მართვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების აქტუალიზება, ყოველდღიურობის აღქმით სფეროებში აქამდე კერძოსა და საზოგადოებრივს შორის მოქმედი ასიმეტრიების ცვალებადობები (რჩება შთაბეჭდილება, რომ სოციალური დისტანცირების არა უბრალოდ ჯანდაცვით-ჰიგიენური, არამედ ამავდროულად სოციალურად რეგლამენტირებული პრაქტიკა, საზოგადოებრივი სხეულის „დიზიუნქციური სინთეზის“ მოდელზე გადასვლას ამზადებს), საგანთა ადგილობრივ წარმოებაზე აქცენტირებული პოლიტეკონომიური ხედვების მომრავლება, მმართველობითი აპარატების კონტროლის ახალი გამოცდილებებით იმუნიზება და ბევრი სხვა უკვე გამომუდავნებული ან ჯერ კიდევ სრულ ხილვადობას მოკლებული გარემოება, წარმოქმნილ ინტერვალში გვაფიქრებინებს იმას, რომ ათწლეულების განმავლობაში ნეოლიბერალიზებული კაპიტალიზმის ნორმებს დაქვემდებარებული ობიექტი-სახელმწიფოს მოდელი, პანდემიის შემდგომ რეალობაში სუბიექტი-სახელმწიფოს თვისებრიობაში გააგრძელებს არსებობას. მაგრამ აქ ცვლილებათა დროებისთვის ზოგადად წიშნეული სულსწრაფობის, ნამატი მოლოდინებისა და ამ მოლოდინებით გამოკვებილი პასიური აფექტების გათვალისწინებით, პრაქტიკულად ღირებულია გვახსოვდეს, რომ პოლიტიკური სახელმწიფოს დაბრუნება, როგორც არსებულის ფაქტობრიობა, რამენაირად ხელშესახებ კონკრეტულობაში ბევრს არაფერს გვეუბნება მისივე სამომავლო, პანდემიური გამოცდილებით მომწიფებული ბუნების შესახებ. ერთადერთი, რაც ამ კონ-

ტექსტში მომავალთან მიახლოებულობაში მაინც შეგვიძლია ვთქვათ, ისაა, რომ პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში, ნეოლიბერალიზმის შემეცნებითი ლეგიტიმაციის ნულოვანი წერტილიდან სახელმწიფოს არსებობის განახლებული კონცეპტუალური კუთხის მაფორმირებელი ორი, საზოგადოებრივი კონტროლისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გვერდი იკვეთება. ნეოლიბერალიზმი სახელმწიფოს გენეზისში ამ ყოველთვის უკვე ჩაწერილ დილემას, თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სამოქალაქო უფლებებს/თავისუფლებებს შორის ურთიერთდაბაბულობაში განმარტავდა, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოების სამუშაო შემოვლითი გზით ისევ და ისევ სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირებას უნდა მოხმარდეს, სავარაუდოა, რომ პანდემიის შემდგომ სამყაროში, უსაფრთხოების ჰოპსიანურ ჰიპოსტასს სახელმწიფოს მიერვე წარმოებული კეთილდღეობის შედეგების პირისპირ მოუწევს თავის განმარტება.

ამ ჯერ კიდევ მომავლის მიერ დასადასტურებელი აზრის მართებულობის უმთავრეს არგუმენტად, პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში მართვის ნეოლიბერალური ტექნოლოგიების (როგორც გატარებული პოლიტიკების, ასევე მოქმედებების ნორმატიული წანამდლვრებით უზრუნველყოფის კონტექსტში) სრული გამოუსადეგარობა იყითხება. ოლონდ გამოუსადეგარობა ახლა უკვე არა მხოლოდ იმ აბსოლუტური უმრავლესობისთვის, რომელიც პანდემიამდეც საბაზრო სუვერენიტეტის მიერ გაყალბებული თავისუფლების ილუზიის მდუმარე და წელი მოქმედების მსხვერპლი იყო, არამედ იმ აბსოლუტური უმცირესობისთვისაც, რომელიც კაპიტალიზმის შიგნითვე ხელოვნურად რადიკალიზებული ანტინარმოების (პერმანენტული უკმარისობის მანარმოებელი აპარატის), უთანასწორობისა და გარე საზღვრის „გაუქმების“ ინსტიტუტებით არსებულის ყველა შესაძლებელ სფეროში სარგებლობდა. რა თქმა უნდა, საგანთა მიმდინარეობაში რა შინაგანი ტრანსფორმაციაც არ უნდა განიცადოს კაპიტალიზმა,

მასშივე სტრუქტურულად ჩაწერილი წინააღმდეგობა ნამატი ღირებულების მიმთვისებელ უმცირესობასა (კაპიტალისტებს) და ამ მოგების მუდმივი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით ექსპლუატირებულ უმრავლესობას (მშრომელ ძალას) შორის მის ფუნდამენტურ განსაზღვრულობად დარჩება. წარმოქმნილმა ინტერვალმა ის შეგვახსენა, რომ მარქსის მიერ კაპიტალიზმის ბუნებაში აღმოჩენილი ამ კანონზომიერების გათვალისწინება, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ისტორიულ გამოცდილებაში პირველ რიგში, თვითონ კაპიტალიზმისთვისვე ასრულებს შემეცნებითი წყაროსა და საკუთარივე თავის სისტემურად განახლების ფუნქციას.⁵ რამდენად შეგვიძლია ამ ინტერვალში პოლიტიკური სახელმწიფოს დაბრუნება და მისი თანმდევი ყველა ის ელემენტი, რომელიც ამ ჯერ კიდევ მიმდინარე დიდი ცვლილების შემადგენლობას განსაზღვრავს, სწორედ კაპიტალიზმის თვითცნობიერებით მონიშნულ აუცილებლობად მოვიაზროთ? ფაქტი ერთია, რომ კაპიტალიზმის მსოფლიო-სისტემური ბირთვის ანონიმურ, მაგრამ ყოველთვის უკვე დინამიკურ „რაციონალობას“ ნეოლიბერალური პროგრამის ამონურულობაზე კორონავირუსის პანდემიამდეც მრავალი გარემოება მიანიშნებდა. 2008 წლის ფინანსური კრიზისი, ბრექსიტი, ტრამპიზმის, როგორც პოლიტიკური ფენომენის სისტემატიზაცია, ამერიკა-ჩინეთის სავაჭრო ომი, მნიშვნელობის ეპისტემოლოგიურ განზომილებებში ნეოლიბერალიზმის ეკონომიკური პრინციპების თანდათანობითი გაუფასურება (სამეცნიერო წრეებსა და ეკონომიკურ ფორუმებზე გახშირებული მსჯელობები საშემოსავლო უთანასწორობის გლობალურ პრობლემაზე/საგადასახადო სისტემების რეფორმირების აუცილებლობაზე), სახალხო უკამაყოფილების გამომხატველი ანტისისტემური აღქმების სოციალიზაცია (Occupy Wall Street, Indignados, Gilets Jaunes), სახელმწიფოებს შიგნით რეაქციული და არაპროგნოზირებადი ნაციონალიზმების მომრავლება მხოლოდ ნაწილია იმ სიმპტომებისა, რომელთა საფუძველიც კაპიტალიზმს არ-

სებობის ნეოლიბერალური პროგრამის გადატვირთვის საჭ-იროებაზე მიუთითებდა. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა კაპიტალიზმის მოქმედი „რაციონალობისთვის“ კიდევ ერთხ-ელ ცხადყო, რომ ნეოლიბერალიზმის შინაგანი სწრაფვა ცხოვრების ყველა შესაძლებელი სფეროს საბაზრო სუვე-რენიტეტზე დაქვემდებარებისკენ ან ასეთი სუვერენიტეტის სიმძლავრების საყოველთაო გაბატონებისკენ, პარადოქსუ-ლად, მაგრამ ყველაფერ სხვამდე თვითონ კაპიტალისტურად იდენტიფიცირებული „რაციონალურობის“ ფუნდამენტურ ირაციონალურობას ააშკარავებს. მართვის ნეოლიბერალური ხედვისთვის ჩაბარებულმა კაპიტალიზმის აქსიომატიკამ, მის ხელთ არსებულმა რეალობის მანარმოებელმა საშუალებებ-მა, ცხოვრების ცალკეული სფეროების დაქვემდებარების, იდეალიზებისა და უარყოფის მანქანებმა, დოგმატიზებული რწმენებისა და ლიცენზირებული აღქმების სიმრავლეებმა ყველაფერ სხვამდე და კიდევ ერთხელ თვითონ კაპიტალიზ-მის ძირეულ ირაციონალურობას ახადა ფარდა. ჯანდაცვის სისტემის საყოველთაო კრიზისმა ერთიანად გამოააშკარავა, რომ გაუთვალისწინებლობებით სავსე სამყაროში, რეალობის პოლიტიკურად მოწყობის სამუშაო იმაზე გაცილებით მეტ განსაზღვრულობას მოითხოვს, ვიდრე საბაზრო სუვერენიტე-ტის იმპერატივიდან გამომდინარე, ნეოლიბერალიზმის თუნ-დაც ყველაზე სრულყოფილი მოდელი ოდესმე შეძლებდა ამის უზრუნველყოფას.

პანდემიის შემდგომ სოციალურის ორგანიზების ნეო-ლიბერალური ფორმულების დელეგიტიმაცია საგანთა მიმ-დინარეობით მხარდაჭერილ გარდაუვალობად მოჩანს დღეის პერსპექტივიდან. აზრის კონკრეტულობაში იმის დაზუსტება თუ რა, როგორ და დროის რა ხანგრძლივობაში ჩაანაცვლებს ნეოლიბერალიზმის სისტემურ ჰეგემონიას პრაქტიკულად შეუძლებელია. ოლონდ შეუძლებელია არა იმიტომ, რომ მო-მავლის სურათი არ ექვემდებარება ჰიპოთეზირებას, არამედ იმიტომ რომ წარმოქმნილი ინტერვალი თვითონვე ღია და

ცვალებად მასალად ხორციელდება მომავლთან ურთიერთობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოქმნილი ინტერვალის თავისებურება ისაა, რომ მისი ყოვლისმომცველი განუსაზღვრელობის ძალით, მომავალი ნაწილობრივ საკუთარივე თავის წინსწრებულობაში სხეულდება მასში, რაც მომავალთან მართებულად ურთიერთობას მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესი პირობითობის საზღვრებში ამკვიდრებს ცხოვრების ფაქტად. ამ ყოვლისმომცველი პირობითობიდან გამომდინარეა, რომ ვირუსთან საერთო ბრძოლის სულისკვეთებით თეატრალიზებულ ინტერნაციონალიზმს (რომლის სიმბოლიზებული მთელიც დღეს საინფორმაციო ინდუსტრიებით კვლავნარმოებულ იდიომაში [We are in the same boat] გამოიხატება) სინამდვილეში წინ ჯერ დამნაშავის აღმოჩენაში ან გამოგონებაში მატერიალიზებული ინტერესი უსწრებს (გასაკვირი არაა, რომ ამერიკა და ჩინეთი ამ მიმართულებით თავიდანვე დაწინაურდნენ). ამის გათვალისწინებით საგანგებო მდგომარეობებით რესუვერენიზებული სახელმწიფოების სამომავლო კონტექსტშიც უპირატესად ის მოცემულობა იკვეთება, რომ ეკონომიკური ცხოვრების პროგრესულად ორგანიზების დადებით შესაძლებლობასთან ერთად, მასში იმ ბრაზის რეაქტიულად სისტემატიზაციის შესაძლებლობაც თან ვიგულისხმოთ, რომელიც ხანგრძლივად მჩაგვრელი ნეოლიბერალური ექსპერიმენტის შედეგად, სახელმწიფოებს სახალხო ნების ყოველთვის უკვე იოლად მანიპულირებად საცავებში საკმარისზე მეტად დაუგროვდათ. სინამდვილეში ამ ორმაგი განსაზღვრულობის გამოა, რომ პანდემიით წარმოქმნილი ინტერვალი საკუთარ თავში ერთდროულად მოიცავს, როგორც სამომავლო ხსნის, ასევე სამომავლო კატასტროფის პოტენციალობებსაც. ისტორიულთან სიახლოვეში მყოფი ამჯერადაც უკვე დაგროვებულ ცოდნასთან ურთიერთობით აირიდებს შეცდომებს თავიდან, ირგვლივ ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოულოდნელ იძულებაში გახსენებული წარსულის გათვალისწინების სამუშაო თავის კუთვნილ

მნიშვნელობას დაიბრუნებს არსებულისთვის. თუმცა, მომავლის პოლიტიკური შინაარსის განმარტებას მხოლოდ ისინი (სახელმწიფოები) შეძლებენ, რომლებიც წარსულის განმეორებად ქარტეხილებში მომავალთან ურთიერთობის გადაუდებელ ორმხრივობას დაინახავენ, ისინი, რომლებიც ამ ორმხრივობაში ხელახლა აღმოაჩენენ სიცოცხლის პრაქტიკულად ცხოვრებისთვის საჭირო მატერიალურ მასალებს, მართებული მოქმედებებისთვის აუცილებელ ღირებულებრივ წანამდღვრებს, სინამდვილისთვის ანგარიშის განევის მივიწყებულ შეძლებებს, საერთოობაში ყველაფერ იმას, რაც არსებულის ონტოლოგიური განსაზღვრულობის დონეზე რეალობისა და შესაძლებლის გრძნობების ერთმანეთთან დაკავშირებას უზრუნველყოფს, რასაც ხილვად ხელშესახებობაში მოჰყავს ყოფნის ამ ორი ინსტანციის ერთმანეთისგან მოწყვეტის თანმდევი პრობლემურობა.

აღმოჩნდა, რომ დროის რეალობისა და შესაძლებლობის მაძიებელი აზროვნების ერთმანეთისგან მოწყვეტის პრობლემურობა ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ყველაზე არსებითი განსაზღვრულობაა. მათემატიზებულ დოგმატიზმებში გაცვლილი რეალობითა და სასურველ რწმენებზე ირაციონალური მიჯაჭვულობით, ნეოლიბერალიზმმა დასკვნით სისრულეში ხორცი შეასხა და სოციალური მდგომარეობის საშუალო ერთეულად აქცია ის კონცეპტუალური პერსონაჟი, რომელიც თავის პირველ ნაბიჯებს ჯერ კიდევ მიმდინარე არსებულის უმთავრეს ფილოსოფიურ დანატოვარში დგამდა. უკანასკერლი ადამიანი [der letzte Mensch] ერთდროულად სამყაროს ნეოლიბერალიზებული სურათის პირველწყაროცაა და ამ სურათის მიერვე მოპყრობილი ცხოვრების სტანდარტიზებული მოდელიც. არსებულის კართან მდგარ სტუმრებიდან ყველაზე საზარელსა [unheimlichste aller Gäste] და ტექნიკასთან სინთეზირებით ახალ სიჩქარეებზე გადასულ კაპიტალიზმს შორის მომწყვდეული ადამიანი-ინსტრუმენტის ვარიაცია,

ისტორიულობაში უკვე ნაცხოვრები სიმძიმეებით ამოწურული, რომელმაც არსებობის უკანასკნელ თავშესაფარს საკუთარივე თავის ამობრუნებული გამოსახულების ცხოვრებაში მიაგნო.⁶ სწორედ არსებულის ამობრუნებულ გამოსახულებაში აზროვნების ფაქტიდან გამომდინარეობს თანამედროვედ მყოფის არსისეული იდენტობა და მასთან ერთად იმ ფილო-სოფიური მემკვიდრეობის ლეგიტიმაციაც, რომელიც ყოფნის ამ ახალ და დაუსახლებელ მინაზე დაკარგული მყოფისთვის არსებობის უმთავრესი წყარო აღმოჩნდა. საგანთა ხედვის რეაქციული ტრადიციისგან განსხვავებით, რომელმაც ამობრუნების ასეთ ხანგრძლივობაში ყველგან ცუდი შემთხვევითობის კვალი დაინახა, აზროვნების გარდამქმნელმა გამოცდილებამ მასში არსებულის აქამდე გამომწყვდეული ჩრდილების ამეტყველება ცადა. რეალობის ინსცენირების კაპიტალისტური საშუალებები დიდწილად ზუსტად ამ დაპირისპირების შენარჩუნების, გახანგრძლივების, სახეცვლილებისა და „რევოლუციონირების“ ძალით არსებობს. კაპიტალისტურად მოპყრობილ არსებულში განვითარებისა და ჩამორჩენილობის მზომავი აპარატები არა მხოლოდ ცხოვრების პოლიტიკონომიურ და გეოპოლიტიკურ პარამეტრებს მიემართება, არამედ არსებულთან ურთიერთობების ერთი შეხედვით ყველაზე რთულად შესამჩნევ მდგომარეობებსაც. უკანასკნელი ადამიანის შინაარსი ყოველ ჯერზე არსებულის დახარისხების ამ იერარქიზებულ სტრუქტურებში იდენტიფიცირდება. უპიროვნოსთან პიროვნულის გვერდის ავლით მიახლოების ილუზია, სიცოცხლესთან ჯერ-არას ხანგრძლივობაში ურთიერთობის მუდმივობა და მგრძნობელობის გაუქმების გზით საკუთარივე თავის ყოველთვის უკვე მოხმარებული თეორიის ცხოვრება ამ შინაარსის შემადგენლობაში ნიშანთა სამ, უკვე ყოფითობაში და ყოფითობით გაშინაგანებულ მთელს ქმნის. ოღონდ ეს მთელი და მასში შემავალი ნიშნების, ყოფნის მდგომარეობებზე ზემოქმედების სიხშირეები არას-

დროსაა თავის ნებაზე მიშვებული ნებაყოფლობითობა. კაპიტალისტური „რაციონალურობა“ კონტროლის ამ ნიშნების ფუნქციურობას, მათ მანარმოებელ მიზეზებსა და რეპრეზენტირებულ შედეგებს არსებულის უშუალობაში უმთავრესად ერთ კონკრეტულ ამოცანას, დროში ყოველთვის უკვე ჩამორჩენილი რეალობისა და დროის ყოველთვის უკვე წინმსწრები ცოდნის ერთმანეთისგან განურჩევლობის მიღწევის სამუშაოს უქვემდებარებს. კაპიტალისტური პროფანაციებიდან ამ ყველაზე უფრო საწყისისეულზეა დაშენებული არა მხოლოდ კაპიტალიზმის ისტორიული განხორციელებულობის პირობები, არამედ მისივე ნებისმიერად მოცემის ოდესაც მიღწეული სასრულობაც. განურჩევლობის სწორედ ამ პრინციპის პრობლემურ საფუძვლებზე მიუთითებდა მორის ბლანშო, რომელმაც რობერტ მუზილის უთვისები კაცის შესახებ ესეში, პირველმა სცადა მეცნიერული ცოდნის სიზუსტეში ნაპოვნი სამყაროს გარდამქმნელი, ყოველთვის უკვე სტიქიური იმედის, – მუზილისავე ხედვასთან სრულ პარალელიზმში, – ამავე იმედის განხორციელების ყველაზე არსებითი პირობის, დროის ცოდნისა და დროის რეალობის ერთმანეთთან გათანაბრების შეუძლებლობით მოშინაურება. მართლაც, არავინ იცის, გამოცდილების როგორი შემადგენლობა ექნებოდა არსებულის გარდამქმნელ და გარდაქმნილ ისტორიას, დროის რეალობა საუკუნით რომ არ ჩამორჩებოდეს დროის ცოდნას [si la réalité du temps n'était pas en retard d'un siècle sur le savoir du temps].⁷ კაპიტალისტურად განმარტებული ყოველი ეპოქის შინაარსისეულად თანმდევი განსაზღვრულობაა, რომ დროის მომზაზველ ცოდნაში გახანგრძლივებული აზროვნება წინ უსწრებდეს მისივე რეალობის უკვე დამკვიდრებულ მთლიანობას. ჩვენ ვგრძნობთ და ვხვდებით, რომ ასეთი წინსწრებით წარმოქმნილ ინტერვალში ერთმანეთის გვერდიგვერდ სახლობს, როგორც სიახლის დასაკუთრებული მოლოდინი, ასევე ხელახლა სოციალიზებული ჩაგვრის ფაქტობრიობაც. ირგვლივ კი ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ როგორც წესი მეორე პირველის განამდვილებაში გადახდილი ფასია.

პანდემიით წარმოქმნილ ინტერვალში სწორედ ამ გა-
ნურჩევლობის შედეგებს ვცხოვრობთ დღეს ჩვენ ყველანი.
სოციალური აღქმების თვალსაზრისით კაპიტალიზმში
რადიკალური ინდივიდუალიზმის, მოხმარებული თავისუ-
ფლებისა და უკმარისობის პრინციპების სისტემატიზაციით,
ნეოლიბერალიზმა არა მხოლოდ არსებულთან ურთიერთო-
ბის ახალი კატეგორიული ჩარჩო შექმნა, არამედ, და რაც
ბევრად უფრო საფუძველმდებარეა, მან ეს ჩარჩო ყველაფერ
სხვამდე, დროის რეალობისა და დროის ცოდნის ერთმანეთ-
თან ხელოვნურად გაერთმნიშვნელოვნებაზე მორგებას დაუ-
ქვემდებარა. სწორედ აქედან წარმოსახვითის თვითნებობაში
ფორმირებული ყველა იმ მნიშვნელობის წყარო, რომლებიც
საბაზრო სუვერენიტეტის უპირატესობებს ყოველგვარი ემპ-
ირიზმის გვერდის ავლით „ადასტურებენ“. წიგნის ფურცლებ-
ზე თეორეტიზებული წარმოდგენები გონების გამომთვლე-
ლი შეძლებებით მუდმივმოქმედი მყოფის შესახებ, რომელიც
პრაქტიკულად ხელშესახებ რეალობაში მეტნილად პასიურად
მოხმარებული ინსტინქტებით თუ მოქმედებს; ვითომ მეცნი-
ერული ცოდნის ობიექტურობის საფარში გახვეული ცრუ-
განსჯების სიმრავლე, რომლებიც იმავე რეალობაში მხოლოდ
ჰეგემონიური კლასის მიერ კომერციალიზებული ინტერესე-
ბის შემცნებით ნორმალიზებას თუ ემსახურებიან; თავისუ-
ფლების სახელით ნებაყოფლობითობის საყოველთაობამდე
დაყვანილი და ცხოვრების მისაკუთრებაზე პასუხისმგებელი
იდეალები, რომელთა გამოვლენილი შეზღუდულობებიც ამავე
ცხოვრების მიმდინარე უშუალობაში, ყოველ ჯერზე ისევ
და ისევ საზოგადოებრივის მიერაა დაზღვეული. ერთი სი-
ტყვით, მართვის ნეოლიბერალური ტექნოლოგიების უნივერ-
სალიზაციით კაპიტალიზმა ერთდროულობაში დაისაკუთრა,
როგორც დროის რეალობის, ასევე ამავე დროის რეალობაზე
პასუხისმგებელი აზროვნების საშუალებებიც, რითიც არსე-
ბულის მთლიანობა არა უბრალოდ შესაძლებლის მცდარ აბ-

სტრაქციაში გაცვალა, არამედ ეს აბსტრაქცია მყოფის კიდევ უფრო მეტად დამონების ორგანიზებულ სისტემადაც აქცია.

აზრის ამ კონტექსტებზე მიყოლებით გასაგები ხდება, რომ არსებულის ონტოლოგიურ განსაზღვრულობაში, პან-დემიით წარმოქმნილი ინტერვალი ნეოლიბერალიზებული კაპიტალიზმის მხილების ხდომილებად ინიშნება. ხდომილებად, რომელიც ჩვენ თვალწინ ხდება. დროის ადამიანური ხელით მოპყრობილობისგან განთავისუფლება, წარმოქმნილი ინტერვალის ორმაგი სტრუქტურით განპირობებულობა, მასში უკვე აქტუალიზებულისა და ჯერ კიდევ წმინდა ვირტუალობად ჩაკეცილის განზომილებები, ამ ინტერვალისავე არსებულის განუსაზღვრელობაში გარდამემნელი შეძლებები, საგანთა ჩვეულ წესრიგზე არაჩვეულებრივად ზემოქმედების თავისებურებები, ყველაფერი ამაზე მიგვანიშნებს. საზრისის ლოგიკის 21-ე სერიაში ჟილ დელიოზი კითხულობს: რატომ არის რომ ყოველი ხდომილება ჭირის, ომის, ჭრილობის, სიკვდილის მაგვარი რამეგა? [Pourquoi tout événement est-il du type la peste, la guerre, la blessure, la mort?]⁸ ფილოსოფოსის პასუხი ამ შეკითხვაზე განზოგადებულად ხდომილების ბუნებას ამეტყველებს. ყოველი ხდომილების შეძლებას ერთი მხრივ, აქტუალიზდებოდეს აწმყოს მიმდინარეობაში, ხორციელდებოდეს, როგორც აქ და ახლა მოცემულის ფაქტობრიობა, მაგრამ ამავდროულად ხდომილებისავე თავისებურებას თავისუფლდებოდეს საგანთა მდგომარეობით [état de choses] დასაზღვრული განსაზღვრულობებისგან, აწმყობდეს მხოლოდ მოძრავ წამში [l'instant mobile], ხდომილებისავე წარსულისა და მომავლის თავისთავადობაში, რომელშიც ხდომილების უპიროვნო და უსხეულო ნაწილი, მისი აწმყოსთან შეუხებლობა მე-სგან დამოკუდებლობაში ორმაგდება ჯერ კიდევ მომავალსა და უკვე-წარსულს შორის, არსებულის იმ ადგილას, სადაც სიცოცხლიდან მომდინარე ხდომილების არარეალიზებული სხვადასხვაობა, ნაცხოვრე-

ბით ზღვარდადებული ბიოგრაფიულობისგან განსხვავებით, გრძნობადის სრულყოფილ ნაწილად იქცევა.⁹ არსებულთან ფილოსოფიურად განწყობის შემთხვევაში, ხდომილების დელიოზიანურ კონცეპტთან ურთიერთობა, შესაძლოა, დაგვეხმაროს იმის გაგებაში, რომ პანდემიით წარმოქმნილი ინტერვალი ხდომილების მხოლოდ აქტუალიზებული ნაწილია, არსებულის გარდამქმნელ შეძლებაში განსხეულებული მომენტი, რომელიც საგანთა მდგომარეობაში თავს ყველაფერ სხვამდე ცვლილების ენით გამოხატავს (პროგრესული ინტერნაციონალიზმიდან დაწყებული, საზღვრებჩაკეტილ მსოფლიოში დაბრუნებით ყველაფერი ამ ცვლილების შემადგენლობაშია ნაგულისხმევი), და რომ ამ ხდომილებაშივეა მოცემული რეალიზების გარეშე დარჩენილი სიცოცხლის უსასრულო შეძლებები, ისტორიის სამომავლოდ განმაპირობებელი ვარიაციები, რომელთა წინჭვრეტაც დღეს დაფიქრებული გონების პრაქტიკულობას აყალიბებს. ამ ცვალებადობის შიგნით მყოფები, ჩვენ დღეს უბრალოდ მანძილში კი არ ვესწრებით ცვლილების მიმდინარეობას, არამედ გვინდა თუ არა ეს, ყოფნის ძველ წესთან შესაბამისობაში თვითონვე ვიცვლებით მასთან ერთად. ჩვენ მიერ ამ ცვლილების შეუმჩნევლობა დღეს, მომავლიდან მყოფისთვის მხოლოდ და მხოლოდ ცვლილებისავე ჭეშმარიტებას აამხედველებს.

გარტი, 2020

თანამედროვე სპირიტუალიზმი და „ტრენდული“ რელიგიები თამთა უგლავა

შესავალი

დღევანდელ სამყაროში, რომელშიც უამრავი კულტურა თანაარსებობს ერთმანეთის გვერდით, საჯარო სივრცეებში ხშირად ვხვდებით რელიგიასა და მის ამსახავ სხვადასხვა ფორმებს. იქნება ეს რომელიმე რელიგიური ლიდერის რეკლამა სოციალურ ქსელებში, ტელევიზიის საშუალებით ქრისტიანული ლიტურგიების პირდაპირი ეთერით გადაცემა, ქალაქის რომელიმე უბანში გახსნილი ოოგა-ცენტრის პრეზენტაცია, ეზოთერული შეკრება, ტაროს საჯარო გაშლა ინტერნეტში თუ ქუჩაში მომღიმარი სახით, ნარინჯისფერ ტანისამოსში გამოწყობილი მომღერალი ადამიანები, რომლებიც ხშირად გვჩუქნიან წიგნებს ამა თუ იმ ინდოელი გურუს შესახებ. აღნერილ ფაქტებს ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან. მიუხედავად რიგ მეცნიერთა აზრისა, რომ თანამედროვე სამყაროში რელიგია თანდათან გაქრებოდა, ის უფრო და უფრო ბრუნდება ადამიანების ცხოვრებასა და სხვადასხვა სივრცეებში,¹ თუმცა ეს დაბრუნება არ ჰგავს ტრადიციულ, ინსტიტუტის სახით ჩამოყალიბებულ რელიგიას. შესაძლოა, ამ ახალ, დაბრუნებულ ფორმებს მთლიანად გამოცლილი ჰქონ-

დეთ თავდაპირველი შინაარსი და საერთო არაფერი გააჩნდეთ წინამორბედ რელიგიასთან ან უბრალოდ, ფორმაშეცვლილი ცდილობდნენ ადამიანთა ყურადღების მიპყრობას სხვადასხვა ვარჯიშის, ნივთისა თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების საშუალებით.

ხშირად ბევრი ადამიანისაგან მოვისმენთ, რომ ისინი არ არიან რელიგიურები, მაგრამ არიან სპირიტუალურები ან არ არიან არც რელიგიურები და არც სპირიტუალურები, თუმცა მაინც არსებობს რაღაც, რისიც მათ სწამთ. მიუხედავად კონკრეტული რწმენა-წარმოდგენებისა, ისინი თავს არც ერთ რელიგიას არ უკავშირებენ და ცდილობენ განსხვავებული, ალტერნატიული მიმდინარეობები მოიძიონ, რომელთა საშუალებითაც გაეცნობიან სამყაროსა და საკუთარ თავს, გაიუმჯობესებენ ფიზიკურსა და მენტალურ მდგომარეობას.

საკითხი აქტუალურია, როგორც გლობალური, ასევე ადგილობრივი პერსპექტივითაც. ბოლო რამდენიმე წელია საქართველოშიც ათეულობით იოგა-ცენტრი გაიხსნა, რომლებიც მომხმარებელს, როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ სიჯანსაღეს ჰპირდებიან. იოგას სავარჯიშო ცენტრების გარდა, თბილისში რეჟისორ დევიდ ლინჩის მხარდაჭერით ტრანსცენდენტური მედიტაციის ცენტრიც დაარსდა.²

არსებულ ეკონომიკურ სისტემაში წარმოიქმნება სხვადასხვა კომბინაციები, რომლებიც კორპორაციებთან, ბიზნესთან ახერხებენ სპირიტუალიზმისა თუ რელიგიებში გამოყენებადი სხვადასხვა პრაქტიკების შერევას და ფინანსურ სარგებელ-საც იღებენ ამ შერწყმის ხარჯზე. შედეგად, წარმოიქმნება კომერციული მიზნისთვის შექმნილი გაყიდვადი, სპირიტუალური პროდუქტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს თანამედროვე, ალტერნატიული სპირიტუალიზმი და კაპიტალიზმი. – აღწეროს, თუ როგორ ვრცელდება, იყიდება და მასობრივად ხელმისაწვდომი ხდება სპირიტუალური პრაქტიკები მოდერნულ სამყაროში. საკითხის თვალნათლივ

წარმოსაჩენად, ყურადღებას გავამახვილებთ პოპულარულ, სამომხმარებლო რელიგიაზე და განვიხილავთ აღმოსავლური რელიგიების, ბუდიზმისა და ინდუიზმის თანამედროვე, გაყიდვად ფორმებს, ამასთანავე, მათთან დაკავშირებულ იოგასა და მედიტაციის პრაქტიკებს.

მოდერნული დროის გამოწვევები

სანამ უშუალოდ რელიგიებსა და მათ „გაყიდვად“ ფორმებზე ვისაუბრებდეთ, მცირედ მიმოვიხილოთ ის გარემო და ცხოვრების წესი, რომელიც ნაწილობრივ განაპირობებს ადამიანთა დაინტერესებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა რელიგიებსა თუ რიტუალებში სხეულისა და სულის გასაჯანსალებლად.

მოდერნულობა ზიგმუნტ ბაუმანის განსაზღვრებით, წარმოადგენს არამყარ, ცვალებად სივრცეს, რომელშიც არაფერია მუდმივი და ყველაფერი სწრაფად იცვლება. ადამიანი კი მხოლოდ საკუთარი თავის იმედით არსებობს და თავისივე თავის გაუმჯობესებული მოდელის შექმნას ცდილობს. ფიქრობს, რამდენად სწორად იყენებს საკუთარ შესაძლებლობებს და გამუდმებით ხომ არ კარგავს დროს.³ თანამედროვე ადამიანმა არასოდეს იცის, სად განაგრძობს საკუთარ კარიერას. მისი გეგმებიც ცვალებადია და ნაკლებადაა გათვლილი შორს მიმავალ პერიოდზე. აღნიშნულის განმაპირობებელ ფაქტორად ავტორი თხევად და მყარ მოდერნულობას შორის განსხვავებას მიიჩნევს. მყარი მოდერნულობა უკავშირდება მძიმე მრეწველობის განვითარებას, ქარხნების მასიურ მუშაობას. ამ შემთხვევაში, ადამიანი მიჯაჭვული იყო სტაბილურ სამუშაო გარემოზე, განსხვავებით თხევადი მოდერნულობისაგან, სადაც წარმოუდგენლად მიიჩნევა მთელი ცხოვრების ერთ ქარხანაში გატარება.⁴

მოდერნულობის საკითხს აანალიზებს იურგენ ჰაბერმასიც ესეში „An Awareness of What is Missing: Faith and Reason in a Post-secular Age“ (2010). იგი ცდილობს რელიგიის მოდერნულობასთან თანაკვეთის პროცესი ფილოსოფიურ ქრილში დაგვანახოს. ჰაბერმასის აზრით, ჰულდრაიხ ცვინგლის რეფორმირებული ეკლესია და შემდგომ არსებული სეკულარული ინსტიტუტები მუდმივად აწყდებიან პრობლემას აკრძალვების თვალსაზრისით. იგი მიიჩნევს, რომ მსოფლიო რელიგიებს, თეოლოგიური პერსპექტივით, ძალა შესწევთ მოდერნულობაში გააცოცხლონ უძველესი წარსულიდან შემოტანილი რელიგიური ელემენტები. მიუხედავად რელიგიის უარყოფისა, იგი კვლავ იკავებს მნიშვნელოვან ადგილს მეტაფიზიკასთან ერთად და არ არსებობს მკვეთრი საზღვარი სეკულარულ ცოდნასა და რელიგიებში არსებულ „გამოცხადებულ“ ცოდნას შორის.⁵

მეტი თვალსაჩინოებისათვის, ჰაბერმასი განიხილავს მაქს ფრიშის დაკრძალვის რიტუალს. მაქს ფრიში არ გახდდათ რომელიმე რელიგიის მიმდევარი და აგნოსტიკოსი იყო, თუმცა რიტუალი მაინც ციურისის ეკლესიაში ჩატარდა რელიგიური სიმბოლოების გარეშე. ავტორის ხედვით, ამგვარი მოვლენა პარადოქსულია და მიიჩნევს, რომ განმანათლებლობამ და მისმა შემდგომმა პერიოდმა ვერ შექმნა ისეთი მექანიზმი, რომელიც, თუნდაც ასეთ დროს ჩაანაცვლებს რელიგიას.⁶

თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელია მუდმივად რისკის მოლოდინში მყოფი მდგომარეობაც. ულრიხ ბეკს რისკებითა და საფრთხეებით გარშემორტყმული კაცობრიობის ყოფის მაგალითად მოჰყავს „ქიმერას“ შედარებაც, რადგან ადამიანი გამუდმებით ებრძვის საკუთარ აპოკალიპტურ, პესიმისტურ ფიქრებს და ცდილობს, თავი დაიცვას მათგან.⁷ ამ შეხედულების გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი სხვადასხვა სულიერ მიმდინარეობებთან ასოცირების სურვილი ან მათი გამოყენება უკეთ ყოფნის მიზნით.

გარდა ამისა, ხაზგასასმელია მოდერნულობის სამომხმარებლო ხასიათიც. მსოფლიოში, სადაც უამრავი საგნის გარემოცვაში გვიწევს არსებობა, ადამიანების „გასაგნებაც“ (Commodification) მარტივად შეიძლება მოხდეს. იგულისხმება ამა თუ იმ საგანზე მიმსგავსება და მისგან ან მისი შეძენის დროს ბედნიერების მიღება, რამაც, შესაძლოა, მასზე მძაფრი დამოკიდებულებაც წარმოშვას.⁸ კომუნიკაციაც და ადამიანური ურთიერთობებიც თანდათან სამომხმარებლო ჭრილში განიხილება. „მომხმარებელი ადამიანისათვის“ მთავარი მამოძრავებელი ხდება ყოვლისმომცველი ცნობისმოყვარება (Universal Curiosity). მან არაფერი არ უნდა გამოტოვოს, იქნება ეს კულინარია, მეცნიერება, კულტურა, სექსუალურობა თუ სხვა. ასევე, მიიღოს სხვადასხვა სახის სიამოვნებები და გამოცდილებები: შობის აღნიშვნა კანარის კუნძულებზე, ელ-ეს-დი (LSD), პრადო და ა.შ. დროთა განმავლობაში პროცესი სახეს იცვლის და „სურვილი“ და „გემო“ აღარ ემორჩილება იმდენად რაიმეს მიმართ სურვილის ქონასა და მის დაუფლებას, რამდენადაც მოუსვენრობის განცდასა და საკუთარი თავით ტკბობას (Enjoy Oneself).⁹ ამგვარი ქმედება შეგვიძლია მივამსგავსოთ გამუდმებით სწრაფვას თვალუწვდენელი ჰორიზონტისაკენ, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევთ, თუმცა, შესაძლოა, საკმაოდ ახლოს მოგვეჩვენოს.

რელიგიურობა

წმინდა აკადემიური თვალსაზრისით, სპირიტუალურობა ბევრი, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებების საშუალებით განიმარტება. სპირიტუალიზმზე კვლევები კეთდება, როგორც ტრადიციული ეკლესიის შიგნით, ასევე გარეთ. ერთი მხრივ, სპირიტუალურობა არის რელიგიურობის ფორმა, როდესაც ღმერთთან ან ტრანსცენდენტური

მნიშვნელობის მქონე „არსებასთან“ დაკავშირება ხდება და ამ კავშირისთვის მნიშვნელოვანი ნაწილებია მარხვა, ლოცვა, მედიტაცია-პრაქტიკები, რომელიც სხეულის აქტივობასაც ეფუძნება. მეორე სახის სპირიტუალიზმი უკვე ტრადიციული რელიგიების გარეთაც არსებობს და ხშირად ორაზროვნად განიმარტება.¹⁰ მთავარ ქვაკუთხედად კი მაინც რჩება წვდომა სამყაროს მიღმა მდგარ ძალებთან ან ძალასთან, რომლებთან კავშირის შემდეგ, შესაძლებელია სარგებელის, კეთილდღეობის მიღება. გარდა ამისა, სპირიტუალიზმი ფოლკლორთანაც შეიძლება იყოს ასოცირებული და მისი კვლევის არეალი დღესდღეობით საკმაოდ ფართოა.¹¹

გამომდინარე განმარტებათა მრავალგვარობიდან, ნაშრომი იყენებს სპირიტუალურობის განსაზღვრებას, რომლითაც ადამიანი ტრანსცენდენტურ ძალებს უკავშირდება საკუთარი გრძნობებით, განცდებით, პრაქტიკებით (ლოცვა, მედიტაცია, იოგა და ა.შ.) და მისგან გამოითხოვს რაიმე ტიპების სარგებელს, მაგალითად, კეთილდღეობას. დაახლოებით მსგავს განმარტებას გვთავაზობს პოლ ჰილასიც და სპირიტუალიზმს განმარტავს, როგორც ცხოვრებაში თანდაყოლილ ღვთაებრივ გამოცდილებას, რაც მოიაზრებს იმას, რომ პროცესი მთლიანად პერსონალურია და უკავშირდება უზანაეს ძალასთან ურთიერთობის შედეგად სიბრძნის ან ცოდნის მიღებასაც.¹²

სპირიტუალიზმი სუბიექტური გამოცდილებაა და რელიგიისგან იმათ განსხვავდება, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს შეუძლიათ დიდი ტრანსცენდენტური გამოცდილების მიღება. ამ მხრივ, ჰოლისტური პერსპექტივით, სხეული, სული, პარტინორობა, ბიზნესი, ჯანმრთელობა, სამსახური – ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება, რასაც რელიგია ტრადიციული თავალსაზრისით, არ აკმაყოფილებს. ალტერნატიულ რელიგიურობაში ბარიერი წმინდასა და პროფანულს შორის სწორედ ამ უჩვეულო გამოცდილებების წყალობით ქრება.¹³

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ რწმენის ფორმებიც. ამ შემთხვევაში, სასურველია, გამოვყოთ რელი-

გიურობა – როდესაც პიროვნება თავს რელიგიურად მოიხსენიებს, „სპირიტუალურობა“ – როცა ადამიანი მიიჩნევს, რომ სპირიტუალურია, მაგრამ არ მიჰყება რელიგიურ დოქტრინებს ან „არც რელიგიურია და არც სპირიტუალური“. ყველა რელიგიური მრწამსი მოიცავს რაიმე ღვთაების ცნებას და მასთან კავშირი ითვლება მნიშვნელოვნად. რა თქმაუნდა, არსებობს განსხვავებული დამოკიდებულებები და ასოციაციები ღმერთთან კავშირის შესახებ.¹⁴ მაგალითისათვის, კათოლიციზმი მეტად ასოცირდება ღმერთთან მისტიური კავშირის დამყარებასთან, ვიდრე პროტესტანტიზმი (ევანგელიზმიც), რომელიც უფრო პრაგმატულად განიხილება. ისლამშიც და იუდაიზმშიც მისტიკურ მიმართულებად შესაძლოა გამოიყოს სუფიზმი და ჰასიდიზმი, რომელიც განსხვავებით ორთოდოქსული იუდაიზმისაგან, ღმერთთან შეკავშირების სიხარულზე მეტ ყურადღებას ამახვილებს, ვიდრე მის მორჩილებაზე. აღნიშნულ რელიგიებთან შედარებით, ინდუისტური ხედვა მეტად განსაზღვრულია და მოიცავს ისეთი ცხოვრების წესის შექმნას, რომელიც ღმერთ პრაპრასთან უფრო დაგაკავშირებს, ვიდრე სამყაროში მიმდინარე მოვლენებთან და ამქვეყნიურ ცხოვრებაში ცვლილებების განხორციელებასთან. ამ მხრივ, რელიგიებში სპირიტუალიზმი (სულიერება) მოიცავს ღმერთთან კავშირს და ზოგჯერ, შესაძლოა, თავად ეს კავშირი იყოს სპირიტუალიზმის მნიშვნელოვანი (არსებითი) შემადგენელი ნაწილი.¹⁵

სპირიტუალიზმი

სპირიტუალურობა, მაგრამ არარელიგიურობა, მეტწილად დაკავშირებულია New Age-თან (ახალ ერასთან) და მის ფილოსოფიასთან, რომელიც პერსონალურ გამოცდილებას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე რაიმე რელიგიურ დოქტრინას. ხშირად ეს ხედვები ჰოლისტურია და სამყაროში არსებულ

პრობლემებსაც მოიცავს. ამ თავლასაზრისით განხილული სპირიტუალიზმი, შესაძლოა, არანაირ ღვთაებასთან არ იყოს დაკავიშრებული და ფიზიკურ სამყაროში მიღებულ სპირიტუალურ გამოცდილებებს ეხმიანებოდეს. რაც შეეხება „არც სპირიტუალურისა და არც რელიგიურის“ განსაზღვრებას, ამ ხედვის მქონე ადამიანები თვლიან, რომ დაკავშირებულები არიან სამყაროსთან, თუმცა ისინი არც რელიგიურები არიან და არც სპირიტუალურები. მიჩნეულია, რომ ბუნებასთან დაახლოებით მეტადაა შესაძლებელი სამყაროს შეცნობა.¹⁶

თანამედროვე სპირიტუალიზმი ხშირად კონცენტრირდება ინდივიდუალიზმზე, სუბიექტივიზმზე და პერსონალური გამოცდილების მნიშვნელობაზე. მისი განუყოფელი ნაწილია ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულების ცვლილებაც. მასში გაერთიანებულია ასტროლოგია, ტარო, კრისტალები, ნუმეროლოგია, ტელეპათია, ბიო-რითმები, ინტუიციური მედიცინა.¹⁷ თანამედროვე სპირიტუალიზმის ფესვები ხშირად უკავშირდება მეცხრამეტე საკუნძეს, როდესაც აქტუალური იყო მისტიციზმი და ხშირად განიხილება, რომ ალტერნატიული სპირიტუალიზმი ქრისტიანობის საპირზონედ უნივერსალური სულიერების მნიშვნელობით შეიქმნა, რომელიც არ ეფუძნებოდა რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ ტრადიციას. გარკვეულწილად კი უკავშირდებოდა მატერიალური სამყაროს უკუგდებას,¹⁸ ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ინდუიზმისა და ბუდიზმის ევროპაში გამოჩენა. ამ პერიოდში სულიერებაზე ორიენტაცია უკავშირდებოდა მექანიკურსა და ფორმალურ ცხოვრებასთან დაპირისპირებას, ინტუიციისა და წარმოსახვის მნიშვნელოვანების ხაზგასმასა და მასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ იდენტობას.¹⁹

პროცესი გააქტიურდა 1960-იანი წლებიდან, როდესაც დასავლურ საზოგადოებაში გაჩნდნენ მთელი რიგი მიმდინარეობები: იესოს სექტა, მონისტები, ღმერთის შვილები, კრისტიან ცნობიერება, ბევრი ეზოთერული თუ მედიტაციური საკულტო ჯგუფი. მათი ნაწილი ემსახურებოდა ახალ-

გაზრდების სპირიტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ნაწილი კი თერაპევტულ მიდგომებს სთავაზობდა მიმდევრებს.²⁰ ახალგაზრდები მათი საშუალებით ეცნობოდნენ კულტურულ მრავალფეროვნებას, რომელშიც ერთიანდებოდა, როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური მისტიციზმი, მსოფლიო რელიგიების წმინდა წიგნები, ჰედონიზმი და პოლიტიკურ-რევოლუციური ჩანაწერები, პოპ-ფსიქოლოგია, დამოუკიდებლობა და თავისუფლება.²¹

მნიშვნელოვანი საკითხია New Age (ახალი ერა), რომელიც ძველი დოქტრინების გადაფასებასა და რელიგიის ახალი ფორმების ჩამოყალიბების პროცესს უკავშირდება. ამ ახალი პერსპექტივით, აკრიტიკებდნენ ტრადიციულ ინსტიტუტებსა და ხედვებს, კაპიტალისტურ მატერიალიზმს. ამ მოძრაობის გავრცელებას ხელი შეუწყო რელიგიის ხელახალმა აღმოჩენამ მისტიკური და სპირიტუალური კუთხით, ასევე 1960-იან წლებში განვითარებულმა ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა მაგალითად, ნავთობის კრიზისი 1973 წელს, ეკოლოგიური და სამშვიდობო მანიფესტაციები. ამ პერიოდში იწყება სპირიტუალური და ტრანსცენდენტურთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლება, აღმოსავლური რელიგიებისა და გურუების, მესიანური მასწავლებლების გამოჩენა.²²

ამ ახალი ხედვით, რელიგია, როგორც კონცეფცია, ფსიქიკა და მისტიკური გამოცდილება დაკავშირებულია ერთმანეთთან. იგი უარყოფს დუალიზმსა და გამყოფ სისტემებს. შესაბამისად, მიმართულია პოლისტური მსოფლმხედველობისაკენ, პერსონალური და სოციალური ტრანსფორმაციისაკენ მსოფლიო მასშტაბით. საბოლოოო ჯამში, ის წარმოადგენს ძირითად კულტურულ და რელიგიურ ფენომენს, რომელიც მიმართულია პლანეტის გადარჩენისა და სოციალური პრობლემების პოლისტური გზით დაძლევისაკენ.²³ ახალი ერას მოძრაობა შედგებოდა ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებული ხედვებისა და წყაროებისგან, მაგრამ მათი ერთგვარი შერწყმით მიმზიდველი ხდებოდა დიდი რაოდენობის აუდიტორიისათვის.²⁴

ახალი ერას მოძრაობა იყენებს აღმოსავლურ რელიგიურ ხედვებსა და ცნებებს. მათ შორისაა:

- **რეინკარნაცია** – სიკვდილის შემდეგ დაბრუნება ადამიანურ გამოცდილებაში, როგორც ევოლუციის ნაწილი.
- **კარმა** – ადამიანის ევოლუცია-გაუმჯობესება, რომელიც ემორჩილება კარმული ვალების გადახდას.
- **ღვთაებრიობა** – ყოველი ადამიანი ღვთაებრივი წარმოშობისაა, თუმცა მათ არ ახსლვთ, რას ნიშნავს ეს.
- **ავატარები** – რწმენა, რომლის მიხედვითაც, ახალ საუკუნეში ახალი ქრისტე გამოჩნდება.
- **ახალი მესია** – ახალი იესო ქრისტეს რწმენა, რომელიც უკავშირდება ტიბეტურ ბუდიზმს და იქ აღინიშნება, როგორც მაიტრეია. ეს შეხედულება პოპულარულია თეოსოფისტებს შორის. ახალი დროის მესიად სწორედ მაიტრეია გვევლინება იესოს ნაცვლად.
- **ღმერთი** – განსხვავებით იუდეურ-ქრისტიანული აღქმისაგან, ღმერთი წარმოადგენს არაპერსონალურ ცნობიერებას, სამყაროს ძალას, სამყაროს უნივერსალური სიცოცხლის ენერგიას, უზენაეს ძალას.²⁵

მოგვიანებით, ახალი ერას მოძრაობაში გაჩნდა მიმართულება, რომელიც არამხოლოდ არამატერიალურ, არამედ მატერიალურ საკითხებს, კეთილდღეობასა და კაპიტალიზმს დაუკავშირდა. მაგალითად, თუ 1960-იან წლებში უპირისპირდებოდნენ კიდეც მატერიალიზმს, თანამედროვეობაში მის სინთეზს ცდილობენ სპირიტუალიზმთან. მაგალითად, რაც უფრო მეტად ხარ სპირიტუალური, მით მეტი კეთილდღეობა გექნება.²⁶ უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ახალი ერას მოძრაობა მარკეტინგის შემადგენელი ნაწილიც გახდა და ამით იზიდავს მომხმარებელს. იქნება ეს სხვადასხვა წიგნები თუ ვიდეოები, ჯანმრთელი კვებისა და დიეტის საჭიროებები, ვორქშოფები, ტრენინგები, ამულეტები, ბეჭდები, სხვადასხვა გაკვეთილები.²⁷

ამ კუთხით, აქტუალური გახდა აღმოსავლური რელი-
გიების წინ წამოწევა, რადგან ახალი ერას ადამიანისათვის,
შესაძლოა ჩაითვალოს, რომ დასავლური კულტურა ძალაგა-
მოცლილია, სადაც ყველაფერი მოძველებულია და არ ღირს
მასთან ასოცირება. არსებობს მხოლოდ რელიგიური სისტემა,
ჩამოშლილი თეოლოგია და ეკლესია, რომელიც ღმერთის შეს-
ახებ ამბებს ინახავს,²⁸ ამიტომ ისინი მიმართავენ აღმოსავ-
ლეთს, განსაკუთრებით ბუდიზმს, ძენსა და ინდუიზმს, რად-
გან მასში მეტად ხედავენ სპირიტუალურს, თავისუფლებასა
და დამოუკიდებლობას.²⁹

ბაზარზე მალევე გაჩნდა რეფლექსიური სპირიტუალიზ-
მიც, რომელიც დაკავშირებულია თვითკონტროლთან და მომხ-
მარებელს სთავაზობს ფულის შოვნის გზებს, სასიყვარულო
ცხოვრების გაუმჯობესებასა და ნერვული აშლილობებისგან
განკურნებას.³⁰ პროცესში აქტიურად გამოიყენება ტექნოლ-
ოგიებიც, რომლებიც უამრავ საშუალებას სთავაზობს ადამი-
ანს გააკონტროლოს საკუთარი თავი. მაგალითად, დოქტორი
ჯეიმს დობსონი, რომელიც არის კონსერვატორი ქრისტიანი,
აქტიურად იყენებს, როგორც მედია, ასევე კიბერ-სივრცეს.
ინტერნეტით ან ტელეფონით შესაძლებელია კონსულტაცია,
სადაც კლიენტი რეკავს სპირიტუალური პრობლემების აღ-
საწერად და იღებს რჩევებს საკუთარი ცხოვრების მოწყობის
შესახებ.³¹ დოქტორი დობსონი გამოსცემს წიგნებს ოჯახისა
და შვილების აღზრდის, სიყვარულისა თუ სხვა ცხოვრები-
სეული საკითხების შესახებ.³²

რელიგია და მისი გაყიდვა

რახან რელიგია ყველა საუკუნეში ფუნქციონირებდა და
თანადროული კულტურული გარემოს ნიშან-თვისებას შეით-
ავსებდა, დღესდღეობით, ის მოთხოვნა-მიწოდების საფეხ-

ურზე აღმოჩნდა. კაპიტალიზმში არსებული უახლესი ტე-ქნოლოგიები, გასართობი ინდუსტრიები კი ამ ყველაფერს გაცილებით ფართო მასშტაბში გადმოსცემს. ჩნდება ეკლექტიკური, ანუ განსხვავებული იდეებისა და პრაქტიკების ერთ-მანეთთან შერწყმით მიღებული მიმდინარეობები, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ინსტიტუტები და დოქტრინები.³³

რელიგია, თავის მხრივ, ცოცხალი ორგანიზმია და განახლებას ექვემდებარება. მოდერნულ სამყაროში, ახალი ხედვისა ან პრაქტიკისათვის ფორმის მიცემა საჭიროებებიდან გამომდინარე ხორციელდება, ის უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდის მოთხოვნებს. მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის გათვალისწინებით, რელიგიაც ერთგვარად გვევლინება პროდუქტად, რომელიც უნდა გაიყიდოს. სხვადასხვა სიმბოლოები, გამოსახულებები თემატურად უკავშირდება ერთმანეთს და საბოლოოდ ადამიანის იდენტობის ნაწილად იქცევა.³⁴

რელიგიის „შეფუთვის“ და გაყიდვის პროცესში უმნიშვნელოვანესია მედიის როლიც, რადგან ადამიანთა ცხოვრება, დღესდღეობით, მეტნილად, მოქცეულია მედიის მიერ მოწოდებულ გამოსახულებებსა და სიმბოლოებში. კომუნიკაციების როლი გამუდმებით იზრდება და გავლენას ახდენს რელიგიური სოციალიზაციის პროცესზეც. ისეთი ცნებების, როგორიცაა: გამოცდილება, დაკმაყოფილება, ბედნიერება, შინაგანი სიმშვიდე – მისაღწევად და მოსაპოვებლად მთავარი მოტივი ხდება საკუთარი თავი.³⁵

რელიგიური და სპირიტუალური ლიდერებიც მსგავსად ცდილობენ შეცვალონ საკუთარი გამოსვლები, ქცევები და დააფუძნონ ბაზრის მუშაობის მექანიზმზე, ანუ უპასუხონ იმ საჭიროებებს, რასაც მათი აუდიტორია მოითხოვს. კონკურენცია არსებობს ე.წ. რელიგიურ ბაზარზეც, სადაც წარსულში ერეტიკოსად შერაცხული წარმართები, ქრისტიანები, ბჟდისტები, ინდუისტი გურუები თუ სხვა რელიგიური მრნამსის მიმდევრები უკვე ერთად თანაარსებობენ.³⁶

პოპულარული რელიგია

ბაზარი, სპირიტუალიზმი და რელიგიის პოპულარული ფორმები თანამედროვე სამყაროში ერთმანეთს უკავშირდება. აუცილებელია, მსჯელობაში გამოვიყენოთ ტერმინი „პოპულარული რელიგია“, რომელიც წარმოადგენს რელიგიური სიმბოლოებისა და ბაზრის სიმბოლზეს. გასართობ კულტურაში, რელიგიური სიმბოლოები, იქნება ეს ჯვარი, მისტიკური ამულეტები თუ სხვა, არარელიგიური მნიშვნელობით გამოიყენება და ვრცელდება. პოპულარული რელიგია, როგორც მედიის, ასევე თანამედროვე ტექნიკის, გაყიდვის სტრატეგიების დახმარებით, აყალიბებს მსოფლმხედველობებსა თუ იდეებს, რომლებიც ფართოდ მიეწოდება აუდიტორიას. ტრადიციულ, კონსერვატორულ რელიგიურ ინსტიტუტებს ნაკლებად შეუძლიათ იმავეს გაკეთება.³⁷ გარდა ამისა, რელიგიური კომუნიკაციები უკვე მარკეტინგული სტრატეგიების ნაწილიც გახდა. ამისი ერთ-ერთი გამოვლინებაა ტელევანგელიზმი, რელიგიური პოპ-მუსიკა და ა.შ. საკითხი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მედიის რელიგია ან მომხმარებლის რელიგია. სიმბოლიზმის კუთხით, შეიძლება მსჯელობა ჯვრის მაგალითზე როკ-მუსიკაში, სადაც მას მხოლოდ სიმბოლური დანიშნულება გააჩნია და არა მრნამსის გამომხატველი.³⁸

აუდიტორიის წინაშე ფორმაშეცვლილი სახით ბრუნდებიან აღმოსავლური რელიგიები, ბუდიზმი და ინდუიზმი, რომლებიც ფართოდაა დამკვიდრებული და გავრცელებული პოპ-კულტურასა და სამომხმარებლო სივრცეში. იქნება ეს „ვიქტორია სეკურეტის“ ბრენდირებული ბუდა-ბიკინი, წვეულების თანმხლები ბუდას ფიგურა თუ მაისურები წარწერით „Get your Buddha on the Floor“. ³⁹ ბუდიზმის შემოჭრა და შემდგომ დამკვიდრება მასობრივ კულტურაში, გარკვეულწილად უკავშირდება ეგზისტენციალურ ფილოსოფიასა და ლიტერატურას. აღსანიშნავია, რომ ევროპელმა ეგზისტენციალისტებმა განავითარეს ძველი რომანტიკული თავისუფლების

იდეა, მიმართეს იგი ადამიანის შინაგანი სამყაროსკენ და ხაზი გაუსვეს საკუთარი „მე“-ს არსებობის მნიშვნელობას. ბუდიზმის „პოპულარიზებაში“ წვლილი შეიტანეს ჯეკ კერუ-აკმა, ალენ გინსბერგმა და გარი სნაიდერმა – ბიტნიკების თაობამ. მათ ბუდიზმი ესმოდათ, როგორც არაავტორიტარული, ანტიმატერიალისტური მოძღვრება, რომელიც მათ აძლევდა საშუალებას ყოფილიყვნენ სპირიტუალურები რელიგიის გარეშე. ბუდიზმი, განსაკუთრებით, ძენი, მოიაზრებოდა, როგორც სიბრძნის წყარო, რომელიც მხარს უჭერდა ინდივიდუალიზმსა და იდეალიზმს.⁴⁰ მკითხველზე გავლენა მოახდინა პერმან ჰესეს ნაწარმოებმა „ზიდჰართა“. წიგნის მთავარი გმირი ბუდას დოქტრინას უარყოფს, არა იმიტომ, რომ მას, მის სწავლებაში ეპარება ეჭვი, არამედ იმიტომ, რომ ეს დოქტრინაა.⁴¹ როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე სპირიტუალიზმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, ნებისმიერ დამკვიდრებულ დოქტრინაში ეჭვის შეტანა და მისი ხელახალი ფორმის შექმნის მცდელობაა.

ბუდიზმი რეალურად არ იყო ცნობილი დასავლური საზოგადოებისათვის 150 წლის წინ. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების მოგზაურებისა და მისიონერების მოღვაწეობიდან გამომდინარე, მეცამეტე საუკუნიდან არსებობდა კავშირები ლოკალურ ბუდისტურ ტრადიციებთან, თუმცა ფართოდ არ იყო გავრცელებული. მეცნიერები გამოყოფენ დასავლურ საზოგადოებაში ბუდიზმით დაინტერესების ორ პერიოდს: მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარს, რომელიც ძირითადად, განპირობებული იყო ინტელექტუალური ინტერესით და მეორე პერიოდს, 1960 წლიდან, როდესაც მთავარი მოტივაცია იყო ეგზისტენციალური, სპირიტუალური, ფიქტოლოგიური ხასიათი, რომლის საშუალებითაც მოხდა ბუდიზმის ადაპტაცია და შემდგომ – ტრანსფორმაცია.⁴² მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთში, უშუალოდ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ბუდისტ ბერებს და პირადად მიეღოთ მათგან ცოდნა სპირიტუალურ ჯან-

მრთელობასა და მედიტაციურ პრაქტიკებზე. ბუდიზმის განხილვისას, მკვლევარებისათვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხი იყო მისი ავთენტურობის დადგენა და დასავლელი მეცნიერების ხედვით, ავთენტურ ბუდიზმს საერთო არაფერი ჰქონდა აზიაში გავრცელებულ რელიგიურობასთან და მათ-თვის ნამდვილი ბუდიზმი ასოცირდებოდა რაციონალურ, ათეისტურ მოძღვრებასთან. ის უფრო ფილოსოფიად ირაცხებოდა, ვიდრე რელიგიად.⁴³ ამგვარად, შევვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ჩამოშორებოდნენ ტრადიციულ რელიგიებს, ბუდიზმში პოულობდნენ სპირიტუალიზმს, რადგან ის აღარ იყო უკვე ასოცირებული ბუდიზმის ძველ, კანონიკურ ტრადიციასთან და წარმოადგენდა ცხოვრებისეულ ფილოსოფიას მედიტაციური პრაქტიკების დამატებით.

თუ ნიცვე და მისი თანამედროვეები ბუდიზმის მიმართ წმინდა ინტელექტუალურ ინტერესს ამჟღავნებდნენ, მოდერნულ სამყაროში ეს ინტერესი უფრო მედიტაციური ტექნიკებით დაინტერესებაში ვლინდება. მედიტაციის საბოლოო მიზანია სულის განთავისუფლება და გამოღვიძების მიღწევა, თუმცა შესაძლოა ითქვას, რომ დღეს მასზე წინ ისეთი პრაქტიკული მიზნები უფრო დგას, როგორიცაა სხეულისა და სულის ჰარმონია, გონების დამშვიდება, კარგი ენერგიის გამომუშავება.⁴⁴ ეს ფენომენი, გარკვეულწილად, ენინაალმდეგება ბუდიზმის მკაფრ ასკეტურ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც საკუთარ „მე“-სა და აღძრულ სურვილებზე უარის თქმა აუცილებელია. ბუდისტური მედიტაციური მდგომარეობა და თანამედროვე ინდივიდის რეალიზაცია, გარკვეულწილად არათაგვსებადია.⁴⁵

ბუდიზმის მსგავსად, ინდური კულტურის მესიჯი ვრცელდება კიბერსივრცეშიც. სპეციალური ვებ-გვერდების საშუალებით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სხვადასხვა რიტუალი შეასრულოს ინდურ ტაძრებში ან პუჯა (შესაწირავი) მიართვას რომელიმე ღვთაებას. ვებ-გვერდზე შეს-

ვლისას ტაძრის ვირტუალური კარები იღება, სადაც მომხარებელს საკუთარი ინტერესისამებრ შეუძლია მოქმედება.⁴⁶ გაყიდვის ობიექტები არიან ინდუიზმის ღმერთებიცა და ქალღმერთებიც. მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია შეიძინოს ბალიშები, ფეხსაცმელი, მაისური თუ სხვა საქონელი ფსიქოდელიური ქალღმერთ სარასვატის, შვიასა თუ განეშას გამოსახულებებით.⁴⁷ ინდუიზმის პოპულარული ფორმა მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქოდელიურ მუსიკასა და ჰალუ-ცინოგენებთან.⁴⁸

კლასიკური ინდური ტერმინებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას, რა თქმა უნდა, კარმა იპყრობდა. 1980-იან წლებში ბრიტანული ახალი ტალღის წარმომადგენელმა „Culture Club“-მა სიმღერაც მიუძღვნა კარმას სახელწოდებით „Karma Chameleon“. სიმღერამ, ერთი მხრივ, მომხმარებელში უფრო გამძაფრა გაჩერნილი ინტერესი სანსკრიტული სიტყვების მიმართ. მას შემდეგ, სხვადასხვა მომღერლები სხვადასხვა წლებში იყენებდნენ კარმის იდეას, რამაც მასობრივ კულტურაში მის ფართოდ გავრცელებასა და დამკვიდრებას შეუწყო ხელი (მაგალითად, ჯონ ლენონი, ჯგუფი „Radiohead“-ი სიმღერით „Karma Police“).⁴⁹

თანამედროვე ინდუიზმს მრავალი სახასიათო თვისება აქვს, რომელიც გამომდინარეობს მოდერნიზმის, კოლონიალიზმისა და ინდუიზმის ახალი პროზელიტური (მისიონერული) როლისაგან ინდოეთს გარეთ. ბუდიზმთან შედარებით, ინდუიზმის მისიონერული როლი შედარებით ახალია და ამიტომ, სხვადასხვა კულტურებთან ასიმილაციის შედეგად, შესაძლოა ინდუიზმის ინოვაციური მოდელებიც წარმოიშვას.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ ისეთი ცნობილი გურუები, როგორებიც იყვნენ ოშო, პარამაჰან्सა იოგანანდა, შრი სატია საი ბაბა და სვამი ვივეკანანდა, ცდილობდნენ საკუთარი თეოლოგიები ტრადიციული ინდუიზმისაგან განცალკევებულად ჩამოეყალიბებინათ, მათი ფართო აუდიტორიიდან გამომდინარე. ჩამოთვლილ გურუებს მიმდევრები მსოფლიო მასტებით ჰყავდათ და შესაბამისად, მათი ენაც უნივერსალური გახდა.

ევროპელი და ამერიკელი აუდიტორის გათვალისწინებით, მათ ხედვებს ლიბერალური და დემოკრატიული რწმენებიც შეერწყა. ამერიკასა და ევროპაში აღმოსავლური რელიგიები ქრისტიანული რელიგიის აღტერნატივად მოიაზრებოდა, რადგან ისინი უკუაგდებდნენ კონსერვატიულ მიდგომებს, გენდერულ როლებსა და შეუცნობლის მიღწევის პერსპექტივას ნებისმიერს უსახავდნენ.⁵¹ იმისათვის, რომ გურუმ, მისი ავტორიტეტული წინამორბედების მსგავსად, შეძლოს თავის დამკვიდრება, აუცილებელია, მოძებნოს საკუთარი ნიშა, რადგან კაპიტალიზმისა და მარკეტინგული პრინციპების გათვალისწინებით, სპირიტუალურ ბაზარზე გურუებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან. თავის მხრივ, ინდუიზმიც საქმაოდ გახსნილია თეოლოგიური თვალსაზრისით და რელიგიურ ლიდერებს „სპირიტუალური ექსპერიმენტების“ ჩატარების საშუალებას აძლევს, რადგან არ არსებობს ერთი, ტრადიციული ინდუიზმი, რომლის დოქტრინებზე მიყოლაც ყველა მორწმუნისათვის სავალდებულო იქნება.⁵²

იოგა და მედიტაცია

1970-იან წლებში აღმოსავლური მედიტაციური პრაქტიკით ამერიკელი რეჟისორი, დევიდ ლინჩიც დაინტერესდა. მან კამპანიაც კი წამოიწყო ტრანსცენდენტური მედიტაციის ცენტრების შესაქმნელად. მასთან დაკავშირებული იყო გურუ მაჰარაში მაჰეშ იოგიც. საკუთრივ ტრანსცენდენტური მედიტაცია გამომდინარეობს ინდუიზმის ერთ-ერთი ტრადიციის-გან, რომელიც მაჰეშმა განაახლა საკუთარი ცამეტწლიანი ასკეტური პრაქტიკის საშუალებით. ის გონიერს განწმენდისკენაა მიმართული და ალბათ, ყველაზე მიმზიდველი ის ფაქტია, რომ მისი შესრულება მხოლოდ ორმოც წუთს საჭიროებს დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ნებისმიერ ადგილას. მაჰარაში მაჰეშ

იოგი ჟურნალ „The New York Times Magazine“-მა დასავლური სამყაროს წამყვან გურუდ გამოაცხადა, ხოლო 1968 წელს „გურუს წელი“ უწოდა.⁵³

იოგას თანამედროვეობაში დამკვიდრება იწყება მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც დასავლურ საზოგადოებაში დაინტერეს მეტაფიზიკისა და ფიზიკური მხნეობის ერთმანეთთან დაკავშირება, რასაც თან დაერთო ინდოელი ნაციონალისტებისა და რეფორმისტების მიერ იოგას გავრცელება, როგორც უნივერსალური სისტემისა, რომელიც თანხვედრაში იყო თანამედროვე აზროვნებასთან. იოგას პოპულარიზაციას თანამედროვე სამყაროში ხელი შეუწყო ეკონომიკურმა ფაქტორებმაც, რომელიც საბაზრო კაპიტალიზმთან, თავისუფალ ბაზართან არის დაკავშირებული.⁵⁴

იოგა და ფიტნესი, დღესდღეობით, თითქმის გათანაბრებული ცნებებია. იოგას იყენებენ, როგორც შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად, ასევე ფიზიკური სიჯანსაღისათვისაც. კომერციული შერწყმის შედეგად, კაბალა იოგაც ჩამოყალიბდა, რომელიც იუდეურ მისტიკურ ტრადიციას წარმოადგენს. სპირიტუალურ ბაზარზე კი ინდოელი გურუები გაცილებით მოთხოვნადები არიან, ვიდრე გურუ, რომელიც ევროპის ქვეყნიდანაა. რადგან ინდოეთი სპირიტუალიზმის სამშობლოდ ითვლება, ადგილობრივი გურუ უფრო მცოდნედ და გამოცდილად აღიქმება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ინდუიზმი არ არის სტრუქტურირებული და ჯაჭვით დაცავშირებული რელიგია, ამიტომ, „ეგზოტიკური გურუები“ და ახალი ღმერთები ხშირად ჩნდებიან. მათი მოქმედების არეალი კი, გლობალიზაციის საშუალებით, ადგილობრივი სოფლიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაფართოვდა.⁵⁵

იოგას მასობრივი მოხმარება წარმოქმნის სამომხმარებლო ჯაჭვს სხვადასხვა ბრენდებსა და მომსახურებებს შორის. იოგას მომხმარებლები ყიდულობენ სპეციალურად ვარჯიშისათვის განკუთვნილ შარვლებს, ხალიჩებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა პროდუქციას.⁵⁶ შესაბამისად, იოგას რეკლამირება ბევრი კომპანიისთვისაც მომგებიანია, რადგან იოგათი დაინ-

ტერესებული ადამიანები ირიბად მათი პროდუქციის მომხმარებლებადაც ჩაითვლებიან. იოგათი გატაცებულების ნაწილიც იოგას სპირიტუალიზმად მოიხსენიებს, რადგან მას არ გააჩნია რიტუალური დოქტრინები და ვალდებულებები.⁵⁷

დასკვნა

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა მკითხველი გაცნობოდა თანამედროვე სპირიტუალიზმსა და აღმოსავლური რელიგიების, ბუდიზმისა და ინდუიზმის ტრენდულ, პოპულარულ, „სამოქმედო რელიგიად“ გარდაქმნილ ფორმებსა და მათთან ასოცირებულ მედიტაციისა და იოგას პრაქტიკებს, მათ შერწყმას არსებულ ეკონომიკურ სისტემასთან.

ბუდიზმი და ინდუიზმი წამდვილად არ ყოფილა სიახლედასავლეთისათვის, თუმცა, წარსულში აღმოცენებული ინტელექტუალური ინტერესი, თანამედროვეობაში, პრაქტიკული და მიზნობრივი ინტერესით ჩანაცვლდა. შესაბამისად, აღმოსავლური რელიგიებიც დიდი აუდიტორებისათვის მისაღებად გარდაიქმნა. გარდა ამისა, ისინი მასობრივი მოხმარების ჯაჭვის ნაწილად იქცა, რომელიც მომხმარებელსა და ბიზნესს ერთმანეთთან აკავშირებს.

მოდერნული სამყაროს ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, ადამიანს უფრო და უფრო ნაკლები დრო რჩება საკუთარი ინტერესებისათვის და დამღლელი სამუშაოს შემდეგ სინას იოგასა და მედიტაციაში ეძებს. სარეკლამო სივრცე და სოციალური ციფრული სამყაროც მომხმარებელს მოუნიდებს, რომ ყველა პრობლემის გადაჭრის გზა საკუთარ თავზე გადის და ამისათვის საჭიროა გონიერის ნეგატიური აზრებისაგან დაცლა, კარგზე კონცენტრირება. როგორც ნაშრომში აღვნიშნეთ, ამისათვის თანამედროვე ბუდიზმსა და ინდუისტრიულებს შესაბამისი აღტერნატივებიც მომზადებული აქვთ. რელიგიური ელემენტების ერთგვარი „მიქსი“ კი კლიენტებს

დამშვიდებას, სტრესისგან დაცლას, კარგი ენერგიის გამო-
მუშავებასა და კეთილდღეობას ჰპირდება.

შესაბამისად, ამგვარად შეფუთული სპირიტუალიზმი,
ხელს უწყობს ახალი ბრენდებისა თუ სერვისების ფორმირე-
ბას. ნაწილობრივ ის მოჩვენებითი ხდება, რადგან უკვე
სპირიტუალურად შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი,
რომელიც იოგას ვარჯიშობს ან მედიტაციითაა დაკავებული,
მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება არანაირი ინტერესი
არ გააჩნდეს სპირიტუალურობის მიმართ და მატერიალური
მიზნები ამოძრავებდეს ან თუნდაც, პოპულარულ ტრენდს
მიჰყებოდეს.

მეორე მხრივ, ნაშრომში განვმარტეთ, რომ ტრადიციული
რელიგიური ინსტიტუტები მოდერნულ სამყაროში მცხოვრე-
ბი ადამიანის საჭიროებებსა თუ არამატერიალურ, სპირიტ-
უალურ, მეტაფიზიკურ სწრაფვებს ფეხს ვერ უწყობენ და
ალტერნატივად კონსერვატორულ, ტრადიციულ მოდელებს
სთავაზობენ. ეს ადამიანებში იმედგაცრუებას იწვევს და
ცდილობენ ალტერნატიული, „სულიერებაზე“ ორიენტირე-
ბული სივრცე იპოვონ, სადაც საკუთარ კითხვებსა თუ ეჭ-
ვებზე პასუხის გაცემაში დაეხმარებიან, თუმცა მათვისაც,
საბაზრო ლოგიკიდან გამომდინარე, მხოლოდ გაყიდვადი და
„ტრენდული“ საშუალებებია ხელმისაწვდომი.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე სპირიტუალიზმი,
პოპულარული რელიგია თუ სხვა სპირიტუალურთან ასო-
ცირებული პრაქტიკები მჭიდროდაა დაკავშირებული სამომხ-
მარებლო სივრცესთან, სხვადასხვა კომპანიებთან, რომ-
ლებიც „გაყიდვადი სულიერების“ საშუალებით ცდილობენ
მოგების მიღებას. ერთი მხრივ, პარადოქსიც იქმნება, რადგან
ისეთი „სფეროს“ კომერციალიზაცია მიმდინარეობს, რომელ-
იც არსობრივად ემიჯნება მატერიალურს. მეორე მხრივ კი,
მომგებიანი სპირიტუალური ბიზნესის უკან უამრავი ადამი-
ანია, რომლებსაც რისკების სამყაროში უწევთ ცხოვრება და
საჭიროებენ, როგორც „სპირიტუალურ“, ასევე „არასპირიტ-
უალურ“ სოლიდარობასა და თანადგომას.

ტოტალობა და ტოტალიზაცია:

ცნებათა გადახედვა გეორგ ლუკართან

და უნ-პოლ სარტოთან

საბა კოხოვეიძე

იტალიელმა ფილოსოფოსმა ლუჩიანო კოლეტიმ ერთ-ერთ ინტერვიუში მარქსიზმის პერსექტივების შესახებ განაცხადა, რომ თუ მარქსიზმს რაიმე სახის მომავალი შესაძლოა ჰქონოდა, ის ვერ დაეყრდნობოდა ისეთ ტექსტებს, როგორიც თავად კოლეტის „მარქსიზმი და ჰეგელი“ იყო (ტექსტი, რომელიც მეტად ფილოსოფიური კონცეპტების ანალიზს და კრიტიკას მოიცავდა), არამედ მისი გადარჩენის შანსებს ისეთი ტექსტების შექმნაში ხედავდა, როგორიც იყო როზა ლუქსემბურგის „კაპიტალის აკუმულაცია“, რუდოლფ ჰილფერდინგის „ფინანსური კაპიტალი“, ვლადიმერ ულიანოვ ლენინის „იმპერიალიზმი, კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური“.¹ კოლეტის ეს წინასწარი დათქმა, რა თქმა უნდა, მისი ანტიჰეგელიანური პოზიციითა და ამასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერების უპირობო აღიარებით გამოიხატებოდა. ქვემოთ მოცემულ ტექსტში საუბარი არ შეეხება იმას, თუ რა ბედი ეწია ისეთ მრავალწახნაგოვან და გაშლილ მოძღვრებას, რასაც მარქსიზმი ეწოდება, – ეს ბევრად დიდი და სიღრმისეული განხილვის საკითხია. თუმცა, თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ

მოცემული ესე კოლეტის აზრის ანტითეზისის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მარქსიზმის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად მისი ფილოსოფიური ხასიათი და სხვადასხვა ფილოსოფიურ ტრადიციებთან (ჰეგელიანიზმი, ეგზისტენციალიზმი, ფენომენოლოგია და ა.შ) მისი კავშირი გვევლინება.

ტოტალობის ფილოსოფია – თუკი საერთოდ შესაძლებელია მსგავსი დამოუკიდებელი ფილოსოფიის არსებობაზე გვქონდეს საუბარი – მარქსისტულ ტრადიციაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს. არ არის გამორიცხული, ტოტალობის ფილოსოფია ვინმემ მხოლოდ ჰეგელთან დააკავშიროს, რომელიც, წარმოდგენილი ფილოსოფიის მთავარი ფიგურაა და რომელსაც თავიდანვე დიდი ზეგავლენა ჰქონდა მარქსიზმზე. თუმცა მარქსისტულ ტრადიციაში ჰეგელიანურ ხაზს ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ და მის ჩანაცვლებას სხვა ალტერნატიული ტოტალობებით ცდილობდნენ (მაგ., სპინზას სუბსტანცია) ან საერთოდ, დიალექტიკურად, ცნების არაპოზიტიურ მხარეს წარმოაჩენდნენ (ადორნო). მაგრამ მისი პრობლემატურობის უგულებელყოფა და გვერდზე გაწევა ყოველთვის გონების და ამასთან, პრაქსისის საკითხის უკან გადაწევასაც ატარებდა თავისთავში.

ორი გამორჩეული ფილოსოფოსი, რომლებზეც საუბარი მოგვინევს, ნამდვილად შეგვიძლია ტოტალობის ფილოსოფიის წარმომადგენლებად მივიჩნიოთ. გეორგ ლუკაჩის და ჟან-პოლ სარტრის ცნებები „ტოტალობა“ (პირველ მათგანის) და „ტოტალიზაცია“ (უკანასკნელის) მათი აზროვნების უშინაგანესი ნაწილია. სანამ საკუთრივ ცნებობრივ ახსნა-განმარტებაზე გადავიდოდეთ, რათა გაირკვეს საერთოდ მათი მნიშვნელობა, საჭიროა, სიცხადე შევიტანოთ საკითხში, თუ საერთოდ რატომ დავაკავშირეთ ეს ორი, პრინციპულად და რადიკალურად განსხვავებული, და ამასთან, ერთმანეთთან დაპირისპირებული მოაზროვნე. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მათი შერიგება ან ზავის დადებას საერთო მტრის დასაძლევად (თუმცა ისინი მსგავსი მტრის ნაკ-

ლებობასაც არ უჩივიან), არამედ პირიქით, ერთმანეთის მი-
მართ წინააღმდეგობრიობა მათ მთავარ იარაღად ყალიბდება,
განსაკუთრებით კი სარტრისთვის, მისი საკუთარი პოზიციის
გასაძლიერებლად. გამომდინარე აქედან, ამ ორ მოაზროვნეს
შორის პაექრობას ვერ ავცდებით, მაგრამ ძველი დაპირისპ-
იორების რეტროსპექტივა ხომ არ იქნება მხოლოდ ნოსტალგია
გარდასულ წარსულზე? თითქოსდა რიტორიკულ შეკითხვაზე
პასუხის გაცემისგან დროებით თავი შევიკავოთ და მოგვი-
ანებით მივუბრუნდეთ.

ლუკარის და სარტრის წინააღმდეგობრიობის მიუხედავად,
მათი გზა სრულიად განსხვავებულია. უნგრელის ინტელექტ-
უალური კარიერა ნეო-კანტიანელობასთან სიახლოვით იწყე-
ბა, რაც თავის გამოხატულებას „სული და ფორმებში“ ნახუ-
ლობს. ამას მოჰყვება ჰეგელიანური ეთერით გაჯერებული
„რომანის თეორია“ და მარქსიზმის კლასიკად წოდებული
ნაშრომი „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება“. ლუკარის
მთელ ამ ტრანსფორმაციას ძალზედ მარქსისტული იუ-
მორნარევი ლოგიკა აქვს: პრობლემების გადაწყვეტა, რომელ-
იც ლუკართან თავიდანვე არსებობდა, მხოლოდ მარქსისტუ-
ლად შეიძლება განხორციელებულიყო. „რომანის თეორიაში“
ტოტალობა ანტიკური საბერძნეთის ეპოსის ეპოქის შემდგომ
ქრება: „ბედნიერი იყო ის დროება, როდესაც ვარსკვლავე-
ბი ცაზე იყო თითოეული შესაძლებელი გზის რუკა, — ეპო-
ქა, როდესაც ამ გზებს ვარსკვლავების სინათლე ანათებდა.
ყველაფერი ამ ეპოქაში იყო ახალი და ჯერ კიდევ ახლობელი,
არ იყო ვრცელი და ჯერ კიდევ სახლს გავდა“?² დაკარგული
ტოტალობის „პოვნა“ კი მხოლოდ „ისტორია და კლასობრივ
ცნობიერებაში“ ხერხდება.

რამდენად შესაძლებელია სარტრის წიგნიდან „ყოფნა
და არარა“ მის შემდგომ ნაშრომზე „დიალექტიკური გონებ-
ის კრიტიკა“ გადასვლის პარალელის გავლება ახალგაზრდა
ლუკარის ტრანსფორმაციასთან? მსგავსი ქმედება ერთმ-
ნიშვნელოვნად მიზანშეუწონელი იქნება. ლუკარისგან განსხ-

ვავებით, რომელიც მარქსისტი ხდება, ბოლშევიკურ ტენდენ-ციას მხარს უჭერს და თავის წინა პერიოდს უარყოფს, სარტრი ბოლომდე ეგზისტენციალიზმის ერთგული რჩება, თუმცა, ამასთან, მარქსიზმის როლსაც მნიშვნელოვნად აფასებს და მას დომინანტურ ფილოსოფიად აღიარებს. ის წერს მარქსიზ-მთან თავისი ფილოსოფიის კავშირზე, რომ ყველა ეპოქას თა-ვისი საკუთარი ჭეშმარიტება აქვს დომინანტი ფილოსოფიის ფორმის სახით, მარქსიზმი კი მის ეპოქაში სწორედ ასეთია. მაგრამ აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობის, მაგალითად, ეგზისტენციალიზმის, ფუნქციაა დომინანტ ფილოსოფიასთან კორელაციაში ყოფნა და მისი კრიტიკა. საყოველთაოდ ცნო-ბილი „პროგრესულ-რეგრესული“ მეთოდი სწორედ მსგავს კორელაციაზე მიუთითებდა და ამასთან, სარტრისთვის მარქ-სიზმში ეგზისტენციალიზმის დაფუძნების მცდელობაც იყო, რომელიც მან „დიალექტიკური გონიერი კრიტიკაში“ მთავარ საკვლევ მეთოდად გამოიყენა. სარტრი „მეთოდის საკითხში“ განმარტავს, რომ თანამედროვე მარქსისტები წარმოიდგე-ნენ, თითქოს მათ აღმოაჩინეს ისტორიის პროცესში ობიექტი და ისტორიის პროცესი – ობიექტში. თუმცა, სინამდვილეში, ისინი აბსტრაქტულ მოსაზრებებს წამოსწევენ წინ. ეგზისტენ-ციალური მოდელი კი, მთლიანად „ადამიანური“ მოძრაობაა: ეპოქის შესწავლით, პროგრესულად, აღდგება ბიოგრაფია და ბიოგრაფიის შესწავლაზე დაყრდნობით ხასიათდება ეპოქა.³ სარტრს „პროგრესულ-რეგრესული“ მეთოდის არსის გასაგე-ბად კარლ მარქსის კლასიკური ნაშრომი „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი“ მოჰყავს. მარქსი, მსგავსად სარტრის მიერ დახასიათებული მეთოდისა, კონკრეტული ფაქტების გამოვ-ლენა-ჩვენებით იწყებს, რათა შემდგომ მთელი საზოგადოე-ბრივი სტრუქტურული და ეპოქის ანალიზი გადმოსცეს.

ფრედრიკ ჯეიმსონის აზრით, შეხედულება, თითქოს სარ-ტრი კავშირს წყვეტს წიგნებს „ყოფნა და არარა“ და „დია-ლექტიკური გონიერის კრიტიკას“ შორის, ალოგიკურიც არის, რადგან სრულიად სარტრიანულ ხასიათში ჯდება, როდესაც

ახალი წიგნი ცვლის ძველს, რომ „ყოფნა და არარა“ ვეღარ წაიკითხება მისი პირველად გამოქვეყნების მსგავსად. ამდენად, ბევრად უმჯობესი იქნებოდა, „დიალექტიკური გონების კრიტიკა“ „ყოფნა და არარას“ დასრულებად წარმოგვედგინა, განსაკუთრებით ისეთ მომენტებში, რომლებიც მეტად აბსტრაქტული და შედარებით განუვითარებელი ჩანდა.⁴

ასევე შეუძლებელია, ვერ შეამჩნიონ წიგნებს „ისტორია და კლასობრივი ცნობიერებასა“ და „დიალექტიკური გონების კრიტიკას“ შორის ბედისწერის მსგავსება: ლუკაჩის 1923 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს ისეთივე ფუნქცია ჰქონდა ოფიციალურ საბჭოთა მარქსიზმში, როგორც სარტრის „კრიტიკას“ – ოფიციალურ ფრანგულ მარქსიზმში.⁵ ასევე, ორივე მოაზროვნის ტექსტი განხილული იყო, როგორც ოფიციალური მარქსიზმის რევიზია, პირველ რიგში, მათ მიერ პოზიტივიზმის კრიტიკის გამო. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ენგელსის ორნამენტული დიალექტიკის წინააღმდეგ პოზიციებს შორის თანხვედრა, ამასთან, ავთენტური მარქსიზმის ფორმულირებას ორივე ფილოსოფოსი ჰეგელიანური დიალექტიკის მეშვეობით შეეცადა.

პირველი თავდასხმა გეორგ ლუკაჩის მხრიდან სარტრზე და ზოგადად, ეგზისტენციალიზმზე განხორციელდა. „ეგზისტენციალიზმი ან მარქსიზმი“ – ამ სათაურით გამოქვეყნებული კრიტიკა სრულიად გამოხატავდა ლუკაჩისეულ პოზიციას, რომლითაც ორ ფილოსოფიურ მიმდინარეობას შორის რადიკალური გამიჯვნა უნდა მომხდარიყო. ფილოსოფოსისთვის ეგზისტენციალიზმის პრობლემები: ყოფნა, თანყოფნა, სიკვდილი და თავისუფლებაში – ფეტიშურ და მითიურ ხასიათს ატარებდა, რაც ლუკაჩის ტერმინოლოგით – „ფეტიშური შინაგანობის მუდმივი კარნავალია“. მისი აზრით, ეგზისტენციალიზმი იმპერიალიზმის პერიოდის ტენდენცია იყო, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობებს მეორებარისხოვნად განიხილავდა და რომელიც ადამიანის არსებას არ აღელვებდა. ჰაიდეგერის მაგალითი და მისი ფილოსოფიის

ორიგანალურობა, რომელიც სარტრისთვის ზედმეტად რთული იყო,⁶ ლუკაჩისთვის მდგომარეობს იმაში, რომ ის იღებს სიტუაციას, ადამიანის პირისპირ დგომას არარასთან ან არყოფნასთან, როგორც ტიპურს და ხდის მას საწყის წერტილად.

„ფენომენოლოგიის რთული მეთოდის დახმარებით, ის ათავსებს მთელ პრობლემას ბურუუაზიული გონების ფეტიშურ სტრუქტურაში, ორ მსოფლიო ომს შორის ინტერვალის ინტელექტუალების მოწყენილ უიმედო ნიჰილიზმსა და პესიმიზმი“?⁷

რაც შეეხება სარტრის საყოველთაოდ ცნობილ „თავისუფლების“ ცნებას, ლუკაჩი მას ზედმეტად ფართოდ და განუსაზღვრელად მიიჩნევდა, რომელსაც სპეციფიკური კრიტერიუმების ნაკლებობა ახასიათებდა. თავისუფლების არჩევა, როგორც საკუთარი თავის არჩევანი, ხოლო თავისუფლების დაკარგვის შიში, საკუთარი თავის სხვად გახდომა – ლუკაჩის აზრით, არაკონკრეტული ხასიათისაა. თავისუფლების მსგავსი განსაზღვრა ჰაიდეგერთან შედარებითაც კი, მეტად განუსაზღვრელი აღმოჩნდა, რადგან ჰაიდეგერს შეეძლო თავისუფალი და არათავისუფალი განერჩია ერთმანეთისგან, მისთვის ადამიანი იყო ისეთი, რომელიც ცხოვრობდა პროგრამულად საკუთარი სიკვდილისკენ, ესე იგი, არათავისუფალი იყო ადამიანი, რომელიც ივიწყებდა საკუთარ სიკვდილს. სარტრი კი მსგავს წაკითხვასაც უარყოფდა.⁸

თუმცა, შესაძლებელია ეჭვის შეტანა ჰაიდეგერიანული ავთენტურობა-არაავთენტურობის უპირატესობაში სარტრი-ანულ „ყოფნა და არარას“ მე და მე-სხვასთან მიმართებაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა სხვასთან ყოფნის დიალექტიკური მოდუსი (რომელზეც ქვევით დაწვრილებით განვიხილავთ), რადგან თუ ავთენტურობა, რომელიც არის ინდივიდის სიკვდილისკენ ყოფნა და ამასთან მოვალეობის ან მისის ძახილი, – არ იქნებოდა ფორმულირებული ჯგუფური ტერმინოლოგით, ის გახდებოდა ჯარისკაცულობის მომხმო-

ბი, არაავთენტური. ამ კუთხით, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, სწორედ „მანი“ ხდება ავთენტური, როგორც 1920-იანი წლების დიდი ქალაქის უსახო ხალხის სიმრავლე. თუ სარტრის „ყოფნა და არარას“ ამგვარად წავიკითხავთ, „მე“ არის არაავთენტური, იმ დროს როცა „სხვა“, გაუცხოებული და გასასაცნებული – ავთენტურია.⁹

ლუკაჩის კრიტიკა ჰაიდეგერის და ეგზისტენციალიზმის მისამართით, სარტრისთვის ეგზისტენციალიზმში ჩაუწვდომლობას და მის ვერ გაგებას ნიშნავდა, რადგან ის კრიტიკისას მარქსისტულ მეთოდს იყენებდა. მისთვის ლუკაჩის მეთოდი, სხვა მარქსისტების მსგავსად, შეზღუდული იყო.

„დიახ, ლუკაჩს აქვს ინსტრუმენტები, აუცილებელი იმის სთვის, რომ გაიგოს ჰაიდეგერი, მაგრამ ის მას ვერ გაიგებს, რადგან ის (ჰაიდეგერი – ს.კ.) უნდა წაიკითხო, ჩაეჭიდო თითოეული ფრაზის აზრს. და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს არცერთ მარქსისტს ძალუძს მსგავსი რამ“¹⁰.

მიზეზი, თუ რატომ არ შეუძლია მარქსისტს მისი გაგება, თავად მათში იმალება. ისინი იმავდროულად უარყოფენ მათში გამომწვევ მტრულ ფრაზას, როგორც კი უკვე ღია არიან მის მისალებად. მსგავს ჩაკეტილობაზე მითითება სარტრისთვის არა ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციაა, არამედ მარქსისტული, რომელიც ახალი ცოდნების მიმართ ღია უნდა გამხდარიყო.

ლუკაჩის ტოტალობა

ტექსტი „ეგზისტენციალიზმი ან მარქსიზმი“ საბჭოთა მარქსიზმის (რომელსაც სარტრმა „იდეალისტური მატერიალიზმი“ შეარქვა) დაცვის როლს ასრულებდა, რომლის დარაჯის ფუნქცია გეორგ ლუკაჩმა საკუთარ თავზე იტვირთა. წიგნიდან „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება“ სტალინის-

ტურ რელსებზე გადასვლა ცალსახად რევოლუციური რომან-ტიზმის დავიწყებაც იყო, რომელშიც ისტორიული პროცესები პირდაპირ აისახა. ლუკაჩის, ისევე როგორც ოქტომბრის რევოლუციური პერიოდის მთელ მარქსისტ ინტელექტუალებს, მოუწიათ გააზრება იმისა, რომ რევოლუციურმა ტალღამ ჩაიარა და ბურჟუაზიამ კვლავ შეძლო საკუთარი თავის გამოძვრენა კრიზისული მდგომარეობიდან, რომელიც პირველ ომს ახლდა თან. 1925 წლის ესეში „მოზეს ჰესი და იდეალისტური დიალექტიკური პრობლემა“, ლუკაჩი პირველად ახსენებს რეალობასთან ერთგვარ შერიგებას (*Versöhnung mit der Wirklichkeit*). ამ ჰეგელიანურ ტერმინზე მითითებით, ლუკაჩი ასკვინის, რომ მოზეს ჰესს, სოციალისტ უტოპისტს, არ ესმოდა დიალექტიკური მომენტი – დროებით შეჩერება. ეს პრინციპი თავისთავში უკვე ენინააღმდეგებოდა ნაშრომის „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება“ ძირითად ტექსტობრივ ხაზს, ამასთან ერთად უკვე გამორიცხავდა ლუკაჩის *Sollen*-ის ცნებას.¹¹ გეორგ ლუკაჩმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ უარყო „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება“, მისი ზედმეტად იდეალისტური შეფერილობის და ენგელსის ბუნების დიალექტიკის მიმართ კრიტიკულობის მიზეზით. თუმცა გვიანდელი ლუკაჩის თქმით, ტექსტის „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება“ მთავარ ღირებულებად მაინც ტოტალობის ცნების შემოტანა გახლდათ, რომელიც ფართო გაგებით, პირველად მასთან გახდა მარქსიზმის განუყოფელი ნაწილი. მაგრამ თავდაპირველი ტოტალობა განსხვავდებოდა ლუკაჩის მიერ ცნების შემდგომი გამოყენებისგან. ცნებაში შესაძლებელია ისტორიული ტრანსფორმაციის აღმოჩენა, რომელიც მას დაატყდა თავს – თუ თავიდან ტოტალობა მხოლოდ კონკრეტული „უნივერსალური“ კლასის კუთვნილებაა, შემდგომ ის თანდათან კომუნისტური პარტიული ავანგარდის საშუალება ხდება.

ადრეული ტოტალობის ორიგინალურობა მის გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან სიახლოვეში გამოიხატებოდა, მთე-

ლი თავისი მოქმედი სუბიექტ-ობიექტის ტრანსფორმაციის პროცესით. პროექტი (არა სარტრიანული გაგებით) თავისთავში ატარებდა გერმანულ იდეალიზმში დაბადებული მოქმედი სუბიექტის განხორციელებას, ის ფილოსოფიის განხორციელება იყო, ადრეულ მარქსს თუ დავესესხებით. თუმცა, ამასთან ერთად, ტოტალობის კატეგორიამ ორთოდოქსული მარქსიზის მთავარი სააზროვნო მოდელი – ბაზისი/ზედნაშენი მეორადი ფუნქციის მატარებელი გახადა.

„ეკონომიკური მოტივების პრიორიტეტულობა კი არ ქმნის ისტორიის ახსნისას არსებით განსხვავებას მარქსიზმსა და ბურჟუაზიულ აზროვნებას შორის, არამედ ტოტალობის თვალსაზრისი. ტოტალობის კატეგორია, ყოველმხრივი და გადამწვეტი მთელი ბატონობს ნაწილებზე, ქმნის მეთოდის არსს, რომელიც გადმოიტანა მარქსმა ჰეგელისგან და ორგანულად გარდაქმნა, სრულიად ახალი მეცნიერების ფუნდამენტად“.¹²

უნდა გვესმოდეს, რომ ტოტალობა ლუკაჩთან არ გულისხმობს თავისთავში ყოველი ფაქტის გროვას, არამედ, ის აღნიშნავს რეალობას, დიალექტიკურ მთლიანობას, სადაც ცალკეული ფაქტები რაციონალურად აღიქმება. ფაქტისთვის, რათა ნამდვილი ფაქტი გახდეს, აუცილებელია მისი ისტორიული მდგომარეობის შემეცნება და არა მათი აფირმატიულად, როგორც უშუალოდ მოცემულის მიღება. ნამდვილ, ჭეშმარიტ ფაქტებამდე ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი ხდება თავად ფაქტების ისტორიული გარემოებების გაგება და მათი ისტორიულ-დიალექტიკური მეთოდით განხილვა. ნამდვილ ფაქტებზე რეფლექსირებისთვის ძირითად მნიშვნელობას იძენს შინაგანი განსხვავებულობა ფაქტის დაფარულ არსასა და ფენომენალურ არსებობას, რეპრეზენტაციულ ფაქტებსა და ფაქტების გაგებას შორის. სწორედ ამიტომ აკრიტიკებს ლუკაჩი რევიზიონისტებსა და რეფორმისტებს, რომ ისინი არ შორდებიან სამყაროს აფირმატიულ, უშუალო მდგომარეობას, სადაც ამოსავალი ზედაპირული ფაქტების ცოდნაა.

ხოლო, ნებისმიერი „ორთოდოქსი მარქსისტისთვის“ მთავარი არა გარკვეული დეტალი, არამედ თავად წინააღმდეგობა უნდა იყოს. მაგრამ ისეთი წარმოდგენა არ უნდა დაგვრჩეს, თითქოს მთელის მხრიდან წაწილების, ცალკეული ფაქტების დაუფლებით, ის მათ აშთობს ან აქრობს, „სადაც ყველა ფური შავია“,¹³ არამედ მათ შორის ხდება გაშუალება, „ტოტალობა გაშუალების გარეშე იგივეა, რაც თავისუფლება – თანასწორობის გარეშე“.¹⁴ გაშუალება თავად გულისხმობს წაწილისა და მთელის დაკავშირებულობას ერთმანეთთან. ამასთან, ის ასევე აღნიშნავს, რომ აპსტრაქციები მხოლოდ მაშინ ხდება კონკრეტული და ნამდვილი, როდესაც მთელთან კავშირდება.

ლუკარის ტოტალობის გამორჩეული თვითმყოფობა მაინც „მოქმედი სუბიექტის“, ტოტალობის შემმეცნებლის და განმახორციელებლის ორიგინალურ დანახვაში მდგომარეობს. „მოქმედი სუბიექტი“, ლუკარის აზრით, რეალობის შემქმნელი სუბიექტია, რომელსაც, ამასთან ერთად, ტოტალობის თვალსაზრისი ან ტოტალური ცოდნა აქვს. მსგავსი სუბიექტი არ ეძიებს თავისთავს ტრანსცენდენტალურ კონსტრუქციებში, რადგან ის ცნობიერებაში არ წარმოდგება, როგორც მხოლოდ სულიერი ფაქტი, არამედ მისი მოქმედება კონკრეტულად რეალიზდება. კონკრეტულ რეალობაში, კაპიტალისტურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში კი, „მოქმედ სუბიექტად“ წარმოდგება პროლეტარიატი. ლუკარის შეხედულებით, პროლეტარიატი სწორედ ის სუბიექტ-ობიექტია, რომელიც საკუთარ თავს ახორციელებს. პროლეტარული კლასის სუბიექტ-ობიექტურობა იმით განისაზღვრება, რომ როდესაც ის შეიმეცნებს საკუთარ თავს, ესე იგი გადალახავს თავისთავად (*an sich*) მდგომარეობას, გახდება თავისთვის (*für sich*), და ამით გაიჩენს თავის საკუთარ კლასობრივ ცნობიერებას. დამატებით, ის იგებს ტოტალობასაც, რადგან მისი სოციალური ყოფა, მისი ექსპლუატაცია, მისი სამუშაო ძალა თავად პოლიტ-ეკონომიის საფუძველია, რაც მის ონტოლოგიურ

ფუნქციასაც გულისხმობს.¹⁵ კონკრეტულ კლასს საკუთარი თავის განხორციელებაში, ტოტალობის მოპოვებაში ხელს უშლის კაპიტალიზმის შინაგანი აუცილებლობა, რეიფიკაცია (გასაგნება), რომელიც მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. ლუკარის საყოველთაოდ ცნობილი ტოტალობა/რეიფიკაციის დაპირისპირება ის კანონია, რომელიც კაპიტალიზმში აუცილებლობით გვხდება. რეიფიკაციული ცნობიერება, რაც კონკრეტულ მომენტში იგივე პროლეტარიატისთვის „მინერილი“ ცნობიერებაა, გადმოსცემს იმ ემპირიულ ცნობიერებას, რომელიც კლასებზე გავლენას ახდენდა გარკვეულ ისტორიულ მოცემულობებში. ლუკარის ესმოდა, რომ კლასის ემპირიული ცნობიერება ყოველთვის შეზღუდულია მისი ფსიქოლოგიური სიტუაციით, ამიტომ ის არ შეეცადა ემპირიულ პროლეტარული ცნობიერების მდგომარეობაზე დაკვირვებას, არამედ, მან მარქსის და ენგელსის საერთო ნაშრომში „წმინდა ოჯახი“ გამოთქმული ცნობილი ფრაზის ძირითად მოსაზრება გაიმეორა, რომ მთავარია არა ესა თუ ის ემპირიული მდგომარეობა, არამედ კლასის შინაგანი აუცილებლობა, რომელიც უნდა განხორციელდეს:

„საკითხი ისე კი არ დგას, ესა თუ ის პროლეტარი, თუნდაც მთელი პროლეტარიატი, რას თვლის თავის მიზნად ამ მომენტში, არამედ ისმის შეკითხვა, თუ რა არის პროლეტარიატი და თავის ყოფნასთან შესაბამისად, რას მოიმოქმედებს ის ისტორიული აუცილებლობით“.¹⁶

ლუკარის ფილოსოფიისთვის ასევე მიუღებელია ინდივიდუალური ტრანსცენდირება. ის შეუძლებლად მიიჩნევს მსგავსი მიმართულების ფილოსოფიამ, თუნდაც ის ანტიკაპიტალისტური იყოს, რაიმე სახის ობიექტური ტექსტურა შექმნას. ინდივიდის მიერ „თავისუფლების“ შემეცნება მარცხისთვისაა განწირული, რადგან წმინდა „შინაგანი თავისუფლება“ გარეგანი სამყაროს უცვლელობას ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ, ლუკარი „ისტორია და კლასობრივ ცნობიერებაში“ თავის ახალგაზრდობის მეგობარს, ერნსტ ბლოხს, უტოპისტს

უწოდებს, რადგან ამ უკანასკნელთან, ინდივიდს შეუძლია სა-
განი მხოლოდ სუბიექტურად უარყოს ან მიიღოს, იმ დროს,
როდესაც ინდივიდი ვერასდროს გახდება საგნების საზომი.
ობიექტური რეალობა, რაც ინდივიდს უპირისპირდება, აუ-
ცილებლად წარმოდგება, როგორც საგნების აუცილებელი და
უცვლელი ფორმა. ინდივიდის სრული უარყოფა, ფინბერგის
აზრით, ლუკაჩთან იმიტომ ხდება, რომ სუბიექტი ნახევრად
გახლებილია, მისი სუბსტანცია გაყოფილია ემპირიულ საჭ-
იროებასა და სურვილებს შორის, რომელიც, შესაძლოა, დაკ-
მაყოფილდეს კონფორმიზმით და ასევე „მე“-ს ავთენტურობით,
რომელიც წარმოშობილია მორალური კანონით ან სხვა ტრან-
სცენდენტური საშუალებით.¹⁷ აღსანიშნავია, რომ „ისტორია
და კლასობრივ ცნობიერებაში“ ინდივიდის მიმართ გამოხატ-
ული უნდობლობა ჯერ კიდევ იმ დროს გვხვდება, როდესაც
ის ბოლშევიკებს ეწინააღმდეგებოდა. თავის ადრეულ ტექსტ-
ში „ბოლშევიზმი, როგორც მორალური პრობლემა“, ფილოსო-
ფოსი ბოლშევიკების „წამიერ გმირობას“, მათ ინდივიდუალურ
მცდელობებს არ ეთანხმება. ტექსტის მთავარი სათქმელი ის
არის, რომ ბოლშევიზმი დგას მეტაფიზიკურ ვარაუდზე, რომ
ცუდს შეუძლია დაბადოს კარგი, ან როგორც დოსტოევსკის
„დანაშაული და სასჯელის“ პერსონაჟი რაზუმინინი იტყვის,
შეიძლება მოიტყუოს სიმართლის გზაზე.¹⁸ უნდა ითქვას, რომ
ლუკაჩის მიერ ინდივიდუალიზმის მისამართით გამოხატული
მსგავსი უნდობლობა, ტოტალობის შეუთავსებლობა ინდი-
ვიდუალურ ფსიქიკურ სუბიექტთან, სრულიად მოდერნისტუ-
ლი ეპოქის ნაყოფია.

ტოტალიზაციის პროცესი სარტრთან

ალბათ, ზედმეტი იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ სარტრი
სრულიად სხვაგვარად ხედავდა ინდივიდის როლს. შეიძლე-

ბა ითქვას, მისი ხედვა რადიკალური ამოტრიალებაა იმისა, რასაც ლუკაჩი ესწრაფოდა. თუმცა სანამ კონკრეტულად შევუდგებოდეთ ტოტალიზაციის გარჩევა-გადახედვას, საჭიროა კონტექსტის გასაგებად რამდენიმე დეტალი ვახსენოთ. ფრანგულ აკადემიაში, მთავარ ლუკაჩიანელად ლუსიენ გოლდმანი ითვლებოდა, თუმცა ლუკაჩის ტოტალობის ცნების შემოტანა მერლო-პონტის უკავშირდება. საინტერესო ამ მოვლენაში ის არის, რომ მერლო-პონტი ლუკაჩს ტოტალობის თეორეტიკოსად კი არ განიხილავდა, არამედ მასთან მიმართებაში ტერმინ ტოტალიზირებას იყენებდა. მერლო-პონტის აზრით, ტოტალობას მეტად ჰეგელიანური ხასიათი დაჰკრავს, რადგან ჰეგელიანური ტოტალობა მთლიანად დომინირებს ისტორიასა და ბუნებაზე. ხოლო ლუკაჩთან ტოტალობა იმიტომ არის ტოტალიზაცია, რომ ის „თვალსაჩინო ფაქტების ტოტალობაა“. მერლო პონტის თანახმად, „როდესაც სუბიექტი შეიმეცნებს საკუთარ თავს ისტორიაში და თავად ისტორიასაც, ის კი არ დომინირებს მთელზე ჰეგელიანელი ფილოსოფოსის მსგავსად, არამედ დაკავებულია ტოტალიზირების შრომით“.¹⁹

მერლო-პონტის გავლენის მიუხედავად, სარტრი ტოტალიზაცია – ტოტალობას შორის არსებულ წინააღმდეგობას განსხვავებულად ხედავდა:

„თუ რაიმემ გახადა მარქსიზმი ძლიერი და მდიდარი, არის ფაქტი, რომ ის იყო ყველაზე რადიკალური მცდელობა, განემარტა ისტორიული პროცესები მის ტოტალობაში. უკანასკნელ ოც წელიწადში კი პირიქით, მისმა აჩრდილმა გააბუნდოვნა ისტორია; რადგან, მან შეწყვიტა ისტორიასთან ერთად ცხოვრება და იმიტომ, რომ ის ცდილობს ბიუროკრატიული კონსერვატიზმის მეშვეობით, ცვლილება დაიყვანოს იდენტოპარტიადე“. ²⁰

„დიალექტიკურ გონების კრიტიკაში“ ტოტალობის და ტოტალიზაციის გამიჯნულობამ სრულიად რადიკალური ხასიათი მიიღო. სარტრისთვის ტოტალობა არის უფრო მეტად

პასიური, არააქტიური, იდენტობის, არსების, არსება-ექსტე-რიორულობაში ცნება, ვიდრე პროცესის ცნება. განმარტებისას, სარტრი ტოტალობას ხედავს არსებად, რომელიც რადიკალურად გამოირჩევა მის ნაწილთა ერთობისგან. სინ-თეტიკური ერთობა, რომელიც ქმნის ტოტალობის გამოსახულებას, არის არა აქტიური, არამედ მხოლოდ წარსული ქმედებების კვალი.²¹ ამასთან, ტოტალობა იმართება ანალი-ტიკურად, ვიდრე დიალექტიკური გონებით, რადგან არავის შეუძლია აღმოაჩინოს დიალექტიკა, როდესაც მისი გონება ანალიტიკურია. გონება ანალიტიკურია და დიალექტიკის აღ-მოჩენა შეუძლებელი ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ობიექ-ტის მიმართ ექსტერნალურ მდგომარეობაში რჩება.²² ხოლო დიალექტიკური გონება, პირიქით, შეიცავს ანალიტიკურ გონებას.

დიალექტიკური მოძრაობა სარტრთან, არ წარმოდგება ძლევამოსილ გამაერთიანებელ ძალად, რომელიც გამოააშ-კარავებს თავისთავს ლვთაებრივი იმპულსის მსგავსად, რომ ის ისტორიის დამასრულებელი და ისტორიის შედეგია. დი-ალექტიკა ასევე არ არის წინააღმდეგობრიობა, რომელიც აი-ძულებს ისტორიულ ადამიანებს, მათი ისტორიულ ცხოვრება შემზარავ დიალექტიკურ წინააღმდეგობრიობაში გაატარონ. სარტრი დიალექტიკის კრიტიკული გადახედვით ცდილობს ინ-დივიდის პრაქსის-პროექტის მატოტალიზირიბელ აქტივობას ცენტრალური მნიშვნელობა მიანიჭოს. დიალექტიკა კი, თუ მისი არსებობა შესაძლებელია სარტრისთვის, იარსებებს მარ-ტოდენ, როგორც ტოტალიზაცია კონკრეტული ტოტალიზა-ციებისა, რომელიც მიიღება მხოლოდ მატოტალიზირებელი სინგულარობების სიმრავლით. მოკლედ რომ ვთქვათ, დია-ლექტიკა უნდა მოდიოდეს ინდივიდებიდან და არა კოლექ-ტივიდან ან რაიმე სხვა ზეინდივიდუალობებიდან. ინდივიდის როლის მსგავსი შეფასება და მარქსის ერთდროულად მოხ-მობა შეიძლება ინვევდეს გარკვეულ დისონანსს, — რამდენად თავსებადია ეს ორი ერთმანეთთან? თუმცა სარტრი მარქ-სის ცნობილ ფრაზას იშველიებს „ადამიანები თვით ჰქმნი-

ან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ჰქმნიან არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულს, მოცემულს და გადმოცემულს პირობებში²³, რაც სრულ თანხვედრაში მოდის ინდივიდუალურ ტოტალიზებასთან. სარტრისთვის ეს ნიშნავს „არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებს“, მაგრამ რომელიც თავად ადამიანების მიერ არის შექმნილი და თავად ადამიანებმა უნდა გადალახონ.

ტოტალიზაცია, მარტივად რომ ითქვას, არის თავად პრაქსისი, ორგანიზებული აქტივობა მიზნისკენ ხედვით, რომელიც იწყება თავად ინდივიდების ქმედებიდან. ამასთან, თითოეული ინდივიდი თავის ტოტალიზაციას ქმნის, მომავლის მიზანს. აღსანიშნავია, რომ ტერმინი ტოტალიზაცია შეესაბამება იმას, რასაც სარტრი „ყოფნა და არარაში“ პროექტს უწოდებს.²⁴ ჩემი პროექტი ატოტალიზებს ჩემს გარშემო მყოფ გარემოს, რათა გამოიწვიოს მისი მოწესრიგება ჩემს გარშემო. ამასთან, ტოტალიზაცია – პრაქსისი დიალექტიკურია, რადგან ის შეიცავს ჩემს საკუთარ ნეგაციას საგნების მიმართ, რომლებიც ჩემს გარშემოა, ისევე, როგორც გარდაქმნის ჩემს საკუთარ აქტივობას მის წარმატებასთან ერთად. ტოტალიზირების პროცესი თავისთავს თავად ანარმოებს, როგორც საკუთარი თავის კრიტიკულ გამომძიებელს მისი განვითარების ცალკეულ მომენტში.²⁵

ინდივიდუალური ტოტალიზაცია განისაზღვრება გარე სამყაროთი, კერძოდ პროექტი შედის არსებაში და ცდილობს მასზე იმოქმედოს. ამ პროცესის ყველაზე ადრეულ, პირველი მოდუსად გვევლინება საჭიროება. საჭიროება სარტრისთვის ის საფეხურია, რომლიდანაც იწყება ტოტალიზაციის პროცესი.

„საჭიროება ეს არის პირველი მატოტალიზირებელი ურთიერთობა მატერიალურ არსებას, ადამიანსა და მატერიალურ ანსამბლს შორის, რომლის ნაწილი თვითონ არის“.²⁶

საჭიროება ასრულებს ნეგაციის ნეგაციის როლს, რამდენადაც ის გამოხატავს ორგანიზმში ნაკლებობას. იმისთვის, რომ ეს ინდივიდის აუცილებელი მომენტი უფრო ფართო და

კრიტიკული ცნების ქვეშ მოქცეულიყო, სარტრმა საჭიროება დეფიციტის შემადგენელ ნაწილად განსაზღვრა. დეფიციტი წარმოდგება სამყაროს საწყის წერტილად, სადაც ადამიანი არსებობს. ეს ცნება სარტრს აძლევს საშუალებას, მოახდინოს საჭიროების, რაღაცის ნაკლებობის არტიკულირება, რომელიც იმავე დროს არის მიმართება გარესამყაროს ობიექტებთან და ასევე დისტანციის მიმნიჭებელი სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში.²⁷ დეფიციტი თითოეულ ადამიანს აიძულებს მისთვის საჭირო ობიექტების ძებნას, მათ შექმნას შრომით ან გაცვლას ვაჭრობით. ასეთ დროს მოცემულმა პროცესმა, შესაძლოა, სხვა ადამიანები, მაგალითად, გვერდითა მეზობელი დააზიანოს. დეფიციტის სამყაროში არსებობა უკვე გულისხმობს ხიფათს ჩემი მეზობლის არსებობისთვის.²⁸ მოკლედ რომ ითქვას, დეფიციტი არის ინდივიდის მამოძრავებელი საწყისი. მაგრამ, მსგავსი დეფიციტურობის შევსება არ იძლევა მხოლოდ პოზიტიურ შედეგს, ის ასევე შეიძლება იყოს კონტრ-ფინალური,²⁹ დესტრუქციული ძალა, რომელიც თავად ადამიანის წინააღმდეგ მიმდინარეობს, მაგალითად, ჩინელი გლეხობის მიერ ტყის გაჩეხვა, რომელმაც ჩინეთში წყალდიდობები გამოიწვია. კონტრ-ფინალობა თავისთავში ძალიან წააგავს ჰეგელის „ცბიერ გონებას“, ოღონდ მის ნეგატიურ ვარიანტს.³⁰

სარტრის განვითარება „ყოფნა და არარადან“ იმგვარად იყიდობა, რომ თუ ადრეულ ტექსტში პროექტი საკუთარი თავის წმინდა ცნობიერება იყო, „კრიტიკაში“ პროექტი ეკუთვნის ადამიანთა რეალობას, როგორც „პრაქსისი სიტუაციაში“ – ინდივიდის პრაქსისში სხვა იღებს მონაწილეობას, რამდენად ისინი თან-არიან, ამ პროცესს სარტრი ურთიერთგაცვლას, la Réciprocité უნიდებს. თუმცა ეს ურთიერთგაცვლა ორმხრივია: პოზიტიური და ნეგატიური. ურთიერთგაცვლა პოზიტიურია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანების ურთიერთობა ადამიანურია და არა ერთის მხრიდან მეორეს გასაგნების მცდელობა. ურთიერთგაცვლის ცნების განსაკუთრებულობა

სარტოთან იმით გამოიხატება, რომ ის ცდილობს ადამიანთა მდგომარეობა ცალკეული ისტორიული წმინდა ეკონომიკური კატეგორიებიდან გამოიყვანოს. მისთვის ადამიანური ურთიერთობები უფრო მეტად ბიოლოგიურ ინსტინქტებს და მატერიალურ გარემოებებს გულისხმობს, ვიდრე ეკონომიკურ კატეგორიებს. თუ მარჯსიზმში საუბრობენ გაუცხოებაზე და მას პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით განპირობებულად განსაზღვრავენ, სარტოისთვის ვერაფერი ვერ იქნება გაუცხოებული, თუ რაიმე არ არის გასაუცხოებელი – ე.ი. ადამიანთა ურთიერთობის ადრეული ფორმა, რომელიც თანდათან, ადამიანურ ურთიერთობების დროს გადაგვარდა.

მივადექით „კრიტიკის“ ცენტრალურ ადგილს, როდესაც ჯგუფის და სერიულობის ცნებების განხილვას უნდა შევუდგეთ. კოლექტიური არსებობის ეს ორი ფუნდამენტური ფორმა ერთმანეთის ანტითეზისად წარმოდგება. სერიულობა – ეს არის ერთგვარი პრაქტიკო-ინერტულის დომინაცია და ის გულისხმობს, რომ ჩემი საწყისი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში აღიქმება სტატისტიკურ ანონიმურობად, სხვაში ჩართულობად, ის არის ყოფნა-სხვაში. სერიულობის ასახსნელად სარტოს მარტივ მაგალითად ავტობუსში ჩასხდომა-მგზავრობის მომენტი მოჰყავს, როდესაც მგზავრები, როგორც ჯგუფი ურთიერთმიერთება ერთმანეთს, თუმცა თითოეულის მიმართება სხვასთან საკუთარი თავისგან გარეთ ყოფნას ნიშნავს. თითოეული ავტობუსში საკუთარ თავს სხვასთან მიმართებაში ხედავს მსგავსად. „ყველა არის ერთი და იგივე, რამდენადაც ის არის სხვა თავისთავისგან“.³¹ სერიულობა გულისხმობს მომენტს, როდესაც მე არ ვიმყოფები ჩემი სამყაროს ცენტრში.

სარტოისთვის სერიულობა იძენს სოციალური მექანიზმის ფუნქციას, როგორც ინდივიდების უუნაროდ და სუსტად გახდომის მექანიზმი. მსგავსი სერიულობა შეგვიძლია დავინახოთ საკონცენტრაციო ბანაკში ხერაელების მაგალითზე. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სერიულია თავად კლასიც,

რადგან კლასი, როგორც კოლექტივი, ხდება მატერიალური საგანი, შექმნილი ადამიანების მიერ, რომელიც ქმნის თავის თავს, როგორც ადამიანის უარყოფა და როგორც სერიული შეუძლებლობა, ვერ უარყოფს ამ უარყოფას. სარტრისთვის კლასი არის არა პრაქტიკული სოლიდარობის წყარო, არამედ ბედისწერის აბსოლუტური ერთობა, რომელსაც სწორედ ეს სოლიდარობა აკლია, რადგან თითოეული მშრომელი თავს გრძნობს შეზღუდულად მის ინერციულობაში, ყველა სხვის ინერციულობიდან გამომდინარე.³² სარტრის პოზიციით, პრო-ლეტარული კლასი, მისი სერიულობის გადალახვას მხოლოდ ყველას სურვილის არსებობის შემთხვევაში შესძლებდა, რაც არცერთ რევოლუციის დროს არ განხორციელებულა. სერიულობის გადალახვა მხოლოდ „ჯგუფს-შერწყმაში“ ხელეწიფება, რასაც პროლეტარული კლასის მდგომარეობა გამორიცხავს.

ტერმინი „ჯგუფი-შერწყმაში“ შემოდის თავად სერიულობის ნეგაციად. ეს არის „თავისუფლების წამიერი აღდგომა“. ჯგუფი სერიულისგან განსხვავებულია, რამდენადაც მასში თითოეული ინდივიდი თავისი თავის ცენტრია, რომელიც არ კარგავს საკუთარ თავს. თუ ზემოთ განსილულიდან გამოვალთ, სარტრთან მსგავს ჯგუფს არსებობა არ უნდა შეეძლოს, რადგან ორ ადამიანს შორის მუდმივად არის გაუგებრობა, დეფიციტი ინდივიდს მუდმივად კონფლიქტში ამყოფებს სხვა ინდივიდთან, ისინი ვერ გაიყოფენ ერთ სამყაროს, რამდენადაც მათ სხვადასხვა მიზნები აქვთ. მაგრამ თუ რაიმე განასხვავებს წიგნს „დიალექტიკური გონების კრიტიკა“ ნაშრომისგან „ყოფნა და არარა“, ეს არის სარტრის ახალი დასკვნა, მთლიან ტექსტში ყველაზე გამორჩეული: სახელდობრ, წყვილური, ბინარული ურთიერთობა არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერპერსონალური ურთიერთობა. წყვილი ვერ იქნება ნამდვილი ერთობა, არამედ გამაერთიანებელ ფუნქციას ტვირთულობს მესამე, როგორც გარეთ მყოფი მხილველი ან აღმწერი. მესამეს უპირატესობა ორთან მი-

მართებაში მდგომარეობს ბინარულობის აბსტრაქტულ თვალ-საზრისში, რადგან ჩვენ არასდროს არ ვართ ერთმანეთთან მარტო.³³ მხოლოდ გარედან შეიძლება კონფრონტაციაში მყოფი სხვადასხვა მხარე ეკვივალენტური გახდეს. მაგალითად, ვაჭრობაში თუ მე ჩემს პროდუქტს ვცვლი სხვა პროდუქტზე, მაგრამ ეს ორი პროდუქტი ერთმანეთზე არ იცვლება მათი შეუთავსებლობის გამო, როდესაც ვერ დგინდება ეკვივალენტობა, ასეთ დროს მე მჭირდება რაღაც ახალი ეკვივალენტური ფორმის მოძიება. ეს არის მდგომარეობა, როდესაც მე – მესამე, გარედან ვუყურებ ორ მუშას, რომლებიც ერთმანეთს ვერ ამჩნევს, მე ჩემს პრაქსისში ვაერთიანებ ამ ორს. ამ პროცესში ყოველი ჩვენგანი შეიძლება გახდეს მეს-ამე დამკვირვებელი დანარჩენ ორზე.

„ყველა არის მესამე ურთიერთგაცვლით ურთიერთობა სხვა ინდივიდებთან და ეს გულისხმობს, რომ ის ატოტალიზირებს ამ ურთიერთობას მის პრაქსისში მატერიალურ მნიშვნელობების საფუძვლებზე და კრიტერიუმებზე, აერთიანებს ურთიერთობის ინდივიდუალურ პირობებს, როგორც მომსახურე ინსტრუმენტს მესამეს მიზნისთვის“³⁴

ჯგუფის შერწყმულობაში, საერთო ტოტალიზაცია არას-დროს არის მოსვენებულ მდგომარეობაში, ის ყოველთვის საფრთხის ქვეშაა, რომ კვლავ არ გადაიქცეს სერიულად, რადგან მუდმივად ჯგუფის თითოეულ წევრზე ხდება დამოკიდებული, გახდებან ისინი პრაქტიკო-ინერტულები თუ აქტიურები. ყოველ ინდივიდს სჭირდება დარწმუნება მესამეს-გან, რომ ის არ გახდება სხვა.

საერთო პრობლემის შესახებ

საბოლოოდ, დასასრულისკენ რომ წავიდეთ: საინტერესოა, რისთვის გახდა საჭირო ამ ორი მოაზროვნის ერთ-

მანეთზე ასე მჭიდროდ გადაჯაჭვა, რამ გამოიწვია მათი კონფრონტაცია/თანხვედრის მომენტები ისეთ საფეხურზე აგვეყვანა, როდესაც იმანენტური ერთობა აუცილებელ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა, მოცემულ გადახედვას არ უცდია, სარტრიანულად რომ ვთქვათ, მესამის ფუნქცია შეესრულებინა, რომ ფილოსოფოსების ბინარულობა, მათი ერთმანეთისადმი გაუგებრობა მის ტოტალიზაციაში მოექცია. ეს დაპირისპირება მეოცე საუკუნის მარქსისტულ ცოდნაში ისე-დაც გამორჩეულია თავისი დაპირისპირებულობით. შეგვეძლო, მთლიანობაში გვეთქვა, რომ ლუკართან ტოტალობა – ეს მეტად ობიექტური ტოტალობაა, ხოლო სარტრთან ტოტალიზაცია სუბიექტურ ტოტალობად გვევლინება. მათი ზოგადი ტოტალობის ერთი მედლის ორი მხარედ გამოცხადება, ამ შემთხვევაში, რისკ-ფაქტორთან არ არის დაკავშირებული. ტოტალობა, სულერთია სუბიექტურია თუ ობიექტური, უკვე დიდი ხნის მანძილზე კრიტიკის ობიექტად რჩება. მის წინააღმდეგ უან-ფრანსუა ლიოტარმა, საერთოდ, ომის გამოცხადება განიზრახა – „ნება მოგვეცით, ვაწარმოოთ ომი ტოტალობის წინააღმდეგ“.³⁵ მსგავსმა კრიტიკამ ლუკართის და სარტრის სრულიად სხვადასხვა და დაპირისპირებული მიდგომები ერთქვაბში მოადულა და ორივეს მიგნებები სრულიად მარგინალური და არააქტუალური გახადა. შემთხვევითი არაა, რომ არავინ დაინტერესებულა სარტრის „დიალექტიკური გონების კრიტიკის“ მეორე ნაწილით, რომელიც დაუსრულებელი სახითაა შემორჩენილი, თუმცა კი 1980-იანებში გამოქვეყნდა.

აქ აღარ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენად მცდარია შეხედულება, ტოტალობის და ტოტალიტარიზმის გაიგივების შესახებ, რომ ტოტალობის გზა საბოლოოდ ჰოლოკოსტამდე და გულაგებამდე მიდის. არც იმას გავიმეორებთ, რომ მარქსიზმი და პოსტმოდერნიზმი ერთდროულად ვერ იარსებებს, რომ თუ მარქსისტი ხარ, მაშინ პოსტმოდერნიზმი უნდა უარყო და რომ, სრულიად იდიოსინკრეტულია მათი გაერთიანების მცდელობა და ამიტომ, არც ალექს კალინიკოსის მტკიცების ვალიდურობას დამტკიცებას შევ-

ეცდები, რომ პოსტმოდერნული აზროვნება ყალბი ცნობიერებაა, რომელიც ისტორიულ კონტექსტში უნდა მოექცეს და რომ ლიოტარის მტრობა ტოტალობის მიმართ *Zeitgeist*-ად უნდა განვიხილოთ. ამის დრო აქ აღარ რჩება. ნაცვლად ამისა, პასუხი უნდა გავცეთ მოკრძალებულ შეკითხვას, თუ რამდენად შემორჩია ტოტალობას და ტოტალიზაციას სიცოცხლისუნარიანობა?! ფრედრიკ ჯეიმსონი „დიალექტიკის ვალენტობებებში“ საუბრობს „ისტორია და კლასობრივი ცნობიერების“ შესახებ, როგორც დაუსრულებელ პროექტზე, რომ ლუკარის ორიგინალური იდეას სუბიექტ-ობიექტის შესახებ დღესაც შეუძლია ცოცხლად ყოფნა, როგორც პარტიკულარულ სუბიექტ-ობიექტს, მაგალითად, როგორც ფემინისტურ სუბიექტ-ობიექტსა ან რასობრივ სუბიექტ-ობიექტს. ხოლო, სარტრის ტოტალიზაციასთან მიმართებით, მსგავს გაცოცხლებასთან ვერანაირად ვერ გვექნება საქმე, რადგან ტოტალიზაციას, როგორც ჯგუფს-შერწყმაში ონტოლოგიური დაფუძნება არ გააჩნია.³⁶ შესაძლოა, მართალიცაა გამოთქმა, რომ პოლიტიკური ინტელექტუალის ამოცანა უნდა იყოს შექმნას სიტუაცია, სადაც ეს ცნებები კვლავ გამოჩნდება, თუმცა, ხომ არ არის ზედმეტად გადამეტებული წარმოდგენა, რომ მათ გამოჩენას გარკვეული ძალისხმევა სჭირდება. იქნება არც ხდება აუცილებელი ტოტალობის ცნების დაბრუნება, რადგან ის არსად წასულა. თუ ტერი იგლტონის აზრს გავიმეორებთ, ნაცისტური სასიკვდილო ბანაკები, პირველ რიგში, იყო არა რაციონალიზმის პროდუქტი, არა ტოტალობის პროდუქტი, არამედ ბარბაროსული ირაციონალიზმის, რომელიც მსგავსად პოსტმოდერნული აზრისა, უარყოფდა არგუმენტებს, ახდენდა პოლიტიკის ესთეტიზაციას და აყალბებდა ისტორიას.

კინო და კაპიტალიზმი: ზოგიერთს უფრო
მხურვალედ უყვარს
ნინი შველიძე, ალექსანდრე გაბელია

პროლოგი

„მომავლის ფილმები ნოველებზე მეტად პერსონალური იქნება. იქნება ისეთივე ინდივიდუალური და ავტობიოგრაფიული, როგორც დღიური ან აღსარება. ახალგაზრდა კინორეჟისორები პირველ რიგში, გამოხატავენ საკუთარ თავს; ისინი გამოეხმაურებიან, რაც კი თავს გადახდენიათ. მათი პირველი თუ უკანასკნელი სიყვარულის ამბავს, ამბავს მათი პოლიტიკური გამოღვიძების, მოგზაურობის, ავადმყოფობის, სამხედრო სამსახურის, ქორწინების, უკანასკნელი არდადეგების – რაც იქნება სასიამოვნო, რადგან ყოველივე იქნება მართალი და ახალი.... მომავლის ფილმი სიყვარულის აქტი იქნება“.¹ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ფრანსუა ტრიუფო მომავლის ფილმებს მოიხსენიებს „სიყვარულის აქტად“, სადაც მარადიული შემრიგებლის როლი ავტორს, მის პირად ისტორიასა და ფილმს, როგორც ხორცშესხმულ ისტორიას შორის, სიყვარულს ერგება. 1958-1962 წლებში კი კინოთეორიის ბიბლიოაში, წიგნში „რა არის კინო?“ ფრანგი თეორეტიკოსი, ანდრე ბაზენი კინორეჟისორსა და მის გმირებს ერთმანეთთან დააკავშირებს სწორედ სიყვარულით. „კინო ბევრად უფრო ახლო კავშირშია სიყვარულთან, ვიდრე ხელოვნების რომელიმე სხვა

დარგი. ნოველისტს საკუთარ გმირებთან ურთიერთობისთვის სიყვარულზე მეტად ინტელექტი სჭირდება, მისთვის გაგება წარმოადგენს სიყვარულის ფორმას“.²

აღსანიშვაია, რომ ჯერ კიდევ 1895 წელს, კინოს სახით კაპიტალიზმის წიაღში დაბადებული პირველი კოლექტიური ხელოვნების ისტორია, რომლის სათავეებთანაც იდგებიან ფრანგი გამომგონებლები, უან-პიერ და ლუი ლუმიერები, დაინიუება ძმების ისტორიით, რომლებიც კოლექტიური ხელოვნების სირთულეებს დაძლევენ სწორედ ერთობლივი შრომითა და სიყვარულით.

კინოხელოვნების დაბადებამდე საუკუნეებით ადრე, უძველეს ჩინურ თქმულებაში, სადაც მომავალში დასავალური აზროვნებისგან განსხვავებულ, სრულიად ახალ მსოფლმხედველობით დამოკიდებულებას აღმოაჩენენ – რომელიც „ხელოვნების ნაწარმოებს არა საკუთარ თავში ჩაკეტილ, შეუღწევად მიკროკოსმოსად აღიქვამს, არამედ ისეთ სამყაროდ, რომელშიც ჩართვა ადამიანებსაც ხელეწიფებათ“³ – იპოვიან ფილოსოფიურ თავისებურებასაც, რომელსაც საუკუნეების შემდეგ, ზედმიწევნით გაიმეორებს კაპიტალიზმის ურჩი შვილი – კინო.

„არსებობს ასეთი თქმულებაც. ერთხელ ერთ ტაძარში ბიჭმა ნახატი ნახა, რომელზეც მდელოზე მოთამაშე ლამაზი გოგონები იყვნენ გამოსახული. ერთი გოგონა ბიჭს განსაკუთრებით მოეწონა და შეუყვარდა. ბიჭი ნახატში შევიდა და ერთი წლის შემდეგ ნახატზე ბავშვის ფიგურაც გაჩნდა.“⁴

კინოს დემოკრატიულობა, რომელიც „ხელოვნების ფილოსოფიის ფეოდალურ-რელიგიურ ფესვებს“ (ბელა ბალაში) დაუპირისპირდება სიახლოვით, ხელოვნების ნაწარმოებსა და მაყურებელს შორის არსებულ „დისტანციასა და დასრულებულობას“ საბოლოოდ დაარღვევს.

„დისტანციისა და დასრულებულობის“ საპირისპირო სიახლოვე და უსასრულობა, რომლისკენაც ფილმი კინოეკრანის წინ მსხდომ მაყურებელს კინოენით (მიზანსცენით, მონტაჟით,

კამერის მოძრაობით და სხვა) უბიძგებს, კინორეჟისორებსაც მისცემს საშუალებას, ერთი მხრივ, გამოხატონ სიყვარული, მეორე მხრივ კი, „ფიზიკური რეალობის გადარჩენის“ (ზიგ-ფრიდ კრაკაუერი) პირობებში აჩვენონ თუ როგორ უყვართ.

მაყურებელსა და ხელოვნების ნაწარმოებს შორის „დისტანციისა და დახშულობის“ გადალახვით, კინო დაუპირისპირდება კაპიტალიზმის შექმნილ კულტურულ ინფრასტრუქტურასაც, რომელიც ეგოზე ორიენტირებულ ადამიანს წაართმევს სხვისი სიყვარულის შანსს. „დღევანდელ სამყაროში, სადაც არსებობს ზოგადი აზრი, რომ ინდივიდებმა მხოლოდ საკუთარ ინტერესებს უნდა მისდიონ, სიყვარული ანტიდოტია“.⁵

სათამაშო სივრცის არეალში შეყვანით, სწორედ მაყურებლის ეგოზე მიტანილი მრავალჯერადი დარტყმებით „კინოს საკმაოდ ძლიერი სტრუქტურა გააჩნია იმისთვის, რომ საკმარისი აღმოჩნდეს ერთდროულად ორივესთვის, ეგოს უარყოფისა და გაძლიერებისთვის, რაც ფილმში გამოხატვის ინტენსივობასა და კინოაუდიტორიის მხიარულ თვითაღიარებაში ვლინდება“.⁶ მენენსტრიმ კინოსთან შეპირისპირებული კინო ერთმანეთს დაუპირისპირებს მაყურებელსა და კინოეკრანზე პროეცირებულ მაყურებელს, რომელიც ეგოისტურად გამოიტირებს ფილმის გმირს, მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამოიტირებს საკუთარ ეგოსა და საკუთარ თავს. „ფიქცია კინოში ზუსტად ესაა: ეკრანზე საკუთარი თავის დანახვა. თქვენ ვერ ხედავთ სხვას ვერაფერს, ვერ ხედავთ ფილმს, ვერ ხედავთ ხალხს, რომელიც რაღაცებს აკეთებს, ვერ ხედავთ ნამუშევარს, თქვენ ხედავთ საკუთარ თავს და მთელი პოლივუდი ამ პრინციპს ეფუძნება“.⁷

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში სტაციონალური კინოთეატრების გამოჩენით „რიტუალური ზღუდეებისგან“ (ჟან პოლ სარტრი) გათავისუფლებით, თეატრის სოციალური იერარქიისგან აბსოლუტური გამიჯვნით, კინო უბიძგებს მაყურებელს სოციალური დისტანციის დარღვევისა და მჭიდრო, ადამიანური ურთიერთობისაკენ, რაც გაზრდის მათი „შე-

ჯახების” შანსს. კინოთეატრი, როგორც უსაფრთხო ადგილი, მაყურებელს დროებით დაავიწყებს საკუთარ სოციალურ გა-მოცდილებას, რითაც გაათავისუფლებს იმ „მენტალური გე-ტოსაგან“ (პიერ პაოლო პაზოლინი), რომელსაც კინოთეატრში შესვლამდე მიაკუთვნეს.

„თეატრის სოციალურმა იერარქიამ ბაბუაჩემსა და გარ-დაცვლილ მამაჩემს, რომლებიც მეორე იარუსს იყვნენ მიჩვეულნი, ცერემონიების გემო გაუხსნა. როდესაც თავს ერ-თად ბევრი ხალხი იყრის, საჭირო ხდება მათი გამიჯვნა, რიტ-უალური ზღუდების აგება, რათა ერთმანეთი არ დახოცონ. კინო საპირისპიროს ამტკიცებდა. თითქოს დღესასწაულების ნაცვლად ამ ჭრელ აუდიტორიას ერთმანეთან აკავშირებდა კატასტროფა. ეტიკეტის მოსპობამ ადამიანებს შორის მჭიდრო ურთიერთობები გააჩინა“.⁸

არსებობის 125 წლიანი ისტორიის მანძილზე, თუ კინოს გადაღების, მისი მაყურებლამდე მიღწევის, საერთო გა-მოცდილებად ქცევის პროცესი, მოცული იქნება სიყვარუ-ლით, რომ არაფერი ვთქვათ, განსაკუთრებული სახის მხურ-ვალე სიყვარულზე, სინეფილიაზე, რომელიც შთაგონებულია კინოთი, კინოეკრანი არაერთხელ იქცევა უშუალოდ ისტო-რიული გრძნობების, მათ შორის რომანტიკული სიყვარულის რეპრეზენტაციის ადგილად, სადაც სიყვარულის რეპრეზენტ-აცია დამოკიდებული იქნება რეალობის სერვისის პირობებსა და მასთან შეპირისპირებულობაზე, რომელიც თავად იქნება განსაზღვრული დომინანტური იდეოლოგიით - კაპიტალიზმით.

ფრანგი ფილოსოფოსის ალენ ბადიუს მიერ ფილოსოფიის ისტორიაში გამოყოფილ სიყვარულის სამ ურთიერთმიმართე-ბას: სიყვარულს, როგორც „რომანტიკულ ექსტაზს“, „ლე-გალურ კონტრაქტსა“ და „სკეპტიკურ ილუზიას“, 125 წლის მანძილზე კინოეკრანი არაერთხელ აირეკლავს. აირეკლავს იმ ფილმების მსგავსად, რომელიც სიყვარულს კვლავაც წარმოგ-ვიდგენს, როგორც „ეგზისტენციალურ პროექტსა“ და „ჭეშ-მარიტების ძიებას“.

სიყვარული ახლო დისტანციიდან

„ჩემი გული სრულად გეკუთვნის:
არავითარი სხვა ფესვი ან განტოტება არ გააჩნია“.

ჟოფრე რუდელი

სიყვარულის დროს დგება მომენტი, როცა წყვილი ერთ-მანეთს შორდება ან გაუთვალისწინებელი მოვლენა გან-ცალკევებისკენ უბიძგებს, რის გამოც მათ სიყვარული შორ დისტანციაზე უწევთ. როლან ბარტი წიგნში „შეყვარებულის დისკურსი: ფრაგმენტები“ (*A Lover's Discourse: Fragments, 1977*) სიყვარულის ფენომენს სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს და სიყვარულის უნიკალურ გამოცდილებას, ფიზიკური კავშირისა და წყვილის თანადასწრებულობის იდეის აუცილებლობას, გემის მეტაფორას უპირისპირებს. მისთვის სიყვარული, რომელიც სრულდება, გემის მსგავსად უჩინარდება სივრცეში... იგი არასდროს იკარგება, მიუხედავად იმისა თუ რა მოლოდინებს ვამყარებთ მასზე. სიყვარული აქ მას შემ-დგომაც არსებობს, რაც ხედვითი, სივრცითი არეალი შეიცვა-ლა. მეტიც, მას ძალუძს ახალი განზომილების მიღება.

სპაიკ ჯონსის ფილმი „ის“ (*Hier, 2013*) რომანტიკული სამეც-ნიერო ფანტასტიკაა, სადაც პროტაგონისტი, თეოდორი (ხოაკ-ინ ფენიქსი), „პოსტ-კაპიტალისტურ მომავალში“, ინტიმურ ურთიერთობას ოპერაციულ სისტემასთან (ხმა: სკარლეტ იო-ჰანსონი) ამყარებს. მისი ინტერაქცია კომპიუტერთან, სამან-ტასთან, საყვარელ ადამიანთან დისტანციური ურთიერთობის ეკვივალენტურია. მიუხედავად იმისა, რომ სამანტა ფიზიკურად არ არსებობს, მისი არსებობა ეჭვგარეშეა. თეოდორი ყოველი საუბრისას წარმოიდგენს, რომ ქალის ხმის მიღმა, სადღაც შორს, სამანტას სხეულია. შორს მისგან, როგორც ვარსკვ-ლავები და ზღვა, როგორც პოეტური მითის ყველა სამკაული,

სამანტას შეცნობით ყველაფერს შეცვლის, მისი უსასრულო წარმოსახვით კი ჩუმი დაისი დადგება (რობერ დესნოსი). თეოდორის პოეტური დამოკიდებულების მიღმა ციფრულ სამყაროს ვხედავთ, სადაც ტექნოლოგია ადამიანთა გაუცხოებას, მარტოსულობასა და მათი უკიდურესი ინდივიდუალიზმის ჩარჩოებში გამომწყვდევას იწვევს, ხოლო პროგრესი „განცალკევებულ კატასტროფად“ (ვალტერ ბენიამინი) გვევლინება.

მიუხედავად იმისა, რომ თეოდორი სამანტას ვერ ეხება, დროის დიდ ნაწილს მასთან საუბარში ატარებს და მისი ფიზიკური არსებობის რწმენით ცხოვრობს. თეოდორის ქალისადმი დამოკიდებულება და ვნება არამხოლოდ მისი შეხებით ითვარღლება, არამედ მასთან ყოფნის აუცილებლობით, სიამოვნების, მდელვარებისა და თანაგანცდის სურვილით, რომელიც სხეულებრივი კავშირის მიღმა, სულიერ კავშირს, „გულთა შერწყმასა“ (ჯონ ველვუდი) და საკუთარი თავის შეცნობის სურვილს მალავს. „ნამდვილი სიყვარული ადამიანის მიმართ იმის რწმენაა, რომ სიყვარულით საკუთარ თავზე ჭეშმარიტებას გამოვააშკარავებთ“.⁹ ხოლო, „ჭეშმარიტება აბსოლუტური სიყვარულია: წინააღმდეგ შემთხვევაში, მე უკან ვიხევ, გავრბივარ, არმიის მსგავსად, რომელიც უარს ამბობს ალყის შემორტყმაზე“.¹⁰

თეოდორისთვის სამანტა ჭეშმარიტებაა, უხილავია, თუმცა ნამდვილი და ცოცხალი, მაშინაც კი, როცა პროგრამის მიღმა უსხეულო არსება იმალება. მატერიალური კავშირი რეალურ გამოცდილებად ქალის ხმით იქცევა, რომელიც მამაკაცისთვის იმ ფიზიკური გამოცდილების ტოლფასია, რომელსაც მაყურებლისთვისაც მოაქვს ილუზიის განცდა, რომ ხმა, რომელიც პროტაგონისტს ყურსასმენიდან ესმის, ისმის მთელს ოთახშიც, სადაც თეოდორის ტკივილი და მარტოობა, მრავალრიცხოვან მეილებსა და ფინჯან ყავას შორის იკარგება. მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირი ტექნიკურ მოწყობილობას ეფუძნება, წარმოსახვა და ლტოლვა, სიყვარულის დაუძლეველი წყურვილი, კერძო სივრციდან ინაცვლებს საჯარო სივრცეში, კერძოობის

გრძნობის დაუკარგავად, იქ, სადაც ხალხმრავლობაა ან მარტო ყოფნა. სიშორე, როგორც სავალდებულო მოცემულობა, წარმოსახული სიახლოვით იძლევა ყოველ ჯერზე, როცა თეოდორი ბალიშს ეხუტება. პირველი სექსუალური აქტი, რომელიც მაყურებელს ხშირად მიეცემა, როგორც ილუზიებისა და სტერეოტიპების პირველწყარო, როგორც ლია კარი, სადაც სიამოვნებით სიამოვნება მაყურებელსაც გმირებივით ხელეწიფება. სპაიკ ჯონსთან ადამიანსა და პროგრამას შორის სექსუალური აქტი მაყურებლის მიერ დანახული შავი, ღამესავით ბნელი ეკრანის ფონზე ხდება, სადაც ეროტიკული იმპულსები მსახიობების მიერ წარმოთქმული სიტყვებითა და ხმებით მოგვეცემა. ფიზიკური პენეტრაცია იცვლება მეტყველების აქტით, სადაც სამანტას ღრმა სუნთქვა და ნაზი კვნესა, ფიზიკური სიახლოვის ილუზიას ხილულზე მეტად რეალურს ხდის. მაყურებელი ვერბალური პარატით იგებს, როგორ ეხებიან, ეფერებიან, რა ტიპის სექსუალური კავშირი აქვთ გმირებს, რაც წარმოადგენს თანასწორთა სურვილების ხორცშესხმას: „ლოყით ლოყაზე მოგედებოდი“; „ძალიან ნაზად ტუჩის კუთხეში გაკოცებდი“; „მკერდზე გაკოცებდი“; „დაგაგემოვნებდი“. თეოდორის სივრციდან ფიზიკური გაქრობით, რეჟისორი მასსა და სამანტას თანასწორ კიბერშეყვარებულებად წარმოგვიდგენს. აქ განიცდიან ისინი ფანტომური შეგრძნებების ფსიქოლოგიური ფენომენის არსს, პირად საჭიროებებსა და სურვილებზე დაფუძნებულ, მინიერ მისწრაფებებს. მაყურებელს ეძლევა საშუალება შავი ეკრანი საკუთარი ფანტაზიით შეავსოს, ფილმის ფინალში კი უსმინოს თეოდორს, რომელიც წერილს უძღვინის სამანტას. და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა წერილი გაუცხოებული შრომის პროდუქტის ნაცვლად (მუშაობს კომპანიაში, სადაც სასიყვარულო წერილების წერა ევალება) სიყვარულის პროდუქტი ხდება. „ყოველთვის მეყვარები, რადგან ერთად გავიზარდეთ. მეხმარებოდი, რათა გავმხდარიყვი ის, ვინც ახლა ვარ. ვინც არ უნდა გახდე, სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის ჩემი მეგობარი იქნები. სიყვარულს გიგზავნი.

— თეოდორი“. ყველა იმ წერილის შემდეგ, რომელსაც თეოდორი სხვათა სახელით წერს წარმოსახვითი ადრესატისთვის, რომელიც საკუთარი რეალური ოცნების განხორციელებისთვის სჭირდება (შეიყვაროს და შეიყვარონ), მხოლოდ ფინალში წერს იმ ერთადერთ წერილს, რომელიც წარმოსახვითი გამოცდილების გარდა რეალურს ეფუძნება.

თუ სპაიკ ჯონსის ფილმში თეოდორი დაპროგრამებულ ხმასთან აპამს სასიყვარულო ურთიერთობას, პედრო ალმოდოვარის მაგნუმ ოპუსში — „ესაუბრე მას“ (*Hable con ella*, 2002) თითქმის მხოლოდ მამაკაცები საუბრობენ, თუმცა მათი მეტყველების აპარატი და ემოციები უშუალოდ ქალებს მიემართებათ. „ამ თანამედროვე ზღაპარში, მეტყველების უნარი ინტიმურ ურთიერთობას მოკლებული საზოგადოების მიერაა დაშლილი, რაც ქალის დაკარგვითაა გამოხატული [...] მამაკაცების განთავისუფლების საიდუმლო ალისიას სხეულში იმაღლება“.¹¹

ორი პროტაგონისტის, ბენინიოს და მარკოს ისტორია, არ-სებულ პატრიარქალურ საზოგადოებაში გაუცხოებული, კრიზისში მყოფი მამაკაცების ისტორიაა, რომელთაც ფილმის განმავლობაში საერთო სურვილი, სამეტყველო აპარატისა და დაკარგული სიყვარულის დაბრუნება აერთიანებთ. ტრანსფორმაციის პროცესში, ფიზიკურ ჟესტებსა და სიტყვებს ცენტრალური როლი აკისრია. ამ გზით, „ფილმი ახერხებს დაგვარწმუნოს, რომ თითოეული ფიზიკური ქცევა შესაძლოა პოტენციურად გამოხატავდეს სიყვარულის აქტს“.¹² ბენინიოს თითოეული ქმედება „გარდაცვლილი ალისიასადმი“ ლტოლვა-სა და სიყვარულს მოიცავს, ემსგავსება რა ორფეოსს ევრიდიკეს დაკარგვის შემდგომ, რომლის „მნიურვალ, მოუთმენელ თვალებს... მისი სახის მზერა სურს, როს ეს მზერა ბოლო იყოს“.¹³ ევრიდიკე, სიყვარულის უკვდავსაყოფად, მოთმინებას რომც თხოვდეს, „რომ დაგიყვირო, არ დაეჭვდე, არ შემობრუნდე ასე უეცრად“ (*Arcade Fire*). და ბენინიო „ალიგზნოჰანგით, სრულ სმენად იქცა, როს ორფევსი ლალად მღერო-

და. ჯერად შენ იყავ ის, ვინც მაშინ ილტვოდა აქეთ, ოდნავ შემცბარი, ხე როდესაც დიდხანს ელოდა, რომ შენთან ერთად ხმოვანების კვალს მიჰყოლოდა¹⁴. ბენინიოს უტოპიური რწმენა აქვს, იგი სამარადუამო სიყვარულსა და მასთან სრულყოფილ შერწყმას უმღერის. უმღერის კაეტანო ველოზუს მსგავსად, ფილმის ერთ-ერთი ამაღლვებელი სცენისას: „მისი სულის გარდა, არაფერს მიველტვი და კვლავ ველოდები სევდიანი მის დაბრუნებას“.

ძელი დროის დაბრუნებისა და ტრაგედიასთან შეგუების მოტივი თამაშდება დეიმონ ლინდელოფის სატელევიზო პროექტში „მიტოვებულები“ (*The Leftovers*, 2014-17), რომლის დასაწყისშიც ვხედავთ, რომ დედამიწის 2 პროცენტი მოულოდნელად ქრება (14 ოქტომბერს). შემდგომ ვეცნობით სერიალის პროტაგონისტებს – კევინს და ნორას და ვიგებთ, რომ კატასტროფამ ქალს ქმარი და ორი შვილი გამოსტაცა თვალთახედვიდან. კევინს უშუალოდ ამ მოვლენის შედეგად არაფერი დაუკარგავს, თუმცა საკუთრივ ცხოვრებამ დატოვა უცოლშვილოდ. მათ, ისევე როგორც სხვებს, ფაქტის გავლენით უწევთ ცხოვრების გაგრძელება. ვიგებთ რომ მტკიცნეული მოვლენა შეიძლება დაითრგუნოს, თუმცა იქამდე სანამ არ მოხდება მისი გააზრება, მასთან ერთად ცხოვრების სწავლა და სრულიად ავტონომიური სოციალური ურთიერთობების წარმოება, მოვლენა ყოველთვის იჩენს თავს. ეს ეხება როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ მეხსიერებას. შესაბამისად, ნორასა და კევინისთვის, მთავარი ხდება „ცხოვრების განუსაზღვრელ სიმწარესთან“ (უილიამ ბატლერ იეიტსი) შეგუება და ამ გზით ჭეშმარიტი კავშირის მოპოვება, რათა მათი გულები ერთმანეთს შეერწყას, ხოლო კულულებმა მკერდი იპოვოს (იეიტსი).

თანამედროვე „დეკალოგში“ (*Dekalog*, 1988) მთავარი შეკითხვა მიემართება არა იმას თუ რატომ და როგორ მოხდა აღნიშნული ტრაგედია, არამედ იმას, თუ რა ხდება მას შემდგომ სამყაროში, რომელიც გაცხადებულად ქაოსური და აზრდა-

კარგულია. მთავარი აქცენტი დაკვირვების ფენომენზე კეთ-დება. მართალია, სიუჟეტი დროდადრო ალუზიებითა და სიმ-ბოლისტური პოეზიით ივსება, თუმცა წინა პლანზე ყოფა და ყოფით ნანარმოები ცხოვრებისეული ასპექტები ინაცვლებს. უმთავრესი ხდება გმირების განწყობები, ტრავმებთან შეჭიდე-ბა და მათი გადაჭრა. პირველ სეზონში ყურადღება მახვილ-დება გმირების ტრაგედიის შემდგომ სახეცვლილებაზე, რაც მათ ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ახლოდან გვიჩვენებს. მეორე სეზონიდან მაყურებლის დაკ-ვირვების პერსპექტივა იცვლება, რადგან იცვლებიან თავად გმირები, რომლებიც ცდილობენ ნანგრევებიდან ამოსვლას და ცხოვრების რეკონსტრუქციას. მაშინ, როცა კევინი იწყებს სა-კუთარ ტკივილზე რეფლექსიას, სუიციდის სურვილი უჩნდება და წარმოსახვით სამყაროში იწყებს მოგზაურობას, იდენტიფი-ცირდება მესიათან. რიგ ეპიზოდში გმირი ავტორიტარი ლიდ-ერი ხდება, რეალურად კი სულ უფრო მეტად უცხოვდება სა-კუთარი თავისაგან, შიშების გადასალახად იგი არ უღრმავდება საკუთარ მეს. კევინის ფსიქიური დაავადება ამ შემთხვევაში ქვეცნობიერში მისამართდება, რაც ეკრანულად მასზე მუდ-მივი დაკვირვებით აისახება (ნორას ცხოვრებაზე ტრაგედიის კვალი კიდევ უფრო მტკივნეული ფორმითაა გამოხატული). ამ გზით მაყურებელი ხედავს თუ რამდენად მძიმე გზას გადის კევინი „ჭეშმარიტ სამყაროში“, „სახლში“ დასაბრუნებლად.

კევინსა და ნორას სიყვარული დიდებისთვის სჭირდებათ. „რწმენის განახლება სიყვარულის დაპირებაში და იმედის ქცე-ვა შეთანხმებად“¹⁵ – წყვილისთვის ბრძოლის მოტივად იქცევა სერიალის ფინალურ აკორდამდე. დაუსრულებელ წინააღმ-დეგობას ისინი აზრდაკარგულ და კატაკლიზმებით სავსე სამყაროში, ახალი რეალობის, სიყვარულის დაბადებისთ-ვის გადიან. სიყვარულის ტრიუმფისთვის არ კმარა მხოლოდ გრძნობა, სიყვარული აქ არის ნების აქტი, რომელიც მოითხოვს მუდმივ მოქმედებას. „გიყვარდეს ვინმე არ ნიშნავს მხოლოდ მისდამი ძლიერი გრძნობის ქონას; ეს არის გადაწყვეტილება,

აღთქმა და პირობის გაცემა. სიყვარული მხოლოდ გრძნობა რომ იყოს, არანაირი საფუძველი არ ექნებოდა ერთმანეთი-სადმი სამარადჟამო სიყვარულის დაპირებას“.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ სერიალის გმირებს, რომელთაც მხურვალედ უყვართ, საკუთარ თავში არსებული შიშების დაძლევა, დიდი ომისა და გარდატეხის გავლა უწევთ, ურთიერთშემეცნებით ისინი ფენომენის არსა წვდებიან. ხდებიან „სიყვარულში ზღვის წყლის დარად ვრცელი“ ჩიტები (პაბლო ნერუდა), ხოლო მათი „მიმქრალი სიცილის ჩრდილში“ სამყაროს არსი იმალება (პიერ პაოლო პაზოლინი).

კაპიტალიზმი: იდეოლოგიური და რეპრესიული აპარატები

„მმართველი იდეები სხვა არაფერია თუ არა გაბატონებული მატერიალური ურთიერთობების იდეალური გამოხატულება“.

კარლ მარქსი

ფრანგი მარქსისტი ფილოსოფოსი, ლუი ალთუსერი, ესე-ში „იდეოლოგია და იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები“ (*Ideology and Ideological State Apparatuses*, 1970) ორ ტერ-მინს: „იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატსა“ და „რეპრესიულ სახელმწიფო აპარატს“ ამკვიდრებს. „რეპრესიული სახელმწიფო აპარატი“ არის ინსტრუმენტი, რომელსაც მმართველი კლასი მუშათა კლასზე კონტროლის გასამყარებლად იყენებს (სამხედრო ძალებით, მართლმსაჯულების სისტემით, მთავრობით, ციხით და ა.შ.), „იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი“ კი მოიცავს სკოლებს, ეკლესიებს, ოჯახს, მედიას და ამასთანავე იმ აპარატებს, რომლისგანაც მთავრობა კანონმორჩილი მოქალაქის ხატს ქმნის. აპარატებს საბოლოოდ კლასობრივი დომინაციის გამყარება და არსებული სოციალური ურთიერ-

თობების შენარჩუნება ევალებათ. „რეპრესიული სახელმწიფო აპარატების როლი რეპრესიის გზით (იქნება ეს ფიზიკური თუ სხვა სახის) არა მხოლოდ საწარმოო ურთიერთობების/ექსპლუატაციის კვლავწარმოებისთვის საჭირო პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფაა, არამედ იმ გარემოს უზრუნველყოფაც, რომელშიც იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები ეფექტურად შეძლებენ ფუნქციონირებას“.¹⁷ მათ მოქნილობასა და „ავტორიტარულობას გაპირობებს ის, რომ ისინი სახელმწიფო აპარატებია, სახელმწიფო კი ახალი წარმოება (ადამიანების წარმოება)“.¹⁸

კაპიტალისტური სახელმწიფოს ნორმალიზებულ სისასტკეესა და ახალი ადამიანების წარმოებაზე საუბრობენ ძმები დარღენები მათ მთავარ ფილმში „როზეტა“ (*Rosetta*, 1999). „როზეტა არის გოგონა, რომელიც ომშია ჩაბმული, უტევს ციხეს და ცდილობს მასში შეღწევას. ეს ციხე კი საზოგადოებაა. იგი თავად არის საპყრობილე. გრძნობს, რომ აქ მისი ადგილი არაა და შეიძლება გაქრეს კიდეც. შემდგომ მოულოდნელად აცნობიერებს, რომ მას ვიღაც აცოცხლებს“.¹⁹ მისი ხასიათი, უკომპრომისო ქცევა, იმპულსურობა, სამყაროსგან მოწყვეტილ ადგილას (ტყესთან ახლოს მდებარე პარკთან მიგდებულ ტრაილერში, რომელსაც ირონიულად „დიდი კანიონი“ ჰქვია) ცხოვრება მისი იდენტობის ნიშნებით. ის რიგითი მაყურებლისთვის უცხო ხდება. როზეტა ტიპური უკლასო ლუმპენპროლეტარის სახეა, რომელსაც ძმები ყოველგვარი პათეტიკისა და რომანტიზაციისაგან დაცლილად წარმოგვიდგენენ. პირველივე სცენისას მაყურებელი ხედავს თუ როგორ აგდებენ როზეტას სამსახურიდან. ვხედავთ კაპიტალიზმის ლოგიკას, რომელიც რიგით მუშას ახსნა-განმარტების გარეშე ითხოვს.

სამსახურის დაკარგვის შემდგომ პროტაგონისტი სხვადასხვა დამსაქმებელთან მიდის და მათ საკუთარ თავს „სთავაზობს“. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა საბედისწერო აღმოჩნდება. როზეტა საკონდიტროში იწყებს მუშაობას, სადაც რიკის გაიცნობს. რიკი ყველაფერს აკეთებს, რათა დაუახლოვდეს

გოგოს, თავისიანად მიიღოს და მის მიმართ სიყვარულიც გა-
მოხატოს. სამი დღის მუშაობის შემდგომ როზეტას უფროსი
სამსახურიდან ითხოვს (მის ადგილს კვალიფიციური კადრი
იკავებს). მიუხედავად რიკის კეთილგანწყობისა, ერთ-ერთი
სცენისას (როცა რიკი ტბაში იხრჩობა) მაყურებელი ახლო ხედ-
ით ხედავს გმირის დილემას. იგი რამდენიმე წამით გაიფიქრებს
და გონებაში უშვებს, რომ სამსახურში დაბრუნების სურვილის
გამო, შესაძლებელია ადამიანის განირვა (დარდენების ფილმის
„ბავშვის“ (*L'enfant*, 2005) პროტაგონისტი ბრუნო, საკუთარ
შვილს ყიდის ნარკოტიკის სანაცვლოდ). ამჯერად გადაი-
ფიქრებს, თუმცა მალევე დააბეზღებს უფროსთან, გამოაშ-
კარავებს რიკის წვრილმან ქურდობას და საკონდიტროში მის
ადგილს დაიკავებს. ვხედავთ თუ რაზეა ადამიანი ამ სივრცე-
ში დამკვიდრებისთვის წამსვლელი და რა ლოგიკით იმართება
გაბატონებული ეკონომიკური წესრიგი. დარდენები აღნიშნული
სცენით მოჩვენებითი კეთილდღეობის სისტემას აშიშვლებენ
და თავისუფალი ბაზრის იდეას ორი მიმართულებიდან აკრი-
ტიკებენ. ერთი მხრივ, ეკონომიკური პარადიგმიდან, ხოლო მე-
ორე მხრივ – ეთიკურიდან.²⁰

ფილმის ფინალური აკორდისას, როზეტა დამქირავე-
ბელს ურეკავს და აცნობს რომ ხვალიდან სამსახურში აღარ
გამოცხადდება. ამის შემდგომ კი ტრაილერში იკეტება (დე-
დასთან ერთად) და „ოთახში“ გაზს უშვებს. თვითმკვლელო-
ბის (ამავდროულად მკვლელობის) აქტი სამყაროდან გაქცევის
ერთადერთ გზად გვევლინება, ისევე როგორც შეცდომების
გამოსწორების. პროტაგონისტის დეპუმანიზებული იერსახის
შექმნის მიუხედავად, ძმები დარდენები ნარატივის რელსე-
ბიდან უხვევენ და რადიკალურად განსხვავებულ ფინალს
გვთავაზობენ. გოგონა კიდევ ერთი ბალონის მოტანის მიზნით
ტრაილერს ტოვებს, მაყურებელს კი მოულოდნელად რიკის
მოტოციკლეტის გამაყრუებელი ხმა ესმის. მისი დანახვისას
როზეტა ისტერიკაში ვარდება, თავდაპირველად ქვებს ესვრის,
შემდგომ წაიქცევა და აგონიაში ჩავარდნილი ტირილს იწყებს.

მას რიკი წამოაყენებს (კამერა მამაკაცის ნაცვლად მხოლოდ მის ხელს გვიჩვენებს). დასკვნით კადრში როზეტა უყურებს მას, მაყურებელი კი გოგონას ნამტირალევ და ჩაფიქრებულ თვალებს ხედავს; შეგვიძლია გავიხსენით ჩაპლინის „დიდი ქალაქის ჩირალდნების“ (*City Lights*, 1931) ფინალი, სადაც თვალებახელილი ქალი მდიდარი და წარმატებული სატრფოს ნაცვლად, მანანალას ხედავს. აქ ინგრევა სიყვარულის იდეა. სლავოი ჟიურეკი დოკუმენტურ ფილმში, „გარყვნილის კინოგიდი“ (*The Pervert's Guide To Cinema*, 2006) ჩაპლინის ფინალს პესიმისტურად კითხულობს. საუბრობს „გაიდეალებულ სიყვარულზე“ და აღნიშნავს, რომ მოცემული სიბრმავე ჩვენივე სიბრმავის მეტაფორაა, რადგან არ შეგვწევს ძალა მივიღოთ ადამიანი ისეთად, როგორიც იგი რეალურად არის. ხოლო, როცა სატრფო იდეალიზებული ჩარჩოდან გამოდის, სიყვარული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება: „როცა ორი ხელი ხვდება ერთმანეთს, გოგო საბოლოოდ იგებს იმას, თუ ვინ არის მანანალა რეალურად. ეს მომენტი ყოველთვის უკიდურესად საშიში და პათეტიკურია. სატრფო გამოდის იდეალიზებული კორდინატების ჩარჩოებიდან და საბოლოოდ აშკარავდება მისი ფსიქოლოგიური სიშიშვლე. „მე ვარ ეს, ისეთი როგორიც რეალურად ვარ“. დარღების როზეტას ფინალი კი ამაღლებულ განწყობაზე გვტოვებს. ყველაფრის მიუხედავად, რიკიმ როზეტა თავისიანად მიიღო. ჩნდება განცდაც, რომ მამაკაცს როზეტაც სიყვარულით პასუხობს. ეს სიყვარული კი გმირის სოციუმში დაბრუნებისა და ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყების მამოძრავებელი ძალა ხდება. სოლიდარობის სიმბოლური გამარჯვების აქტი.

კაპიტალისტური სახელმწიფოს დეპუმანურ ბუნებაზე საუბრობს ევროპული სოციალური კინოს მეტრი, კენ ლოუჩი, ბოლო ფილმში „ბოდიშით, ვერ მოგისწარით“ (*Sorry We Missed You*, 2019). თუ ფილმში „მე, დენიელ ბლეიქი“ (*I Daniel Blake*, 2016) ლოუჩი კეთილდღეობის სისტემის ბიუროკრატიულ და მჩაგვრელობით ხასიათზე საუბრობს, რეჟისორი

ამჯერად *Gig economy*-ის აღზევებასა და ადამიანებზე მის ზეგავლენაზე მოგვითხრობს.²¹ მოქმედების ცენტრში ბრიტა-ნელი ქვედა კლასის ოჯახი ექცევა. შემოსავლის წყაროს და გირაოს დაკარგვის შემდგომ, საბინაო კრიზისისას, რიკის და ების გადარჩენისთვის 14 საათიანი სამუშაო რუტინით (კვირა-ში 6 დღე) უწევთ ცხოვრება. რიკი კომპანიის მძლოლი, რი-გითი კურიერია. ები მოხუცების მომვლელი. დაუნდობელი გრაფიკი, დაქანცულობა, გაუცხოებული შრომა და შინაგანი ბრაზი, მათ ოჯახურ ინტერიერში იჩენს თავს (მათ ორი შვილი ჰყავთ, და-ძმა) და საბოლოოდ ოჯახურ ძალადობაში სუბლიმ-ირდება. არსებობის სისასტიკეს სოციალური უსაფრთხოების არარსებობა ამძიმებს, რაც გმირებს ერთდროულად ამყოფებს ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და ეკონომიკურ ჯოჯოხეთში. ხოლო „დამსაქმებლები მაქსიმალურ მოქნილობას იძენენ ისეთ სერ-ვისებზე უარის თქმით, როგორიცაა: მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფა, უმუშევრობის დაზღვევა, ზეგანაკვეთური შრომა, საოჯახო და სამედიცინო შვებულება, ქმედუუნარობის დაზღვევა, კოლექტიური გარიგებების უფლებები, ტრავმების ან დღის განმავლობაში დაგროვებული ხარჯების რაიმე სახით კომპენსაცია“.²²

ლოუჩი ნეოლიტურალური კაპიტალიზმის სისასტიკესა და მის თანმდევ შედეგებს, მშრომელთა კლასის ცნობიერების რღვევისა და სისიყვარულო ურთიერთობაში ყოველდღიური სიმძიმის ჩვენებით ახერხებს. ის მცირე დრო, რომელიც წყვილს სამუშაო სივრცის მიღმა რჩება, არც შვილებზე საკ-მარისი ყურადღებისთვის ყოფნით (მათ ინტერესებსა და მი-სწრაფებებში ჩასაღრმავებლად, საჭირო და დროული რჩევე-ბის, ლირებულებების, ცოდნისა და სიყვარულის გასაცემად) და არც ერთმანეთთან ინტიმური ურთიერთობებისათვის. მათი თვალები მუდმივად ირეკლავს უწინდელი ოცნების იმ-იჯს, ღამით მდინარეზე ჩასვლას და მასში ჩაყვინთვას (ბრი-უს სპრინგსტინი). ხოლო წყვილის ამჟამინდელი „თავისუფალი დრო არ დგას შრომასთან წინააღმდეგობაში. იმ სისტემაში,

სადაც ბოლომდე დატვირთული სამუშაო იდეალურ ნიმუშად გვევლინება, თავისუფალი დრო სხვა არაფერია თუ არა შერჩევლობის აჩრდილის გაგრძელება²³. ურთიერთგაგებისა და მზრუნველობის აქტი, თავისუფალი დროის ცალკეულ მომენტებში, ოჯახური ძალადობითა და კონფლიქტებით იცვლება. „მე, დენიელ ბლეიქში“ ლოუჩი თუ მუშებს შერჩევის ნაწარმოები სოლიდარობის მომენტებით, გამოსახულებას გარკვეული იმედებით მუხტავს, აქ ეკრანი სრული პესიმიზმით ივსება (განსაკუთრებით ფილმის ფინალში, ლოუჩის შემოქმედებაში ყველაზე ნიჰილისტური მიზანსცენით).

რიკი ერთი მხრივ, ვერ ახერხებს დაგროვებული ბრაზის ძალაუფლებრივ სისტემაზე მიმართვასა და გარკვეული ბრძოლის გაჩაღებას, მეორე მხრივ კი, „ჩამორთმეული აქვს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და ექვემდებარება არა ბუნებრივ, არამედ გაუცხოებული შერჩევის შედეგად განვითარებულ ფსევდობუნებრივ წესრიგს“²⁴. წყვილის ცხოვრების რეკონსტრუირებისთვის სოციალური ურთიერთობების გარდაქმნა უალტერნატივო გზად გვევლინება, რათა ქორწინებამ დაკარგოს „მატერიალური გაანგარიშების ელემენტი, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას ამძიმებს“²⁵. ზნეობრივ ურთიერთკავშირად არამხოლოდ სიყვარულით შექმნილი ერთობა ჩაითვალოს, არამედ სიყვარული, რომელსაც შესწევს განგრძობითობის ძალა (ფრიდრიხ ენგელსი).²⁶ ამ ძალის აღმოჩენამდე, ფილმის ფინალში, რიკი საკუთარ ექსპლუატაციას და კაპიტალის შრომაზე ბატონობას აწერს ხელს. ამით ლოუჩი მუშათა კლასის გამოუვალ მდგომარეობას გვიჩვენებს, რიკის კი „ნების ოპტიმიზმის“ (ანტონიო გრამში) შესაძლებლობის მიღმა ტოვებს; მიუხედავად ისტორიის ამ მონაკვეთისა და ვეტერანი რეჟისორის უიმედო ფინალისა, რასაც თანამედროვე სამყაროში დაგროვებული უსამართლობების წინააღმდეგ მუდმივი მარცხი განაპირობებს, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ „ნარმოების ყველა ინსტრუმენტზე ძლიერი პროდუქტიული ძალა თავად რევოლუციური კლასია“²⁷.

ნეოლიბერალიზაციის შედეგად ატომიზირებულ საზოგადოებაზე საუბრობს თანამედროვე პოლივუდის სტენლი კუბრიკი — პოლ ტომას ანდერსონი, მოკლემეტრაჟიან ფილმში „ანიმა“ (*Anima*, 2019), სადაც მოქმედება ყველასთვის ნაცნობი, ყოფითი სივრციდან, მეტროს ვაგონიდან იწყება. ალბათ, ყველაზე სევდიანი საზოგადოებრივი სივრციდან, სადაც საღამო ხანს შეიძლება მოვხვდეთ. ხალხი ყოველდღიური სამსახურებრივი რუტინიდან სახლში ბრუნდება. დახუჭული თვალები, იდენტური ჩაცმულობა, მონოგრონური და ერთგვარი მოძრაობები — სივრცეში დეპუმანიზაციის შეალას ზრდის და ჯგუფის საერთო მდგომარეობას, მათ ფსიქოსოციალურ დარღვევებს, შფოთვას, სასონარკვეთას, აპათიას, უძლურებასა და მარტოობას ააშკარავებს. ამასთანავე, ანდერსონი მეტაფორულ დონეზე გვიჩვენებს თუ როგორ ხდება გვიანდელ კაპიტალიზმში ადამიანის გაუცხოება, როგორც საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან, ასევე უშუალოდ შრომასთან. გვახსენებს ძველ და დღემდე აქტუალურ მოსაზრებას, რომ საზოგადოება არა ინდივიდებისგან, არამედ იმ სოციალური ურთიერთობებისაგან შედგება, სადაც ადამიანებს თანაარსებობა უწევთ. შესაბამისად, მათი ქცევები არა დამოუკიდებელი, არამედ დასწავლული და სისტემისაგან ნაკარნახევია. „'ყალბი ცნობიერების' ყველაზე უხეში ფორმა საკუთარ თავს ყოველთვის მაშინ ამჟღავნებს, როდესაც ეკონომიკური ფენომენის გაცნობიერებული ბატონობაა მკაფიო“.²⁸

წესრიგს პროტაგონისტი (ტომ იორკი) არღვევს, რომელიც სიბრმავიდან დროებით გამოსული, მზერას ქალისაკენ მიმართავს. კონფლიქტი მას შემდგომ წარმოიშობა, რაც მას მეტროში საჭმლის კონტეინერი რჩება და მის დაბრუნებას გადაწყვეტს. ატომიზირებული მასა დახმარებაზე უარს ამბობს, რადგან ეს წესრიგიდან გასვლას ნიშნავს. ამ მონაკვეთს კი იდეალურად აფორმებს იორკის ჰიპნოზური კომპოზიცია *Not the News*, ლირიკული შეკითხვით: *Who are these people? I'm in black treacle.*

მეორე მოქმედება ნივთის დაპრუნებას ეთმობა და ანდერ-სონი სიურრეალისტური კინოენით, დისტოპიურ სამყაროს წარმოგვიდგენს. რეჟიმს, რომლის შემქმნელებსაც ვერ ვხე-დავთ, თუმცა ვხედავთ უშუალოდ შედეგს – „ტოტალიტარული მორჩილების ახალ წესრიგს“, დამონებულ რობოტთა ქორეო-გრაფიას. მათი ქცევები და მოტივები არა რეალური სურვი-ლებითა და საჭიროებებითაა ნაწარმოები, არამედ „მანქანის“ მიერ ისაზღვრება და იმართება. შესაბამისად, ისინი ყალბი ცნობიერების პროდუქტებს წარმოადგენენ. სწორედ აქ ირთ-ვება მონტაჟის მეშვეობით ტომ იორკის *Traffic* სახედაკარგუ-ლი ადამიანების ჰიმნი, ირონიით სავსე კომპოზიცია, რომელიც ბასრ ლირიკასა და პარანოიდულ საცეკვაო მელოდიას აერთი-ანებს (*Show me the money, Party with a rich zombie...*). ადამი-ანები მოცულნი არიან „ყალბი საჭიროებებით, მათი რეპრესი-ისთვის ნაკარნახევი ცალკეული სოციალური ინტერესით, რაც აწესებს მძიმე შრომას, აგრესიულობას, სიღატაკესა და უსა-მართლობას. [...] ასეთ საჭიროებებს საზოგადოებრივი შინაარ-სი და ფუნქცია გააჩნია, განისაზღვრება რა გარე ძალებით, რომელსაც პიროვნება ვერ აკონტროლებს“.²⁹

მესამე მოქმედება პროტაგონისტის გამოლვიძებით, უფრო ზუსტად კი დასკვნით სიზმარში გადასვლითა და ალბომის მთავარი მშვენების *Dawn Chorus*-ის ჩართვით იწყება. პერ-სონალური და მელანქოლიური პოეზიის გავლით, ანდერსონი რომანტიკული ორობითობის მითს ქმნის. სიზმრის ელეგიას, რომელიც სურათის ყველაზე დრამატული მონაკვეთია ჯადოს-ნური ცეკვით. სწორედ აქ ვხედავთ მაყურებლისთვის ავთენ-ტურ იორკს, რედიოჰედის სულისკვეთებითა და მარტოსული გამოღვიძებით, სადაც ქალი ხდება „მის სულზე დაკიდებული სამუდამო ცრემლი“ (ჯეფ ბაკლი); ანდერსონი მისთვის და-მახასიათებელ მელოდრამატულ ესთეტიკას იყენებს, რათა კინოსახიერების მეშვეობით შექმნას და დაგვანახოს ის აურა, რომელიც ერთადერთ და აუხსნელ ფენომენად გვევლინება სამყაროში: „ადამიანის ეკლესია, სიყვარული, ამგვარად წმინ-

და ადგილი“ (დევიდ ბოუი). უსიტყვო სიყვარული, რომლის არსაც, რიჩარდ ლინკლეიტერი, მისი ტრილოგიის პირველი ფილმის, უანრის მშვენების, „მზის ამოსვლამდე“ (*Before Sunrise*, 1998), ცენტრალური სცენისას აღწერს. ჯესის და სელინს ფირფიტების მაღაზიის პატარა, მჭიდრო ოთახში მოათავსებს (კ.ბლუმის *Come Here*-ის ფონზე), კამერას იქვე დაბალ კუთხეში. წყვილი ილიმის და თვალებში მზერის არიდებით, მონაცემლეობით აშტერდება ერთმანეთის ტუჩებსა და სახეს. და მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ფიზიკურ კონტაქტს ვერ ვხედავთ, მათი ურთიერთმიმართება უწყვეტ კადრში დაუვინარ იმიჯს ქმნის. ჩრდილოეთიდან მონაბერ ქარს, საითაც სიყვარული იხმობთ.

ქალაქი და სიყვარული

„ხეები ხეებს ესვრიან ჩრდილებს,
ღამის სახლებში ქრება სინათლე.

იქნებ ორივე მარტოსული ვართ?
იქნებ წავიდეთ მყუდრო ადგილას,

და მაგისტრალზე, მანქანების რიგების გავლით,
გვეოცნება ამერიკაზე, ბოლო წვეთამდე
რომ დაცლილა სიყვარულისგან“.

ალენ გინსბერგი

კინოს ისტორია ურბანიზმსა და ქალაქებს ისტორიული თვალსაზრისით დაუკავშირდება, როცა „თანდაყოლილი ურბანიზმის“ გათვალისწინებით, ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ აღზევებული კინო, მალევე იქცევა

„ბალაგანებისა და ბაზრობების ხელოვნებად“ (ისევ ურბანული სივრცის ელემენტები), რომლის მკვლევრებიც აღიარებენ, რომ „კინო ურბანული აღმოჩენაა, დაბადებული ლიონის გარეუბნებში, რომელმაც პირველი ნაბიჯები გადადგა პარიზის გრანდ ბულვარში. ლუმიერების სურათები მოწმეებია იმდროინდელი ქალაქების“.³⁰ (მიშელ მარი).

ადრეული პერიოდიდან დაწყებული, კინოს „თანდაყოლილი ურბანიზმის“ მიმართ არაერთხელ გაიჟღერებს ბრალდებაც, რომ „გარე სამყაროს სტერილური ასლი თავისი ქუჩებით, ინტერიერებით, სადგურებით, რესტორნებით, მანქანებითა და პლაზებით, უჭიველად არის ის, რაც კინოს ხელოვნების საუფლომდე ამაღლებაში დღემდე ხელს უშლის“ (ალექსანდრ არნუ).³¹ მსგავს აზრს დაუპირისპირდება მოსაზრება, რომ სწორედ „ქუჩები, ინტერიერები, სადგურები, რესტორნები, მანქანები და პლაზები“ შეაძლებინებს კინოს „ფიზიკური რეალობის გადარჩენასთან“ ერთად (ზიგფრიდ კრაკაუერი), მეხსიერების უზარმაზარი საცავის შექმნასაც. ისტორიის ადრეული ეტაპიდან, ქალაქები თავისი გარეუბნებით, ხალხ-მრავალი ანდა ცარიელი ქუჩებით, არაერთხელ იქცევა „კინემატოგრაფიულ სივრცეებად“ (კრაკაუერი). „ადრეული პერიოდიდან 1990 წლამდე, ფილმების 80 პროცენტი გადაღებულია ურბანულ გარემოში“³² (მიშელ მარი).

კინოს, როგორც ხელოვნების ფორმისა და ქალაქის, როგორც სოციალური ორგანიზების ფორმის ურთიერთგადაკვეთით, კინოეკრანზე მაყურებელი არაერთხელ ნახავს სოციალური სისტემების დაპირისპირებას პრობლემებთან, რომელთაც მრავალი ადამიანის თანაცხოვრება, პრივილეგიებისა და ძალაუფლების მიღმა დარჩენილი ადამიანისთვის წარმოქმნის.

რადიკალური პოლიტიკური პროცესების ფონზე, ანთროპოლოგიური ცვლილებების დაფიქსირებისას, კინო ურბანულ ლანდშაფტებში არსებულ გარდაქმნებთან ერთად, შეინახავს საზოგადოებასა და მის ცხოვრების წესში არსებულ სოცია-

ლურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცვლილებებს, გარდაქმნილი სოციალური ურთიერთობების კვალსა და ისტორიულ გრძნობებს, სადაც ყოველივეს ექნება იდეოლოგიური საფუძველი.

იდეოლოგიური კოდები თავს გაისაიღუმლოებს ქალაქური ცხოვრების ვიზუალურ-აურალურ კოდებში, სადაც გარდასულთან ერთად, დაბალზამდება დღევანდელი, კონსუმერული საზოგადოების პორტრეტიც: კატასტროფულად გარდაქმნილ, ძალაუფლების სათამაშოდ ქცეულ საჯარო სივრცეებში (ცენტრსა და გარეუბანში), მათ მარადიულ ხმაურსა და ნეონის ღამეულ ნათებებში; მუდმივი ყიდვისა და გაყიდვის ადგილებში, რომლებიც ისე შეიტყუებს მოქალაქეს, როგორც სირენები მეზღვაურებს, რეკლამებით, აფიშებითა და ბანერებით, დამაბრმავებელი „სურვილებითა“ და „ოცნებებით“.

იდეოლოგიური საფუძვლები წარმართავენ ქალაქებში წარმოებულ იმ გრძნობებსაც, რომლებიც ძალადობრივ პასუხს წარმოადგენენ ხილული და უხილავი ძალაუფლებისთვის. ურბანული სივრცის ათვისებას ტექსტში „ქალაქი და სიძულვილი“ (The City and Hatred) უან ბოდრიარი განიხილავს არსებული ძალაუფლების კონტექსტში. კაპიტალიზმის პირობებში, ბოდრიარი რადიკალური გარდაქმნების ფონზე „ნაგავსაყრელად ქცეულ გარეუბნებსა“ და მათში წარმოებულ გრძნობებს გაახილვადებს კინოეკრანზე ასახული რეალობით. ურბანულ ერთეულს, ქალაქსა და სიძულვილს, როგორც დამცავ რეაქციას სისტემიდან წამოსულ ძალადობაზე, ფილოსოფოსი ერთმანეთთან დააკავშირებს მატიო კასოვიცის „ზიზლში“ (La Haine, 1995) რეპრეზენტირებული რეალობით. „ალბათ, იცით, როგორ ასახელა სულ ახლახან ფრანგული კინემატოგრაფი ფილმმა სახელწოდებით „სიძულვილი“. ფილმში საშინელი ვნებები მძვინვარებს, ნაჩვენებია მოვლენები, რომლებიც ქალაქის განაპირა რაიონებში ვითარდება და მსახიობებადაც (შესაძლოა სტატისტებად?!). იქ ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფები გვევლინებიან. ისინი „ზიზლით არიან აღვსილნი“. გამოთქმა „ზიზლით

ვარ აღვსილი“ თითქმის უპიროვნოა, იგი არა იმდენად სუბიექტურ ემოციას გამოხატავს, რამდენადაც ქალაქურ უდაბნოში, უპირველეს ყოვლისა კი, ნაგავსაყრელად ქცეულ გარეუბნებში შობილ ობიექტურ და უმიზეზო რისხვას გვიჩვენებს“.³³

კინოს ისტორიის მანძილზე ზიზღით აღვსილ ადამიანებთან ერთად კინოერანებზე არაერთხელ გაცოცხლდებიან ისინი, ვისაც უფრო მხურვალედ უყვარს, სიყვარულის სურვილით აღვსილი ადამიანები „კინემატოგრაფიულ სივრცეებში“, ქალაქებში, სადაც სასტიკი აწმყოსა და ზოგჯერ უარესი მომავლის შემეცნება ხდება სიყვარულის ბედით.

კინოსთან ერთად ხელოვნების სხვადასხვა დარგშიც, ხელოვანებისთვის ქალაქები ხშირად ფორმირდება „მესხიერების ადგილებად“ (პიერ ნორა), სადაც ადამიანთა ურთიერთობები და გრძნობები განსაზღვრულია უბედურებებით, რომელიც ყველას ელის.

„ექსპრესიონისტი მხატვარი მაქს ბეკმანი 1919 წელს წერდა: „ახლა, უფრო მეტად ვიდრე ომამდე, ვგრძნობ ქალაქებში ყოფნის საჭიროებას – თანამემამულებებს შორის – იქ, სადაც ჩვენი ადგილია. ჩვენ უნდა გავხდეთ ნაწილი უბედურების, რომელიც მალე მოგველის. ჩვენი გულები და ნერვები გარშემოტყული უნდა იყოს ამ შემზარავი კივილით „ჩვენ უნდა გავხდეთ ნაწილი უბედურების, რომელიც მოგველის“.³⁴

დეიმონ ლინდელოფი სატელევიზიო სერიალში, მისტიკურ დრამაში „მიტოვებულები“ (*The Leftovers*, 2014-17) დაწყებისთანავე შეამზადებს მაყურებელს უბედურების ნაწილად ქცევისთვის, რომელიც დედამიწის მოსახლეობას საყვარელი ადამიანების გაუჩინარებისგან მიღებული ტრავმით ელის. აუტანელი ტრავმის, უბედურების სახედ სერიალის პირველივე სცენაში იქცევა თავზარდაცემული დედა, რომელიც უკვალოდ გამქრალ ჩვილს დასტირის. დედისა და ჩვილის გამოსახულება, უკვე ქანდაკებად ქცეული, მალევე გარდაიქმნება ტრავმული მესხიერების მაცნედ ნიუ-იორქში, ლინდელოფის მიერ გამოგონილ ქალაქ მეიფლტონში. მოგვიანებით სწორედ მეიფლტონი

თავისი სოციო-პოლიტიკური ცხოვრებითა და მოქალაქეებით, მეხსიერების აჩრდილებით, მოევლინება მთავარ გმირად მაყურებელს ნორასა და კევინის უბედურებითა და ბედნიერებით, ტკივილითა და სიხარულით, უსახლკარიბითა და „სახლთან“ მუდმივი დაბრუნებით სავსე, მარადიული დაშორებისა და მიახლოების ისტორიაში. ადამიანები დაუსრულებელი ტრავმული ისტორიებით (ნორას ოჯახი ქრება; კევინის ოჯახი იშლება), რომელთაც დაუსრულებლად აედევნება მაქს რიხტერის ამაღლევებელი მუსიკის ფრაგმენტები, გადაიკვეთებიან მეიფლტონის საჯარო სივრცეში (ტრაგედიის წლისთავზე). საჯარო სივრცე, რომელიც კონსუმერულ საზოგადოებაში ხშირად გახდება აფიშირების, საკუთარი ცხოვრებისა და გამოცდილების გასხვისების, სასაქონლო პროდუქტად გაყიდვის ადგილი, „მიტოვებულებში“ გადაიქცევა საბედისწერო „შეჯახების“ იმ წერტილად, სადაც ცნობიერ თუ ქვეცნობიერ დონეზე გაცვლილი ემოციური ინფორმაცია, სიყვარულის, როგორც „ეგზისტენციალური პროექტის“, განხორციელებას შესაძლებელს ხდის.

ისტორია, რომელსაც ლინდელოფი დაინყებს გამოგონილ ქალაქ მეიფლტონში, გაგრძელდება ტეხასში, არარსებულ ქალაქ ჯორდენ თაუნში (Jarden Town). ჯორდენ თაუნი იქცევა „ოცნების ქალაქად“ (ქალაქში არავინ გამქრალა) წყვილისათვის, რომელიც გაექცევა „ისტორიით საფსე ქალაქს“, იმედით რომ ექნება ორივე, მშვიდი ცხოვრება და სიყვარული. დასახლება ქალაქში, რომელიც დაკავშირებულია სასწაულთან, რომლის საზღვართან მუდმივად ბანაკდებიან „პილიგრიმები“, მოითხოვს დიდ ფულსაც „სასწაულის“ ნაწილად ქცევისთვის (ნორა სახლს იყიდის). „სასწაული“, როგორც უსაფრთხოების დაპირება კევინისა და ნორასათვის ნარმოადგენს უტოპიური ქალაქის ნაცვლად ტარკოვსკისეულ „ზონას“ (Stalker, 1979), სადაც მაყურებლისთვის გამოაშკარავდება გმირების ყველაზე რეალური სურვილი, რომელიც უცვლელია დროსა და სივრცეში, ისწავლონ თანაცხოვრება („ყოველდღიურობის აჩრდილებში, როგორც სიცარიელის ჰარმონიაში, მჭირდება ვინმე, ვინც

დამამშვიდებს“ Simon&Garfunkel), რათა მარადიულად განაახლონ სიყვარული.

2018 წელს საიდუმლოებით მოცული გაქრობა, გაუჩინარება (ჰა-მი-მი ქრება) და შეუძლებელი სიყვარული იქცევა სიუჟეტის წამყვან ხაზად კორეელი კინორეჟისორის ჩან-დონ ლის ფსიქოლოგიურ მისტიკაში „ალმოდებული“ (*Burning*, 2018), სადაც მაყურებელი ერთდროულად გახდება მონაწილე მეტაფორებით სავსე გასაიდუმლოებისა და „ვერტიგოს“ (*Vertigo*, 1958) სტილში სტრუქტურირებული „გამოძიების“. ცენტრისა და პერიფერიის, ურბანული სამყაროსა და სოფლური ცხოვრების მუდმივ შეპირისპირებულობაში გამჟღავნდება ახალგაზრდებს, ქალსა და ორ მამაკაცს შორის არსებული სოციალური უთანასწორობის, კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური გაუცხოების კონტურები.

„ალმოდებულში“, როგორც ნარატიულ ფილმში, რეჟისორი ფუნქციურ როლებს გადაანანილებს გმირებს შორის გასაიდუმლოების კონტექსტში. თუ ინფორმაციის გასაიდუმლოების ვალდებულება დაეკისრება ჰა-მის და ბენის, ინფორმაციის მომპოვებლის ფუნქციას მოირგებს ახალგაზრდა მწერალი, ჩონ-სუ, რომელიც ფილმის დასაწყისშივე აღივსება სიყვარულით, მოგვიანებით კი ბრაზითა და შურისძიების ვნებით. მიუხედავად იმისა, რომ მეტაფორების ენა და მეხსიერების ადგილებთან მუდმივი მიბრუნება, მაყურებელს შეუქმნის განცდას, რომ კაცი მაღალი სოციალური იერარქიიდან (ბენი) დამნაშავეა მისი მორიგი ეგზოტიკური გატაცების, ჰა-მის გაუჩინარებაში, მაყურებელს ფინალშიც არ ექნება წვდომა ფარულ ინფორმაციაზე. „დაუსწრებლობით“, მოვლენათა მიზანმიმართული გამოტოვებით, დახურული ნარატივის მეშვეობით, ჩან-დონ ლი გადაიღებს საიდუმლოებებით მოცულ ამბავს, რომელსაც ისე გაახვევს სოციალური ნიშნების ცეცხლში (ფურგონი-პორშე, ტრადიციული საჭმელი-სპაგეტი, მეურნეობა-კაფეები, კლუბები, ბარები), როგორც ბრაზისგან ალმოდებულ ტანსაცმელს ჩონ-სუს მეხსიერებაში, ან ალმოსადებ სათბურებს კორეელი

გეტსბის, ბენის ოცნებებში („ამ ქალაქში ბევრი გეტსბია“). განსხვავებით კომერციაზე ორიენტირებული ფილმებისგან, მაყურებელს ყურების პროცესშივე წაერთმევა შანსი ფილმში შეაბიჯოს ისე, როგორც მარადიულად ლია „მაკდონალდსის კარში“ (პედრუ კოშტა), რითაც ახალგაზრდა ქალის გაუჩინარება ლისთან დაემსგავსება გაუჩინარებას უილიამ ფოლკნერის სტილში (უილიამ ფოლკნერი 1942 წელს „დათვში“ – „ტყემ მიიღო იგი და მაშინვე დაიხურა“³⁵).

თუ ფილმის ნარატიული გადაწყვეტა სარულიად დაუპირისპირდება კონსუმერულ მისწრაფებას მაყურებელმა პროცესში ჩართვის სანაცვლოდ რეჟისორისგან მიიღოს ერთგვარი „ფილმექი“, იგი ასევე დაუპირისპირდება სექსის, სექსუალობისა და ეროტიკის იმგვარ აღქმასაც, სადაც „ძალაუფლების კულტურა სხვა არაფერია, თუ არა პროდუქციაზე და მის მოხმარებაზე, ყალბ ბეჭინიერებაზე დაფუძნებული კულტურა“³⁶ „ალმოდებულში“ წყვილებს შორის ეროტიკული იმპულსები ობიექტივაციის ნაცვლად განხილვადდება ყოფითი მეტაფორის, ფორმობლის ჭამის მეშვეობით, რაც მაყურებელს ინფორმაციას გმირებს შორის არსებულ ფარულ სურვილებზე მიაწვდის. მოგვიანებით, ფარული სურვილების რეალიზაციას რეჟისორი შეეცდება სექსუალური აქტის მხოლოდ „სამზადი-სის“ სიხისტენარევი ნატურალიზმით ჩვენებით. სექსუალური აქტი, რომელიც ხშირი „პროდუქტია“ სიამოვნებით მოვაჭრებისთვის, ჩანაცვლდება გმირის პერსპექტივიდან დანახული სინათლის სხივის დაცემით. სექსუალობის რეპრეზენტაციის უმაღლეს წერტილად „ალმოდებულში“ იქცევა, სპონტანური თავისუფლების მწვერვალი, რომელიც („გონებრივი ძალისხმევის ეკონომიკის“ მეშვეობით, „პროცესის მონათესავე სიმშვიდის შეგრძნებით“), მაილს დევისის მუსიკის ფონზე განსხეულდება, შიშველი ქალის მიერ დუშმანების „დიდი შიმშილის ცეკვის“ თანხლებით³⁷ სპონტანური თავისუფლება ფილმში იმდენ ხანს გასტანს, რამდენ ხანსაც გაგრძელდება მოსაწევის მიერ მოტანილი თავისუფლების ფანტომი, როგორც სევდიანი

მეტაფორა, რომელიც ბოლომდე შეუცნობელი, სასაცილო ან საპრალდებო აღმოჩნდება კაცებისთვის.

„გონებრივი ძალისხმევის ეკონომიკის“ მეშვეობით „პროცე-სის მონათესავე სიმშვიდის შეგრძნებას“, რომელსაც აღძრავს პოეზია, 2016 წელს კინომაყურებელს განუახლებს ჯიმ ჯარ-მუში, ყველაზე იაპონურად ამერიკული ფილმით, „პატერსონი“ (Paterson, 2016). რეჟისორი ფილმის მთავარ გმირად აქცევს პოეტ მძღოლს, პატერსონს, რომელიც ცხოვრობს ქალაქ პატ-ერსონში. შემთხვევითი არ იქნება თუ პოეზიით დაინტერესე-ბული რეჟისორი, რომელიც თავს ნიუიორკელ პოეტთა რიცხვს მიათვლის, ქალაქ პატერსონს მოქალაქე პატერსონთან დააკავ-შირებს უილიამ კარლოს უილიამსის „პატერსონის“ მეშვეობით.

თავის მხრივ, სწორედ ქალაქის ურბანული ლანდშაფტი, ჩანჩქერი იქცევა საყვარელი ქალის ხვეული თმის მეტაფორად მძღოლი პოეტისთვის (იყენებს რონ პეჯეტის ლექსებს). ჯარ-მუში სიყვარულს, ყოფაზე დაკვირვებას და პოეზიას აქცევს პატერსონის ცხოვრების ნაწილად, რომელსაც მაყურებელი შეიმეცნებს პროტაგონისტის მშვიდი ცხოვრების რუტინული, ორშაბათიდან კვირამდე, უმნიშვნელოდ ცვალებადი გამოსახ-ულებებით. სტაბილურ ცხოვრებას, რომლის ნაწილსაც გან-მეორებადობა ნარმოადგენს, ერთდროულად დაჰყვება ორივე, კომიკური და სევდიანი ელფერი. ერთი და იმავე გზის გავ-ლა სამსახურში, სამსახურიდან სახლში თუ სახლიდან ერთსა და იმავე ბარში, სადაც პროტაგონისტის სენსაციების ნაცვ-ლად ყოველდღიური ქრონიკისთვის სახასიათო ამბები მო-ელის, ისევე ენერება პატერსონის ლექსებში, როგორც საყ-ვარელი ქალი, რომელიც მინიმალური ცვლილებებითა და თანადგომით, მაქსიმალურ ბედნიერებას ჰგვრის. კონსუმერ-ული საზოგადოების მიერ მუდმივად „მოხმარებული“ ნივთები კი (მაგალითად, ასანთი) პროტაგონისტისთვის ხდება ლექსის დაწერის მიზეზი („მსოფლიოში ულამაზესი ასანთი [...] ყოვ-ელთვის ჯიუტად მზადაა, აალდეს და თქვენი საყვარელი ქა-ლის სიგარეტს პირველად მოეკიდოს“.) ყოფასთან ჩაღრმავება

და სურვილი ადამიანისგან არ გაიმიჯნოს საგნები თუ ნივთები, პატერსონის ცხოვრების სიცარიელეებს აავსებს პოეზით, რომელსაც გმირი დაწერს, კაპიტალისტური ქალაქებისთვის უცხო, ბუნებასთან მაქსიმალური სიახლოვისა და საყვარელი ქალის მუდმივი „დასწრებულობის“ პირობებში (ჩანჩქერთან საყვარელი ქალის ფოტოც აქვს). ეს მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, მარადიული კონკურენციისა და თვითგადარჩენის პირობებში, არასტაბილურ სამყაროში ცხოვრებისას, ყოფიერების ნაწილია გაუცხოება ადამიანებსა თუ ადამიანებსა და ნივთებს შორის. ზუსტად ისე, როგორც 2000 წელს ვონგ კარ-ვაის „სასიყვარულო განწყობაში“ (*In The Mood For Love*, 2000), კლასიკური სტილის ფილმში, სადაც რომანტიკული დრამა „ბრიტანულ ჰონგკონგში“ გათამაშდება მეზობლებს შორის, რომლებიც გარემოცულნი იქნებიან ყალბი ურთიერთობებითა და უბედურნი ურთიერთობების ნივთებით შენარჩუნებით.

თანამედროვე ქალაქებისთვის თანმდევ ხმაურსა და შფოთს ჯარმუში ენობრივი საშუალებებით იმდენად შეფერავს ცხოვრების ნელი ტემპითა და სიჩუმით, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ბარებშიც კი, გმირებს ერთმანეთის ხმა ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ჩაესმით. დაძაბულობები და შფოთი, რომელიც თანმდევია ქალაქური ცხოვრების, პატერსონიდან ისევე გაუჩინარდება, როგორც იაპონელი რეჟისორის, იასუმირო ოძუს ფილმებში.

თუკი „პატერსონი“ კინომაყურებელს სასიყვარულო თანაცხოვრების საოცნებო იმიჯს შეუქმნის, სადაც ადამიანი იმდენად ულრმავდება ყოფას, საგნებსა და ნიშნებს, რომ სასიყვარულო ძალაუფლების თამაშებისთვის აღარ რჩება ადგილი, 2018 წელს პოლ-ტომას ანდერსონი ფილმით „უხილავი ძაფი“ (*Phantom Thread*, 2017) აჩვენებს სასიყვარულო ბრძოლის ველს, სადაც მომხმარებლური სამყარო ჩადგება ადამიანებს შორის. ანდერსონი, როგორც რაინერ ვერნერ ფასბინდერი „პეტრა ვონ კანტის ცხარე ცრემლებში“ (*The Bitter Tears of Petra Von Kant*, 1972), „უხილავ ძაფში“ სოციალურ როლებს

გადაანაწილებს ტანსაცმლის დიზაინერ რეინოლდსაა (დე-ნიელ დეი-ლუისი) და მის მუზას, მოდელ ალმას (ვიკი კრიფსი) შორის. პეტრასა და კარენის მსგავსად, რეინოლდსისა და ალ-მას ურთიერთობაშიც წინა პლანზე გადმოინაცვლებს სიყვარულის ნაცვლად ფლობის, დაქვემდებარებისა და განივთების სურვილი. იერარქიულ ურთიერთობაში, სადაც მიმდინარებს ძალაუფლების ორმხრივი თამაშები, ძალაუფლების დემონ-სტრირების საშუალებად იქცევა ნივთები: საკერავი ნემსები (რეინოლდსი) და შეამიანი სოკოები (ალმა). თუ დიზაინერი საკუთარი ფარული ფანტაზიების ხორცშესხმას შეძლებს ქალზე მდუმარე გაბატონებით, ტანსაცმლის შეკერვით, მუზა მამაკაცზე კონტროლს განახორციელებს „ქალური ხელსაქმით“, შეამიანი სოკოებით მონამვლის მეშვეობით. ნემსისა და დანის მუდმივ ჭიდილში, რეჟისორი დამალავს გმირების მისწრაფებას ბატონობისაგან გაითავისუფლონ თავი და ეგოიზმი დაძლიონ მზრუნველობით. ლონდონის ქუჩების ნაცვლად, თითქმის მთელი ფილმის ინტერიერში, დახურულ სივრცეში, სახლში, როგორც კლაუსტროფობიულ სივრცეში განვითარება, კონსუმ-ერულ ვნებებს გაახილვადებს ყველაზე ინტიმურ სივრცეებში. გაბატონებული წესები, ნორმები, პერსონაჟების პირადი შიშები „უხილავ ძაფში“ ჩანაცვლდება სიყვარულით, რომელიც „პანორამული ფანჯრებით იხედება სულში“ (Arctic Monkeys).

„პიროვნული ფეტიშიზმისა“ და ეგოიზმის საპირისპიროდ, ანდერსონი ერთადერთ გზად, რათა გმირებმა შეძლონ და შეიყვარონ ერთმანეთი, საკუთარი თავის სასაქონლო ფორმისაგან გათავისუფლებას აქცევს, რომლითაც თავად წარმოებს ყალბი სურვილები. წყვილის ურთიერთმიმართება პერსონალური საკითხების მიღმა, ერთი მხრივ, დამალავს ფსიქოლოგიურ მნიშვნელობებს (მაგ. გამქრალი დედის ხატი სახლში), მეორე მხრივ კი, აამოქმედებს სიყვარულის „პილიტიკურ ეკონომიას“, რომლის ფარგლებშიც, სამომხმარებლო კულტურა „გვევლინება სასაქონლო მასკარადად, რადგან ცხოვრებისეულ გამოცდილებებს ფართო მოხმარების საგნად გარდაქმნის“.³⁸

ურთიერმიმართება ხელოვანსა და მუზიკას შორის, რომელიც ემსგავსება ურთიერთობას ბატონსა და მონას შორის, ჭეშმარიტი და თანასწორი კავშირის ჩამოყალიბებას შეუძლებელს გახდის, რადგან „კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი პრინციპი და სიყვარულის პრინციპი შეუთავსებელია ერთმანეთთან“.³⁹ ურთიერთობის საბოლოო გათავისუფლებას არსებული მარწუხებიდან წინ გაუსწრებს ყველა იმ ბარიერის გადალახვა, რომელიც დამანგრეველია სიყვარულისთვის (რუმი).

ეპილოგი: სიყვარული და კომუნისტური უტოპია

„ნამდვილი რევოლუციონერი სიყვარულის დიდი გრძნობით მოქმედებს. შეუძლებელია ჭეშმარიტი რევოლუციონერი ვუწოდოთ მას, ვინც მოკლებულია ამ თვისებას“.

ჩე გევარა

„ყველაფერი მშვენიერი ძნელიც არის და იშვიათიც“.

ბარუს სპინოზა

რომანტიკული სიყვარული ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური შეთანხმებაა კაპიტალისტური სისტემის პირობებში და წყვილისგან ისევე მოითხოვს საბანკო ანგარიშების, გადასახადებისა და სესხების გაზიარებას, როგორც სიყვარულისა და ზრუნვის. მათი ყოველდღიური ცხოვრება ბაზრის ეკონომიკურ ფუნქციონირებასა და წესებს ემყარება, საკუთარი შრომის და პროდუქტის გაყიდვას მუდმივი კონკურენციის პირობებში, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისგან იზოლირებულსა და გაუცხოებულს ხდის. მათი გადარჩენა და დაწინაურება დამოკ-

იდებულია ცბიერებასა და საკუთარი თავის საბაზრო წესებისთვის დაქვემდებარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ფიზიკურად და სულიერად განადგურდებიან. კაპიტალიზმი მათ თავისუფლების ილუზიას უქმნის. ისინი არიან „თავისუფალნი, რათა სხვებისთვის მონურად იმუშაონ... თავისუფალნი, რათა მდიდარი უფრო გაამდიდრონ“ (ნაზიმ ჰიქმეთი). სინამდვილეში ისინი არათუ თავისუფლდებიან კონკურენციის პირობებში, არამედ პირიქით, ხელს უშენობენ კაპიტალის განთავისუფლებასა და მოქნილობას, მაშინაც კი, როცა მათი თავისუფალი განვითარება უშუალოდ კაპიტალის შეზღუდულობაზე დამოკიდებული (კარლ მარქსი).

შრომასა და კაპიტალს შორის გაჩენილი წინააღმდეგობა არამხოლოდ ორ კლასს შორის არსებული კონფლიქტია, არამედ „კონფლიქტი ღირებულების ორ პრინციპს შორის: ნივთების სამყაროსა და მათ მოხვეჭასა და ცხოვრების სამყაროსა და მის ნაყოფიერებას შორის“.⁴⁰ მათ ყოფაზე, ემან-სიპაციასა და თავისუფლებაზე პასუხი, პირველ რიგში, არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და სოციალური ხასიათისაა, რაც სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმის შეცვლის ნაცვლად, საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციას გულისხმობს.

ალენ ბადიუ წიგნში „სიყვარულის სადიდებლად“ (In Praise Of Love) კომუნისტურ პიპოთეზაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ემანსიპაციის პოლიტიკის სამომავლო ფორმები უნდა დაეფუძნოს კომუნისტური იდეის ხელახლა დაბადებას, იმ სამყაროს შექმნის იდეას, რომელიც არამხოლოდ სანარმოო წესის შეცვლასა და კერძო საკუთრების ხარბი იდეის უარყოფაზე იდგება, არამედ ახალი, თანასწორი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. „ასეთ სტრუქტურაში, სიყვარულის ხელახლი აღმოჩენა უფრო ადვილი იქნება, ვიდრე კაპიტალისტური სიგიურებით გარშემორტყმულში. [...] სიყვარული, ისევე როგორც ჭეშმარიტების ძიების გზები, არსებითად უანგაროა: მისი ღირებულება თავისთავად უნიკალურია და სცილდება შეყვარებულების უშუალო ინტერესებს. „კომუნიზმის“ ცნების

მნიშვნელობა პირდაპირ არ უკავშირდება სიყვარულს, თუმცა იგი სიყვარულს ახალი შესაძლებლობებით ავსებს“.⁴¹

უნიკალური რეალობის, ე.წ. უტოპიის იდეის დაბადების აუცილებლობა, იაპონელი რეჟისორის, საბუს ფილმში „მის-ტერ ლონგი“ (Mr.Long, 2017) განსაკუთრებული ემოციური სიცხადით ვლინება. ფილმი ტაივანში მიმდინარე მოქმედებით იწყება, სადაც დაქირავებულ მკვლელს, მისტერ ლონგსა და მის საპრძოლო ხელოვნებას ვეცნობით (ტარანტინოსთან გადაძახილებით), რის შემდგომაც მას მკვლელობის დაკვეთით ტოკიოში გზავნიან. უბედური შემთხვევის შედეგად, სიკვდილს გადარჩენილი ასასინი, იაპონიის პერიფერიაში აღმოჩნდება, გაიცნობს დედას, მის პატარა ბიჭუნას, ასევე მიტოვებულ და ხმაჩამორთმეულ ქვედა კლასს. ლონგი მათთან ერთად ცდილობს ატომიზაციისა და პიროვნული იზოლაციის ჩარჩოდან გამოსვლას. ერთ დროს საკუთარ შრომასთან გაუცხოებული მკვლელი, კულინარად გადაიქცევა, რაც მასასა და კომუნას ტიპის საზოგადოებას შორის, ახალ სოციალურ ურთიერთობას ამყარებს. ახალი ხელობის დაუფლება ლონგის თავისუფალი არჩევანი ხდება. კოლექტიური შრომის ბაზაზე გაყიდვის აქტის მიღმა საბუ უტოპიის იდეას მაღავს, რითაც სამყაროში გაბატონებულ ცნებებს აღტერნატიული ცნებებით ანაცვლებს. ლონგის ლოგიკა ინდივიდუალური, ეგოისტური ეთიკისა და კონკურენციის ნაცვლად, სოლიდარობის, სიყვარულის, კომუნალურობისა და თანასწორობის იდეებით იკვებება და მოუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი მისწრაფებები გააჩნია, ეს ყველაფერი სხვათა ინტერესებთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

დამკვირვებლური მზერა, რომელიც ლონგსა და ქალს შორის წარმოებს, ტოლერანტული ან დომინანტური, ქალზე მიმართული მზერის ნაცვლად (ლორა მალვი), „მზერაში თანასწორობის“ შესაძლებლობის იდეაზე დგას. ამ ტიპის ეგალიტარული მზერა, ურთიერთობას ძალაუფლებრივ, იერარქიულ ეგოსა და კერძო ინტერესებზე მორგებული ჩარ-

ჩოებიდან ათავისუფლებს და მას საერთოობის პრინციპთან ხდის თანაზიარს (ბავშვზე, ერთმანეთსა თუ საზოგადოებაზე ზრუნვის სახით). საბუ გმირებს შორის დაბადებული სიყვარულის ჩვენებას სიტყვებისა და ეროტიკული სცენების შემოტანის ნაცვლად, მათ შორის ნაწარმოები სრულიად ინტიმური, მეტაფორული ენით ნასაზრდოები პოეზიით ახერხებს, სადაც სიყვარული არამხოლოდ ნივთების, არამედ ემოციების, პასუხისმგებლობისა და ზოგადად, ცხოვრების გაზიარებაა. ოორგოს ლანთიმოსის „ლობსტერის“ (*The Lobster*, 2015) გმირების მსგავსად, რომელთაც სიყალბიდან გასაქცევად ესაჭიროებათ არავერბალური ენის გამოყენება (ე.წ. მუნჯური ენა), რომლის მეშვეობითაც ისინი ახერხებენ ერთმანეთს უთხრან „მე შენ მიყვარხაა“, ან „მინდა შენს მყლავებში ვიცევო“. ამ ფარული მეტაფორებით გადაინ ისინი რევოლუციის გზას, უწნდებათ პროტესტი და მგზნებარედ უყვარდებათ ერთმანეთი.

ლონგი, რომელიც ქალს მთელი ფილმის განმავლობაში ჩაპლინისეული ენით ესაუბრება, „უსმენს საკუთარი თვალებით“ (სლავო ჟიუეკი), დეკლარილებულად „არაფერს“ სთხოვს (როგორც ტომეკი მარიას, კიშლოვსკის ფილმში „მოკლე ფილმი სიყვარულზე“ (*A Short Film About Love*, 1988), ამგვარად „უზიარებს საკუთარ ცხოვრებას, გულისთქმასა და ინტიმურ დეტალებს“ (მარტინ გორი, *Depeche Mode*). საბუ ჭეშმარიტი სიყვარულის მაგალითს წარმოგვიდგენს, სადაც შეყვარების აქტი ფლობის, რისკების გათვლისა და სუბიექტისაგან პასუხის დაბრუნების მიღმა დგას. სიყვარულის ტრიუმფი კი ფინალში თამაშდება (დეკლასირებული, კომუნისტური საზოგადოების ილუზის ჩვენებით). ახალი სამყაროს უტოპიური ხედვა ძალაუფლებრივი სისტემის მიღმა განიხილება. იგი ერთიანად ანადგურებს არსებულ მტაცებლურ მდგომარეობას, ხოლო კომუნისტური „მოძრაობის პირობები ამჟამად არსებული წინამდლვრებიდან გამომდინარებს“.⁴²

ყოველგვარი რისკაქტორების გამოთვლისა და საკუთარი ეგოს დათმობის მაგალითს წარმოგვიდგენს დეიმონ ლინ-

დელოფი სატელევიზიო პროექტში – „დარაჯები“ (*Watchmen*, 2019) – ჭეშმარიტი, ფატალური სიყვარულის არსს. დესმონდი-სა და პენის (*Lost*), კევინისა და ნორას (*The Leftovers*) შემდეგ, ანჯელასა და კელვინის შესახებ გვიამბობს, რომელთა ჭეშ-მარიტი და ფატალური სიყვარულის ამბავი დრამატულ კულ-მინაციას მერვე სერიაში (*A God Walks into Abar*), რომანტი-კული ურთიერთობის „ახალ აღთქმაში“ აღწევს. ლინდელოფი გვიჩვენებს რომ ტრფობა, დაბადებული პირველი დანახვიდან, მისი პირველი სიცილიდან „ვისი თვალებიც მზის ამოსვლაა“ (ჯონი ქეში), უანგარო, კერძო ინტერესებისა და მისწრაფებების მიღმა მდგარი, „ჭეშმარიტი სიყვარულია თავგანწირულთა შორის“.⁴³ სიყვარულის შიში კი ამოიზრდება იქ, სადაც საფრთხ-ის ქვეშ დგება სიხარულის და ეგზალტაციის შეგრძების მიზ-ეზი, როცა სუბიექტმა შესაძლოა დაკარგოს ძალა, ინტერესი, მიგვატოვოს ან სულაც მოკვდეს. სიყვარულის განსხეულება მხოლოდ წყვილის მუდმივ საგანგებო მდგომარეობაში ყოფნა-ში, თავგანწირვაში, თანაგანცდასა და გამოგონილ, ფერრიულ ენობრივ პოეზიაში ავლენს თავს (ყოველგვარი საზღვრების და წინასწარ გათვლილი მოქმედებების გარეშე). მიუხედავად იმისა, რომ თავგანწირვამ შესაძლოა სიცოცხლეს შეუქმნას სა-ფრთხე, მას ვისაც უყვარს, სწორედ ამ გზით შეუძლია გახდეს ოსტატი (ანჯელა); „დარაჯებში“ საკუთარ ზებუნებრივ შესა-ძლებლობებზე უარის თქმით კელვინი, ერთი მხრივ, წარსულსა და მომავალს უარყოფს, მეორე მხრივ კი, საკუთარ შინაგან სამყაროსა და თვითაღქმის საიდუმლოს სრულიად მიანდობს ანჯელას. მიუხედავად ურთიერთობის ტრაგიკული დასას-რულისა, მისი კატასტროფული ხასიათის გააზრებისა, ორივე გმირი წარსული ტრავმების დაძლევით, სიკვდილის ცხოვრების ნაწილად მიღებითა და დღევანდელობის, „აქ და ახლა“ მოცე-მულობის გააზრებით, უალტერნატივო არჩევნად სავახშმოდ ერთად წასვლას აღიქვამს, რითაც ერთიდან ორად ქცევა დიდ რევოლუციად გვევლინება (ალენ ბადიუ).

დიდი რევოლუცია თამაშდება ეპოქალური ანიმაციის „სათამაშოების ისტორიის“ (*Toy Story 4*, 2019, რეჟ. ჯოშუა კული) მეოთხე ნაწილში. სურათი ჰოლივუდური ლოგიკის სრული უკუგდებით, მაყურებლის „ყალბი ილუზიებითა“ და „რეალობის შემცვლელი გამოსახულებით“ (ტომას გუტიერეს ალეა) გამოკვების ნაცვლად, გრძნობადი მოვლენების არსს გადმოსცემს. აერთიანებს, როგორც წარსულისადმი დამოკიდებულებებს (ბავშვური ნოსტალგიები თუ საგნებისადმი დამოკიდებულება), ასევე გვთავაზობს ანმყოს იდეოლოგიურ კრიტიკასა და მომავლის უტოპის რწმენას.

მარტოსული კავბოი, ვუდი, რომელიც ბოლომდე იხდის „რჩეული სათამაშოს“ მანტიას, პირადი ინტერესების უკუგდებით, წარუშლელი ალტრუიზმის მაგალითს გვთავაზობს. თუ პირველ სამ ნაწილში ვუდის ხასიათს მისი მარტოობისადმი ეგზისტენციალური შიში განსაზღვრავს (ჩანაცვლების და მიტოვების შიში), მეოთხე ნაწილში მას შიშების გადალახვა და დაძლევა, სარკეში ჩახედვა, ცხოვრების ახალი მიზნებისა და ემოციების პოვნა უწევს.

დაუგინეარ ვიზუალურ და ემოციურ გამოცდილებასთან ერთად, მოზღვავებული კომიკური, ტრაგიკომიკური და მელოდრამატული პასაჟებით, მუსიკალური გაფორმებებითა თუ მხატვრობით, „სათამაშოების ისტორია 4“ გვევლინება არსობრივად ფილოსოფიურ ნაწარმოებად, რომელიც ერთი მხრივ, გვიჩვენებს მოხმარებასა და კომერციაზე დაყვანილ საბაზრო ეთიკასა და სოციალურ ურთიერთობებს (მესამე ნაწილში იერარქიული, კლასობრივი საზოგადოება იხატება, რომლის ლოგიკაც შრომისა და პიროვნული ემოციების „თავისუფალ შრომად“ გაყიდვაზე დგას), სამყაროსადმი გაუცხოებასა და ტრავმატული გამოცდილების გადააზრებას, მეორე მხრივ კი, გაბატონებული წესრიგის ნგრევით, სრული სიცხადით აირეკლავს, თუ როგორია საგნები რეალურად და რას უნდა დაეფუძნოს სოციალური ურთიერთობები. სათამაშოები ბოლომდე უკუაგდებენ არსებულ დომინანტურ ლოგიკას და

იერიში ესთეტიკურ ფაშიზმსა და გენდერულ, ეკონომიკურ, კლასობრივ და კულტურულ უთანასწორობაზე მიაქვთ. ვუდის ლოგიკაში არ არსებობს ზედმეტი, არ არსებობს „თრეში“, „დანამატი“, რომლის მიტოვებაც და უგულებელყოფაც შეგვიძლია. ვუდის ლოგიკა საერთოობის პარადიგმაზე დგას, რომლის გამტარიც თანაგანცდა და სიყვარულია. რაც მთავარია, ეკრანზე ირეკლება „ეთიკური სახელმწიფოს“ იმიჯი, რომლის უტოპიური იდეალი გრამშიმ კროჩესგან ისესხა, რასაც ბადიუ „ადამიანის ჭეშმარიტების შემეცნების პროცესში ჩართვას“ უწოდებს, ხოლო თუ უაკ რანსიერს მოვიხმობთ, ამ ტიპის ემანსიპაციის მომავალი „შეიძლება, მოიცავდეს ქალისა და კაცის მიერ შექმნილ თავისუფალ კავშირს, საერთო სივრცის ავტონომიურ გაფართოებას, რომელიც ეგალიტარული პრინციპით ხორციელდება“.⁴⁴

თუ მესამე ნაწილის ფინალში მაყურებელი ვუდის პირად ტრაგედიას განიცდის, ზოგად და ამავდროულად პერსონალურ დონეზე, მეოთხე ნაწილში მაყურებელი ახალ გამოწვევასა და შესაძლებლობას ეჯახება, ემოციური დინამიტების გავლით (რამდენიმე დრამატული სიტუაციის თანმიმდევრული აღწერით), ახალი რეალობის შესაძლებლობას ხედავს და კავბოისა და მის შეყვარებულთან, ბო პირთან ერთად, „ვინც ათავისუფლებს მის გულს“ (Antony and the Johnsons), ხდება უკვდავი. თუ მესამე ნაწილის ფინალი ბავშვობასთან გამომშვიდობების მტკვინეული ვიზუალიზაციაა, მეოთხე ნაწილის ფინალი გვევლინება წარუშლელი კათარზისით, ბავშვობასთან მიბრუნებისა და ჯერ კიდევ დაუმახინვებელი, სანატრელი უტოპიის ხორცებს ხმის მაგალითად მათთვის, ვისაც სურს მხურვალედ უყვარდეს. აქ კომუნიზმი იქცევა სიყვარულად და სიყვარული კომუნიზმად, საბოლოოდ ალმოჩენილ ჭეშმარიტებად (დენიელ ჯონსტონი).

რამდენიმე მოსაზრება დამოუკიდებელ
ქართულ კინოსა და მის ირგვლივ
მიმდინარე პროცესებზე
გიორგი ჭავახიშვილი

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე კინემატოგრაფიულ მოვლენებზე სასაუბროდ აუცილებელია ვიცნობდეთ კინო-მემკვიდრეობასა და კონტექსტს, რომელიც საკვლევი პერიოდის კინოს ხვდა წილად.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ქართული კინოს საუკეთესო ეპოქად 60-70-იანი წლები მოიაზრება. წლები, როდესაც კინორეჟისორთა „ახალი ტალღა“ სულ სხვა წესებით იწყებს თამაშს. დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, როდესაც საბჭოთა მმართველობა აქტიურად იყო ჩართული ხელოვნებასთან ბრძოლაში, საბრძოლო იარაღად კი ცენზურა გვევლინებოდა, კინემატოგრაფისტებს მკაცრი ცენზურისგან თავდასაღწევი საშუალებებისთვის უნდა მიეგნოთ, შედეგად ქართულ კინოში იგავური ფორმა (ოთარ იოსელიანი, ძმები შენგელაიები, მერაბ კოკოჩაშვილი. 80-იანებში ალექსანდრე რეხვიაშვილი) და სიმბოლური ენობრივი კოდები ჩამოყალიბდა – როგორ უნდა გადმოეცათ კინორეჟისორებს წვიმის რაობა, თუკი საბჭოთა მმართველობა ეკრანზე წვიმის ასახვას კრძალავდა?! – საწვიმარი პალტოებით (სერგო ფარაჯანოვი). ამ პერიოდშივე ხდება ფარაჯანოვის, როგორც რეჟისორის, როგორც კინოპოეტისა

და ხატმწერის დაბადება; კინემატოგრაფიულ ტაძარში მის მიერ დაწერილი ახალი, უნიკალური ხატები, აბსოლუტურად თვითმყოფადი სტილი და საკუთრივ ჩამოყალიბებული კინოენა, საფუძველს უდებენ „კედლის ხალიჩას, რომელზეც მელოდია ოქროს ძაფებით არის ამოქარგული“.¹

როგორც ჩანს, ეპიქაში, როცა სოციალური რეალიზმი ერთადერთი სანქცირებული კინემატოგრაფიული ჟანრი გახლდათ, საბჭოთა ცენზურის საბურველქვეშ ყალიბდებიან სიმბოლურად მოაზროვნე კინემატოგრაფისტები, რომლებიც მუდმივი ანტაგონიზმის მიუხედავად, საერთაშორისო კინოასპარეზზე საკუთარ სიტყვას იტყვიან.

ზემოთქმულზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარკვეულწილად საბჭოთა ცენზურა მაღლად ერგო ქართულ კინოს, თუმცა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც სახელოვნებო სივრცეს მეტ-ნაკლებად მოეხსნა ამგვარი პრობლემა, უცენზუროდ დარჩენილი 60-იანების თუ ახალბედა კინორეჟისორები ვერ ახერხებენ ჯანსაღ რეფლექსიას იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართულ ყოფა-ცხოვრებაში ჯერ 1990-იანებში, შემდეგ კი 2000-10-იან წლებში იკვეთებოდა. მეორე მხრივ, ახალგაზრდა ავტორების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ რთულია ისეთი კინემატოგრაფისტების მიერ მოპირკეთებულ გზას მიჰყვე, რომელთაც უამრავი საერთაშორისო ჯილდო და დამსახურება მოიპოვეს. უფრო რთულია ამ გზას გამოეყო და საკუთარი შექმნა. თითქმის შეუძლებელია, ეს ყველაფერი იმ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო, რომელიც საქართველოს „გათავისუფლებასა“ და დამოუკიდებელი ქართული კინოს დასაბამს მოჰყვა.

ერთი შეხედვით, საბჭოთა კავშირის დაშლა და თავისუფლების მოპოვება კინემატოგრაფისტებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე გზის გაკვალევას მოასწავებდა, ნიჭიერ რეჟისორებს შემოქმედებითი უნარის გამოვლენის, ეროვნულ კინემატოგრაფს კი სხვადასხვა გავლენისგან (უმეტესწილად

საბჭოთა) გათავისუფლების საშუალება უნდა მისცემოდა. თანამედროვე ქართული კინემატოგრაფიული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად, დამოუკიდებლობის მოპოვება საფუძველმდებარე მოვლენად უნდა რეგისტრირებულიყო. თუმცა ქვეყანაში განვითარებული მძიმე სოციო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ყველაფერი საპირისპირო წარიმართა; ძველი დამოკიდებულებები ახალმა ჩაანაცვლა, მცირე პერიოდში მიმდინარე ომებმა ადამიანებს სულ სხვა რეალობა უჩვენეს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ მალე, ორი წლის ინტერვალში, აფხაზეთის ომთან ერთად სამოქალაქო ომიც დაიწყო. ასეთ მოცემულობაში არავის ეცალა კულტურული პროცესებისთვის. სხვადასხვა საზოგადო იდეები და მოძღვრებები პროფანაციას განიცდიდნენ. ამასთანავე, არსებობა შენივარტა საჯარო/საზიარო სივრცეებმაც. ქვეყანა სრულ ქაოსსა და აგონიაში მოექცა და 90-იან წლებში ქართული კინოს ძილბურანში ჩაძირვის მიზეზებად, უპირველესად ის გაუკულმართებული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენები იქცა, რომლებიც თანამედროვე ქართულ კინოზე ჯერ კიდევ ახდენენ გავლენას.

დამოუკიდებელ ქართულ კინოსა და მასში მიმდინარე პროცესების კრიტიკული ანალიზი უმჯობესია იმთავითვე იმ პრობლემებზე საუბრით დავიწყოთ, რომელიც ერთმნიშვნელოვანია როგორც 90-იანი, ასევე შემდგომი პერიოდებისათვის.

არახალია, რომ კინოპროდუქციის სანარმოებლად დროის შესაფერი ტექნიკური აღჭურვილობაა საჭირო. „პირველი ინიციატივა კინოს ხელოვნებად ქცევისა ამერიკული ბურჟუაზიის იდეოლოგიდან იღებს სათავეს. ცნობილია, რომ ტექნიკური გამოგონებანი უბრალოდ ზეციდან არ გვევლინება. გაბატონებული ეკონომიკური ძალა ყოველთვის ხელს უწყობს ტექნიკურ ინოვაციებს“.² ჯერ კიდევ 1938 წელს წერდა ბელა ბალაში,³ რომლის ნააზრევზე დაყრდნობითაც, ნათელი ხდება, რომ დასაბამიდან მოყოლებული, ყოველ მომდევნო ეპოქაში განვითარებული ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე,

აუცილებელია ტექნიკური განახლება. გამომდინარე იქიდან, რომ „კინემატოგრაფიული ტექნიკა იმპერიალისტური მონოკაპიტალიზმის პროდუქტს წარმოადგენს“,⁴ კაპიტალიზმის პირობებში, უამთა სვლის შესაბამისად, მუდმივად უმჯობეს-დება ტექნიკური მახასიათებლები, რაც წინა პერიოდებში ნაწარმოებ ხელსაწყოებს აუფასურებს. მაგალითად, გასული საუკუნის ტექნიკა ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელობაში არსებულ ტექნიკურ სტანდარტებს, უმეტესწილად რანგით მაღალი კლასის კინოფესტივალები რომ აწესებენ ხოლმე.

დამოუკიდებელი ქართული კინოს ისტორიაში, კინოსთვის საჭირო ინვენტარის პრობლემა მუდამ დღის წესრიგშია. ტექნიკური ინვენტარის რთული ხელმისაწვდომობის გამო (როგორც საწარმოო, ისევე საგანმანათლებლო სივრცეებში), სტუდენტებს და უკვე შემდგარ რეჟისორებს ხშირად უწევთ ლოდინი, სანამ თეორიულად ნასწავლს პრაქტიკაში განახორციელებენ. კინოს სწავლება რეჟისორთათვის წყალივით საჭიროებს პრაქტიკულ სამუშაოებებს, რაც სახელმწიფოს მიერ სასწავლებლისთვის შესაბამისი პირობების შექმნასა და სრულ ტექნიკურ უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული, რადგან კინორეჟისორი კინოკამერის გარეშე უფუნჯო მხატვარს ემსგავსება.

ამასთანავე, შეზღუდული რაოდენობის ტექნიკა და მისი თანმდევი პირობები არასამართლიან გარემოს ქმნიან – ვინ გადაიღებს პირველი, ვინ უკანასკნელი? ვინ უფრო მეტი და ვინ უფრო ნაკლები ხნით? ასეთ მოცემულობაში, იქმნება უთანასწორო გარემო, რომელიც მუდმივ თავსატეხებს უჩენს ახალგაზრდა ნიჭიერ რეჟისორებს. მაშინ როცა, ხელოვანის საფიქრალი, იქნება ეს მხატვარი, რეჟისორი, თუ ფოტოგრაფი, შემოქმედებით საკითხს უნდა მიემართებოდეს და არა ფიქრს თუ სად იშოვოს ფუნჯი, კინო თუ ფოტოაპარატი.

მეორე, რაც ქართულ კინოზე დაკვირვებისას თვალში-საცემია, საგანმანათლებლო სივრცეების უკიდურესი ნაკლებობა, ზოგიერთი ქალაქის/რაიონის შემთხვევაში კი საერთოდ

არარსებობაა. საქართველოში უმთავრესი კინემატოგრაფიული საგანმანათლებლო კერა „თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტია“. სასწავლებელი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში რეფორმის გარეშე ფუნქციონირებს, ნათლად ასახავს იმ საერთო კინემატოგრაფიულ მდგომარეობას, რომელიც დიდი ხანია კინო-სცენაზე სუფევს. ჯერჯერობით ვერცერთი ქართული კინოსკოლა ვერ უწყობს ფეხს იმ სასწავლო სტანდარტებს, საერთაშორისო ასპარეზზე წლიდან წლამდე რომ ვითარდება. მოგეხსენებათ, უმეტესწილად რეფორმაციმა მმართველი კლასის პრეროგატივაა, მით უფრო სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში. როგორც ჩანს, დამოუკიდებელი ქართული კინოს მდგომარეობის მიხედვით, არც ერთ სახელისუფლებლო ძალას არ გამოუჩენია ინტერესი კინემატოგრაფის მიმართ. და თუ ვინმე დაინტერესდა, მხოლოდ კომერციული და პროპაგანდისტული მიზნებით. თუმცა, ამაზე მოგვიანებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველ სახელოვნებო მედიუმს საგნის შემქმნელები და შემფასებლები ასულდგმულებენ, ჯერ კიდევ 60-იანი წლების ფრანგულ კინოში გამოიკვეთა კინემატოგრაფისა და კინოკრიტიკის განვითარების პირდაპირ-პროპორციული კავშირი. თეორიას და კრიტიკას მოკლებული ყოველგვარი კინემატოგრაფიული სივრცე, თუგინდ უდიდესი კინემატოგრაფიული ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა იყოს, სტაგნაციისა და უკუსვლისთვისაა განწირული. უკმარისობა იმგვარ სივრცეთა, სადაც სისტემატიურად წარიმართება პროფესიული, თეორიულ-მეცნიერული მსჯელობა, თავისთავად იწვევს კინემატოგრაფიული აზროვნების დეგრადინებას, რის თვალსაჩინო მაგალითადაც ქართული კინო გვესახება. ან რა უნდა ითქვას იმ ქვეყნის დარგობრივ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საკვლევ დაწესებულებებზე, რომელთა მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებულ თეორიულ მასალას ინტერნეტ-ბლოგის (<http://gennariello1927.blogspot.com/> ავტ: ლაშა კალანდაძე) მიერ ნათარგმნი თეორიული წყაროები აღემატება?

ქართულ კინო-სივრცეში მუდამ დგას ბეჭდური მედიის პრობლემაც. ერთადერთი უურნალი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში იძეჭდება და კრიტიკოსთა თუ კინომცოდნეთა მოსაზრებებს აზიარებს, კინოცენტრის მიერ დაფინანსებული „ფილმ-პრინტია“, რომელიც წელიწადში 1-2-ჯერ გამოდის. ვფიქრობთ, რომ ამგვარი უურნალის უფრო მეტად ხელმისაწვდომობა და მუდმივი წარმოებაა საჭირო, რადგან სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით, დარგის სპეციალისტებს ირჩევენ კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო კავშირში (FIPRESCI). და თუ ეს მიზეზი არ კმარა, მაშინ უნდა ითქვას, რომ სირცხვილია კინემატოგრაფიული ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა არ აწარმოებდეს კინოურნალს, რომელიც კინომცოდნებისთვის, ქვეყანაში მიმდინარე კინემატოგრაფიული მოვლენების კრიტიკულ ჭრილში განხილვის საშუალება გახდებოდა.

შედეგად, ზემოჩამოთვლილ მიზეზებზე დაყრდნობით, მეტად რიტორიკული შეკითხვა ჩნდება – თუკი „გაბატონებული ეკონომიკური ძალა ყოველთვის ხელს უწყობს ტექნიკურინოვაციებს“ და რეფორმების გატარებაც მმართველი კლასის უპირატესობაა, რატომ უგულებელყოფენ საქართველოში „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ კინო-რეფორმასა და ტექნიკურ განვითარებას?

ერთი მხრივ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ გაბატონებული ეკონომიკური ძალა ინოვაციისგან, ხოლო მმართველი კლასი რეფორმისგან პროპაგანდისტულ იარაღს ქმნის და მიზნად ისახავს საზოგადოების ინდოქტრინაციას. კინემატოგრაფიული სივრცისადმი გულგრილი დამოკიდებულება თავისთავად იწვევს მის სტაგნაცია/დეგრადაციას. შეიძლება ითქვას, რომ 00-იანი წლების მეორე ნახევრის შემდეგ, სახელისუფლებო ძალა – ვისი უმთავრესი დანიშნულებაც ქვეყანაში მიმდინარე კულტურული პროცესების უზრუნველყოფაა – კინემატოგრაფის სათავისო გამოყენებით არ დაინტერესებულა, შესაბამისად, არც მის ტექნიკური უზრუნველყოფაზე უზრუნია. სახელმწი-

ფოს მხრიდან პროპაგანდისტული მიზნებისთვის ტექნიკური ხელშეწყობა და „რეფორმა“ დღეის მდგომარეობით მხოლოდ სატელევიზიო სივრცეში ფიქსირდება, სადაც ტექნოლოგიური განვითარება და ხელისუფლებიდან ხელისუფლებამდე მიმოსვლა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. უამრავი თანხა იხარჯება თოქ-შოუების შექმნასა და მათი უცხოური ანალოგების ლიცენზიების მოპოვებისათვის. კერძო სარეკლამო ბიზნესსაც სახელმწიფოს საკმაო მხარდაჭერა აქვს. ხშირ შემთხვევაში, საშუალო სტატისტიკური რეკლამის ბიუჯეტი აღემატება რომელიმე ფილმის დაფინანსების თანხებს. შესაბამისად, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ – მმართველი ძალების მხარდაჭერა იკვეთება იმ სფეროებისადმი, რომლებიც მათ პირად ინტერესებს ემსახურება და მარტივი სამართავია.

მეორე მხრივ, კინემატოგრაფის ბინარული ბუნებით თუ ვიმსჯელებთ, კინო, როგორც მედიუმი რეალობის რეპრეზენტირების ყველაზე უფრო უტყუარ შესაძლებლობას იძლევა. კინო ხშირადაა მმართველი კლასების მხილებისაკენ მიმართული მექანიზმი, მათ მანეურ მხარეებს რომ უმაღ ცხადყოფს (კენ ლოუჩი, ძმები დარდენები, ოთარ იოსელიანი). კინო, როგორც მედიუმი, მიუხედავად მუდმივი წინააღმდეგობისა, მუდამ დგას საზოგადოებისაგან მარგინალიზებული ჯგუფების სამსახურში, მათ დასაფიქსირებლად, დასაცავად და მათი პრობლემების ნათელსაყოფად (პიერ პაოლო პაზოლინი, რაინერ ვერნერ ფასპინდერი, პედრუ კოშტა). ზემოთქმულ მიზეზ-შედეგობრივ ფაქტებსა და დასკვნებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ კინემატოგრაფის განუვითარებლობა, პირველ რიგში, ხელოვნების მიმართ სახელმწიფოსა და მმართველი კლასების გამიზნული ინდიფერენტული დამოკიდებულების შედეგია.

ქართული კინოსთვის უმთავრესსა და მუდმივ პრობლემას წარმოადგენს კინოთეატრების საკითხი. დამოუკიდებელი ქართული კინოს ისტორიაში ერთადერთი ადგილი, სადაც არაკომერციული კინოს მოყვარულთა ინტერესებს ითვალისწინებდნენ, კინოს სახლი (საქართველოს კინოაკადემია) იყო.

თუმცა, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, დასრულდა რა კინოს სახლის რეკონსტრუქცია, განახლდა დარბაზი და აღი-ჭურვა დამაქმაყოფილებელი ტექნიკით, კინოჩვენებები შეწყდა და ამჟამად კინოს სახლი საკუთარ დარბაზს სხვადასხვა ორგანიზაციებს სთავაზობს მასტერკლასების, პრეზენტაციებისა და სხვა ღონისძიებების გასამართად. არაკომერციული კინოს, ეგრეთწოდებული „არტ-ჰაუს“ ჟანრის მოყვარეთ, მხოლოდ მცირე ოდენობით გამართულ სტუდენტურ კინოჩვენებებზე ეძლევათ ამგვარი ფილმების ნახვის სიამოვნება. უნდა აღვინიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში კინოს სახლმაც დაუთმო სივრცე ახალგაზრდა კინომოყვარულთ, მაგრამ კანონმდებლობის მიხედვით, მათ მხოლოდ დახურული/შეზღუდული ჩვენებების გამართვა შეუძლიათ.

ბოლო ხანს მოხშირდა შემთხვევები, როცა კინომოყვარულები თბილისა თუ სხვა რაიონებში, პეტიციების საშუალებით სახელმწიფოსან მუნიციპალური კინოთეატრების შექმნას ითხოვენ. თბილისის კინოფესტივალზე მომრავლებული მაყურებლის რაოდენობაც, ხაზს უსგამს საავტორო კინოს მიმართ გაჩენილ ინტერესს. თუმცა, სახელმწიფო, ჯერჯერობით მხოლოდ კომერციული კინოს იმპორტიორი კერძო სექტორის ინტერესებს აკმაყოფილებს.

გარდა იმისა, რომ კინოთეატრი ჯანსაღი სოციალიზაციის პროცესს უწყობს ხელს, ამავდროულად კისრულობს ხელოვნებასა და ადამიანებს შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას. საქართველოს მასშტაბით მოქმედი კინოთეატრები, უმეტესად „მოლებსა“ და სავაჭრო ცენტრებში განთავსებულნი, მხოლოდ კომერციული მიზნებით ფუნქციონირებენ და არანაირი კავშირი აქვთ საავტორო/არაკომერციულ კინოსთან. როდესაც კინომოყვარულები რუსულად გახმოვანებული ფილმების აკრძალვას ითხოვდნენ, რასაც შექმნილი პეტიცია ადასტურებს, სახელმწიფო კვლავ „სირაქლემას პოზაში“ მოგვევლინა და აინუნშიაც არ ჩააგდო ხალხის ლეგიტიმური მოთხოვნა. სამაგიეროდ მოგვიანებით, გავრილოვის ამბების შემდეგ, კინოთეატრებმა პოპულისტური მიზნებისთვის ფილმების

რუსულად გახმოვანებაზე უარი თქვეს. თუმცა, მათ ვინც პეტიცია შეადგინა, კარგად ახსოვს კერძო სექტორის პასუხი, რომ რუსული გახმოვანების პრაქტიკიდან ამოღებას წლები დასჭირდებოდა.

აქვე აღვნიშნავთ რომ კერძო საკუთრებაში მყოფი ერთერთ კინოთეატრი, ბოლო ხანებში აქტიურად ცდილობს „არტ-ჰაუს“ კინოს რეპრეზენტატორად მოგვევლინოს, თუმცა, ნურც ის დაგვავინყდება, რომ მაყურებელი, ყველაზე უფრო კომერციულ „არტ-ჰაუს“ ფილმებს თუ ნახავს, იგულისხმება, სხვადასხვა ფესტივალებზე გამარჯვებული და კომერციულად წარმატებული „საავტორო“ ფილმები, ვუდი ალენისა თუ კვენტინ ტარანტინოს შემოქმედების რეტროსპექტივები.

ყურადღებაა გასამახვილებელი კინემატოგრაფიულ ორგანიზაციებში მომუშავე ახალგაზრდა პროფესიონალების სიმუშირეზე. საუბარი გვაქვს იმ თანამდებობებზე, რომლებიც იღებენ ამა თუ იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. 30 წლიანი კინოს ისტორიაში, საპასუხისმგებლო პოზიციებზე აშკარად გამოიკვეთა იმ ტიპის საზოგადოების საჭიროება, რომელიც წარსულში უმიზნო ქექვას არ დაიწყებს, მომავალზე კონცენტრირდება და ქართულ კინოში დამკვიდრებულ რეტროგრადულ ხედვას, უფრო ახალი და საინტერესო შეხედულებებით ჩაანაცვლებს.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ 2020 წელი ეროვნულმა კინოცენტრმა კინომემკივდრეობის წლად გამოაცხადა.

ისევ მემკვიდრეობა და წარსული.

არანაირი მომავალი.

წარმოება

90-იან წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, რთულდება კინოწარმოებაც. უმთავრესი მიზეზი, რა თქმაუნდა, ქვეყანაში მიმდინარე იმუამინდელი პოლიტიკური, სო-

ციალური თუ ეკონომიკური პროცესებია. 90-იანი წლებში, ქართულმა კინომ 50-მდე მხატვრული ფილმი თუ ანარმოა. შედეგად, 90-იანი წლები ქართული კინონარმოებისთვის ყველაზე უნაყოფო პერიოდია.

თუმცა, თუკი 90-იანი წლების კინემატოგრაფიული ეპოქის აპოლოგია მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებითაა შესაძლებელი; ეკონომიკური სიდუხჭირის, სოციალური დისონანსისა და სხვა საპატიო მიზეზებით – ადვილია გაუგო იმუამინდელ ყოფაში მოღვაწე ხელოვანებს, ანმყოში მიმდინარე დიგიტალიზაციის ფონზე, როდესაც თითქმის ყველა ტელეფონი, საშუალებას იძლევა მოკლემეტრაჟიანი ფილმის შექმნისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხებშიც საგრძნობლად მომრავლდა დაბალბიუჯეტიანი კინოფესტივალების რაოდენობა, თანამედროვე ავტორები, პრობლემების უპირველეს მიზეზად უსახსრობას არ უნდა ასახელებდნენ.

უმთავრესი მიზეზები თანამედროვე ქართული კინოს განუვითარებლობისა, ვგონებ, დარგობრივ განათლებას, შემოქმედებით სილატაკესა და წარმოსახვის უნარის ნაკლებობაში უნდა ვეძიოთ. წარმოსახვისა, რომელიც დაბალი ბიუჯეტისა და რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორია საავტორო კინოსთვის.

რა თქმა უნდა, 90-00-იან წლებთან შედარებით, ქართულმა კინომ, ისევე, როგორც სხვა ხელოვნების დარგებმა, პროგრესი განიცადა, მაგრამ რასაც დღეს ქართულ კინოს ვუნოდებთ, იდენტობანაკლულია. არასაკმარისი საგანმანათლებლო სივრცეებისა და თეორიული მასალის გამო, ქართველ ავტორებს (გამონაკლისების გარდა) კინოს კინოდან სწავლა უწევთ, რაც ყველა შემთხვევაში არ ამართლებს, რადგან ხშირად შევხვდებით კინემატოგრაფიულ პლაგიატსა და ავტორიტეტულ კინორეჟისორთა მსოფლიმედველობის დაუფიქრებელ გაზიარებას.

21-ე საუკუნე წარმოების მხრივ იმედიანად დაიწყო. კერძოდ, 2001 წლის აპრილში, ყალიბდება კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრი, კულტურის სამინისტროს სსიპ, რომელიც

დასაბამიდან მოყოლებული, წარმოების მთავარი წყაროა. პერიოდულად, სხვადასხვა კერძო საპროდიუსერო კომპანიებიც გამოჩინდებიან ხოლმე, რომლებიც საბოლოოდ დაფინანსების მოსაძიებლად, მაინც კინოცენტრში ამოყოფენ ხოლმე თავს.

კინოცენტრის მიერ შემუშავებული წარმოების ფორმა ამგვარია; ყოველწლიურად კინორეჟისორებისთვის ცხადდება კონკურსი, რომელიც მოიცავს მოკლემეტრაჟიან და სრულმეტრაჟიან მხატვრულ, დოკუმენტურსა თუ სადებიუტო ფილმებზე დაფინანსებას. მონაწილეები საპროდიუსერო კომპანიებთან ერთად წარადგენენ სცენარს, რომელსაც დარგის ან მომიჯნავე სფეროდან მოწვეული სპეციალისტთა გუნდი (დაახლოებით 10 ადამიანი) შეაფასებს. საბოლოოდ, მონაწილეებთან გასაუბრების შემდეგ, იწერება ქულები და შეფასებები, რომლებიც წყვეტს თუ ვინ მიიღებს დაფინანსებას. ერთობ დემოკრატიული პროცესი ჩანს, რომ არა ის პრობლემები, მუდმივად რომ იჩენს ხოლმე თავს.

დავიწყოთ იმაზე საუბრით, რომ მიგვაჩნია – საქართველოში არ არის კინოში გარკვეული იმდენი პროფესიონალი, ყოველწელს უიურის სახით 10-10 კაცს რომ კრებდეს. ამასთანავე, ამდენ ადამიანს შორის კომუნიკაციის დამყარება რთულია, მით უფრო, როდესაც სხვადასხვა სფეროებიდან შემოკრებილ უიურის წევრებს უთუოდ განსხვავებული კინემატოგრაფიული ხედვა აქვთ. რთულია რეჟისორისთვისაც, აუხსნას ამდენ თვალს, რა შეხედულებები აქვს კინოზე და სცენარის თითოეული ეპიზოდი დამარცვლოს. ვფიქრობთ, 3-4 კაციანი უიური სრულიად საკმარისია, რადგან გაადვილდება კომუნიკაცია როგორც უიურის წევრებს შორის, ასევე კონკურსანტებთან მიმართებაშიც.

ამავდროულად, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ ხელოვანს საკუთარი ხედვა აყალიბებს, უიურის წევრებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდნენ რეჟისორები, რადგან სხვა ავტორის შემოქმედების განხილვისას, საკუთარი

ხედვის უარყოფა წარმოუდგენლად გვეჩვენება, რაც ზრდის შანსებს, რომ კონკურსანტის მიერ წარდგენილი სცენარი თავისებურად იქნას აღქმული.⁵ ამას დამატებული, რეჟისორთა შორის არსებული კონკურენცია, თავისთავად ეჭვის ქვეშ აყენებს მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობას.

ბოლოს უნდა გამოვტყდეთ, რომ ბრიტანული ნიჭიერი-სა და სხვა საკონკურსო თოქ-შოუების ფორმატში შემდგარი წარმოების ფორმა დიდად არ გვეხატება გულზე და კინოცენტრის მესვეურთ რჩევას მივცემდით; სჯობს, ეტაპობრივად მოხდეს იმ ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა, რომელთა ქირაობაც რეჟისორს კოლოსალური თანხა უჯდება (სრულ დაფინანსებასთან მიმართებით). დროდადრო აღნიშნული ტე-ქინკა გარკვეული დროით გადაეცეს დაბალბიუჯეტიან ფილ-მებზე მომუშავე ავტორებს. მათ პრაქტიკული გავარჯიშების საშუალება მიეცემათ, რაც დროთა განმავლობაში მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებზე დადებითად აისახება. დაბოლოს, არა-ფრისმომცემ, უშინაარსო ფორუმებში დახარჯული თანხა, სჯობს ახალგაზრდა სტუდენტებს მოხმარდეს, იქნებ ქვეყნის მომავალში განხორციელებულმა ინვესტიციამ გაამართლოს კიდეც.

ჟანრული თვალსასიერი

90-იანი წლების კინემატოგრაფში ჟანრული თვალსასიერი მნიშვნელოვანნილად ვინროვდება, რაც სამოცდაათწლიანი საბჭოთა ცენზურითაა განპირობებული, რომელიც უპირობო უპირატესობას სოციალურ ჟანრში გადაღებულ ფილმებს ანიჭებდა. დამოუკიდებელ ქართულ კინოს უნაყოფო ჟანრული ნიადაგი ერგო. არსებითად მდგომარეობა არც დამოუკიდებლობის შემდეგ შეცვლილა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, სოციალური რეალიზმი რეჟისორთათვის უაღტერნა-

ტივო უანრს წარმოადგენს. ერთი მხრივ, ამას განაპირობებს ავტორთა სურვილი, ისაუბრონ სოციალურ პრობლემებსა თუ მოვლენებზე. მეორე მხრივ, სოციალური პრობლემების ეკრანზე ასახვა, წარმატებისთვის მზა კინემატოგრაფიულ პატერნს წარმოადგენს.

აქვე შევნიშნავთ, რომ როგორც საბჭოთა კავშირის ისევე პოსტ-საბჭოთა კინემატოგრაფში სოციალური უანრის სუბ-სტანცია მოშლილია. პირველის შემთხვევაში, ცენზურის საშუალებით მმართველობის მიერ ნაკარნახევი რეალობის კონსტრუირება ხდებოდა, მეორე შემთხვევაში კი, ჭარბი სურვილი ისაუბრონ ავტორებმა სოციალურ რეალობაზე, მათ პირადსა და ვიწრო ინტერესებს ემსახურება.

პოსტ-საბჭოთა სოციალური კინო, არსობრივად საბჭოთა მეინსტრომ სოც. რეალიზმის გადმონაშთია, რადგან არცერთი მათგანი არ რეფლექსირებს სიღრმისეულად, ნაკლებად ხდება პრობლემების სათავეების ძიება, ამა თუ იმ მოვლენის პოლიტიკურ ჭრილში დანახვა. ამ პერიოდში უამრავი ფილმი დაგროვდა, რომელშიც ავტორი ზედაპირული რეფლექსის ფონზე ცდილობს მაყურებლამდე საზოგადოებრივი პრობლემებისა და მიმდინარე პროცესების მიტანას. ზოგ მათგანში („ანას ცხოვრება“, „დედე“, „მეზობლები“) ყველა სოციალური პრობლემა ერთად მოიყრის თავს, ამდენად, ნარატივის დანაწევრების ფონზე, ავტორი ვერც ერთ მათგანს უღრმავდება. თუკი საბჭოთა სისტემაში სოციალური კინო ძალაუფლების გამყარების მნიშვნელოვანი საშუალება იყო, თანამედროვე ქართულ რეალობაში სოციალურ ცხოვრებაზე დაკვირვება უფრო მეტად მანიპულაციის იარაღს წარმოადგენს. იშვიათად თუ ვიზილავთ ავტორს, საკუთარი შემოქმედების საშუალებით იმ ფორს-მაჟორული მოვლენების კვლევა ეცადოს, რომელთა ასახვასაც დოკუმენტური სიზუსტით აღწერილი გარემოების გარდა, სოციალურ პრობლემებზე ღრმა დაკვირვება, მათი სათავეების ძიება და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კვლევა სჭირდება. ამ პერიოდის კინემატოგრაფში რეჟისორთა ინტერ-

ესის საგანი, სულ უფრო ნაკლებად ხდება პერსონაჟებისა თუ მათი რეალური პროტოტიპების ფსიქოლოგიური ანალიზი. შესაბამისად, უკვე მზა, შაბლონური კინო-იმიჯების (მაგ. პატრი-არქალურ წიაღში გაუბედურებული ქალი, მოძალადე, ლოთი ქმარი და სხვ.) რეპრეზენტირების შედეგად, მაყურებელს და პერსონაჟებს შორის წარმოიქმნება გაუცხოების ეფექტი, ერთგვარი დისტანციური შრე, რაც სოციალური კინოს შემთხვევაში, აუცილებლად გადასალახია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, ნულოვანი წლების მეორე ნახევარში მომრავლებული კომერციული ფილმების გამოყოფა, რომლებსაც ძნელია რაიმე კინემატოგრაფიულად ღირებული გამოუქებნო, თუმცა, მათი მოკლე მიმოხილვა მაინც მნიშვნელოვანად გვესახება, რადგან ეს ნამუშევრები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სახელისუფლებო ძალამ კინო პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენა. საუბარია, სატელევიზიო ესთეტიკით შექმნილ მეინსტრიმ ფილმებზე: „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“, „გოგონა სლაიდიდან“, „ოცნების ქალაქი“, „ჭამა და სექსი“, „აგვისტოს 5 დღე“ და სხვები. გარდა იმისა, რომ ეს ფილმები დაბალმხატვრული, ფართო მასებზე გათვლილი ნამუშევრებია, ვფიქრობთ, ისინი იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური რეალობის გასაყალბებლად იქმნებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამუშევრები ზუსტად ესადაგებიან კიჩის პირვანდელ დეფინიციას, მათი განხილვა ბოდრიარისეული სიმულაკრის ჭრილშიც შეიძლება. უან ბოდრიარი სიმულაკრს უწოდებს იმას, რაც რეალობას აყალბებს და შედეგად მის ადგილს იკავებს. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ეს ფილმები სწორედ ამგვარი სიმულაციის მცდელობის შედეგებია, რომლებიც საკუთარი არსით ცდილობენ წაშალონ სოციალური რეალობა, მის მაგივრად კი ახალი, ხელისუფლების სგან დაკვეთილი მნიშვნელობა შემოგვთავაზონ.

ზემოთქმულის ფონზე, შოთა კალანდაძის ეროტიკულ ჟანრში რეგისტრირებული ფილმები, ხელოვნების ნიმუშებად ფორმულირებისთვის სიშიშვლეს რომ მოიშველიებენ, შეი-

ძლება მოგვეჩვენოს ერთადერთ თავისებურ და უანრობრივად განსხვავებულ ტერიტორიად, სადაც ქართული კინოს ავტორები გადაადგილდებიან. სხვა საკითხია, რამდენად ფასეულია კალანდაძის „შიშველი ფილმები“, აქვთ თუ არა მათ კინემატოგრაფიული ღირებულება და ა.შ. მაგრამ ფაქტი ერთია, ერთადერთი ავტორი, რომელიც კინოს პროვოკაციულ ბუნებაზე აშენებს თავის შემოქმედებას, შოთა კალანდაძეა, რომლის კინემატოგრაფიული „დაბდური“, სხვა ფილმების ფონზე, მავანს შესაძლოა ნამდვილ კინოხელოვნებადაც ეჩვენოს.

გამორჩეული ფილმები და ავტორები

შემოსაზღვრული მოცულობისა და უფრო მეტად ქართული კინოს თეორიულ პრობლემებზე კონცენტრირების გამო, მიმდინარე ქვეთავში მოკლედ მოგვიწევს მიმოვიხილოთ ის ფილმები და ავტორები, რომლებმაც დამოუკიდებელი ქართული კინოს ისტორიაში ჯერ კიდევ გადაულახავი პრობლემების მიუხედავად, არ დაკარგეს ენთუზიაზმი, განაგრძეს შრომა და მიიღეს იმგვარი შედეგი, რომელიც თანამედროვე ქართული კინოს ფუნდამენტად იქცა. თუკი რომელიმე ფილმებსა და ავტორებში უნდა ვეძიოთ ეროვნული კინოს ერთგვარი იდენტობა, ვფიქრობ, ისინი შემდეგი ავტორები არიან.

ნიშანდობლივია, რომ პოსტ-საბჭოთა კინოსთვის კრიზისულ ეტაპებზე, ქართულ კინოს თავისებურ მხსნელებად ქალი რეჟისორები ევლინებიან. ერთ შემთხვევაში, ნანა ჯორჯაძე, მეორე შემთხვევაში კი, ნანა ექვთიმიშვილი არიან ავტორები, რომლებიც რამდენადმე საინტერესო და ორიგინალურ ნამუშევრებს შექმნიან.

გარდა საკუთრივ ავტორისეული ხედვისა, ჯორჯაძე 90-იანი წლების კინოსთვის დამახასიათებელი სწორხაზოვანი ელემენტებისა და დომინანტური, ფსევდო-სოციალური უანრის

უარყოფით, განსხვავებული და უანრული ნამუშევრების შექმნას ახერხებს (ზაფხული, ანუ 27 დაკარგული კოცნა“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“). თუკი, დამოუკიდებელი ქართული ფილმების აბსოლუტური უმრავლესობა ე. წ. „მამაკაცური კინოს“ ნარატივში ექცევა, სადაც რეალობა მამაკაცთა თვალსაზრისით ფიქსირდება, ჯორჯაძე და შემდეგ უკვე ექვთიმიშვილიც, ქალების პერსპექტივით დანახულ გარემოს აღწერენ. ქმნიან თავისებურ სახასიათო ატმოსფეროს, რაც მათ შემოქმედებას სხვა ნამუშევრებთან მიმართებაში აშკარა სხვაობას ანიჭებს. თუკი ჯორჯაძის შემოქმედების კონსტრუირებას უანრული ნაირსახეობები განაპირობებენ, სადაც დომინანტური ხაზი კომედიურია, ექვთიმიშვილი მელოდრამატული უანრის პარადიგმებით ნაკარნახევ სიუჟეტს, სოციალური დრამისთვის დამახასიათებელ ფაბულას დააშენებს. ასეთი ფორმებით სტრუქტურირებულ ნაწარმოებში, ცენტრალური ღერძი, რომლის ირგვლივაც სხვადასხვა პერიფერიული საკითხები მოიყრის თავს - პატრიარქალურ წყობილებებში ქალის როლის ძიება და ამგვარ გარემოში ჩამოყალიბებულ სოციალურ როლზე რეფლექსია.

2000 წელს, მაყურებელი იხილავს ჯორჯაძის ფილმს „ზაფხული, ანუ 27 დაკარგული კოცნა“. ამ პერიოდის ჯორჯაძის შემოქმედებას თუ გადავხედავთ, ნათლად გამოჩნდება, როგორ იძერწება ის ორიგინალური ფაქტურა, რომელსაც რეალობისა და ავტორისეული წარმოსახვის ნაზავი და კომედიურ-მელოდრამატული უანრისთვის დამახასიათებელი ელემენტები ქმნიან. ამასთანავე, სწორად შერჩეული მსახიობებისა და რიგ შემთხვევებში, პროვოკაციული სიუჟეტის გარდა, განსხვავებული გამომსახველობითი ხერხები, საკუთრივი ხედვა და კუსტურიცა-ფელინისთვის დამახასიათებელი კომიკური პერსონაჟების ფართო გამა, მეტად განსხვავებულ ნამუშევრებს ქმნიან.

დაახლოებით 10 წლის შემდეგ, 2010-იანი წლების დასაწყისში, ნანა ექვთიმიშვილის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“

გახდება ნამუშევარი, რომელიც ასევე გამოეყოფა მის პერი-ოდში ნაწარმოებ ფსევდო-სოციალური ფილმების ნაკადს. ექვთიმიშვილი ქართული საზოგადოების სახეს უმეტესწილად ოჯახის ინსტიტუტზე დაკვირვების შედეგად დახატავს. მის უკანასკნელ ნამუშევრებში, ოჯახური მიკროსამყარო გახდება ერთგვარი კინემატოგრაფიული პატერნი, რომლის მიხედვითაც, მასში მიმდინარე მოვლენების განზოგადებულ ჭრილში წაკითხვა, მოგვცემს საშუალებას, მცირე საზოგადოებაზე დაკვირვების შედეგად, ვიკვლიოთ ქვეყანაში შექმნილი ეგზისტენციალური და პოლიტიკური ვითარება. ვითარება რომელიც სრულად იზიარებდა თომას პობსის მიერ ფორმულირებულ ბუნებრივ მდგომარეობას – „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“, რაც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების სრულ გაუმართაობას, შიშველი სიცოცხლის, უცნობსა და სახიფათო გარემოებებზე მინდობილობას.

თუმცა „გრძელი ნათელი დღეების“ მაგალითზე, რთულია ვთქვათ, რომელი სიუჟეტური ხაზია ფუნდამენტური; ეკასა და ნათიას მეგობრობა, თუ ამ მეგობრობის ფონზე გადაშლილი საზოგადოების უსახური ყოფა, სოციო-პოლიტიკური პროცესებისგან ნაკარნახევი აპათია თუ მშობლებსა და შვილებს შორის წარმოქმნილი დისონანსი, 13-14 წლის ბავშვების ნაადრევი, ნაძალადევი „ზრდა-განვითარება“, თუ ტრაგიკულად დასრულებული სასიყვარულო ისტორია. მაშინ, როდესაც ეკა და ნათია უნდა სწორობდნენ, ერთმანეთს პირველი სიყვარულის-გან მიღებულ ემოციებს უზიარებდნენ; სანაცვლოდ, მტრულ გარემოში გადარჩენის გზების ძიება თუ დარჩენიათ.

სიუჟეტთან ერთად, ფილმის წარმატებაში მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის კინემატოგრაფისტ ოლეგ მუტუს.⁷ მსახიობთა დამაჯერებელ პერფორმანსთან ერთად, კამერის ურთიერთობა პერსონაჟებთან, რიგ შემთხვევებში „ჭუჭყიანი კამერის“ ტექნიკისა და აღნერილის ზუსტი თანხვედრა, უტყუარ გარემოსა და ატმოსფეროს ქმნის, სადაც „ბნელი დროის“ კოლექტიური ფსიქოზი რეპრეზენტირდება.

90-იანსა და 10-იან წლებში ქართული კინოს მნიშვნელოვან საერთაშორისო წარმატებები, ჯორჯაძისა და ექვთიმიშვილის სახელებთან ასოცირდება, პირველის შემთხვევაში - ოსაკარის ნომინაცია, ხოლო მეორეს მაგალითზე, მრავალი საერთაშორისო ჯილდო ფიქსირდება.

აუცილებლად უნდა გამოყოფთ ლევან ზაქარეიშვილი და მისი 2005 წლის ნამუშევრა „თბილისი-თბილისი“. ნანარმოებს ალეგორიული თხრობის სტილი ახასიათებს – ბაზრობა, სადაც სიუჟეტის უმეტესი წილი ვითარდება, თავისებური მიკროსამყაროა, ქვეყნაში არსებულ მდგომარეობასა და სოციალურ პრობლემებს რომ აღნერს. „თბილისი-თბილისი“ ერთგვარ მეტაფილმადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელშიც მოქმედება პროტაგონისტის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით ვითარდება და ფინალში ავტორის მიერ შექმნილ სიუჟეტთან იკვეთება.

სხვა მხრივ, ზაქარეიშვილის „თბილისი-თბილისი“ ერთგვარ წინასწარმტვრებულება ნამუშევრადაც შეიძლება წავიკითხოთ. წინასწარმეტყველებად იმისა, რაც ქვეყანაში 2005 წლის შემდეგ პერიოდებში განხორციელდა. ავტორის მიხედვით, პოსტ-საბჭოთა პერიოდის საქართველო იმ ბაზრობის ანალოგია, სადაც უკანონობამ, „ძლიერის“ მიერ „სუსტის“ ჩაგვრამ, სოციალურმა ინდიფერენტულობამ და სხვა ნაკლოვანებებმა დაისადგურეს. ბაზრად ქცეულ ქვეყანაში პროფესორს ვაჭრობა, ვაჭარს კი სახელმწიფოებრივი მოვალეობების შესრულება უნდეს, მოზარდები ქურდობენ, ქალებს საკუთარი სხეულით ვაჭრობალა დარჩენიათ. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ნამუშევარი, სხვადასხვა ფუნდამენტურ საზოგადოებრივ საკითხებთან ერთად, საბჭოთა სისტემიდან კაპიტალისტურ „გემზე“ გადაჯდომის სირთულეებსაც აღნერს.

პიერ პაოლო პაზოლინი, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ერთმა კრიტიკოსმა „აკატონეში“ აღნერილი გარემო, სადაც თავს იყრის მეძავთა, კრიმინალთა და უსახლკარო პერსონა-ჟთა საზოგადოება, საკონცენტრაციო ბანაკს შეადარა. ბანაკს,

რომელშიც ქვედა სოციალური კლასებისადმი სახელმწიფოს გამიზნული თუ გულგრილი დამოკიდებულებით, ქვეყნის პერიფერიული, მივიწყებული მხარეები იკითხება. თუკი ასეთ მსჯელობას ქართულ ფილმებს მივუსადაგებთ, ფილმებში: „მე ვარ ბესო“ (ლაშა ცქვიტინიძე), „ლორი“ (გიგა ლიკლიკაძე), „სერგო გოთორანი“ (ირაკლი ფანიაშვილი) და „თბილისი-თბილისი“ სწორედ ამგვარი პერსონაჟები და გარემო რეპრეზენტირდება. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებულ ფილმებს კვაზი-დოკუმენტური სტილი აერთიანებთ, პერსონაჟებსა და მათ რეალურ პროტოტიპებს შორის, ზღვარი გაფერმურთალებულია. ზოგიერთი მათგანის შემთხვევაში, აღნიშნულს არაპროფესიონალი მსახიობებით დაკომპლექტება განაპირობებს. ამ ფილმებში აღნერილი უტყუარი გარემო, პერსონაჟების ავთენტური სამეტყველო ენა - უმეტესწილად დაბალი სოციალური ფენის სამეტყველო აფორიზმებისგან შემდგარი ლექსიკა, ავტორთა მიერ შექმნილი ცოცხალი სახეები, სხვადასხვა იდეოლოგიისგან ნაკარნახევ პოლიტკორექტულობას რომ არ უშინდებიან, სწორად დასმული აქცენტები და უხილავი ხაზი, რომელიც ამ ნამუშევრებს აერთიანებს, შესაძლოა, ქართული „ახალი ტალღისთვის“ შემზადებულ ნოყიერ ნიადაგად მივიჩნიოთ.

სხვა მხრივ, ფილმებში „მე ვარ ბესო“ და „ლორი“ ესთეტიკური მსგავსებაც იკვეთება.⁸ გარდა პერსონაჟებს აკიდებული მოცახცახე კამერისა, ორივე შემთხვევაში ამბავი ახალგაზრდა ბიჭის პერსპექტივიდან გვევლინება. ამ ფილმებში გარემოება და დრო პირობით მოცემულობად რეგისტრირდება; უმნიშვნელოა რომელ სოფელსა თუ დროში მიმდინარეობს ნარატივი, რადგან აღნერილი პერსონაჟები იმ ადამიანების კრებითი სახეებია, რომლებიც ცენტრისგან შორს, მნიშვნელობამოკლებულ გარემოში „არსებობენ“, „მხოლოდ ასრულებენ იმგვარ მოვალეობებს“, რომლებსაც ბაზრის ლოგიკა კარნახობს მათ, ბატონობას დაქვემდებარებული ყოფა კი, მათ ცხოვრებას გაქვავებულსა და შემგუებლურ გარსში ახვევს.

აღსანიშნავია ამ ავტორების მცდელობაც, გარდა უკვე არ-სებული კინო-იმიჯებისა, შექმნან ახალი, თანამედროვე რეალ-ობისათვის დამახასიათებელი სახე-ზატი, რაც, მაგალითად, „მე ვარ ბესოს“ შემთხვევაში ქართული ცეკვის ეპიზოდში ილუს-ტრირდება – აღმოსავლური ორთაბრძოლებისა და ქართული ცეკვის ნაზავი, გვაფიქრებს, რომ ავტორი პარალელს ავლებს სხვადასხვა კულტურებში აღმოცენებულ მასკულინურ პატერ-ნებზე, რაც თანამედროვე ქართულ კინოში ახალი სიტყვის თქმის მცდელობად უნდა მოვიზროთ.

დამოუკიდებელი ქართული კინოს უმნიშვნელოვანეს ავტო-რად გვევლინება ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი, რომელიც ყველაზე უფრო კრიზისულ პერიოდში იწყებს მოღვაწეობას და საკუთარი ნამუშევრებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქა-რთული კინოს პრობლემების გადაწყვეტაში. ამასთანავე, კო-ლუაშვილია ერთ-ერთ პირველი ავტორი, რომელიც „დაკარგუ-ლი თაობის“ შესახებ ითავებს თხრობას.

მის შემოქმედებას გამოარჩევს ერთგვარი განზოგადებუ-ლი, კრებსითი პერსონაჟები – ძირითადად საშუალო ასაკში მყოფი მამაკაცები, რომლებიც სოციო-პოლიტიკური ტრანს-ფორმაციის ფონზე, დანაწევრებული საზოგადოებების ფონზე არსებული ინდივიდები არიან.

გთავაზობთ გიორგი ჯავახიშვილის (ამავე სტატიის ავტო-რის) რეცეზიის მეორე ნაწილს, ლევან კოლუაშვილის ფილმზე „შემთხვევითი პაემნები“. – რედაქტორები

თვალი მეორე – ფეხბურთი გოლების გარეშე.

„ფეხბურთი ცხოვრების მეტაფორაა“ – უან-პოლ სარტრი.

შენიშნავდით, რომ არაფერი გვითქვამს ფილმში ქვეტ-ექსტად გაუღერებული თემის, ფეხბურთის შესახებ. მოდით, ცოტა გავხალისდეთ და ყველაფერს მეორე თვალით შევხე-დოთ. თვალით, რომელიც ამბავს უფრო სიმბოლურ-მეტა-

ფორულ ქრილში წაგვაკითხებს. თუკი ფეხბურთს ცოცხალ ორგანიზმად წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ მისი ფუნდა-მენტი სოციალურია – კომუნიკაციის დამყარება. გარდა ფეხ-ბურთის თამაშისა, სხვა ადამიანები მას თვალს ადევნებენ და სიამოვნებას იღებენ. ფილმში „შემთხვევითი პაემნები“ ფეხ-ბურთი რეალური, აბსურდული ცხოვრების ალტერნატიული, მეტაფორული ვერსიაა. ფილმის დასაწყისში, ქალებს შორის გასამართი მატჩის წინ, სპიკერი ამბობს, რომ ქალთა ფეხბურ-თი ჩვენს ქვეყანაში ახალი სახეობაა და მათ უფრო და უფრო მეტი გოლის გატანა სურთ. სანდროს მანანას მიმართ გაჩენი-ლი სიმპათიაც სწორედ ფეხბურთის თამაშის დროს იკვეთება. ავტორი ფეხბურთს რეალური ცხოვრების მეტაფორად აქცევს და თანამედროვე ყოფაში მიმდინარე მოვლენებს სიმბოლური ენით გადმოსცემს.

უფრო სილრმისეულად თუ განვიხილავთ, ფეხბურთსა და რეალურ ცხოვრებას შორის კავშირების პოვნას თუ ვცდით. ისევე როგორც ცხოვრებაში, ფეხბურთშიც ერთი გუნდი მეორის წინააღმდეგ გარკვეული სქემით თამაშობს. არი-ან შემტევები, მცველები, ნახევარმცველები და მეკარეები. ასეა ცხოვრებაშიც – ზოგი მეტს „უტევს“, რის შედეგადაც მონინააღმდეგეს უფრო მეტად უწევს „თავდაცვა“. არსებო-ბენ უფრო ინდივიდუალური ფეხბურთელებიც, მაგალითად, დრიბლინგის დიდოსტატები. ცხოვრებაში ასეთ ადამიანებად ისინი წარმოვისახოთ, ვინც ნაკლებად საჭიროებს სოციალურ აქტივობას, თუმცა საზოგადოებაში მაინც მნიშვნელოვანი როლი უკავიათ: პოეტები, მწერლები, მხატვრები და ა. შ. არ დაგვავიწყდეს სათადარიგო სკამზე მსხდომი მოთამაშებიც. რეალობაში ასეთ ადამიანებსაც შევხვდებით, მათ, ვინც ჯერ კიდევ ელოდებიან „თამაშში“ ჩართვას. როგორც ცხოვრებას, ფეხბურთსაც უმთავრესი ამოცანა აქვს – გოლის გატანა. მა-გრამ როგორ ითარგმნება გოლი რეალურ ცხოვრებაში?

თუ სამყაროში მიმდინარე პროცესებს დიალექტიკური პერსპექტივით შევხედავთ, ნათლად გამოჩნდება, რომ რე-

ალურ ყოფაში, ისევე როგორც ფეხბურთში, ერთმანეთს და-პირისპირებული ნაწილები ეპაექრებიან, მაგალითად: კარგი-ცუდი, მემარცხენე-მემარჯვენე, ნაცი-ქოცი. ყველას აქვს მიზანი (გოლი), რომელსაც უნდა მიაღწიოს. ორად გაყოფილ სამყაროში, რაც უფრო მეტ მიზანს აღწევს ერთი მხარე, მით უფრო მარცხდება მეორე. ფეხბურთის მაგალითზე, რაც უფრო მეტი გოლი გააქვს ერთ გუნდს, მით უფრო მცირდება მეორე გუნდის ნარმატების შანსი. ასეთ მოცემულობაში, ვიღაც მუდამ დამარცხებულია. ფილმის „შემთხვევითი პაემნები“ პერსონაჟებიც ორ გუნდად არიან დაყოფილნი. სანდრო და ივა, რა თქმა უნდა, გუნდელები არიან. მშობლები და სხვა გმირები, რომლებიც სანდროსა და ივას ჭკუას არიგებენ, მათზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ – მეორე გუნდია. თენგო სანდროს მონინააღმდეგე გუნდის აგრესიული შემტევია, რომელიც მუდამ გოლის გატანაზეა დაგეშილი, თუმცა, თავდაპირველად, სათადარიგო სკამზე ზის და თამაშის შუა ნაწილში ერთვება. ბრმა პაემნებზე ჩამოსული გოგონები და თბილისურ „გეტოში“ მცხოვრები ოჯახი, სათადარიგოთა სკამზე მსხდომი მოთამაშეები არიან, რომლებიც მოუთმენლად ელიან „თამაშის“ რიგს.

გარდა გუნდური დაპირისპირებისა, თენგოს თამაშში ჩართვა ცალკეული მოთამაშეების ანტაგონიზმსაც გამოკვეთს. ისიც ნათლად ჩანს, რომ სხვა მოთამაშეებიც ცალკეული მიზნების შესრულებასა და გოლის ინდივიდუალურად გატანას ცდილობენ. მორლვეულია სქემა, რომლის მიხედვითაც მოთამაშეები სინქრონულად უნდა მოქმედებდნენ. შედეგად, სანდრო თამაშგარეში აღმოჩნდება, საიდანაც მას გოლის გატანის უკეთესი შესაძლებლობა მიეცემა (თენგომ არ იცის სანდროსა და მანაასა ურთიერთობის შესახებ), მაგრამ აპატიებს ამგვარ საქციელს მაყურებელი? მაყურებელი, რომელსაც შესაძლოა მობეზრდა კიდეც „გოლის“ გასატანად ყველაფერზე ნამსვლელი მოთამაშეები. სანდრო არჩევანის წინაშე დგება – „გოლი“ უკანონდ გაუტანოს მონინააღმდეგე გუნდს, თუ თამაშის წესები დაიცვას და ლირსეულად დაელოდოს შემდეგი, „გოლის“ კანონი-ერად გატანის რიგს.

დასასრულს, ვფიქრობ, ფილმი ოპტიმისტურ ნოტაზე სრულდება და იტალიელი პოეტის, ეუჟენიო მონტალეს სიტყვებს ილუსტრირებს – „ნარმოვიდებენ, როდის დადგება დრო, როცა გოლს აღარავინ გაიტანს“ – სანდრო ლირსებას ირჩევს, ტოვებს მანანას, მიდის ქუჩაზე, სადაც ორი ბიჭი ფეხ-ბურთს თამაშობს.

არსად ჩანს კარი, შესაბამისად აღარც გოლები იქნება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვით ვისაუბროთ დამოუკიდებელი ქართული კინოს ისტორიაში საუკეთესო ფილმზე „ნამე“.⁹ თუკი პოსტ-საბჭოთა კინოს ისტორიაში რომელიმე ფილმი გამოირჩევა ფორმით და უახლოვდება ნულოვან წლებში გამოკვეთილ „მჭვრეტელობითი კინოს“ სტილს, ეს ნამდვილად ზაზა ხალვაშის პოეტური სურათია. თანამედროვე ქართული ფილმების უმრავლესობისგან განსხვავებით, ხალვაში აქცენტს, კინემატოგრაფიული ფორმისა და შინაარსის ორგანულ თანყოფნაზე აკეთებს.

„შეიძლება ითქვას, ზაზა ხალვაში ფილმით „ნამე“, ოსტატურად მოახერხებს თავის დახსნას როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა რადიკალიზმის ტყველობიდან, საბოლოოდ კი, პოეტური კინოს დახმარებით, შექმნის მამის იმგვარ ხატს, რომელსაც მაყურებელი ვერასადროს განიხილავს ერთ-მნიშვნელოვანდ კარგის ან ცუდის, კეთილის ან ბოროტის კონტექსტში“ – წერს კინომცოდნე ნინი შველიძე და თუ საყრდენად გამოვიყენებთ მის მსჯელობას, ხალვაშის მიერ შემოთავაზებული მამის სახე-ხატი უნდა მოვიაზროთ იმგვარ პიროვნებად, რომელიც ბიოგრაფიულის ნაცვლად ისტორიული მახასიათებლების მატარებელია და ქართული კინოს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს პერსონაჟად რეგისტრირდება.

სხვა მხრივ, ფილმში პროტაგონისტის ეგზისტენციალურ სახეცვლილებას ყველაზე უფრო უპრეტენზიო, წყნარი და-პირისპირებების (მამა-შვილი, კაცი-ქალი) ფონზე მივადევნებთ. ნამე, ახალგაზრდა გოგო, ვინც ერთობ უკმაყოფილოა მისთვის კუთვნილი საზოგადოებრივი როლით – მამის მიერ შვილისთვის ტვირთად ქცეული „მკურნალის“ ფუნქცია, პატრიცენ-

ტრულ ყოფაში ერთგვარი კულტურული განსაზღვრულობაა, რომელსაც ქალმა მთელი ცხოვრება მორჩილად უნდა მიუძღვნას – ეპილოგში ამოუხსნელ, მაგრამ აშკარა საიდუმლოს ტოვებს. დასასრულს პროტაგონისტის მიერ განთავისუფლებული, საუკუნეების განმავლობაში „დატყვევებული“ სიმბოლო – იქტისი, თავად იქცევა გადარჩენის ობიექტი და ამგვარად, „ხმაურიანის ნაცვლად ჩუმი, ძალადობრივის ნაცვლად „მშვიდობიანი“ ისტორია, მაყურებლის გონებაში შესაძლოა მხოლოდ ფელინისული „ლა სტრადას“ შეგონებით დაგვირგვინდეს – ყველას თავისი გზა აქვს“.¹⁰ ხალვაშის მიერ გადაწყვეტილი ღია ფინანსი „ნამეს“ დაუსრულებელი ფილმების რიცხვს მიაკუთვნებს. ავტორი სააზროვნო სივრცეს ტოვებს და ამგვარად მაყურებელს ეძლევა შესაძლებლობა, ნარმოსახვის დახმარებით ფილმის ფინანსის თანაზიარი გახდეს, რადგან „მსგავსი კინო ეკუთვნის თვითონ მაყურებელს და დიალოგიც მის პირად სამყაროსთან აქვს“.¹¹

ქართული „ახალი ტალღა“?

გარკვეულ პერიოდებში, როდესაც 2-3 მაღალმხატვრული ხარისხის ქართული ფილმი ერთმანეთის მიყოლებით იხილავს ხოლმე დღის სინათლეს, საუბარი იწყება ქართული „ახალი ტალღის“ ჩამოყალიბების შესახებ.

ერთგვარად თუ მიმოვიხილავთ, ქართულმა კინომ 60-იანებში „ახალი ტალღა“ უკვე იხილა. მოძრაობა, რომლის გარკვეულ წარმომადგენლებზეც ტექსტის დასაწყისში ვისაუბრეთ, თანამედროვე ქართული კინოს „ახალ ტალღად“ სახელდებისთვის ყველა მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდნენ. თუკი კინემატოგრაფისტთა გარკვეული ჯგუფის შემთხვევაში, მაინცდამანც გვსურს რაიმე ამდაგვარი სახელწოდება ვახსენოთ, მაშინ სჯობს, ტერმინად მესამე ან მეოთხე ტალღა გამოვიყენოთ, რადგან 80-იან წლებში, ქართულმა კინომ ასევე იხილა „ახალტალღების“ მიერ აღზრდილი „მეორე ტალღა“.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ „ახალი ტალღა“ ცალსახად პოლიტიკური კონცეპტია, რომელიც თავის თავში გულისხ-მობს „მამების კინოსთან“ ბრძოლას, ტრადიციული კინე-მატოგრაფიული ხერხების უარყოფასა და ახალი კინოენისა თუ სტრუქტურების დაფუძნებას, ახალ კინემატოგრაფიულ ხედვას, რომელიც უცილობლად ავლენს ხატმებრძოლებით ხასიათს. მაგალითად მოვიყვანოთ ფრანგული „ახალი ტალ-ღა“, რომელიც თანამედროვე ფრანგულ ფილმებსა და ზოგად კინემატოგრაფიულ ფორმებს აუჯანყდა, ასევე ინდური „ახა-ლი ტალღა“ და მისი გამორჩეული წარმომადგენელი სატია-ჯიტ რეი, რეჟისორი, ვინც „ბოლივუდის“ ოქროს ხანაში ქმნის სრულიად ინოვაციურ წამუშევრებს („პატარა ბილიკის სიმ-ღერა“, „აპუს სამყარო“), რომელთაც გარდა ესთეტიკურ-მხ-ატვრული ღირებულებებისა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური დანიშნულებაც ენიჭებათ.

თანაც, თუკი „ახალ ტალღას“ აპირობებ, ისეთივე თეორი-ული განათლება უნდა გქონდეს, როგორც უან-ლუკ გოდარს, იმდენად უკომპონისო უნდა იყო, როგორც რაინერ ვერნერ ფასბინდერი, და იმდენად უნდა შეგეძლოს კინემატოგრაფიუ-ლი ფორმების შეცვლა, როგორც ალენ რენეს.

მნიშვნელოვანი ფაქტორია „ახალ ტალღად“ წოდებული ავტორების მანიფესტი, რომელიც შესაძლოა სულაც არ იყოს წერილობითი ხასიათის. ამგვარი ტერმინის ქვეშ გაერთი-ანებულ ხელოვანებს, სახელდება „ახალი ტალღა“ იმთავითვე უქმნის, პოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობის წინაპირობებს.

შესაბამისად, ამგვარ მსჯელობაზე დაყრდნობით, შეგვი-ძლია ვთქვათ, რომ ქართული კინო ჯერჯერობით მხოლოდ „ახალი ტალღას“ წინარე პერიოდში იმყოფება, რადგან გარდა აზრობრივი თანხვედრისა, „ახალი ტალღა“ ფორმის თვალსაზ-რისითაც მოითხოვს მსგავსებებს.

ტექნილოგიური რაციონალობა და ერთგანზომილების აზროვნება დავით გალაშვილი

„ჩვენს დროში ყოველი საგანი თითქოს თავისი საწინააღმ-
დეგო მოვლენის მატარებელია. ჩვენ ვხედავთ, რომ მანქანა,
რომელსაც აქვს საკვირველი ძალა შეამციროს და უფრო ნაყ-
ოფიერი გახადოს ადამიანის შრომა, წარმოშობს შიმშილსა და
უძლურებას. სიმდიდრის ახლადგამოგონილი წყარონი, რაღაც
საპედისწერო თილისმის მეოხებით, გაჭირვების წყაროებად
იქცევიან. ტექნიკის გამარჯვებანი, თითქოს მორალის დაკარგ-
ვის გზითაა მოპოვებული. იმ ზომით, რა ზომითაც კაცობრიობა
ბუნების უფალი ხდება, ადამიანი, თითქოს, მეორე ადამიანის
მონობაში ვარდება ანდა თავისი საკუთარი სისაძაგლის მონად
იქცევა (...) ჩვენ, ჩვენი მხრივ, შეუცდომლად ვცნობთ ამაში იმ
მზაკვარი სულის ნიშანს, რომელიც მუდამ მუდავნდება ყველა
ამ წინააღმდეგობაში“.¹

კარლ მარქსი

ცნობილი მკვლევრის ენდრიუ ფინბერგის აზრით: „ჰაიდეგ-
ერის მსგავსად, გვიანდელი მარკუზე ტექნოლოგიას აღიქვამ-
და სხვაგვარად, ვიდრე უბრალოდ ტექნიკურ რაიმედ, ან ვიდრე
უბრალოდ პოლიტიკურ მოვლენად; მისთვის ტექნოლოგია
არის თვით მოდერნული გამოცდილება, საფუძველმდებარე

გზა, რომლითაც სამყარო ცხადდება (...). ის აზროვნების გზასა და პრაქსისის სტილს აღნიშნავს, ჭეშმარიტად, – რეალობის, როგორც ტექნიკური კონტროლის ობიექტის კვაზი-ტრანსფერდენტალურ სტრუქტურას“?² ჰერბერტ მარკუზესათვის ტექნოლოგიის საკითხი არ დაიყვანება ტექნიკა/ტექნოლოგიისა და კონკრეტული ინდივიდის ურთიერთმიმართებაზე. მისთვის ტექნოლოგია წარმოების მოდუსია, ინსტრუმენტთა ტოტალობაა, რომელიც არსებულ სოციალური ორგანიზაციის ფორმას უკვდავყოფს და რომელიც სოციალურ ურთიერთობებს განსაზღვრავს. ჰერბერტ მარკუზესათვის, ტექნოლოგია და არსებული წარმოების წესი ადამიანზე დომინაციისა და კონტროლის მექანიზმია:

„ჩვენ არ ვსვამთ კითხვას ინდივიდებზე ტექნოლოგიის გავლენისა და ზემოქმედების შესახებ. რადგან ისინი თვითონვე არიან ტექნოლოგიის შემადგენელი ნაწილები და ფაქტორები, არამხოლოდ ისინი, ვინც გამოიგონებენ, ან უშუალოდ მონაწილეობას იღებენ მექანიზებაში, არამედ სოციალური ჯგუფები, რომლებიც მას (ტექნოლოგიას) იყენებენ და მოიხმარენ. ტექნოლოგია, როგორც წარმოების მოდუსი, ინსტრუმენტების ტოტალობა, მოწყობილობები და ხელსაწყოები, რომლებიც მანქანურ ეპოქას ახასიათებს, ამგვარად, ამავე დროს, არის სოციალური ურთიერთობებისა და მისი ორგანიზების უკვდავყოფის მოდუსი, გაბატონებული აზროვნებისა და ქცევათა ნიმუშების, როგორც კონტროლისა და დომინაციის ინსტრუმენტის გამოვლენა“.³

თუმცა ცხადია, რომ აბსტრაქტულად აღებულმა, კონკრეტული სოციალური ფორმაციიდან მოწყვეტით განხილულმა ტექნიკამ შესაძლოა არამხოლოდ კონტროლისა და დომინაციის, არამედ განმათავისუფლებელი იარაღის როლი შეასრულოს, ტექნიკის გამოყენება მრავალმხრივ შესაძლებელია. მაგალითად, ნაციონალურ-სოციალისტურ გერმანიაში ტექნოლოგიური რაციონალობა ტოტალიტარული ჩაგვრისა და რეპრესიისათვის გამოიყენებოდა, მესამე რაიხის დროინდელი

გერმანიისათვის შესაძლოა ტექნოკრატიაც კი გვეწოდებინა. თუმცა, მეორე მხრივ, მარკუზე არ უარყოფს იმ განმათავისუ-ფლებელ პოტენციალს, რომელიც ტექნოლოგიაში ძევს და რომელიც განსხვავებული სოციალური ფორმაციის პირობებში შესაძლოა განხორციელდეს: „ტექნიკამ შესაძლოა წაახალისოს როგორც ავტორიტარიზმი, ასევე – თავისუფლებაც, დამცრობა, ისევე როგორც სიუხვე, ტანჯვის გაზრდა და ასევე მისი აღ-მოფხვრა“.⁴

მარკუზეს აზრით, ტექნოლოგიური პროცესების განვი-თარებამ ახალი ტიპის რაციონალობა და ინდივიდის საზოგა-დოებაში მყოფობის ახალი სტანდარტები დაამკვიდრა. თუმცა იმისათვის, რათა ახალი ტიპის რაციონალობაზე ვიმსჯელოთ, მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ რაციონალობის იმ მოდუსს, რომელიც განმანათლებლობის ეპოქას ახლდა თან. მარკუზ-ეს აზრით, მე-16, მე-17 საუკუნეში მომხდარმა სამეცნიერო გადატრიალებამ ადამიანი გარკვეული ფუნდამენტური და ხელშეუვალი უფლებებით აღჭურვა. მათ შორის გამოსაყოფია ის ჯებირი, რომელიც ინდივიდს სოციალური, საყოველთაო ინსტანციის გავლენებისაგან იცავდა და მის ავტონომიურ, და-მოუკიდებელ აზროვნებას უზრუნველყოფდა. ინდივიდს შეე-ძლო საკუთარი თავის განამდვილება მის მიერ დამოუკიდე-ბლად ნაწვდომი ფორმებით განეხორციელებინა, ხოლო საზოგადოების ამოცანა ინდივიდის ამ უფლებით აღჭურვა გახლდათ. ინდივიდის ავტონომიურობა აზროვნების ავტონო-მიურობიდან გამომდინარეობდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდის საზოგადოება ყალბი აპსტრაქციებისაგან სრულად განთავისუფლებული გახლდათ; მარკუზესთვის მთელ ამ პრო-ცესში მთავარი ის არის, რომ ინდივიდი საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ სოციალურ ნორმებს კრიტიკას უქვემდე-ბარებდა; სხვა სიტყვებით, ეს გონების სიფხიზლის ხანა გახ-ლდათ. თუმცა უამთა მსვლელობის პარალელურად საქონლის წარმოების პროცესმა ის ეკონომიკური ბაზისი დაამსხვრია, რომელსაც ინდივიდუალისტური რაციონალობა ემყარებოდა.

ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად მსხვილმა ინდუსტრიამ დაიწყო აღმოცენება და შესაბამისად, მცირე მნარმოებლების დაქვემდებარება. ნარმოების ტიპი მკაცრად ცენტრალიზებული, ტექნოლოგიზებული და რაციონალიზებული გახდა, „ბუნების კვანტიფიკაციამ, რომელმაც ბუნების მათემატიკური სტრუქტურებით განმარტებამდე მიგვიყვანა, რეალობა მისი ყოველი შინაგანი მნიშვნელობისაგან განაცალკევა და, შესაბამისად, ჭეშმარიტება სარგებლიანისაგან გამიჯნა“.⁵ ტექნოლოგიური აპარატის მომძლავრებასთან ერთად, ინდუვიდუალური რაციონალობა ტექნოლოგიურ რაციონალობად გარდაიქმნა. მარკუზეს იმის თქმა სურს, რომ ახალი ტიპის ინდუსტრიული წარმოება და ტექნოლოგია თვითონ აწარმოებს იმგვარ რაციონალობას, რომელსაც ინდივიდები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ექვემდებარებიან. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია კულტურის ინდუსტრიასაც მოვუხმოთ, რომელიც საკმაოდ ღრმად აქვს გაანალიზებული თეოდორ ადორნოს. ადორნო, მარკუზეს დარად, აღნიშნავს, რომ მოთხოვნილებანი კულტურის ინდუსტრიის მიერ არიან ნაწარმოებნი და ჩვენ ტექნოლოგიური აპარატის დიქტატის პირობებში ვერსად აღმოვაჩენთ ადამიანის ავთენტურ მიმართებას სამყაროსთან. ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ადორნო და მაქს ჰორკენიმერი სპეციალურად იყენებენ ცნება „კულტურის ინდუსტრიას“ იმისათვის, რათა გაფანტონ ყოველგვარი ილუზია იმ მოცემულობის შესახებ, რომ თითქოს მასობრივი კულტურა, მასების მიერაა წარმოებული. ცნება პოპულარული კულტურა, სინამდვილეში იდეოლოგიურია – აცხადებენ ისინი. მასობრივი კულტურა ზევიდან არის თავს მოხვეული და არა ხალხის წიაღიდან წამოსული პროდუქტი.⁶ ადორნოს აზრით, არსებული კულტურის ინდუსტრია ქმნის იმის ილუზიას, რომ თითქოს მის მიერ შექმნილი პროდუქტი ადამიანში არსებული ავთენტური გრძნობებისა და ინტენციების გაღვიძებას ემსახურება, სინამდვილეში კი, ტექნოლოგიურ რაციონალობაში ნაწარმოები ინდივიდუაცია ფსევდო-ინდივიდუაციაა: „ფსევ-

ფო-ინდივიდუაციაში ჩვენ ვგულისხმობთ არსებულ მასობრივ კულტურულ ნაწარმს თავისი თავისუფალი არჩევანის ატმოსფეროთი, რომელიც თვითონვე ემყარება სტანდარტიზაციის ბაზისს. გაპიტებული სიმღერების სტანდარტიზაცია ემსახურება მომხმარებელთა აზროვნების მათზე შერწყმას. ფსევ-დო-ინდივიდუაცია, ნანილობრივ, მომხმარებელს ავინყებს იმას, რომ რასაც ისინი უსმენებ მთლიანად მათზეა გათვლილი".⁷

მარკუზე ტექნოლოგიურ რაციონალობას დაქვემდებარებულ ადამიანს ლუის მამფორდის სიტყვებით აღწერს: „ობიექტური პიროვნულობა.“ ეს შეგვიძლია გავიგოთ, როგორც სუბიექტურობის, ავტონომიურობის „მაშინერიაზე“ სრულ დაქვემდებარებად, რაც ფაქტების მორჩილებასა და ადამიანის ერთგანზომილებიანობაში გამოიხატება. მარკუზემ ჯერ კიდევ 1941 წელს გამოცემულ წიგნში, „გონება და რევოლუცია“, სცადა ტექნოლოგიური რაციონალობისა და ფაქტებზე სუბიექტის დაქვემდებარების კრიტიკა. მარკუზე თავის ნაშრომში აცხადებს, რომ დიალექტიკური აზროვნება, რომელიც უარყოფითი აზროვნებაა,⁸ დღეს უკვე დამარცხებული და არსებული ძალაუფლებრივი აპარატის მიერ შეწოვილია:

„ამ ისტორიულმა საფეხურმა როგორც ფილოსოფიის, ასევე ყოველი შემეცნებითი აზროვნების ვითარება შეცვალა. ამ დროიდან მოყოლებული, ყოველი აზროვნება, რომელიც არსებული ცხოვრების სიყალბეს არ ასაცნაურებს, მცდარი აზროვნებაა. ამ ყველგან შემღწევი მდგომარეობიდან აბსტრაქტორება არა მხოლოდ იმორალურია, არამედ მცდარი. რადგან სინამდვილე გახდა ტექნოლოგიური, სინამდვილე და სუბიექტი ობიექტს ისე ჩაეწნა, რომ ობიექტის ცნება სუბიექტის შეცვას აუცილებლობით მოითხოვს. ამ ურთიერთჩანაცემულობიდან განყენებულობა უკვე აღარ გვიძლვება უფრო ნამდვილი რეალობისაკენ, არამედ – სიყალბისკენ, რადგან ამ სფეროშიც კი, როგორც ჩანს, სუბიექტი ობიექტის, როგორც მეცნიერულად განსაზღვრულის, შემადგენელი ნაწილია. მეცნიერული

მეთოდის დამკვირვებელი, მზომავი, მთვლელი სუბიექტი და ყოველდღიური საქმიანობის სუბიექტი, ორივე ერთი და იმავე სუბიექტურობის გამოხატულებაა: ადამიანის“.⁹

მარკუზე თვალნათლივ მიუთითებს, რომ ყოველგვარი ნეგაციისაგან განძარცვულმა ფორმალურმა ლოგიკამ, სუბიექტი ლირებულებითი შეფასებებისა და აზროვნების მრავალშრიიანობისაგან სრულად განძარცვა: „აზროვნება თავისი ობიექტების მიმართ ინდიფერენტულია. იქნებიან ისინი (ეს ობიექტები) ფიზიკური თუ სულიერი, მიეკუთვნებიან საზოგადოებას თუ ბუნებას, ისინი დათვლის, დასკვნისა და ორგანიზაციის იმავე ზოგადი წესების სუბიექტები ხდებიან, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ, როგორც ჩანაცვლებადი სიმბოლოები და ნიშნები“¹⁰ მარკუზეს აზრით, ასეთი ინდიფერენტული, კვანტიფიცირებული აზროვნების ჩამოყალიბება, ჯერ კიდევ პლატონის პერიოდიდან შეინიშნება, რომლიდან მოყოლებულიც, მისი აზრით, ლოგოსი ცხადად დომინირებს ეროსზე. ეს დომინაცია ვლინდება ადამიანის წარმმართველი ძალების (drives) რეპრესიაში, ხოლო ეს პროცესი რაციონალურად ფასდება. მარკუზეს აზრით, ლოგოსი მოიცავს მეცნიერულ ფაქტობრიობასა და რიგორს, სამეცნიერო რაციონალობის პირობებში, ადამიანური პროექტები, მიზნები და მისწრაფებები რაოდენობრივად დათვლადია და ფიზიკურ, ბიოლოგიურ, ქიმიურ ახსნას ექვემდებარება. შესაბამისად, მარკუზეს მიხედვით, ჩვენ ვიღებთ ორ სამყაროს: პირველში, ობიექტურში, ყველაფერი დათვლადია და ლირებულებითი კატეგორიების მიღმაა, ხოლო მეორე, სუბიექტური სამყარო, ლირებულებითი და დაუთვლადია, შეუმონმებადია და ამიტომ მას არ აქვს უფლება საყოველთაო კანონის ძალა ჰქონდეს. შესაძლოა „ლირებულებებს უფრო მაღალი ლირსება ჰქონდეთ, მაგრამ ისინი არ არიან ნამდვილები და ამგვარად, ცხოვრების საქმიან დინებაში ნაკლებად მნიშვნელობენ, იმდენად ნაკლებად, რამდენადაც ისინი რეალობის მიღმა არიან“¹¹ ის ფაქტი, რომ სუბიექტი ამ ტექნიკურ რაციონალობას (ბუნებისა და უშუალოდ ცხოვრების

კვანტიფიკაციას) ექვემდებარება, იმის თქმის საშუალებას გვა-
ძლევს, რომ სუბიექტი არათავისუფალი და არაავტონომიურია.
ამ მიზეზის გამო, „არათავისუფალება არც პოლიტიკურად და
არც ირაციონალურად მოსჩანს, არამედ - ტექნიკურ აპარატზე
დამორჩილებულ/დაქვემდებარებულად, რომელიც, თავის მხ-
რივ, ცხოვრების კომფორტსა და შრომის პროდუქტიულობას
ზრდის“!¹²

ტექნიკური რაციონალობის მარკუზესეული კრიტიკა გან-
ვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების იდეოლოგიური
კრიტიკაა. მარკუზე ტექნოლოგიზებული სოციუმის შესწავ-
ლის შედეგად ასკვნის, რომ გაუცხოება გასცდა შრომის
პროდუქტთან ადამიანის მიმართებას და ცხოვრების ყველაზე
უფრო განმარტოებულ და მყუდრო კუნჭულებშიც შეაღწია.
ჩვენი გაუცხოება, რომელიც კულტურის ინდუსტრიის აზ-
როვნებაზე მანიპულირების გზით განპირობებულია, ახლა
უკვე ეფექტურობისა და ფუფუნების იდეოლოგიურ საფარქვე-
შაა.¹³ „სისტემის სიმარჯვე ინდივიდის ცნობიერებას იმდენად
აბუნდოვანებს, რომ ის (ცნობიერება) არ შეიცავს არც ერთ
ფაქტს, რომელიც მთელის რეპრესიულ ძალმოსილებასთან არ
იყოს დაკავშირებული“.¹⁴ ფუფუნება და სიუხვე, მარკუზეს აზ-
რით, ადამიანებს ავინყებს იმ გაუცხოებულ მდგომარეობას,
რომელშიც ისინი იმყოფებიან. ის კმაყოფილებანი და საჭიროე-
ბანი, რომლებიც განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებას
უხვად აქვს, სინამდვილეში ცრუ საჭიროებანი და კმაყოფილე-
ბანია. ერთი შეხედვით, ფუფუნებასა და საჭიროებათა კმაყო-
ფილებაში საგანგაშო არც არაფერია, მაგრამ, მარკუზეს აზ-
რით, სწორედ აქ არის ტექნოლოგიური რაციონალობის არსი
დაფარული, სწორედ აქ ძევს ტექნოლოგიური რაციონალობის
დახლართულობა, რომელიც, ერთი მხრივ, ინდივიდებს სიუხ-
ვით ამარაგებს, ხოლო, მარტინ ჰაიდეგერის ცნება რომ გამ-
ოვიყენოთ, მეორე მხრივ, „ჩარჩოში აქცევს“ მათ აზროვნებას
და მათ ქცევას აკონტროლებს. ტექნოლოგიური რაციონალო-
ბა ადამიანის პრაქსის უკვე დამკვიდრებულ ჩვეულებებსა

და დამოკიდებულებებში აქცევს. ამ მატერიალური სიუხვის მიღებით ჩვენ, პარადოქსულად ვექვემდებარებით დაუსრულებელ მორჩილებას, როგორც მშრომელები და მომხმარებლები, ხოლო ჩვენი თავისუფალი დრო და ცნობიერება ინდუსტრიული საზოგადოების ტექნოკრატიული საშუალებების მიერ არის ჩაჭერილი. მეტიც, ინდივიდები უჩუმრად ამყარებენ სისტემის მატოტალიზირებელ და გამაუცხოებელ ტენდენციებს იმით, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ამავე სისტემის წარმოების საშუალებების კვლავნარმოებასა და აქედან მომდინარე პროდუქციის მოხმარებაში. ფუფუნებისა და სიუხვის წარმოება, თავის მხრივ, ინდივიდებს ტექნოლოგიური რაციონალობის მიერ დამკვიდრებულ ქცევით ნიმუშებში აქცევს და მათ ავტონომიურობას სრულად ისრუტავს. ქცევითი მოდელები არა მხოლოდ სამუშაო ადგილებზე მოქმედებს, არამედ ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაზეც განევრცობიან. ტექნოლოგიური რაციონალობის საზოგადოებაში აზროვნებისა და წარმოსახვის ავტონომიური და არანორმატიული შესაძლებლობები ძალაუფლებრივი აპარატის მიერ შემოთავაზებული დისკურსის ვიწრო ფარგლებშია მომწყვდეული და შესაბამისად, მას განვითარება არ ძალუდს. გაუცხოებული ადამიანები ნუგეშს, რომელიც ერთობ ულაზათო და უშინაარსოა, მოხმარების უწყვეტ და უმიზნო ჯაჭვში ჰპოვებენ. ინდივიდების აზროვნებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მკაფრ ყალიბებში ჩამოსხმული ნიმუშები, რომლებიც იდეოლოგიის საფარქვეშ არიან, მედლის მეორე მხარეს, შიშველ ექსპლოატაციასა და დამონებას ფარავენ.

ამ ვითარებიდან გამოსავლად მარკუზეს პოსტ-ტექნოლოგიური პროექტი ესახება. პოსტ-ტექნოლოგიური პროექტი არ ნიშნავს ბუნებით მდგომარეობაში დაბრუნებას და არც ჰირველყოფილ თემურ წყობილებასთან მიბრუნებას. ეს (პოსტ-ტექნოლოგიური პროექტი) ტექნოლოგიური პროექტის გასრულებას ნიშნავს, მოდერნულობის პროექტის გარდაქმნას, რაც შემდეგ ნაბიჯებში ვლინდება: 1) არსებული დომინაციის გან-

ფარვა, მისთვის საბურველის ჩამოხსნა; 2) არსებული სინამდვილის ფალსიფიცირებისაკენ სწრაფვა და 3) არსებობისათვის ბრძოლაში ჩართულობიდან ამორტვა განსხვავებული ადამიანური საჭიროებების შექმნით. „არსებობის დაშოშმინება“ და ინდივიდის ტექნოკრატიული ჩარჩოს გამრუდებული, მტანჯველი ტყველიდან გამოხსნა. მარკუზეს აზრით, არსებული ვითარებიდან გამოსვლა უტოპია სულაც არ არის. მეტიც, არსებულის გარდაქმნისათვის საჭირო მატერიალური ბაზისი საზოგადოების ხელთაა: ყველა მატერიალური და ინტელექტუალური ძალა, რომელიც საჭიროა თავისუფალი საზოგადოების იდეის განსახორციელებლად, ჩვენს ხელთაა. მაგრამ ეს ძალები არ გამოიყენება იმ მიზნით, რომ ტოტალური მობილიზება მოხდეს არსებული საზოგადოების წინააღმდეგ, თავისივე თავის გასათავისუფლებლად. მიუხედავად ამისა, ეს ვითარება სულაც არ ქმნის განცდას, რომ რადიკალური ტრანსფორმაციის იდეა უტოპიაა.¹⁵ 60-იანების ბოლოს მარკუზე დაუინებით მიუთითებდა ახალი ადამიანური საჭიროებების გაჩენის აუცილებლობაზე, რომელიც სრულად უარყოფდა ძალაუფლებრივი აპარატის, ტექნოლოგიური რაციონალობის მიერ შემოთავაზებულ საჭიროებებს. შეიძლება ითქვას, რომ, მარკუზესთვის, ადამიანის განთავისუფლების წინაპირობა სწორედ არსებულის ნეგაციასა და მისი საჭიროებებისგან მოწყვეტაზე გადის: საქმე ეხება ახალი თეორიის შექმნას ადამიანის შესახებ, არა მხოლოდ თეორიას, არამედ არსებობის ახალ ფორმას. გენეზისი და განვითარება სასიცოცხლო საჭიროებებისა თავისუფლებისთვის და თავისუფლებისა სასიცოცხლო საჭიროებებისთვის, თავისუფლებისთვის, რომელიც აღარ დაემყარება და შემოიძლუდება დამცრობილობით, არც გაუცხოებული მრომის საჭიროებით. ახალი ადამიანური საჭიროებების თვისობრივი განვითარება პიოლოგიურ საჭიროებად მოსჩანს.¹⁶

არარა და კაპიტალიზმი ოთარ ჭულუხაძე

თავად წერილის სათაური – „არარა და კაპიტალიზმი“ – იმ კითხვების სიას მოხაზავს, რომელიც წერილის უმთავრესი მიზნის, არარასა და კაპიტალიზმის ურთიერთმიმართების დადგენაში, და ამ დადგენილთან მიახლოებაში უნდა დაგვეხმარონ:

- როგორია არარას გაგება დასავლური ფილოსოფიის ისტორიაში?
- ამგვარ გაგებათაგან, არარას როგორი ტიპები დგინდება?
- არარას ამ ტიპთაგან, რომელს ვუკავშირებთ კაპიტალიზმს, და მეტადრე კი წარმოების ამ წესზე დამყარებულ ზედნაშენს – „იდეოლოგიას“?

ზოგადად, დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიაში ორი ტიპის ფილოსოფოსები შეიძლება გამოვყოთ. ერთნი, რომელთათვისაც არარა არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს საკუთარი ფილოსოფიური სისტემის აგებისას, და მეორენი – რომელთა ფილოსოფიაში არარა სამყაროს ახსნის ერთ-ერთი მონინავე პრინციპია. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან: დეკარტი, ბერგსონი, კარნაპი, ნიცშე; მეორეს: პლატონი, არისტოტელე, პლოტინი, ჰაიდეგერი, სარტრი. ცხადია, თითოეული ჯგუფის

ჩამონათვალი არასრულია, მაგრამ მასში შემავალი ფილოსოფოსების ნააზრევზე თვალის გადავლება უთუოდ მიგვიყვანს ჩვენს მეორე კითხვაზე პასუხამდე – ე.ი. მოვახდეთ არარა-ს ტიპოლოგიზაციას, რათა შემდეგ დავადგინოთ თუ რომელ მათგანს „ვაკავშირებთ“ კაპიტალიზმთან, ანუ რომელ მათგანთან ადგენს თავისებურ მიმართებას კაპიტალიზმი, თავისი ეკონომიკური და კულტურული „ლოგიკებით“.

ფილოსოფოსებს, რომელთა აზროვნებაშიც არარას როლი უმნიშვნელოა, ერთი რამ აერთიანებთ: ასე თუ ისე, მათ არარა ენობრივ უარყოფამდე დაჰყავთ. მათი ნაწილისთვის, არარა, როგორც ასეთი, უბრალოდ არ „არსებობს“ – მათვის არარა ლოგიკური, ენობრივი უარყოფის შედეგია; ადამიანები, ყოველდღიური საუბრისას, უარვყოფთ საგნებსა თუ მოვლენებს – ვამბობთ, რომ „ნელის ჭიქა არ არის მაგიდაზე“, „ნაპოლეონი არ იყო კლეოპატრას თანამედროვე“ და ა.შ. ფილოსოფოსთა ეს ჯგუფი არარას ენობრივი უარყოფის ფილოსოფიურ განზოგადებად მიიჩნევს. მათ მიმართებას კარგად აჯამებს ბერგსონის მოსაზრება, რომ არარა არის უბრალოდ სიტყვა.¹ ნიცშესთან არარა ისევეა უარყოფილი, როგორც ყოფიერება. ერთიც და მეორეც – რომლებიც სხვადასხვაგვარად კავშირდებოდნენ უნინდელ მეტაფიზიკურ სისტემებში, – უკუგდებულია, ვითარცა „პლატონიზმის გადმონაშთი“; მათ ღირებულების სტატუსი ენიჭებათ. პოზიტივისტი კარნაპის თქმით, რადგან არ არსებობს არარას საგნობრივი რეფერენტი, ამიტომაც, არც არარა არსებობს. ამ ფილოსოფიურ პოზიციების ანტიკური, წინასკრატული წინამძღვარი პარმენიდეა, რომლის თქმითაც: „შეუძლებელია, რომ არარა იყოს“.²

ფილოსოფოსთა ამ ჯგუფისგან განსხვავებით, სხვა ფილოსოფიურ სისტემებში არარა მნიშვნელობს, როგორც ერთგვარი უნივერსალური პრინციპი, რომელიც ყოფიერებასთან (რომლის სხვადასხვაგვარი „დეფინიციაც“, თავის მხრივ, ცალკე საკითხია) ამა თუ იმ მიმართებაში დგინდება – ის ან მისი უარყოფაა, ან მისი თანმდევია. მაგალითად, პლატონი პარმენიდეს აბსოლუტური არარსის რელატივიზაციას ახდენს და

თავის დიალოგში „სოფისტი“, ხუთ უმაღლეს, არარედუცირებად კატეგორიას ავითარებს. ესენია: ყოფიერება, სიმშვიდე, მოძრაობა, იგივეობა და განსხვავება. სწორედ განსხვავების იდეით აიხსნება არყოფნა. პლატონი ამბობს: „როცა ვამბობთ არარსებულს, როგორც ჩანს, არსებულის საპირისპირო რამეს კი არ ვგულისხმობთ, არამედ მხოლოდ მისგან განსხვავებულს“³. პლატონი, ისევე როგორც პლოტინი, მატერიას ანიჭებენ მუ შე-ის, ანუ არა-არსის, ფუნქციას – მუ შე-ს აკლია ყოფიერება, რომელიც გააჩნია უმაღლეს, ტრანსცენდენტურ იდეათა სამყაროს.

ანტიკურობაში არარა რომ მნიშვნელოვანი პრინციპია, ამას არა მხოლოდ „იდეალისტი“ ფილოსოფოსებისგან ვგებულობთ, არამედ მატერიალისტებისგანაც. ასე მაგალითად, დემოკრიტესთან გვხვდება მოძღვრება ატომებსა და სიცარიელეზე. დემოკრიტეს მიხედვით, არარა სამყაროს ფუნდამენტური კოდის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ის წინაპირობაა ისეთი ფენომენების გასაგებად, როგორებიცაა „სიმრავლე“, „მოძრაობა“, „ცვლილება“. გავიხსენოთ ასევე, რომ პლატონთან და მოგვიანებით ჰეგელთან, ქმნადობა ყოფიერებისა და არარას კომბინაციით „მიიღება“.

არარას ქრისტიანულ თეოლოგიაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. ღმერთი სამყაროს არარასგან ქმნის. არარას ამგვარი გაგება, როგორც უსივრცობიდან სამყაროს გამოსვლისა მნიშვნელობს დღესაც – დიდი აფეთქების კოსმოლოგიურ თეორიაში, თუმცა იმ დაშვებით, რომ, სეკულარული განმანათლებლობის ტრადიციის გავლენით, შემოქმედი ღმერთი მასში უკუგდებულია.

ამრიგად, არარას პირველი ტიპი ვლინდება. ეს მისი კოსმოლოგიური ან ბუნებითი ტიპია. საუბარია ყოფიერებასთან მის მიმართებაზე, მის როლზე ქმნადობის დინამიზმში; ან სულაც ის სიცარიილეს უიგივდება.

მეორე „ტიპის“ არარა მისი ადამიანური მდგომარეობის ეგზისტენციალური პერსპექტივიდან გააზრებაა. ამ პოზიციას

არარა ადამიანის სივრცე-დროით უსასრულობაში გადაგდებულობიდან ესმის. ანუ შეკითხვა – როგორ სტრუქტურირდება სამყარო არარას მეშვეობით? იცვლება შეკითხვით – როგორ დავინახოთ არარა ისე, როგორც ის „ავლენს თავს“ ადამიანში – ანუ იმ ერთადერთ არსებაში, რომელსაც შეუძლია დაადგინოს თავისი თავი, აქვს უნარი რეფლექსისა და უკვე მისი სამყაროში გადაგდებულობიდან გამომდინარე, ეგებება არარას ან თვალი უხუჭავს მას? შეკითხვათა ეს წყვილი იმას როდი ნიშნავს, რომ პირველი არარაზე მხოლოდ „ბუნებისმეცნიერული“ დაკვირვების შედეგი იყო და არ მოიცავდა შინაგან რეფლექსის, არამედ იმას, რომ მეორე შეკითხვა უფრო ღრმა რეფლექსისა და პერსპექტივას მოიცავს არარას საწვდომად. ამავდროულად, ეს ორი კითხვა მიკვლეული სამყაროსეული პრინციპის (არარას) თეორიული ექსპლიკაციის ტიპითა და მიმართულებითაც განირჩევიან; კერძოდ, მეორე მას ეგზისტენციალურად განიხილავს და ცდილობს არარა და მასთან მიმართება ეგზისტენციალურად, ადამიანის რაობის განმარტებაში გაშალოს.

ზოგადად, არარასადმი, როგორც პრინციპისადმი ინტერესი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მინელდა, რაც უნინდელი მეტაფიზიკური სისტემების კრახით იყო გამოწვეული. მასზე ხელახალი რეფლექსიები კი მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება; თუმცა ეს განსხვავებული დასაწყისია, რაც ზემოხსენებულ, მეორე ტიპის კითხვად აქტუალიზაციაში გამოიხატება. ეგზისტენციალისტები და ფენომენოლოგები ინარჩუნებენ შოპენჰაუერის მიდგომას, რომლის მიხედვითაც, სილრმისეული ჭვრეტის წყაროა ემოცია, და არა რაციო. ეგზისტენციალისტები, ნაცვლად იმისა, რომ, ემოტივისტურ ნიადაგზე უარყონ შეკითხვა – რატომ არსებობს რამე და არა არარა? (ლოგიკური პოზიტივისტების მსგავსად), ან აირჩიონ დუმილი (მსგავსად ვიტგენშტაინისა), ადამიანური ეგზისტენციის სილრმეში „შეცურვას“ გადაწყვეტენ და განიზრახავენ, იქიდან გააშუქონ არარა.

ეს გაშუქება ძრწოლის მდგომარეობის გააზრებით ხორციელდება. ძრწოლა ჰაიდეგერთან, მთავარი ეგზისტენციალური პრინციპია, რომლითაც მივეგებებით არარას. ის არარას გვიაშკარავებს. კერძოდ, ძრწოლა გვიმუდავნებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი არსებობა „დროით ცვეთას“ – არარას ამ დროით კორელაცის – ექვემდებარება. ჩვენი „დროითი ცვეთა“ მიუთითებს ფაქტზე, რომ არარა და ყოფიერება „ურთიერთნილნაყარნი“ არიან. არარა არაა ყოფიერების უარყოფა; თუ მეტაფორას მოვიშველიებთ, არარა და ყოფიერება „მედლის ორი მხარეა“, ხოლო ეს მედალი ადამიანური არსის დვრიტაა. არარას ჩვენ, ადამიანები სიკვდილისკენ ყოფნისკენ მიმართებაში ვცვდებით, კერძოდ, იმ უსაკუთრივეს და გარდაუვალ ფაქტში, რომ ჩვენ უნდა მოვკვდეთ. სწორედ აქ არის ის წყალგამყოფი ხაზი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში, რაც თანდათან მიგვიყვანს კაპიტალიზმამდე – კერძოდ, პასუხამდე შეკითხვაზე, თუ რა მიმართება შეიძლება დავამყაროთ კაპიტალისტურ იდეოლოგიასა და არარას შორის.

ჰაიდეგერი არარასთან ჩვენი მიმართების ტიპიდან გამომდინარე არსებობის ორგვარ, საკუთრივ (*eigentlich*) და არასაკუთრივ (*uneigenlich*) მოდუსს აღწერს. საკუთრივია ის, რომელიც ძრწოლითაა მართული, ე.ი. სამყაროში გადაგდებულობის გააზრებით, მოკვდავობასთან „ანგარიშების გასწორებით“, მისი „გასიგრძეგანებით“ – ასეთი ადამიანი „არ გარბის“; ხოლო მეორე შიშით, ე.ი. კონკრეტულ სამყაროსშინა არსებულზე მიბმული შიშითა საფუძველდებული. ეს არ ნიშნავს, რომ ავთენტურ ადამიანს არ ეშინია, ვთქვათ, ვეფხვის, მისკენ რომ მიეშურება, არამედ იმას, რომ სიღრმისეულ, ინდივიდუალურ-ეგზისტენციალურ დონეზე ის „შეეგუა“ იმ ფაქტს, რომ მოკვდება; ოღონდ ეს შეგუება ამავე დროს ყველაზე „ნონკონფორმისტული“ შეგუებაა. ის ასეთია, რადგან კონკრეტულ არსებულს საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი მის უსაკუთრივეს ბუნებაში დაინახოს და დააფუძნოს. სიკვდილის გააზრება მომხმობი სინდისით აფუძნებს ავთენ-

ტურობას (საკუთრივობას). სინდისი გვიხმობს და გვეუბნება, რომ არ ვიყოთ Das Man – უპიროვნო, უსახო კაცი, გათქვე-ფილი, მოლაყბე, ორაზროვნებასა და ახლის სიხარბეში ჩაკარ-გული „მავანი“. სინდისის ხმა მიგვითითებს, რომ აზროვნების რეპრეზენტაციული მოდუსი, – ანუ საგანთა სუბიექტურ აბ-სტრაქციად წარმოდგენისთვის უპირატესობის მინიჭება – თუ სიკვდილზეა გავრცელებული, წარმოადგენს არასაკუთრივო-ბის წინაპირობას. სხვები კვდებიან, ჩვენ კი არა. სიკვდილი აბსტრაქციაა, არარა აბსტრაქციაა – ის ხომ ურეფერენტოა, ის ხომ „სიტყვაა“, – გვეძახის „მანის ფილოსოფია“. წაცვლად ამისა, სინდისის ხმობა საშუალებას გვაძლევს, გავიხსნათ და დავინახოთ ჩვენი თავი იმ ღიაობაში, რისკენაც ჩვენი მომავ-ალი – არარათი წაკარნახევი და ღიაობად დაფუძნებული – მოგვიხმობს.

ჰაიდეგერიც სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს. ვუსმინოთ ყოფიერებას ისე, რომ გავიგოთ არარას ხმაც. ჰაიდეგერი ამჩნევს, რომ აქამდე ფილოსოფიას სათანადო განშლით არ განუხილავს არარას საკითხი. ფილოსოფია დაკავებული იყო პოზიტიური ცნებებით, იმგვარად, რომ ყოფიერებასა და არ-არას თავისთავადი სიცხადე არ ენიჭებოდა. ჰაიდეგერი აკრი-ტიკებს ანალიტიკურ ფილოსოფიას, რომელიც მიელტების, არარა წარმოაჩინოს, როგორც „რაღაც არა“, ე.ი. ენობრივი უარყოფა. ჰაიდეგერის ჰასუხი მკაცრია – ყველაფრის დაყვანა უნდათ მეცნიერების განზოგადებაზეო. ჰაიდეგერი თავის მი-მართვაში „რა არის მეტაფიზიკა?“ ამბობს, რომ პოზიტივიზმს, რომელსაც სურს ყველაფერი დაიყვანოს მეცნიერებისეულ განზოგადებამდე, თავისი შინაგანი თუ მეთოდური ბუნებიდან გამომდინარე, არ შეუძლია არარა მიიჩნიოს რაიმე სხვად, თუ არა კონკრეტული არსებულის უარყოფად. თუ ეს ასეა მეც-ნიერებისთვის, ასე არაა ფენომენოლოგიისთვის, რომელიც არარას ყველაზე შინაგან გამოცდილებაზე საუბრობს, რომელ-ზეც, თავისი მეთოდოლოგიური შეზღუდულობის გამო, ხელი არ მიუწვდება მეცნიერებას. ჰაიდეგერისთვის არარა ერთად-

ერთი საშუალებაა, რომლითაც ადამიანი თავის არარაობას გა-
მოცდის, გამოცდის მას ძრწოლითა და სიკვდილისკენ ყოფილით.
ისევე როგორც პლატონთან და პლოტინთან, არარა სხვა არის
ყოფიერებისა, მისი საზღვარია, რომელიც ავლენს სხვას. თუმ-
ცა, ჰაიდეგერთან ეს არ არის მწ შv; ნაცვლად ამისა, ის დინა-
მიკური საწყისია – „გამანადგურებელი აქტივობაა“, რომელ-
საც აქვს ფარული ყოფიერება.

თუ არარა რაღაც ისეთია, რაც, როგორც ყოფიერებასთან
წილნაყარი, ყოფიერების დისკრეციულსა და მომაკვდავ ბუნე-
ბას აფუძნებს, და თუ მისთვის სინდისით ნაკარნახევი თვალებ-
ში ჩახედვა გაბედულებით მიიღწევა, რომელიც ეგზისტენცის
საკუთარი სასრულობის უწყებით ტვირთავს, მაშინ უკვე დროა
ვიკითხოთ: როგორ გარბის არარასგან ადამიანი კაპიტალის-
ტურ სისტემაში?

არარასგან გაქცევას იდეოლოგია ბუნებითობის ციკლურო-
ბის „ნახევარ-გახსნით“ აგენტორიებს, რაც სოციალურ დონეზე
ნაგვის წარმოებისა და ციფრული კონტენტის აღგორითმი-
ზებულ კვლავწარმოებაში განსხვეულდება. არარა თუ ადამი-
ანის არსებობის გახსნილობის ონტოლოგიური მდგენელია,
მაშინ კაპიტალისტური იდეოლოგია ადამიანს ჩაკეტავს; ჩა-
კეტვა, „სამსახური-სახლის“ რუტინასთან ერთად, სოციალური
ქსელების კონტენტის ზესწრაფი გენერირებით ფუძნდება –
მთავარია გავეჯცეთ არარას, მთავარია ცრუ მრავალფერ-
ოვნების ნაკადებისთვის ვიყოთ მზად, დღევანდელი კულტურის
ინდუსტრია კი მათ მოგვაწვდის: გალაკტიონის ლექსი, ჩვენი
მეგობარი გოგონა, რომელიც „მილქშეიქს“ წრუბავს, ეთიოპიე-
ლი ბავშვები სიკვდილის პირას – წამის ერთ „ჩამოსქროლ-
ვაში“ მიღებული ეს მასალა არარასგან გაქცევის ზე-ტემპებს
გვივლენს. ოღონდ, გავფრთხილდეთ: „მანის“ ჩაკეტვა „ლიაა“.
მას არ ახასიათებს ცხოველის ინსტიქტურობა და შებოჭილო-
ბა (benommenheit); ის გახსნილია, როგორც კონსტიტუცია,
მაგრამ ცდილობს დაიკეტოს. არა მანკიერი წრე, არამედ
„მანკიერი წრფეა“ არარასგან გამქცევი კაცის მოდუსი, – უპ-

იროვნო, უსახო კაცის. თუ არარა სიკვდილის ონტოლოგიური მდგენელია და ყოველგვარი დავიწყება სიკვდილის დავიწყებაა, მაშინ ოცდამერთე საუკუნის ნეოლიბერალური კაპიტალიზმი უკვე სისწრაფის, დამავიწყებელი ონტოლოგიით ცდილობს ადამიანთა ინდოქტრინაციას. ინდოქტრინაცია კი არარასგან გაქცევის სინონიმია, იდეოლოგიური ლექსიკონით ნათარგმნი.

ყველაფერი შეიძლება გაკრიტიკდეს, მაგრამ არა სისტემის საფუძვლები. იდეოლოგიის თავდავიწყება ყველაზე უკეთ სიმბოლიზდება ტერმინში externality; Externality რაღაც ისეთია, რაც საწარმოო ურთიერთობის მიღმა მდგომი ცვლადია – ანუ ისაა, რაც კაპიტალიზმის ცრუ აღქმის მიხედვით, წარმოებისა და დოვლათის განაწილების პროცესში არ მონაწილეობს. მაგალითად, ბუნება, რომელიც, ვითარცა სისტემის მიღმა ცვლადი დავიწყებულია; ჩვენ ვაწარმოებთ, ვვაჭრობთ, ბუნება კი ვითარცა „ქალური“ საწყისი, ინდო-ევროპული პატრიარქალიზმის საუკეთესო ტრადიციებში, დავიწყებას ეძლევა. დავიწყებას კი სუბიექტის ფილოსოფია – კაპიტალიზმის ეს ფილოსოფიური წინაპირობა – განაპირობებს. სუბიექტი პატრიარქალურად უტევს ბუნებას, რომელშიც სწორედაც რომ არარას წყაროს განჭვრეტს და ამით არაცნობიერად საკადრის პასუხს უბრუნებს მას. არარასგან მანისეული გაქცევა ბუნების ნერევის აპრიორის შეიცავს. არარას მიერ ობიექტური წარმავალობიდან სუბიექტურში გადასროლილი ადამიანი, სიჭარბის კულტით მართული, არარას მიერ ბოძებული თავისუფლების ვერ გაძლებას არარასავე არსით, დესტრუქციით აგენტერირებს. დესტრუქცია მიემართება ბუნებას, როგორც პირველწყაროს, რომლისგანაც სუბიექტმა დესტრუქციულობა მიიღო. როგორც ჩანს, ობიექტურიდან სუბიექტურ სამეფოში გადასვლა არარასთვის თვალის ვერ გასწორებითაა ნაკურთხები.

ყოველგვარი კრიტიკა, რომელიც ჭარბწარმოებასა თუ ფეტიმური დაგროვების პათოსს სიკვდილისგან გაქცევად, უფსკრულში ვერ ჩახედვად განსაზღვრავს, კონტრკრიტიკას იმსახურებს. კონტრკრიტიკის პათოსი დაახლოებით ასე

გაულერდება: თქვენ ბატონებო, თქვენი წიგნებითა და ცოდნის დაგროვებით იგივენაირად ხომ არ გაურბიხართ არარას, როგორც ჩვენ დოვლათის დაგროვებით? აკი, ყოველგვარი ცოცხალის ბუნება განვრცობა და მეტის სურვილია. ნიცშემ ხომ შესაბამისი ფილოსოფიაც დაადგინა. სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მაგრამ სიცოცხლე ხომ სირბილია – ეგებ თქვენი კრიტიკა, სირბილის ტემპსა და მიმართულებაში რომ ხედავს ავთენტურობისა და არაავთენტურობის ტიპიზაციის გამყოფ ხაზს, მხოლოდ პერსპექტივა? ამგვარ შეკითხვას შემრიგებლურად შეიძლება ეპასუხოს – არარა ჩვენი განმსაზღვრელი იმდენადაა, რამდენადაც იგი ნებისმიერ სისტემასთან ადაპტირებადია, მისი ბუნება უსაკუთრივესი ინდივიდუალობის დაფუძნებას გულისხმობს, და ამით კაპიტალისტურ ადაპტაციას, ამ უკანასკნელის ობიექტურ-ტოტალობითი ბუნების გამო აფუძნებს: მართლაც, შეიძლება გქონდეს პატარა სანარმო და იყო ავთენტური.

ამრიგად, კაპიტალიზმის არარასთან კავშირზე შეიძლება დადგინდეს, რომ ჩვენ არ ვფლობთ უნივერსალურ ვალიდურობას – ყოველგვარ კაპიტალისტურ აქტივობასა და არა-არასგან გაქცევას შორის მყარი ტოლობის ნიშანი დავსვათ. თუმც, ეს არაფრით არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვერ ვწვდებით სხვა მნიშვნელოვან აზრს – კერძოდ იმას, რომ ყოველგვარი ემანსიპაციის უღრმესი საფუძველი სწორედ არარასთვის თვალებში ჩასედვაა, რაც გმირულ აქტებში ვლინდება. იქნება ეს შავკანიანთა გათავისუფლება, თუ ეროვნული თავისუფლების მოპოვება. თუ ჯონ მეინარდ კეინზი წინა საუკუნის დასაწყისში წინასწარმეტყველებდა,⁵ რომ საუკუნის ბოლოს სამსაათს ვიმუშავებდით, მას, ალბათ, მხოლოდ კაპიტალისტური კლასის პოლიტიკური ნება, როგორც ფაქტორი, არ გამორჩენია მხედველობიდან – კიდევ ერთ გამორჩენილ ფაქტორად გვევლინება იდეოლოგიის მიერ იმის მიმწოდებლური გენერირება, რასაც „მანი“ ითხოვს, – კერძოდ, არარასგან გაქცევის კულტურული შინაარსები. ემანსიპაცია, რომელსაც ნებისმიე-

რი მემარცხენე მიელტვის, პირველ რიგში, ეგზისტენციალური ემანსიპაცია უნდა იყოს. ანუ მხოლოდ თავისუფალი დროის-ადმი და ზოგადად, დროისადმი ნაკლები შიში გამოიწვევს თავისუფალი დროის სოციალურ მოპოვებას. ეს ფორმულა, რაოდენ გულუბრყვილოდაც არ უნდა ჟღერდეს სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული თეორიისთვის, კრიტიკულ შეკითხვას ატარებს, ვითარცა საკუთარ არსს: რა უნდა ვაკეთო თავისუფალ დროს? ეს შეკითხვა, სავარაუდოა, რომ არაცნობიერების სიღრმეებშივე რჩება პასუხებულები, ვითარცა არარასგან გაქცევის სოციალური კორელაცი. თავისუფლება რისთვის? როდესაც ეს „რისთვის“ არაა გამყარებული ეგზისტენციალური შინაარსებით, ავთენტურობისკენ რომ მოუწოდებდა ადამიანებს, ყოველგვარი ემანსიპაცია უტობიად დარჩენისთვისაა განწირული. აქ უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე მსჯელობას კარგად ესმის, რომ, მაგალითად, შავკანიანთა აჯანყებების საფუძველი კირკეგორის ან ნიცხეს ფილოსოფიურ ტრაქტატები არ ყოფილა. მართლაც, ვიტალური, ცხოველური განთავისუფლება უთუოდ პირველსაწყისია შრომითი („პლანტაციური“) ექსპლოატაციისაგან თავის დასაღწევად, მაგრამ ვითარება დღეს სხვაგვარია. კაპიტალისტური სისტემა, მის მთლიანობაში, დღეს ახერხებს საკმარისი თავისუფლების გენერირებას – თავისუფლებისა ბრჭყალებში და ბრჭყალების გარეშე; გენერირების ფაქტი კი დამატებით ემანსიპაციას მაღალ ეგზისტენციალურ თამასას უდგენს. წარმოვიდგინოთ მეტად გათავისუფლებული მასა, რომლის დაკვეთაც „მანი“ ლოგიკის – არარასგან გაქცევის – კვლავწარმოებაა, ხოლო ამ მოთხოვნას „ქოუჩები“ პასუხობენ „გაიდლაინური სიბრძნით“: „ცხოვრება მშვენიერია“, „მეტი თავისუფალი დრო უდრის მეტი გართობას“; „მეტი გართობა მეტი თავდავიწყებაა“. არა-რა თავდავიწყებად უნდა ითარგმნოს.

დაკუბრუნდეთ ზემოდასმულ კითხვას: რატომ არის ერთი დავიწყება მეორეზე უკეთესი? აქ საქმე ისაა, რომ არარა ჩვენს თავთან გვამყოფებს, როგორც უსაკუთრივესი შესაძლებლო-

ბა; ეს ჰაიდეგერმა, ვითარცა ეგზისტენციალური გზავნილი, მარადისად დაუდგინა კაცობრიობას. პირველი მიზანსწრაფ-ვა შეიძლება იმავე საქმით დაკავდეს, რითაც მეორე, მაგრამ ავთენტურობის მოდუსში ვერ დაფუძნდეს. მართლაც: შეიძლება ორივე აწარმოებდეს თვეში სამას ცალ შარვალს, მაგრამ მათი ეგზისტენციალური უკუფენა განსხვავდებოდეს.

არსებობს აქტივობის ტიპი და ტემპი, რომელიც ავთენტურობა არაავთენტურობას შორის საზღვარს დაადგენდა? მაგალითად, სოციალური სისტემა, რომელიც ისეთ მასალებს ამზადებს, რომელიც ნივთების გამძლეობას უზრუნველყოფს, თუ ისეთი, რომელიც, შესაძლებლობის მიუხედავად, ისეთს აწარმოებს, რომ სულ ახალი და ახალი ვიყიდოთ? ცხადია, პირველი უმჯობესია.

ზოგადად, ნივთების გამუდმებული მოხმარება, ნებისმიერი ტიპის ფეტიშური წარმოება ხომ ისაა, რაც ადამიანურ მდგო-მარეობას გვავიწყებს – ანუ იმას, რომ დრო შეუქცევადია და რომ ვერ დავბრუნდებით ვერც ბავშვობაში, ვერც ბუნებაში და რომ ისტორია ჩვენი წყევლაა, რომელშიც ჩვენ საკუთარი თავი უნდა დავაფუძნოთ. სინამდვილეში კი არარა გვაფუძნებს ჩვენ. არარა, ჩვენი არარა!

შენიშვნები და განმარტებები

კაპიტალიზმის დამავალიანებელი ბუნება
ავთანდილ ძამაშვილი

1. ვალტერ ბენიამინმა – 1921 წელს გამოაქვეყნა ხსენებული ესე. ბენიამინის აზრით, კაპიტალიზმი კულტია დოგმატიკის გარეშე. კლასიკური გაგებით, დოგმა თუ კულტმსახურთა ქცევას გაცნობირებულად განსაზღვრავს და აპირობებს, კაპიტალიზმის კულტი დოგმის დეკონსტრუქციას ახდენს და მას ერთგვარ უჩინარ საბურველში ახვევს. საკითხზე რეფლექსისთვის, ბენიამინი კაპიტალიზმის ოთხ საულენო მნიშვნელობას გამოყოფს. ესენია: 1) უტილიტარიზმი, საჯარო თუ კერძო სივრცეში, პირად სარგებლიანობასა და მოგებაზე ზრუნვა, რომელიც უკუაგდებს საზოგადო სიკეთის იდეასა და გადანაწილების პერსპექტივებს. 2) კულტის უსასრულო ხანგრძლივობა, სამუშაო დღეების საათების განუსაზღვრელობა, ზედმეტი ლირებულების უსაზღვრო წარმოება, ამავდროულად უსასრულო ხანგრძლივობა გულისხმობს კაპიტალიზმის ტელეოლოგიას, რომელიც ყველას კეთილდღეობას ჰქიორდება, ალტერნატივების არსებობას კი გამორიცხავს. 3) კაპიტალიზმის დამავალიანებელი ბუნება, რომელიც საკუთრივ ესეში გსაუბრობთ. 4) კულტის მეოთხე მახასიათებლად ბენიამინი ღმერთის გასაიდუმლობას მიიჩნევს: სისტემის დეპერსონალიზებული ძალაუფლება, რომელიც თავს ბატონობის ღია და ირიბი გზებით კვლავანარმოებს, მაგ: ძველ რეჟიმში თუ დისციპლინური ბატონობა ვლინდებოდა, ვიქტორიანულ ეპოქიდან მომდინარე, ინდუსტრიული რევოლუციებიდან დღემდე, ძალაუფლების ხისტი და თვალნათელი ვლენა, ბატონობის ფარულსა და ძალაუფლებრივ ინსტრუმენტებში გარდაისახა.

2. Maurizio Lazzarato: *The Making of the Indebted Man*, Translated by Joshua David Jordan, Amsterdam 2011. p.7

3. Ibid, p.20

4. ერიკ ს. რენერტი: როგორ მდიდრდებიან მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბებად ღარიბი ქვეყნები. მთარგმნელები: ტატო ხუნდაძე. ივანე აბრამაშვილი, საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი. თბილისი 2019. გვ.222

5. ერიკ რეინერტი, ამხელს ნეოლიბერალურ ინდოქტრინაციას და აშიშვლებს სტანდარტული ეკონომიკური იდეების სწორხაზოვან მავნებლობასა და მითებს თავისუფალი ვაჭრობის საყოველთაო სიკეთის შესახებ. იგი აღნერს, რომ მთელი რიგი ალტერნატიული ეკონომიკური ხედვები ამოშლილია სახელმძღვანელოებიდან, საუნივერსიტეტო სივრცეში კი ვიღებთ სწავლული იდიოტების თაობას, („უკვე ორი საუკუნეა, რაც აკადემიას არ გააჩნია სხვა მსოფლიო, გარდა კაპიტალისტური ხედვითა და პრაქტიკით დანალექი სამყაროსი, საკუთარ კონცეპტუალურ ქსელებში დაჭრისთვის, დაფიქრებისთვის, აღნერისთვის თუ ინტერპრეტირებისთვის“ – ზიგმუნტ ბაუმანი, „თხევადი მოდერნულობა“, მთარგმნელთა ჯგუფი, ინტელექტი, თბილისი 2019. გვ.85), რომელნიც შესეული არიან მესამე ტიპის ქვეყნებს და განვითარების საშუალებას არ აძლევენ. გლობალური ეკონომიკური სისტემა, რომელიც ერთი მხრივ, ცოდნის აკუმულირების ნაცვლად მის გადინებასა და ტექნოლოგიურ განვითარებას თუ ინოვაციებში კოლექტიური ძალმოსილების სპეციფიკას აღნერს, მეორე მხრივ, რეგულირებული, პროტექციონისტული ჩარევების გარეშე ღარიბი ქვეყნების უკიდურესი სიღატაკისკენ სვლას უზრუნველყოფს. მაგალითად, ბეისბოლის ბურთები, რომელთა დამზადების ტექნოლოგიაც ავტომატიზაციას არ ექვემდებარება და ხელით შექერვას გულისხმობს, ექსპლუატაციის უკიდურესი ფორმის თვალნათელ მაგალითს წარმოადგენს. ამერიკაში ყველაზე პოპულარული სპორტის ბეისბოლის ბურთები იკერება ჰაიტიში, ჰონდურასა და კოსტა-რიკა-

ში. დასაქმებული, ერთ საათში საშუალოდ ოთხ ბურთს კერავს. ჰაიტ-იში თითო ბურთში ექვს ცენტს იხდიან, ამერიკაში ბურთის საცალო გაყიდვის ფასი კი საშუალოდ თხუთმეტ დოლარს აღწევს. ამგვარად, რეინერტის მიხედვით, ღარიბი ქვეყნებისთვის, დაბალკვალიფიციური შრომისგან თვითდახსნის ერთადერთ საშუალებად, ინდუსტრიულ პოლიტიკასთან ერთად, როგორც სავაჭრო პროტექციონიზმი, ასევე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება მიიჩნევა.

6. ვლადიმერ პაპავა წიგნში „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“ აღწერს შოკური თერაპიის (რომელსაც დიდ აფეთქებას ან დიდ დარტყმასაც უწიდებენ, უმოკლეს ვადაში აუცილებელი და დაუყოვნებელი გარდაქმნების რიცხვობრივი სიმრავლის გამო) ორ მოდელს: ერთია ზემოდან მომდინარე, როდესაც ქარხნები იშლება და სამანქანო კაპიტალი ჯართად იყიდება და მეორე, შოკური თერაპია ქვემოდან, რომელიც მანქანა დანადგარების განახლებასა და ინდუსტრიული პოლიტიკის შენარჩუნებას ითვალისწინებს. განახლების აუცილებლობას, ცხადია, საპაზრო სივრცეში, ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ქვეყნებთან, მაღალი კონკურენციის პირობებში წარმოებული პროდუქტისგან მზარდი უკუგების შენარჩუნების ან წარმოქმნის სურვილი განაპირობებს.

7. Maurizio Lazzarato: *The Making of the Indebted Man.*

8. განუსაზღვრელსა და არასტაბილურ შრომაში ჩართულ სუბიექტებს, გარდა შრომასთან დაკავშირებული უშუალო უნარებისა, ამავდროულად აყალიბებს და ახარისხებს ნაირგვარ სერთიფიკატ-თა ფლობის ირიბი ვალდებულებას. ტრენერებისა და ქოუჩების მომეტებული პოპულარობა, სინამდვილეში თავისუფალი დროის კოლონიზების მავნებლურ ფუნქციას კისრულობს.

9. უნდა ითქვას, რომ ნეოლიბერალური განსაზღვრება თავისუფლებისა, რომელიც სრულიად მოწყვეტილია საზოგადოებრივის გაგებას,

ან სხვის როგორც თანამოძმის კატეგორიას, თავისუფლებას გაიგებს, როგორც უკერძოეს შემოფარგლულობაში მოქმედების შესაძლებლობას. ამგვარი მდგომარეობა ჰქებელთან თვითნებობად სახელდება, ცალკეულის იმგვარი არსებობის ფორმა, როგორიც კონკურენციისა და სხვაში მტრის ხატის პროცესირებით სულდგმულობს. მეორე მხრივ, თვითნებობა არის იმგვარი მდგომარეობა, როდესაც სუბიექტს დაკარგული აქვს ისტორიულ ხდომილებათა დამჭერი კომპასი და ან-მყოს კვაზი ცვალებადი გამოწვევებითაა შემოფარგლული.

10. ევგენი ზამიატინი: „ჩვენ“ – დისტოპიური რომანი, რომელიც ტოტალიტარულ წესრიგს აღნერს. შეიძლება ითქვას, ეს წიგნი გახლავთ მარკუზეს „ერთგანზომილებიანია ადამიანის“ პროზაული პროტოტიპი. მარკუზეს ტექნოლოგიური რაციონალობა, რომელიც გარეგანი და სუბიექტებში ინტერნალიზებული ბატონობის მექანიზმებით, კაპიტალიზმის ტოტალიტარულ მმართველობას აღნერს, ზამიატინი, ფილოსოფიური თემატიკის მხატვრულ სახეებში მოქცევით აკეთებს ზუსტად იმავეს და ამხელს დამორჩილებული დროისა და ცალკეული სუბიექტების ბიოგრაფიული სხეულების გათქვეფის მექანიზმებს.

11. მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიაში „მანი“ (man), იმგვარი უპიროვნო ერთეულია, რომელიც თვითშემოქცეულია თავის კერძობაზი, დროითობას, მომავლისა და ყოფილობის გამამთლიანებელ უნარს დაცილებულ ანმყოს ცვალებადობაში გამოკეტილს, არასაკუთრივ ყოფნაში, მოსწონს ის, რაც სხვას, აკეთებს იმას, რასაც სხვა, ლაპარაკობს (ლაყბობა) ისე, როგორც სხვა და ფიქრობს ისე, როგორც სხვა, ამდენად „მანი“ გახლავთ საზოგადოებრიობაში გათქვეფილობის უპიროვნო ყოფნის წესა.

12. ძრწოლა თუ საკუთრივი, ამდენად ონტოფსიქოლოგიურ სხეულში ჩაქსოვილი კატეგორია და შესაბამისად ბუნებრივი მუდმივაა, აფორიაქებულობა მის საპირისპიროდ ხელოვნური აქარსობით შემოსაზღვრული, „მანად“ ყოფნის თანმდევი განცდაა.

13. ზიგმუნტ ბაუმანი, თხევადი მოდერნულობა, გვ.156

14. რიჩარდ სენეტი ბავშვის თამაშის ფონზე აღწერს, შემოქმედებითობის ბუნებრივი იმპულსის შენარჩუნების სიკეთებს; ბავშვი, რომელიც თამაშისას რეალობისგან დისტანცირდება და კულტურისა თუ სოციუმის ფუნქციონირების მექანიზმებს ივიწყებს, ამით თამაშში რეალობის გარდაქმნის შესაძლებლობის სინამდვილეში პროეცირების ძალასაც ატარებს (განსხვავებით, ვიქტორიანულ თეატრში მოთამაშე მსახიობისა, რომელიც მართალია სპონტანურობისა და გარემოულიდან ამოსხლტომის პრაქტიკებს ანხორციელებდა, თუმცა, სცენის მიღმა ისევ ბიურგერულ განსაზღვრულობაში ბრუნდებოდა). ბავშვის თამაშის თვითმყოფადი ბუნება ზრდასრულობასთან ერთად უჩინარდება. ეს თეორია, ერთი შეხედვით, ფსიქოანალიზის უმნიფრობიდან გამოსვლის პრინციპებს ენინაალმდეგება, თუმცა, ეს წინააღმდეგობა არსობრივად მოწვენებითია და რა ფუნქციასაც ფრიდთან სუბლიმაცია ასრულებს, რომელიც რეპრესიულ გარემოში დათრგუნული ან გართობაში სპეციალიზებულია, ანალოგიურად თამაშის ხელოვნება ითრგუნება წესდებით დღის წესრიგში.

15. რიჩარდ სენეტი, საჯარო ადამიანის დაცემა, მთარგმნელი ლაშა გველესიანი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2019, გვ.322

ვირუსის ინტერვალი ლაშა ხარაზი

1. ჰამლეტის პირველი მოქმედების ბოლოს დანის პრინცის მიერ წარმოთქმული სიტყვები *The Time is out of joint* (მაჩაბლისეულ თარგმანში დროთა კავშირი დაირღვა), უილ დელიოზის ფილოსოფიაში კონცეპტუალიზდება, როგორც მოძრაობის დროზე დაქვემდებარების კანტიანური რევოლუციის ამსახველი პოეტური ფორმულა. უშუალოდ დელიოზის ფილოსოფიურ სისტემაში მოძრაობის

დასაზღვრულობებისგან განთავისუფლებული დრო, დროის მესამე, მანამდესა და შემდეგის ერთად შემკრებ, მარადიული დაბრუნების ჰომიოზ მომავლის სინთეზს აფორმირებს. პანდემიით წარმოქმნილი ინტერვალი, უეცრად შეხსენებული სასრულობის ყოვლისმომცველი გამოსახულებით, სწორედ ამ დროის ხაზობრივ განუსაზღვრელობაში გვამყოფებს. იხ. Gilles Deleuze. *Sur quatre formules poétiques qui pourraient résumer la philosophie Kantienne; (Critique et clinique)* (Les Éditions de Minuit, Paris, 1993); გვ.40-42

2. 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისს მართვის ნეოლიბერალური პროგრამის შემმეცნებელ ლეგიტიმაციაზე არ ჰქონია ზემოქმედების იგივე ხარისხი, ვინაიდან სახელმწიფოს, როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლი (სტანდარტულად გამოხატული ე.წ. ბელაუთებში) კანონიკურად ჩაწერილია ბაზრის აბსოლუტური სუვერენიტაციისკენ მსწრაფ ნეოლიბერალიზმში.
3. თითქოს ექიმი რიეს სიტყვები, რომ **ჩვენ არ შეგვიძლია ერთდროულად ვმკურნალობდეთ და თან ვიცოდეთ** [On ne peut pas en même temps guérir et savoir], ცხოვრების უშუალობაში ამეტყველებულ პირველწყაროს პოლობდეს ჩვენ თვალწინ. Albert Camus, *La Peste* (Digibook, 2008; D'après l'édition Gallimard, 1947); გვ.167
4. კარლ შმიტის მიერ სუვერენის უკვე კლასიკურ განმარტებად ქცეულ მნიშვნელობასთან შესაბამისობაში (რომლის საფუძვლებიც სახელმწიფოს მოდერნულ თეორიაში, შმიტისავე ხაზგასმით ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში სამუელ პუფენდორფის მიერ შემუშავდა და რომლის მიხედვითაც სუვერენი არის ის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო მდგომარეობაზე), დელიოზი და გუატარიც სახელმწიფოს სუვერენიტეტად განსაზღვრავენ – [L'Etat, c'est la souveraineté]. ოღონდ შმიტისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც საგანგებო მდგომარეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით იდენტიფიცირებული სუვერენის კონცეპტუალური და სამართლებრივ-ლოგიკური ასპექტები პირველ რიგში, საინტერესოა, როგორც სახელმწიფო ავტორიტეტის არსის მთელი სიცხადით გამომჟღავნების მდგომარეობა [Der Ausnah-

me fall offenbart das Wesen in der staatlichen Autorität am klarsten], დელიოზი და გუატარი ათასი პლატოს გვიგვინოსანი ანარქიის [l'Anarchie couronnée] სულისკვეთებით, ათვლის წერტილად თვითონ სუვერენიტეტის პოლიტიკური წანამძღვრების გაუქმების შესაძლებლობას იღებენ. რახან სუვერენიტეტის ბუნებაა მბრძანებლობდეს მხოლოდ სახელმწიფო სამართლის შიგნით მოცემულზე, როგორც ისინი აღნიშნავენ, იმაზე, რაც ექვემდებარება გაშინაგანებას და ადგილობრივად აპროპრირებას [la souveraineté ne règne que sur ce qu'elle est capable d'intérioriser, de s'approprier localement], ყოველ სუვერენიტეტშივე ნაგულისხმევი გარეგანის ჯერ კიდევ დაუსაკუთრებელი სივრცეებისკენ საკუთარი თავის უნივერსალურად განვრცობის სწრაფვაც. მაგრამ რა და როგორ ხდება მაშინ, როდესაც კაპიტალისტური აქსიომატიკის რეალიზების მოდელად [modèles de réalisation] ქცეული სახელმწიფო თვითონვე იქცევა მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების, ფინანსური ელიტებისა და ძალაუფლების კლეპტოკრატიული სტრუქტურების ხელში გაშინაგანებისა და მისაკუთრების ობიექტად? უშუალოდ სახელმწიფო სუვერენიტეტთან მიმართებაში, დელიოზისა და გუატარის თეორიულ პერსპექტივას ამ შეკითხვაზე, არსებობის თითქმის ორმოცდათწლიან ხანგრძლივობაში, დროის მიმდინარე მონაკვეთისთვის თითქმის არაფერი შერჩა გასათვალისწინებლად პრაქტიკული. სახელმწიფო ნამდვილად არაა არსებულის ყველაზე კეთილშობილური ქმნილება, მაგრამ საკაცობრიო ისტორიის ამჟამინდელ ფაზაში, იგი ერთადერთი ქმედებაუნარიანი საშუალებაა ადამიანის კაპიტალისტური აპოკალიფსიდან დასახსნელად. იხ. 1) Carl Schmitt, Politische Theologie – Vier Kapitel zur Lehre von der Souveränität (München und Leipzig, 1934); gv.202) Gilles Deleuze & Félix Guattari, Capitalisme et Schizophrénie, Mille Plateaux (Les Éditions de Minuit, Paris, 1980); გვ. 445.

5. რაც უნდა უცნაური იყოს მარქსიზმისა და კაპიტალიზმის ეს პარადოქსული ურთიერთკავშირი (რომელიც მართვის ნეოლიბერალურ პროგრამაში, მისი სრულიად არარეფლექსიური ბუნებიდან გამომდინარე, დიდწილად გაუქმებულია) ყველაზე ნაკლებად მარქსისტმა ალექსანდრ კოშევმა გამოკვეთა, რომლის 1957 წლის 16 იანვარს,

კარლ შმიტის მიწვევით რაინ-რურის კლუბში წაკითხული მოხსენების, კოლონიალიზმი ევროპული პერსპექტივიდან ტექსტში ვკითხულობთ: „შესაძლებელია ადამიანმა ამტკიცო, რომ მარქსი თავის პროგნოზებში ცდებოდა, ვინაიდან ამ პროგნოზების თეორიული საფუძვლები იყო მცდარი [და ეს პოზიცია მრავალგზის ყოფილა მტკიცების ობიექტი]. მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი ინტერპრეტაცია, არა მხოლოდ თავისთავად მცდარია, არამედ იგი ამავდროულად სახიფათოცაა. სინამდვილეში მარქსი ცდებოდა არა იმიტომ, რომ იგი თეორიულად არასწორ დასკვნებს აკეთებდა, არამედ პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც მან თეორიულად მოიცვა სიმართლე იყო.

და მაინც, როგორია დღეს უკვე საზოგადოდ აღიარებული ამ შეცდომის ბუნება? მარქსი ცდებოდა არა იმიტომ, რომ კაპიტალიზმა, რომელიც მან აღნერა რევოლუციის გვერდის ავლით გააგრძელა არსებობა და არც იმიტომ რომ (როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებდნენ გასულ საუკუნეში) თითქოს მის მიერ აღწერილ კაპიტალიზმს არასდროს ეარსება. სინამდვილეში მარქსის შეცდომა ერთი მხრივ, ის იყო, რომ მან აპსოლუტურ სიზუსტები აღწერა მისი დროის კაპიტალიზმი, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ ეს კაპიტალიზი მის შიგნით არსებულ ეკონომიკურ დეფექტებს ან თუ გნებავთ, „წინააღმდეგობებს“, მარქსის მიერვე აღმოჩენილი და აღწერილი მიმართულებებით გაუმჯობესდა. ოღონდ არა „რევოლუციური“ და „დიქტატორული“, არამედ მშვიდობიანი და დემოკრატიული გზებით.

სინამდვილეში მარქსი და მარქსისტები მხოლოდ ერთ რამები შეცდნენ. მათ მიიჩნიეს, რომ კაპიტალისტები ზუსტად ისეთივე ნაივურები და ახლომხედველები, ზუსტად ისეთივე უგუნურები და ბრმები იყვნენ, როგორც ბურჟუა პოლიტიკური ეკონომისტები და ზოგადად ინტელექტუალები, რომელთაც დაიჯერეს, რომ მარქსისტული თეორია სქელტანიანი წიგნების წერით „უკუეგდოთ“. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მარქსი ამ სახით აღარ შეცდებოდა. მაგრამ რეალურად ყველაფერი პირიქით იყო. კაპიტალისტები აქვეყნებდნენ „ანტიმარქსისტულ“ ლიტერატურას, ხანდახან (როგორც ახალგაზრდა სტუდენტები) კითხულობდნენ კიდეც ამ წიგნებს, მაგრამ აკეთებდნენ ყველაფერ იმის საწინააღმდეგოს, რაც მათში ეწერა. სახელდობრ,

მათ მარქსისტულად გადააწყვეს კაპიტალიზმი“. იბ. Interpretation, A Journal of Political Philosophy (Fall 2001, vol.29, No I); გვ.116-117

6. აზროვნების თანამედროვე ფილოსოფიური რეჟიმი და მასთან ერთად არსებულის მიმდინარე მდგომარეობა მთლიანად ამობრუნების ამ ნიცშეანურ ოპერაციასთან თანხმობისა და უთანხმოების დისპოზიციაში დიფერენცირდება. მარტინ ჰაიდეგერის ნიცშეზე ლექციების პირველ ტომში ვკითხულობთ: „ნიცშემ ერთხელ მოკლე შენიშვნაში, რომელიც მისი პირველი თხზულების მოსამზადებელ ჩანაწერებში (1870-71) მოიპოვება თქვა: „ჩემი ფილოსოფია ამობრუნებული პლატონიზმია: რაც უფრო შორს იქნება იგი ჭეშმარიტად არსებულიდან [wahrhaft Seienden], მით უფრო წმინდა, მშვენიერი და უკეთესი იქნება იგი. სიცოცხლე ვლენაში [im Schein], როგორც მიზანი“ Martin Heidegger, *Nietzsche; Gesamtausgabe Band 6.1* (Vittorio Klostermann, Frankfurt am Main, 1996); გვ.156

7. Maurice Blanchot, *Musil; (Le livre à venir)* (Éditions Gallimard, 1959)

8. Gilles Deleuze, *Logique du sens* (Les Éditions de Minuit, Paris, 1969); გვ.177

9. Ibid, გვ. 177-178

თანამედროვე სპირიტუალიზმი და ტრენდული რელიგიები
თამთა უგლავა

1. აკადემიურ წრეებში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა დისკურსი, რომ რელიგიის „აღსასრული“ ახლოვდებოდა და ადამიანები დაკარგავდნენ მიღმიერი, ზებუნებრივი ძალების რწმენას, ტექნოლოგიური პროგრესი და მოდერნიზაცია კი უფრო დააჩქარებდა ამ პროცესს, თუმცა ჰიპოთეზა არ გამართლდა და რელიგია დღე-

ვანდელ სამყაროშიც აქტუალურია. ნაცვლად განსხვავებისა ტრადიციულ და მოდერნულ საზოგადოებებში, მეცნიერები უკვე მსჯელობენ რელიგიის „ალორძინებაზე“ თანამედროვე საზოგადოებებში. Detlef Pollack (2015) *Varieties of Secularization Theories and Their Indispensable Core, The Germanic Review: Literature, Culture, Theory*, 90:1, pp. 60-79.

2. 2012 წელს თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე გაიხსნა ტრანსცენდენტური მედიტაციის ცენტრი, რომელსაც რეჟისორ დევიდ ლინჩის ფონდი აფინანსებს. ცენტრის გახსნამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უკმაყოფილება გამოიწვია და ეს ფაქტი ტოტალიტარული სექტის მიერ საქართველოს ეკლესიაზე თავდასხმად შერაცხა. უურნალი „ლიბერალი“. დევიდ ლინჩის ფონდის მიზნების შესახებ. 2012. <http://liberali.ge/articles/view/2531/devid->
3. ზიგმუნტ ბაუმანი, თხევადი მოდერნულობა, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, მთარგმნელთა ჯგუფი. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი 2019, გვ.40
4. იქვე, გვერდები 188-191
5. Jürgen Habermas, 2010. *An Awareness of What is Missing: Faith and Reason in a Post-secular Age*, Polity Press, Cambridge. pp. 16-17
6. Ibid, p.16
7. Ulrich Beck, 1992. *Risk Society, Towards New Modernity*, Sage Publications. London. p.52
8. Jean Baudrillard. 1998. *The Consumer Society: Myths and Structures*, London. Sage Publications. pp.26-30
9. Ibid, p.81

10. Eva M Hamberg, 2009. *Unchurched Spirituality*, The Oxford Handbook of the Sociology of Religion. pp.2-3
11. Ibid, p.5
12. Ibid, p.6
13. Hubert Knoblauch, 2010. *Spirituality and Popular Religion in Europe*, Secularization. Volume IV. The Comparative Sociology of De-Secularization. Sage Publications. London. 348
14. Michael E. Hyland, Philippa Wheeler, Shanmukh Kamble and Kevin S. Masters Source: Archiv für Religionspsychologie / Archive for the Psychology of Religion, Vol.32, No. 3 (2010), pp. 293-326. 295
15. Ibid. p.295
16. Ibid, p.296-297
17. Eva M Hamberg, *Unchurched Spirituality*, The Oxford Handbook of the Sociology of Religion. 2009. p.8
18. Peter Van Der Veer, *Spirituality in Modern Society*. Social Research, Vol. 76, No. 4, The Religious-Secular Divide: The U.S. Case (WINTER2009), pp. 1097-1120. 2009 The Johns Hopkins University Press. 1102
19. Joe Pearson, *Ritual and Religious Experience: William James and The Study of 'Alternative Spiritualties'*, Cross Currents, Vol. 53, No. 3, Thresholds of Consciousness: Varieties of "Religious Experience" at 101 (FALL 2003), pp. 413-423. p.418
20. Thomas Pilarzyk, Conversion and Alteration Processes in the

Youth Culture: a Comparative Analysis of Religious Transformations. The Pacific Sociological Review, Vol. 21, No.4 (Oct. 1978), pp. 379-405, p.379

21. Ibid, p.385

22. Jack Finnegan, *The New Age Movement: A New Religion*. The Furrow, Vol. 43, No. 6 (Jun., 1992), pp. 351-359. pp.352-353

23. Ibid, pp.352-353

24. Ibid, p.352

25. Ibid, p.356

26. Jack Urban, *The Cult of Ecstasy: Tantrism, the New Age, and the Spiritual Logic of Late Capitalism*. History of Religions, Vol. 39, No. 3 (Feb. 2000), pp. 268-304. The University of Chicago Press. p.277

27. Ibid, p.278

28. David Tacey, *The Spirituality Revolution, The Emergence of Contemporary Spirituality*, Taylor & Francis e-Library. 171

29. Ibid, p.174

30. Wade Clark Roof, *Spiritual Marketplace: Baby Boomers and the remaking of American Religion*, New Jersey 2019. Princeton University Press. p.102

31. Ibid, p.103

32. DR. James Dobson s Family Talk- დოქტორი ჯეიმს დობსონი ცნობილი ფიგურაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი ყველაზე ცნობილი გადაცემა „საუბარი ოჯახზე“ (Family Talk) აქტიურად ვრცელ-

დება რადიოსა თუ ტელევიზიაში და მილიონობით მომხმარებელი პყავს. <https://drjamesdobson.org/about>

33. Wade Clark Roof, *Spiritual Marketplace: Baby Boomers and the remaking of American Religion*, New Jersey 2019. Princeton University Press. p.38

34. Ibid, p.69

35. Ibid, p.68

36. Ibid, p.78

37. Hubert Knoblauch, *Spirituality and Popular Religion in Europe, Secularization. Volume IV. The Comparative Sociology of De-Secularization*. Sage Publications. London 2010. pp.350-351

38. Ibid, p.350

39. 2004 წელს, ქალის თეთრეულის ხაზმა „ვიქტორია სეკრეტმა“ საკოლექციო საცურაო კოსტიუმი აწარმოა, რომელზეც დატანილი იყო ბუდისტური იკონოგრაფია. კერძოდ ისტორიული ბუდას ფიგურა, ბოდჰისატვა და მედიტაციური მდგომარეობაში მყოფი ბუდას სხვადასხვა ვარიაცები. „Asian Floral Tankin“-მა უკმაყოფილება გამოიწვია ბუდისტებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 2008 წლის 10 იანვრისათვის კომპანიის წინააღმდეგ ხელმომწერთა რაოდენობა 10 578-ს შეადგინდა. (Shields James, 2010, „Sexuality, Exoticism, and Iconoclasm in the Media Age: The Strange Case of the Buddha Bikini“ (2010). Faculty Contributions to Books. p.96)

40. Lyden John C, Mazur Eric Michael, 2015. *The Routledge Companion to Religion and Popular Culture*. Routledge. New-York. pp.404-405

41. Ibid, p.404

42. Frederic Lenoir, *The Adaptation of Buddhism to the West*, Diogenes, 1999. No. 187, Vol. 47/3. 100
43. Ibid, pp.100-102
44. Ibid, pp.105-106
45. Ibid, pp.106-107
46. Lyden John C, Mazur Eric Michael, 2015. *The Routledge Companion to Religion and Popular Culture*, Routledge. New-York. p.443
47. Ibid, p.448
48. Ibid, p.445
49. Ibid, p.407
50. Amanda Lucia, *Innovative Gurus: Tradition and Change in Contemporary Hinduism*, International Journal of Hindu Studies, Vol. 18, No.2 (August 2014), pp. 221-263. p.223
51. Ibid, pp.234-235
52. Ibid, pp.224-227
53. Jane Naomi Iwamura, *Virtual Orientalism*, Asian Religions and American Popular Culture. Oxford, New York 2011. Oxford University Press. pp.63-64
54. R. Andrea Jain, Selling Yoga. *From Counterculture to Pop-Culture*, New York 2015. Oxford University Press. pp.42-43
55. Lyden John C, Mazur Eric Michael, 2015. *The Routledge Companion to Religion and Popular Culture*, Routledge. New-York. p.450

56. R. Andrea Jain, *Selling Yoga. From Counterculture to Pop-Culture*, New York 2015. Oxford University Press. pp.78-79

57. Ibid, p.98

ტოტალობა და ტოტალიზაცია: ცნებათა გადახედვა
გეორგ ლუკაჩსა და უან-პოლ სარტრთან
საბა კონკრეტული

1. Luciano Colletti, *A Political and Philosophical Interview*, p.350 , in *Western Marxism : a Critical Reader*, cd. New Left Review, London, 1977

2. Georg Lukacs, *The Theory of the Novel. A historico-philosophical essay on the forms of great epic literature*, gv. 29 The Merlin Press, Berlin, 1971

3. Сартр Жан-Пол, *Проблемы Метода*, p.86, Академический проект, МОСКВА 2008

4. Fredric Jameson, *Marxism and Form, Twentieth-Century Dialectical Theories of Literature*, pp. 208 - 209, Princeton, New Jersey, Princeton University Press, 1971

5. Pietro Chiodi, *Sartre and Marxism*, p. 36 , The Harvester Press, 1976

6. სარტრი „მეთოდის საკითხში“ ორ მსოფლიო ომთა შორის პერიოდში გაჩენილ გერმანულ ეგზისტენციალიზმზე საუბრისას, ჰაიდეგერის ფიგურას შეგნებულად არიდებს თავს, რადგან „ჰაიდეგერის შემთხვევა ზედმეტად რთულია, რათა ის აქ განხილულ იქნას“, „Проблемы Метода“ p.19

7. Georg Lukacs, *Existentialismus oder Marxismus*, p. 44, AUFBAU-VERLAG, Berlin, 1951

8. იგივე, გვ. 52

9. Fredric Jameson, *Valences of The Dialectic*, p. 235, Verso, 2009

10. Сартр Жан-Пол, *Проблемы Метода*, р. 40

11. ცნების ლუკარიანურ გაგებას და კანტიანურ „ჯერარსულობას“, ამ შემთხვევაში, არავითარი თვისობრივი კავშირი არ გააჩნია ერთ-მანეთან. თუ კანტთან „ჯერარსი“ სუბიექტურია თავისი არსით, ამ შემთხვევაში მარქსისტი ფილოსოფოსთან ის თვისობრივად ობიექტურია. ლუკართან „უნდა“ (Sollen) მხოლოდ მაშინ გახდება „არის“, როდესაც ისტორიის სუბიექტი აღიარებს იმ სოციალურ რეალობას, რომელიც მან შექმნა, სადაც აღარ იქნება ის გაუცხოება, რომელიც ბურჟუაზიულმა კულტურამ მოიტანა. ამიტომ, შოლლენ-ის ცნება ასევე გულისხმობს მოცემული უშუალო რეალობისგან განსხვავებულ პოზიციას, მაგრამ ეს არ არის წმინდა უტოპიურობა, არამედ ლუკარის მიხედვით, მას მიექტურობა ახასიათებს. ის ობიექტური შესაძლებლობაა, რომელიც თავად პროლეტარიატის მდგომარეობიდან გამომდინარეობს. როგორც ლუკარი იტყვის, მისი დამოკიდებულება პროლეტარიატის თვითგანვითარების პროცესთან მიმართებაში მარქსისას ემთხვეოდა, რადგან ორივეს გზა რევოლუციურ განთავისუფლებას მოასწავებდა.

12. Georg Lukacs, *History and Class Consciousness, Studies in Marxist Dialectics*, p. 27, The Merlin Press Ltd, 1971

13. გ.ვ.ფ ჰეგელი, გონის ფენომენოლოგია, „კარპე დიემ“, თბილისი 2017, გვ. 18

14. Istvan Meszaros, *Lukacs Concept of Dialectic*, p. 63, The Merlin Press, London, 1972

15. Georg Lukacs, *History and Class Consciousness*, p. 19
16. Karl Marx, Friedrich Engels, *Holy Family or Critical Criticism*, in Collected Works, Volume 4 , Marx and Engels 1844 -1845, p. 37, Lawrence & Wishart, Electric Book, 2010
17. Andrew Feenberg, *Philosophy of Praxis*, p. 80, Philosophy of Praxis, Verso, London/Newyork, 2014
18. Georg Lukacs, *Bolshevism as Moral Problem*, p. 424 Social Research, Vol. 44, No. 3 pp, The New School (AUTUMN 1977),
19. Merleau Ponty Maurice, *Adventures of Dialectics*, p. 31, Northwestern University Press, Evanston, 1973
20. Сартр Жан-Пол, *Проблемы Метода*, р. 28
21. Jean-Paul Sartre, *Critique of Dialectical Reason*, Volume One, gv. 45, Verso London/New York, 2005
22. იგივე, გვ. 38
23. კარლ მარქს, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კ. მარქსი ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I , გვ. 267, სახელგამი, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, თბილისი
24. პროექტი მიემართება არსების საკუთარი თავის არჩევანს და გამომჟღავნდება მომავალი მიზნის შუქის ქვეშ აქტივობით.
25. Jean-Paul Sartre, *Critique of Dialectical Reason*, p. 44
26. იგივე, გვ. 80
27. Fredric Jameson, *Marxism and Form*, p. 233
28. იგივე, გვ. 233

29. უან-პოლ სარტრი ტერმინ „კონტ-ფინალურს“ „დიალექტიკური გონების კრიტიკაში“ იყენებს, რომელიც გულისხმობს გარკვეულ გარემოებებს, როდესაც ერთი ფენომენი (ინდივიდი ან ჯგუფი) ენიალმდეგება ან სპოს მეორე ფენომენს, რომელზეც დამოკიდებულია პირველის წარმოშობა ან მისი არსებობის შენარჩუნება.
30. Fredric Jameson, *Valences of the Dialectic*, p. 232
31. Jean-Paul Sartre, *Critique of Dialectical Reason*, p. 260
32. Jean-Paul Sartre, *Critique of Dialectical Reason*, p. 313
33. Fredric Jameson, *Marxism and Form*, p. 242
34. Jean-Paul Sartre, *Critique of Dialectical Reason*, p. 363
35. Jean-Francois Lyotard, *The Postmodernism Condition: A Report on Knowledge*, p. 82, University of Minnesota Press, Minneapolis, 1979
36. Fredric Jameson, *Valences of the Dialectic*, p. 230

კინო და კაპიტალიზმი: ზოგიერთს უფრო
მხურვალედ უყვარს
ნინი შველიძე, ალექსანდრე გაბელია

ფილმოგრაფია:

ალმოდებული (Beoning) – ჩან-დონ ლი. 2018 წ.

ანიმა (Anima) – პოლ-ტომას ანდერსონი. 2019 წ.

- ბავშვი (L'enfant) – უან-პიერ დარდენი, ლუკ დარდენი. 2005 წ.
- ბოდიმით, ვერ მოგისწარით (Sorry We Missed You) – კენ ლოუჩი. 2019 წ.
- გარყვნილის კინოგიდი (The Pervert's Guide To Cinema) – სოფი ფიქნ-სი. 2006 წ.
- დაკარგულები (The Lost) – დეიმონ ლინდელოფი. 2004-10 წ.
- დარაჯები (Watchmen) – დეიმონ ლინდელოფი. 2019 წ.
- დეკალოგი (Dekalog) – კშიშტოვ კიშლოვსკი. 1988 წ.
- დენიელ ბლეიქი (I, Dariel Blake) – კენ ლოუჩი. 2016 წ.
- დიდი ქალაქის ჩირალდნები (City Lights) – ჩარლი ჩაპლინი. 1931 წ.
- ესაუბრე მას (Hable con ella) – პედრო ალმოდოვარი. 2002 წ.
- ვერტიგო (Vertigo) – ალფრედ ჰიჩკოკი. 1958 წ.
- ზიზღი (La Haine) – მატიო კასოვიცი. 1995 წ.
- ის (Her) – სპაიკ ჯონსი. 2013 წ.
- ლობსტერი (The Lobster) – იორგოს ლანთიმოსი. 2015 წ.
- მზის ამოსვლამდე (Before Sunrise) – რიჩარდ ლინკლეიტერი. 1998 წ.
- მიტოვებულები (The Leftovers) – დეიმონ ლინდელოფი. 2014-17 წ.
- მისტერ ლონგი (Ryu San) – საბუ. 2017 წ.

მოკლე ფილმი სიყვარულზე (Krótki film o miłości) – კშიშტოფ კიშ-ლოვსკი. 1988 წ.

პატერსონი (Paterson) – ჯიმ ჯარმუში. 2016 წ.

პეტრა ვონ კანტის ცხარე ცრემლები (Die bitteren Tränen der Petra von Kant) – რაინერ ვერნერ ფასბინდერი. 1972 წ.

როზეტა (Rosetta) – უან-პიერ დარდენი, ლუკ დარდენი. 1999 წ.

სათამაშობის ისტორია 4 (Toy Story 4) – ჯოშუა კული. 2019 წ.

სასიყვარულო განწყობა (In The Mood For Love.) – ვონგ კარ-ვაი. 2000 წ.

სტალკერი (Stalker) – ანდრეი ტარკოვსკი. 1979 წ.

უხილავი ძაფი (Phantom Thread) – პოლ-ტომას ანდერსონი. 2017 წ.

1. De Antoine Baecque Serge. Toubiana Serge. *François Truffaut*, Berkeley: University of California Press. 2000. p.110

2. Bazin, André. What is Cinema? Vol 2. Trans. Hugh Gray. Berkeley: University of California Press, 1971. p.72

3. დინარა მალლაკელიძე, კინოს თეორიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები, თბილისი: კენტავრი. 2013. გვ.57

4. დინარა მალლაკელიძე. კინოს თეორიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები, თბილისი: კენტავრი. 2013. გვ.57

5. Alain Badiou, *In Praise Of Love*, Translated by Peter Bush. Serpent's Tail. An imprint Prople Books Ltd. London. 2012. p.17
6. Laura Mulvey, *Visual Pleasure and Narrative Cinema*, Screen 16.3. 1975. p.6
7. პედრუ კოშტა, მიხურული კარი, რომელიც საგონებელში გვაგდებს, ონლაინ ურნალი: ჯენარიელო. 2012
8. Jean-Paul Sartre, *The Words*. Translated by Bernard Frechtman, New York: George Braziller. 1964. p.121
9. Miller, Jacques-Alain. *Jacques Alain Miller: On Love, We love the one who responds to our question Who am I*, In The Symptom 10, (1997/2009). Date Accessed: 10 November 2008
10. Roland Barthes, *A Lover's Discourse: Fragments*, Translated by Richard Howard. HILL AND WANG. A division of Farrar, Straus and Giroux. New York. 1978. p.233
11. Adriana Novoa, *Whose Talk Is It? Almodóvar and the Fairy Tale in Talk to Her*, Detroit: Wayne State University Press. 2005. p.229
12. Marsha Kinder, *Reinventing the Motherland: Almodóvar's Brain-Dead Trilogy*, Film Quarterly 58.2 (2005): 9-25. Web. 10 Jan. 2010. p.22
13. Ovid. *Metamorphoses*. Translated by Sir Samuel Garth, John Dryden, et al. Book the Tenth, The Story of Orpheus and Eurydice. 1717
14. რაინერ მარია რილე, სონეტები ორფევსისადმი, გამომცემლობა: აზრი. მთარგმნელი: ლულუ დადიანი. 2009. სონეტი XXVIII
15. Bell Hooks, *All About Love*, New York: Harper Perennial. 2001. p.219

16. Erich Fromm, *The Art Of Loving*, New York: Harper & Row. 1956.
p.56
17. Louis Althusser, *Lenin and Philosophy and Other Essays*, Ideology and Ideological State Apparatuses. Monthly Review Press. Translated by Ben Brewster. 1971. pp.19-20
18. პიერ პაოლო პაზოლინი, ლუთერული წერილები, თბილისი: საზოგადოებრივი გამომცემლობა საგა. მთარგმნელები ლაშა კალანდაძე, ხათუნა ცხადაძე, თათული წერეთელი. 2016. გვ. 244
19. Dominique Rabourdin, *La Bataille des Dardenne*, Interview with Jean-Pierre and Luc Dardenne. Rosetta/La Promesse. 2006
20. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული ბურჟუაზიული მორალი. მათ შორის რელიგიური მორალი, რადგან დარღვენების ეთიკა გამოსახავს რელიგიისა და სეკულარიზმის, რწმენისა და ათეიზმის დიქოტომიას. ამავდროულად, დარღვენების ეთიკა გარკვეულწილად ეფუძნება ემანუელ ლევინსის ეთიკურ ფენომენოლოგიას. მისი face-to-face ცნების მიხედვით ადამიანები ვალდებულები არიან იზრუნონ „სხვაზე“. მეორე მხრივ, ძმები დარღვენები მემარცხენე იდეოლოგიიდან ამოდიან.
21. თავისუფალი საბაზრო პრინციპებისთვის დამახასიათებელი სისტემა, რომელიც დროებითი სამუშაო პოზიციებით ხასიათდება. ორგანიზაციები დამოუკიდებელ მუშახელს მოკლევადიანი ვალდებულებებით ქირაობენ. ამ შემთხვევაში, მათ გაუცხოებას და ფიზიკური იზოლაციას, სხვა მუშებთან ურთიერთობის, თანადგომისა და სოლიდარობის ნაკლებობა განაპირობებს.
22. Thibault, Luke. *Victims of Capitalism's Success*, Jacobinmag. 2019
23. Adorno, Theodor W. *The Culture Industry*, Selected essays on mass culture. London and New York: Routledge Classics. 2005. p.194

24. Guy Debord, *Society Of The Spectacle*, Detroit: a Black & Red translation unauthorized. 1970. p.147
25. Alexandra Kollontai, *Communism and the Family*, The Worker. Translated: by Alix Holt. 1920.
26. „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაში“ (1884) ენგელსი ამ ტიპის ურთიერთკავშირს, სიყვარულის საყოველთაო განხორციელებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ კაპიტალისტური წარმოება და მის მიერ შექმნილი საკუთრების უფლება მოისპობა და წყვილს არ მოუწევს არჩევანის გაკეთება და ცხოვრება გაბატონებული ეკონომიკური მოსაზრებებით.
27. Karl Marx, *The Poverty of Philosophy*, Transcribed by Zodiac for marxists.org. Proofed and corrected by Caemody Matthew 2009. p.80
28. Georg Lukacs, *History and Class Consciousness*, Studies in Marxist Dialectics. Translated by Rodney Livingstone. CAMBRIDGE, MASSACHUSETTS, THE MIT PRESS, 1971. p.64
29. Herbert Marcuse,, *One-Dimensional Man*, London and New York: Routledge Classics. 2002. p.7
30. Ozden Toprak,. *City and Cinema*, International Journal of Humanities and Social Science. www.ijhssi.org ||Volume 5 Issue 9||September. 2016 || p.21
31. ვალტერ ბენიამინი, ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში, თბილისი: გამომცემლობა საგა. 2008. გვ.49
32. Ozden Toprak, *City and Cinema*, International Journal of Humanities and Social Science, www.ijhssi.org ||Volume 5 Issue 9||September. 2016 || p.21

33. უან ბოდრიარი, ქალაქი და სიძულვილი, მთარგმნელი მალხაზ ხარბედია. უურნალი არილი. 2014
34. Vogel Amos, *Film as a Subversive Art*, CT Editions. 2005. p.58
35. უილიამ ფოლკნერი, დათვი, თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1975. გვ.10
36. პიერ პაოლო პაზოლინი, ლუთერული წერილები, თბილისი: გამომცემლობა საგა. 2016. გვ.133
37. Viktor Shklovsky, *Art as Technique*, 1917. Warwik
38. Michael Featherstone, *Consumer Culture: An Introduction*, Theory, Culture, and Society. 1983. pp.4-9
39. Erich Fromm, *The Art Of Loving*, New York: Harper & Row. 1956. p.131
40. Erich Fromm, *The Sane Society*, New York: Rinehart and Winston, Inc. 1955. p.94.
41. Alain Badiou, *In Praise Of Love*, Translated by Peter Bush. Serpent's Tail. An imprint Prople Books Ltd. London. 2012. p.73
42. Karl Marx, Engels, Frederick. A *Critique of The German Ideology*, Transcription: Tim Delaney, Bob Schwartz. Online Version: Marx/Engels Internet Archive (marxists.org). 2000. p.14
43. Søren Kierkegaard, *Works of Love: Kierkegaard's Writings, Vol 16*, New Jersey: Princeton University Press. Edited and translated by Howard V. Hong and Edna H. Hong. 1995. p.369
44. Jacques Ranciere, *The Idea of Communism*, Edited by Costas Douzinas and Slavoj Žižek. London, New York: Verso. 2010. p.176

**რამდენიმე მოსაზრება დამოუკიდებელ ქართულ
კინოსა და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე
გიორგი ჯავახიშვილი**

1. თეო ხატიაშვილი, ფარაჯანოვი, პოეტური კინო და მივიწყებულ
წინაპართა აჩრდილები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილი-
სი, 2019, გვ.31.
2. ბელა ბალაში, „კინოხელოვნების ფილოსოფიის შესახებ“, მთარგ-
მნელი: დიანა მაღლაკელიძე, კინოს ხელოვნების კლასიკური და თან-
ამედროვე ტექსტები, თბილისი, 2013, გვ.44.
3. უნგრელი კინოთეორეტიკოსი, მწერალი და პოეტი (1884-1949).
4. ბელა ბალაში: „კინოხელოვნების ფილოსოფიის შესახებ“, გვ.44
5. ვგულისხმობთ საკონკურსო (!) ფორმატის დროს სხვისი ნამუ-
შევრის შეფასებას.
6. თავდაპირველი მნიშვნელობით კიჩი აღნიშნავს იაფფასიან, სენ-
ტიმენტალურ ნაწარმოებს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაა
შექმნილი.
7. რუმინელი კინემატოგრაფისტი, კრისტიან მუნჯიუს ფილმის „4
თვე, 3 კვირა და 2 დღე“ ოპერატორი.
8. უნდა აღინიშნოს, რომ ფილმების ოპერატორი შალვა სოყურაშვილ-
ია, რაც გარკვეულწილად მოქმედებს მათ ესთეტიკურ მსგავსებაზე.
9. გარდა ავტორის აზრისა, 2019 წლის მიწურულს კინომცოდნებს
შორის ჩატარებულ კვლევაში, 21-ე საუკუნის საუკეთესო ქართულ
ფილმად „ნამე“ დასახელდა.

10. ნინი შველიძე, რეცენზია, ნამე, სხვა გეგმებით
https://demo.ge/index.php?do=full&id=1650&fbclid=IwAR3tSwC-n9EXuWRnXIHnOUbRvrpJwe5KT_Dx-ssg5BICzax82LSJjJ5KxQkM
11. აპას ქიაროსთამი, დაუსრულებელი კინო, მთარგმნელი ნინი შველიძე.
http://cinexpress.ge/2019/11/08/abas-qiarosthami-dausrulebeli-kino/?fbclid=IwAR2GpbWPNmq3Z065ZdvsWWJFpSy-TBvaMTJB77_Mia-olrqKXYIwLKfuucQ

ერთგანზომილებიანი აზროვნება და
ტექნილოგიური რაციონალობა
დავით გალაშვილი

1. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები ტომი I, კარლ მარქსი,
სიტყვა სახალხო გაზეთის იუბილეზე, სახელგამი. თბილისი 1950.
გვ.403
2. Feenberg A., *Heidegger and Marcuse*, London, Routledge, 2004.
p.xiii
3. Herbert Marcuse, 1998, *Technology, War and Fascism: Collected Papers of Herbert Marcuse (Volume 1)*, New York: Routledge, p.41
4. Ibid. p.41
5. ჰერბერტ მარკუზე, ერთგანზომილებიანი ადამიანი, მთარგმნელი
ოთარ ჭულუხაძე. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2019. გვ.164.

6. უნდა ითქვას, რომ ამ ვითარებიდან თავის დასაღწევად შესაძლოა მართებული აღმოჩნდეს ბერტოლტ ბრეხტის გაუცხოების თეორია, რომლის მიხედვითაც, ადამიანები ყოველდღიურობაში მომხდარ მოვალენებს, ყოველდღიურობაში აღქმულ საგნებს უნდა გაუცხოვდნენ და სხვა პოზიციიდან შეხედონ, რათა მათში აღმოაჩინონ ის, რაც მასობრივი წარმოების პირობებში შეუმჩნეველი რჩება.

7. Adorno W.Th., *Studies in philosophy and social science*, New York City, The Institute of social research, 1941. p.25

8. ამგვარად, დიალექტიკური აზროვნება თავის თავში უარყოფითი ხდება. მისი ფუნქცია საღი აზრის თვითრწმენისა და თვითკომისულ-ფილების დამსხვრევა, ძალაუფლებისა და ფაქტების ენის ავბედითი რწმუნებოლობის შერყევა და იმის ჩვენებაა, რომ არათავისუფლება საგნების გულის გულშია, რომ მათი შინაგანი წინააღმდეგობების განვითარება თვისებრივი ცვლილებისაკენ, არსებული მდგომარეობის კატასტროფისა და აფეთქებისაკენ აუცილებლობით გვიძლვება (Marcuse H., *Reason and Revolution: Hegel and the Rise of Social Theory*, Boston, Beacon Press, 1968. გვ. ix).

9. Herbert Marcuse, *Reason and Revolution: Hegel and the Rise of Social Theory*, p.xiii

10. Herbert Marcuse, *One-Dimensional Man: Studies in the Ideology of Advanced Industrial Society*, Boston, Beacon Press, 1991. p.144

11. Ibid, p.161

12. Ibid, p.162

13. სხვა სიტყვებით, მარკუზეს აზრით, თუკი გაუცხოება მე-19 საუკუნეში უფრო თვალნათელი გახლდათ, როდესაც მუშას მის მიერ ნაწარმოები პროდუქტის შეძენაც კი არ შეეძლო, მე-20 საუკუნეში ფუფუნებამ და ინდუსტრიულ საზოგადოებებში დაგროვილმა სი-

უხვემ გაუცხოების საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. თუმცა, მიუხედავად გაუცხოების პროცესის შეფარვისა, მარკუზეს მიაჩნია, რომ გაუცხოების საკითხი დღეს ისე მწვავედ დგას, როგორც არასდროს.

14. Ibid p.164

15. ჰერბერტ მარკუზე, მარქსიზმი და რევოლუცია, მთარგმნელი დავით გალაშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2018. გვ.13

16. იქვე, გვ.15

არარა და კაპიტალიზმი
თარო ჭულუხაძე

1. Henri Bergson, *Creative Evolution*; Random House, New York, 1944; p.308;
2. Herman Diels, *Fragmente der Vorsokratiker*; Weidmannsche Verlagsbuchhandlung, Band 1, 1960; p.232;
3. პლატონი, „სოფისტი“; „პროგრამა ლოგოსი“, 2013; გვ.349, 257ბ;
4. Martin Heidegger, *Was ist Metaphysik?*; Gesamtausgabe, Vittorio Klostermann, Frankfurt am Main, Band 9; გვ.106;
5. John Maynard Keynes, *Essays in Persuasion*; New York: W.W.Norton & Co., 1963; p.369.

ავთანდილ ძამაშვილი, ლაშა ხარაზი, თამთა უგლავა,
საბა კოხევიძე, ნინი შველიძე, ალექსანდრე გაბელია,
გიორგი ჯავახიშვილი, დავით გალაშვილი, ოთარ ჭულუხაძე



კრიტიკული ესეები კაპიტალიზმის შესახებ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
დავით გოგლიძე

კორექტორი:
ქეთევან ბეროზაშვილი

100 ცალი

თქვენი შენიშვნები გთხოვთ გამოგზავნოთ მისამართზე

Für die Anmerkungen wenden Sie sich bitte an die folgende Adresse

E-mail: infocarpediem507@gmail.com

T. (+995) 577 728 947

www.carpediemph.ge